



გაქა შუბითიქა
თიბ ღაბითაუბილი

პოლიტოლოგია

**პოლიტიკური
გეოლოგია**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პოლიტოლოგიის კათედრა



ვაჟა შუბითია
ოთარ დავითაშვილი

პოლიტოლოგია

პოლიტიკური გეოლოგია

დამხმარე სახელმძღვანელო

ბაჟონ

გოგია თოდუა

ოხუა წაყვიანსუაძე და სოფიანსუაძე

საბურჯიანის სტრუქტურა


უკრაინა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი-2002

2003

გიგაივა





დოცენტების ვაჟა შუბითიძის და ოთარ დავითაშვილის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოს მიზანია სტუდენტთა და კურსანტთათვის დამოუკიდებელი აზროვნების უნარის განვითარება, მტკიცე ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბება და მისი გარჩევა ყალბი ფასეულობებისაგან. ამ მიზანს ხელს უწყობს დამატებითი თემებისა და პრობლემების წარმოჩენა (პოლიტიკა, პოლიტიკური ტექნოლოგიები, სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალი ეტაპის თავისებურებანი, შავი და თეთრი პი-არი, საქართველოს პოლიტიკური სისტემა, ჯაკ სეგელა - პოლიტიკური რეკლამის ცნობილი ფრანგი სპეციალისტი, პოლიტიკური ლიდერი და სხვა.)

სახელმძღვანელო განკუთვნილია უნივერსიტეტებისა და აკადემიების, ინსტიტუტების კუმანიტარული და სამხედრო სპეციალობის ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისათვის, პოლიტოლოგთათვის, პოლიტიკოსებისათვის, მაღალი კლასების (X-XI) მოსწავლეთა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი

იზორ კვსელავა,
პროფესორი, ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტები


თენგიზ ბრიგოლია,
დოცენტი, ისტორიის
მეცნიერებათა კანდიდატი
ჟიჟიან ჯიჯიუშვილი,
დოცენტი, პოლიტიკის
მეცნიერებათა კანდიდატი
ლევან მატრეველი,
დოცენტი, ისტორიის
მეცნიერებათა კანდიდატი

K 267.532
3

© ვაჟა შუბითიძე, ოთარ დავითაშვილი. პოლიტოლოგია. 2002

ISBN 99286128X

პოლიტიკური იმიჯისა და მარკეტინგის საერთაშორისო ასოციაცია



I ნაწილი

პოლიტიკური ტექნოლოგიები

პოლიტოლოგიის საგანი პოლიტიკა, როგორც მოწოდება, ხელობა და ხელოვნება	5
პოლიტიკური ტექნოლოგიები	10
სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალი ეტაპის თავისებურებანი	15
პოლიტიკური ლიდერი	31
პოლიტიკური ელიტა	35
პოლიტიკური სისტემა	40
საქართველოს პოლიტიკური სისტემა	46
პოლიტიკური რეჟიმი	57
ბიუროკრატია	65
სამოქალაქო (ღია) საზოგადოება	69
ინტერესთა ჯგუფები (ღობიზმი)	75
თავისუფალი მასშედია – სამოქალაქო საზოგადოების ატრიბუტი	79
პოლიტიკური პარტია	83
პოლიტიკური იდეოლოგია	89
პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური სოციალიზაცია	96
დემოკრატია და ადამიანის უფლებები	104
პოლიტიკური მონაწილეობა, არჩევნები და მისი მონიტორინგი	111
პოლიტიკური მარკეტინგი	118
იმიჯი და პოლიტიკა	123
თეთრი და შავი “პიარი” (PR)	128
ჟაკ სეგელა - პოლიტიკური რეკლამის ცნობილი ფრანგი სპეციალისტი	133
კორუფცია	140
კლიენტელიზმი და ინსტიტუციონალიზმი	145

შოთა რუსთაველის სოციალურ-პოლიტიკური და რელიგიური დოქტრინა	151
დავით აღმაშენებელი (1089-1125) – პოლიტიკოსი და მოაზროვნე	156
ხელისუფლების დანაწილების ქართული მოდელი (ეუთღუ-არსლანის პოლიტიკური დასი და „ისნის კარავი“)	162
ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური შეხედულებანი	166
ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკური შეხედულებანი	172
ნოე ჟორდანიას პოლიტიკური შეხედულებანი	180
ვაჟა-ფშაველა – კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის შესახებ	188
საქართველო: პოლიტიკური ორიენტაცია და გლობალიზაცია	191
გამოყენებული ლიტერატურა	201
პოლიტოლოგიურ ცნებათა მოკლე ლექსიკონი	206

1 ნაწილი

პოლიტიკური ტექნოლოგიები



პოლიტოლოგიის საბანი

პოლიტიკა, როგორც მოვლდება, ხელობა და ხელოვნება

პოლიტოლოგია არის მეცნიერება პოლიტიკის და პოლიტიკური ხელისუფლების წარმოშობის, ჩამოყალიბების, მისი განხორციელებისა და განვითარების კანონზომიერებათა შესახებ.

პოლიტოლოგია სწავლობს და აანალიზებს პოლიტიკური პარტიების, ორგანიზაციების, მოძრაობების საქმიანობას პოლიტიკურ ხელისუფლებასთან მიმართებაში.

პოლიტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების ყოვლისმომცველი სფეროა. არ არსებობს პიროვნება პოლიტიკის გარეშე და პირიქით ამიტომ პოლიტიკის ცოდნას ადამიანებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია. როგორც მაქვს ვებური აღნიშნავდა, პოლიტიკა "იქმნება" თავით და არა სხეულის რომელიმე ნაწილით. პოლიტიკა ერთდროულად მოწოდებაცაა, ხელობაც და ხელოვნებაც, რომელიც ელინდება საზოგადოების მართვაში.

პოლიტიკის განსაზღვრა ასოცირდება ორ სიტყვასთან - პოლიტიკა - ეს არის ბრძოლა ძალაუფლებისათვის, ძალაუფლების მოპოვება სახელმწიფოში; და პოლიტიკა - მთავრობის მიერ განხორციელებული კურსი, გადაწყვეტილება ნებისმიერი მოქმედების განსახორციელებლად. პოლიტიკის დახასიათება შეიძლება ძირითადად ორი კრიტერიუმით: ის ეხება ადამიანთა ერთობას და ის არის დაფუძნებული ლეგიტიმურობაზე, რაც წარმოადგენს აუცილებლობას, მაგრამ არა ფიზიკური იძულების თვალსაზრისით (დომინიკ კოლა).

პოლიტიკა არის, პირველ რიგში, მოღვაწეობის განსაკუთრებული სფერო და წესრიგის განსაკუთრებული სახე.

ჟან ბეჟელერის მიხედვით "პოლიტიკოსის შეფასების კრიტერიუმი ერთია: ემსახურება თუ არა მისი კომპეტენტურობა, ენერჯია, საქციელი, ხასიათი საერთო კეთილდღეობას".

პოლიტიკური მართვის ხელოვნება გულისხმობს მსოფლიოს მამოძრავებელი ურთიერთმოქიშპე ანტაგონისტური ძალების გაგებას, მათი ფარული მექანიზმის ცოდნასა და რეგულირებას. ქვემოთ გთავაზობთ ცნობილი ფრანგი მწერლის ანდრე მორუას საინტერესო ნარკვევს "პოლიტიკა", რომელიც ყველასათვის გასაგები უნიათა დაწერილი.

პოლიტიკა

ისწრაფვით თუ არა საზოგადოებრივი საქმიანობისაკენ? გადაწყვეტით თქვენ თვითონ. ყველაფერი დამოკიდებულია თქვენს ხასიათსა და გარემოებაზე. არიან ადამიანები, რომლებზეც ზედგამოჭრილია არისტოტელეს სიტყვები: "ადამიანი პოლიტიკური ცხოველია". თუ თქვენ გიზიდავთ ბრძოლა, თუ თქვენ ბუნებამ დაგაჯილდოვათ მჭკვრემტყველების ნიჭით, თუ გამოცდილებამ დაგარწმუნათ იმაში რომ შეიძლიათ აიყოლიოთ აუდიტორია, ბრბო, და ჩვენს დროში რაც მეტად მნიშვნელოვანია, "მოახდინოთ დიდი შთაბეჭდილება" ტელევიზიით გამოსვლისას, მაშინ რატომაც არა? მე მოძწონს ადამიანები, რომლებიც შემთხვევით მოუიღნენ პოლიტიკაში. ერთხელ, როგორღაც ერთი ადამიანი აირჩიეს დიდი ქალაქის მერად იმიტომ, რომ მის აბაზანაში წყალი მოდიოდა შეფერხებით და მან გამოიკვლია ამის მიზეზი, აღკვეთა უწყესრიგობანი და ამით გააუმჯობესა მთელი ქალაქის წყლით მომარაგების საქმეც. აქედან დაიწყო მისი კარიერა.

საერთოდ, ღირს კი ხელისუფლებისათვის ბრძოლა? ალენს, შესანიშნავ მჭკვრემტყველსა და მიზანმიმართულ მოაზროვნეს, ბრწყინვალე დი-ალექტიკოსს, რუანის სახალხო უნივერსიტეტის ერთ-ერთ საუკეთესო პროფესორს, ყველა საფუძველი გააჩნდა იმისათვის, რომ საკმარის პარტიზომოყვრული იმედები ჰქონოდა, მაგრამ იგი ამისთვის არ იწუხებდა თავს, რადგან ყველაზე მეტად სურდა დარჩენილიყო თავისუფალ ადამიანად. პოლიტიკური პარტიების ლიდერები, ხელისუფალთა ფეოროიტები არსებითად ამ პარტიებისა და ხელისუფლების ტყვეები არიან და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ისინი მოსწონდეთ, ალენი კი ამისთვის არ ზრუნავდა. ამასთან, მას მიაჩნდა, რომ ამა ქვეყნის ძლიერთ აუცილებლად სჭირდებოდა ზედამხედველობა და ამიტომაც ქვეყანას უნდა ჰყავდეს გამჭრიახი ჭკუის რიგითი მოქალაქეები. მას სურდა ყოფილიყო ერთი ასეთი რიგითი მოქალაქე. სწორედ ამ მიზეზით უარყო მან ყველა ჩინი, გარდა კაპრალისა, პირველ მსოფლიო ომში, სადაც მოხალისედ წაიდა. მეც, ისევე, როგორც ალენი, ყოველთვის უარყოფდი შემოთავაზებულ პოსტებს, თუმცა ზოგი ამ პოსტთაგანი არათუ საკმარის მაღალი, არამედ საპატიოც კი იყო. მაგრამ ეს მაგალითი არაფერს ამტკიცებს, ყველა ერს სჭირდება აქტიური ხელმძღვანელი. შეიძლება თქვენც გახდეთ ერთი მათგანი.

თუ ასე მოხდა, პირველ რიგში ხელი მოკიდეთ პრაქტიკულ საქმიანობას. ქალაქის თავი და სახელმწიფოს მეთაურიც მტკიცედ უნდა

იცუდეს პრინციპს - ნაკლები სიტყვა, მეტი - საქმე. გზათ ქსელის გაფართოება, სააუდმოფოფობის მოწყობა, მოსახლეობის ბინებით უზრუნველყოფა, სპორტული მოედნების მშენებლობა, თეატრალური კოლექტივების მხარდაჭერა - აი, ნამდვილი შერის საზრუნავი. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, ბრძნული საგარეო პოლიტიკის გატარება, კონტროლი ბიუჯეტზე, საგადასახადო სისტემის სრულყოფა, სკოლების, ლიცეუმების, უნივერსიტეტების მშენებლობა, საიმედო და ადვილად ხელმისაწვდომი სოციალური უზრუნველყოფა, კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობა, ადამიანის უფლებათა პატივისცემა - აი, რაზე ზრუნავს ბრძენი მთაერობა.) თქვენ იტყვიან "ე.ი. არა აქვს მნიშვნელობა, მემერცხენე ვარ თუ მემარჯვენე?" მე ეს არ მითქვამს, მაგრამ ჩემი აზრით, რეფორმის მომხრე ინგლისელ კონსერვატორსა და ინგლისელ ზომიერ ლეიბორისტს შორის არსებითი განსხვავება არაა. ჩვეულებრივ, ყველა პარტიაშია როგორც კეთილშობილი, ასევე ნადირალა ადამიანებიც (შეშლილებსა და ურჩხულებზე არას ვამბობ). ეს დაყოფა მე უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენება, ვიდრე დაყოფა, ვთქვათ, სოციალისტებად და რადიკალებად,, დამოუკიდებელ და სახალხო რესპუბლიკელებად, სახალხო-რესპუბლიკურ მოძრაობად და ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირად. ნუ იქნებით თქვენი პარტიის ფანატიკოსი. ერი ერთიანია და ერთის კეთილდღეობა დაკავშირებულია სხვების კეთილდღეობაზე. ულტრამემარცხენეები, ულტრამემარჯვენეებიც ყოველთვის თვითონვე ანგრევენ იმ რეჟიმს, რომელსაც ადრე თავგამოდებით იცუდნენ.

და ყველაზე მთავარი - ნუ იქნებით ისე თავდაჯერებული, რომ უარი თქვათ მოწინააღმდეგის აზრის მოსმენაზე. განსხვავებული აზრის ხელაღებით უკუგდება უფრო ადვილია, ვიდრე მათი დასაბუთებული უარყოფა. პოლიტიკაში შეუძლებელია დაიცვა მიუკერძოებლობა. ცხოვრება თქვენ გაქცევთ ან კონსერვატორად ან ოპოზიციონერად. მე ვიცნობ მრავალ ადამიანს, რომლებიც გააფთრებით იცავენ მათი პარტიის მიერ წამოყენებულ ამა თუ იმ ღონისძიებას, და ამავე დროს შეუბრალებლად კიცხავენ იგივე ღონისძიებებს, თუ მას მოწინააღმდეგე მხარე წამოაყენებს. გახსოვდეთ: სიძულვილი და ფანატიზმი - წინ არ სწევს პოლიტიკას. "დიდი ადამიანობა იმაში კი არაა, რომ უკიდურესობაში გადაუარდე, არამედ იმაში, რომ ორივე უკიდურესობას შეეხო ერთდროულად და შეაჯსო მათ შუა არსებული ადვილი" (პასკალი).

იყო დრო, როცა დასავლეთში არავინ უარყოფდა საპარლამენტო რე-

ვიმს. 1914 წლამდე საერთოდ მას საფრანგეთისათვის მხოლოდ სიკეთე მოჰქონდა. III რესპუბლიკის წყალობით პირველ მსოფლიო ომში ჩვენ ჩაგვებით ძლევამოსილი არმიითა და ძლიერი მოკავშირეებით III რესპუბლიკის ერთ-ერთ მოღვაწეს ხალხში "გამარჯვების მამასაც" კი უწოდებდნენ, მაგრამ შემდგომი ეს ბრწყინვალეობა გაფერმკრთალდა. ბევრ ევროპულ სახელმწიფოში საპარლამენტო ანარქიამ შვა ფაშიზმი, ძალის დიქტატურა, რომელიც უსინდისოდ ზღუდვდა ყველანაირ თავისუფლებას. ამავე დროს, რუსეთში დამყარდა სულ სხვა, მაგრამ არანაკლებად ძლიერი ხელისუფლება...

დიდი გვემების განხორციელება კი შეიძლება მთვანდოთ მინისტრებს, რომლებიც გადადგომის მუდმივ შიშში იმყოფებიან? ჩვენ წინანდებურად მოვითხოვთ იმას, რომ პარლამენტი აზორციელებდეს კონტროლს მთავრობაზე, რომ დეპუტატი იყოს შუამავალი ამომრჩეველსა და ხელისუფლებას შორის, აუცილებლობის შემთხვევაში კი - ამომრჩეველთა დამცველიც. ჩვენ მოვითხოვთ იმას, რომ აზრისა და სიტყვის თავისუფლება იყოს წმიდათაწმიდა და ხელშეუხები, რომ მთავრობა, რომელმაც ვერ მიიღო ხმათა უმრავლესობა თავისუფალ არჩევნებზე, გადადგეს, რომ ყველა მოქალაქე, მიუხედავად მისი რასისა, წარმოშობისა და სარწმუნოებისა, კანონის წინაშე იყვნენ თანაბარნი, რომ ყველა მთავრობა, რომელიც არ იზიარებს უმრავლესობის აზრს, გადაყენებული იქნეს და რომ ეს გადაყენება მოხდეს კანონიერი გზით კანონი განქორწინების შესახებ არ უნდა უშვებდეს იმას, რომ უბრალო კაპრიზი არღვევდეს ქორწინების წმიდათაწმიდა კავშირს. არ იქნებოდა ურიგო რამენაირი კანონით დაეიცვათ პარლამენტი თავისივე კაპრიზისაგან.

"ყოველ ეტაპზე მთავრობის მთავარი ამოცანაა - წერდა ჟაკ რიუფე - სწორად შეაფასოთ წარსულის წვლილი, რომელიც შეიძლება შევინარჩუნოთ აწმყოში და აწმყოს წვლილი, რომელიც შეიძლება ვუანდერძოთ მომავალს". ეს საკმაოდ სწორი აზრია და თქვენ დარწმუნდებით იმაში, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ აწმყოში წარსულის საკმაოდ დიდი წილი. ერს არ შეუძლია დაიწყოს ნულიდან და უარყოს ყველაფერი ის, რაც კი უშენებია ძველ თაობებს. მეგვიდრეობითობის მარადიული სიმბოლოებია - არქიტექტურული ძეგლები. საფრანგეთის რევოლუციამ შემოგვინახა ვერსალი, რუსეთის რევოლუციამ - კრემლი და ზამთრის სასახლე. რუსტავრაციამ, შემდგომ რესპუბლიკამ შვევინარჩუნეს იმპერიის საუკეთესო დაწესებულებები: პრეფექტურები, სახელმწიფო საბჭო, უნივერსიტეტი, საპატიო ლეგიონი. დმერთმა ქნას, თქვენი თაობაც ასეთივე ბრძენი იყოს.

თქვენ ვერ ასცდებით დემაგოგიის ცდუნებას. დემაგოგი ხალხის გაჭირვებაზე სპეკულირებს და იმისათვის, რომ გაიმარჯვოს, პირდება ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებას. თუმცა, ამავე დროს მტკიცედ აქვს შეგნებული, რომ ამ დაპირებების შესრულება მის ძალებს აღემატება. ამგვარმა ტყუილმა შეიძლება მოიტანოს დროებითი წარმატება, მაგრამ მას ყოველთვის თან სდევს საშინელი გამოღვიძება, რომელსაც მოყვება ან რეაქცია (თერმიდორი, 18 ბრიუპერი), ან, თუ დემაგოგი ყველაფრის მიუხედავად ცდილობს დარჩეს ხელისუფლების სათავეში, დიქტატურა. ასე, რომ ვფიქრობ, თქვენ არ გაგიკვირდებათ ჩემი ეს გაფრთხილება ყველანაირი დემაგოგიის შესახებ, ხდება, რა თქმა უნდა, დემაგოგიურ პოლიტიკასაც მოაქვს წარმატება, მაგრამ ეს წარმატება ეფემერულია. "სახელმწიფო წისქვილი ფქვავს ნელა, მაგრამ სწორად". ადრე თუ გვიან ცრუ დაპირებები წარმოშობს უკმაყოფილებას და ამბოხს.

თქვენ ხშირად მოგიწევთ საქმის ინტერესებისთვის კომპრომისსა და უკომპრომისობას შორის დგომა. საფრანკეთის რევოლუციის მართლმორწმუნე მომხრეებმა იგი ჯერ ბარასის, შემდეგ კი ბონაპარტის ხელში მოაქციეს. სადაა აქ თანაფარდობა სასარგებლოსა და უკომპრომისობას შორის? რა თქმა უნდა, ყველაფერი გარემოებაზეა დამოკიდებული, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეძლოს გაარჩიო ერთმანეთისგან ჭეშმარიტი და ცრუ უკომპრომისობა.

პედანტურად იცავდე ამა თუ იმ დოქტრინას და ამასთან, ანგარიშს არ უწევდე ფაქტებს - ეს უკვე უკომპრომისობა კი არა, სიჯიუტეა. მარქსმა, უძლიერესი გონების მქონე ადამიანმა, თავისი სისტემა ააგო იმ დროის საზოგადოების ეკონომიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელშიც იგი ცხოვრობდა. ის რომ დღეს ცოცხალი იყოს, პირველი შეიტანდა ცვლილებებს თავის სისტემაში. ასევეა საქმე პოლიტიკური პლატფორმის დროსაც: არაუინ დაიცავს დღეს ლიბერალიზმს წმინდა სახით იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ბატონობს თავისუფალი მეწარმეობა, უფლება მიწაზე და ვაჭრობაზე იბჭრება გადასახადით იყო ერთგული სისტემისა, რომელიც კონფლიქტშია ცხოვრებასთან, ეს უკომპრომისობა კი არა, სისულელეა. არა მხოლოდ უკომპრომისობა, არამედ სასარგებლოც არის ხოლმე ჭეშმარიტი და ცრუც. თუ აღიარებთ პრინციპს "რაც უარესი - მით უკეთესი" და ხმათა უმრავლესობისათვის შეეკვრებით თქვენს საშიშ მოწინააღმდეგეებს, თქვენ ვერაფერს მიაღწევთ პირიქით, ცრუ მდგომარეობაში ჩაიყენებთ თავს და დაკარგავთ ყოველგვარ ავტორიტეტს, საჭიროა იფიქროთ არა მხოლოდ დღევანდელზე, არამედ ხვალინდელ დღეზეც.

პოლიტიკური მოღვაწეობა კარგა ხანია გადაიქცა პროფესიად, რომელიც სპეციფიური უნარ-ჩვევების ქონას საჭიროებს. პოლიტიკოსი დღეს აუცილებლად უნდა ფლობდეს გარკვეულ ტექნოლოგიებს. კონკრეტული პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებებისა და ხერხების ერთობლიობას პოლიტიკურ ტექნოლოგიებს უწოდებენ.

პოლიტიკური ტექნოლოგიები - ეს არის თანმიმდევრულად გამოყენებული პროცედურების, მოღვაწეობის ხერხებისა და წესების ისეთი ერთობლიობა, რომელიც მიმართულია მოცემულ დროსა და მოცემულ ადგილას კონკრეტული სუბიექტების მიზნებისა და ამოცანების ყველაზე ოპტიმალური და ეფექტიანი რეალიზაციისაკენ. ეს მიზნები შეიძლება იყოს საარჩევნო კამპანიის ორგანიზაცია, გადაწვევტილების მიღების საინფორმაციო უზრუნველყოფა, სახელმწიფოში ვითარების სტაბილიზაცია ან დესტაბილიზაცია და ა.შ.

ტექნოლოგიების მიზანია მაღალი ეფექტიანობის მიღწევა ძალებისა და საშუალებების ეკონომიის ხარჯზე, რაც ხორციელდება რაციონალური პროცედურებისა და ოპერაციების სისტემის მეშვეობით.

პროცედურა - ესაა მოქმედებათა (ოპერაციების) ერთობლიობა, რომელთა დახმარებითაც ხორციელდება ესა თუ ის პროცესი (ფაზა, ეტაპი). პროცედურების მეშვეობით ხორციელდება შესაბამისი სოციალური პროცესის მართვა.

ოპერაცია - ესაა უშუალო მოქმედება, მოცემული პროცედურის ფარგლებში გარკვეული ამოცანების გადაწვევტის ხერხი.

პოლიტიკური ტექნოლოგიები მიმართულია ხელისუფლებისა და სახელმწიფოს მართვის სფეროში წარმოსობილი პრობლემების პრაქტიკული გადაწვევტის საშუალებებისა და ხერხების ძიებისაკენ.

ტექნოლოგიური ცოდნის შინაარსი ყალიბდება სუბიექტის პოზიციის საფუძველზე. სუბიექტი ამ კუთხით სამი სახისაა:

1. შემკვეთი - ვინც იძლევა მოცემულ სიტუაციასთან დაკავშირებული პრობლემის გადაწვევტის კონკრეტულ მიზნებს.

2. ტექნოლოგი (ანალიტიკოსი) - ვინც ასახავს და აანალიზებს მოულოდნელს:

3. შემსრულებელი - ვინც მოქმედებს ამოცანის გადაწვევტის სტადიაზე.

პოლიტიკური ტექნოლოგიები ამცირებს ხელისუფლების სფეროში ურთიერთობათა გაურკვეველობასა და არაპროგნოზირებლობას, რომელსაც შეიძლება მრავალი უარყოფითი შედეგი მოჰყვეს.

პოლიტიკური ტექნოლოგიების სტრუქტურაში გამოიყოფა 3 მკვლავზე მნიშვნელოვანი კომპონენტი:

საქართველოს
ინსტიტუტი

ა) სპეციფიკური ცოდნა
ბ) მოქმედების კონკრეტული ხერხები, პროცედურები და მეთოდოლოგია;

გ) სხვადასხვა ტექნიკურ-სარესურსო კომპონენტები.
ტექნოლოგიური პროცესის კომპონენტური შემადგენლობის შეფასებისას მიზანშეწონილი იქნება განვასხვავოთ ელემენტების ორი სახე - ძირითადი და დამხმარე.

ძირითადი ელემენტების სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მათ გარეშე ტექნოლოგია "არ მუშაობს". დამხმარე ელემენტების არქონის შემთხვევაში ტექნოლოგია აგრძელებს ფუნქციონირებას, თუმცა აწყდება გარკვეულ სიძნელეებს.

ყოველ ტექნოლოგიას თავისი სუბიექტები ჰყავს - ადამიანები, რომლებიც შესაბამის პროცესებს ახორციელებენ. პოლიტიკური და საერთოდ სოციალური ტექნოლოგიის "ექტორი" და "აქტორი" ადამიანია.

ტექნოლოგიები შეზღუდულია მათი გამოყენების ადგილისა და დროის მიხედვით. პოლიტიკური პროცესების სრული ტექნოლოგიზება შეუძლებელია. პოლიტიკურმა ტექნოლოგიებმა შეიძლება იმოქმედონ ამა თუ იმ პროცესის განხორციელების სრულ და მთლიან რეჟიმში, ან შეიძლება დაკავშირებულნი იყვნენ მხოლოდ მისი ცალკეული ფაზებისა და ეტაპების ოპტიმიზაციასთან.

ტექნოლოგია პოლიტიკური ინჟინერიის ფორმას წარმოადგენს, რომელიც განპირობებულია როგორც მოქმედი ადამიანის თვისებებით (ცოდნით, გამოცდილებით, განწყობით), აგრეთვე მისი მოღვაწეობის დროს გამოყენებული მატერიალური (სულიერი) რესურსებით და ტექნიკური კომპონენტებით ამის გამო ტექნოლოგიების ფორმირება და გამოყენება, მათი განხორციელების ტემპი მჭიდროდაა დაკავშირებული სუბიექტის კვალიფიკაციასა და კომპეტენტურობასთან, მის პრაქტიკულ ცოდნასა და უნართან - გამოიყენოს გარკვეული ტექნიკური რესურსები.

პოლიტიკური ტექნოლოგიები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას, თუკი არ იქნება გათვალისწინებული სუბიექტური ფაქტორის - ადამიანის (ლიდერების), პარტიების, სხვადასხვა ჯგუფების ინტერესები.

ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობის უმაღლეს კრიტერიუმს წარმოადგენს დასახული მიზნის რეალური მიღწევა.

არსებობს პოლიტიკური ტექნოლოგიების მრავალი ერთმანეთისაგან განსხვავებული კლასიფიკაცია. ერთ-ერთი კლასიფიკაციის მიხედვით გამოიყოფა ტექნოლოგიების 2 ძირითადი ტიპი:

1. გადაწყვეტილებათა მომზადების ტექნოლოგიები (სოციალური დიაგნოსტიკა)

2. მათი რეალიზების ტექნოლოგიები.

პოლიტიკური ტექნოლოგიების კლასიფიცირება შეიძლება აგრეთვე იმ მიზნების შესაბამისადაც, რომელთა რეალიზებაც ხდება მოცემული ტექნოლოგიის გამოყენების დროს:

ა) ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობენ სისტემის სტაბილიზაციას, მის ნორმალურ ფუნქციონირებას.

ბ) ტექნოლოგიები, რომელთაც სისტემა გადაჰყავთ ერთი მდგომარეობიდან მეორეში;

გ) ტექნოლოგიები, რომლებიც ზრდიან სისტემის საიმედოობას.

ყველაზე დამუშავებული და ფართოდ გამოყენებული პოლიტიკური ტექნოლოგიებია:

- საარჩევნო

- საინფორმაციო-ანალიტიკური

- სარეკლამო-იმიჯშიკერული

- ლობირება

- პოლიტიკური კონსულტაცია

- პოლიტიკური მარკეტინგი

- სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების ტექნოლოგიები

- რისკების მართვის ტექნოლოგიები

- კრიზისული ტექნოლოგიები და ა.შ.

იმ სფეროების მიხედვით, რომლებშიც გამოიყენება მიზნების მიღწევის ესა თუ ის ხერხები, შეიძლება ვილაპარაკოთ ე.წ. საგნობროვ ტექნოლოგიებზე. მაგ.: ელექტორალურ, ლობირების, კომპიუტერულ და საინფორმაციო ტექნოლოგიებზე, მოლაპარაკებათა ხერხებსა და პროცედურებზე, რომლებიც გამოიყენება დიპლომატიურ ან სამხედრო სფეროებში და ა.შ.

მოდერნიზაციის ხერხების გამოყენების ხანგრძლივობის მიხედვით შეიძლება გამოიყოს:

1. სტრატეგიული კომუნიკაციები, რომლებიც მიზნად ისახევენ აქტივობების მოქმედების შორეული შედეგების მიღწევას;

2. ტაქტიკური, რომლებიც გულისხმობენ მოკლევადიანი მიზნების რეალიზებას;

3. სპორადული, რომლებსაც ერთჯერადი გამოყენების მიზნით ხმარობენ;

4. ციკლური, რომლებიც მუდმივად მეორდება სუბიექტის მოქმედების სტრუქტურაში.

არის ტირაჟირებადი და და უნიკალური ტექნოლოგიები. ტირაჟირებადი ტექნოლოგიები შესაძლებლობას იძლევიან სოციალური მართვის ან პოლიტიკური პროცესის სხვა ტიპური ამოცანების გადაწყვეტის დროს მრავალგზის იქნას გამოყენებული უკვე შემუშავებული სტანდარტული ალგორითმები (მაგ. დიპლომატიური ტექნოლოგიები, საარჩევნო ტექნოლოგიები და სხვ.).

ტირაჟირებადის საპირისპიროდ არსებობს უნიკალური ტექნოლოგიები, რომლის გამოყენება შეიძლება გარკვეულ და მკაცრად ფიქსირებულ პირობებში და არ შეიძლება მათი გადატანა მსგავსი პირობების არსებობის შემთხვევაშიც კი. ეს ტექნოლოგიები გაცილებით ძვირი ჯდება და გამოყენება მხოლოდ ამა თუ იმ მიზნების ერთჯერადი უზრუნველყოფისათვის (მაგ. ეთნოკონფლიქტების მოწესრიგებისათვის). მოღვაწეობის პირობების, დინამიური ცვლილებების, სუბიექტების თვისებებისა და უნართა მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ერთმანეთისაგან განასხვავებენ მკაცრ და რბილ ტექნოლოგიებს.

მკაცრი ტექნოლოგიების დროს სუბიექტების მოღვაწეობისას გამოყენებული ხერხებისა და მეთოდების ძირითადი პარამეტრები წინასწარვე განსაზღვრული და უცვლელია. მათ პირველ რიგში მიეკუთვნება მოღვაწეობის ის ხერხები, რომლებიც ძირითადად ხელისუფლების სრუქტურების, ფუნქციებისა და ურთიერთობების კვლავწარმოებას უზრუნველყოფენ.

რბილი ტექნოლოგიების გამოყენება კი ხდება ნაკლებად ინსტიტუციონალიზებულ პირობებში. ამ ტექნოლოგიების ხერხები და მეთოდები შესაძლებლობას იძლევიან განახორციელონ სუბიექტის განკარგულებაში მყოფი მიზნებისა და რესურსების მოქნილი ადაპტირება ცვალებადი პირობებისადმი. რბილი ტექნოლოგიები სრულყოფენ პოლიტიკურ სისტემასა და სახელმწიფოს მართვის სისტემას აქტუალური მოთხოვნების დონეზე, აფიქსირებენ განახლების პროცესს და ტექნოლოგიების გარდაქმნასაც კი.

მოღვაწეობის რეგლამენტაციის ხარისხისა და ხასიათის თვალსაზრისით განასხვავებენ ნორმატიულ და დევიანტურ ტექნოლოგიებს. ნორმატიულ ქცევაში იგულისხმება ორიენტაცია გაბატონებულ ან ოფიციალურ ნორმებზე, დევიანტურ ქცევაში კი - დომინირებული ნორმებიდან გადახრა.

ნორმატიული ტექნოლოგიები - ესაა მოღვაწეობის ხერხები, რომლებიც მკაცრადაა განპირობებული საზოგადოებაში არსებული კანონებით, ნორმებით ან ტრადიციებით დევიანტური ტექნოლოგიები, პირიქით, ესაა მოღვაწეობის ისეთი ხერხები, რომლებიც ასეთი მოთხოვნებ-

ისა და ხერხებისაგან “გადახრას“ წარმოადგენენ (მაგ.: არჩევნების ფართომასშტაბიანი გაყალბება და სხვ.). მათ რიცხვს ასევე მიეკუთვნება კანონის ან საზოგადოებრივი მორალის ნორმების საწინააღმდეგო “ხა-ცრისფერი“ და “შავი“ ტექნოლოგიები.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ პოლიტიკური პროცესის კრიტიკულ პერი-ოდებში, კერძოდ, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არჩევნისას, საშინაო და საგარეო პოლიტიკური კრიზისების დროს ხდება ამგვარი ტექნოლოგიების არნახული გაფურჩქვნა (მაგ. თანამედროვე საქართ-ველოში). გავლენისა და ხელისუფლების სუბიექტები ხშირად იყენებენ “კომპრომატების ომს“, შანტაჟს, ცილისწამებას, რიგ შემთხვევებში კი ტერორს, პუტჩს და ა.შ.

ტექნოლოგიების განხილულ ტიპებთან ახლოს დგას აგრეთვე სახ-ელისუფლო-პოლიტიკური და სახელმწიფო ადმინისტრაციული მიღწ-ევის დია და ჩრდილოვანი ხერხები.

ღია ხერხები გამოიხატება, მაგალითად, ხელისუფლების საზოგა-დოებასთან დიალოგის ფორმებში, ისინი განასახიერებენ ხელისუფლებ-ის საჯარო ხასიათს და ასრულებენ პოლიტიკური რეჟიმის და სახელმ-წიფოს მართვის ჩამოყალიბებული სისტემის თავისებური სავიზიტო ბარათის როლს.

მართვისა და ხელისუფლების ჩრდილოვანი ტექნოლოგიები განმ-საზღვრულ როლს ასრულებენ ხელისუფლების გამოყენებისა და სახ-ელმწიფო რესურსების განაწილების დროს, ამასთან ერთად მათ ახასი-ათებს ტექნოლოგიურობის ძალზე სუსტი დონე და წარმოადგენენ მოლ-ვანეობის უფრო უნიკალურ, ვიდრე სტანდარტიზებულ და ალგორით-მიზებულ ხერხებსა და ფორმებს.

ძირითადი ტერმინები:

პროცედურა

ოპერაცია

ძირითადი და დამხმარე ტექნოლოგიები

საარჩევნო,

საინფორმაციო-ანალიტიკური,

სარეკლამო-იმპიჯმეიკერული ტექნოლოგიები

ლობირება

პოლიტიკური კონსულტაცია და მარკეტინგი

რისკების მართვის და კრიზისული ტექნოლოგიები

ტირაჟირებადი და უნიკალური ტექნოლოგიები

შკაცრი და რბილი ტექნოლოგიები

ნორმატიული და დეკლარაციული ტექნოლოგიები

1989 წლიდან დაიწყო სოციალისტური სისტემის ნგრევა, ხოლო 1991 წლიდან კი საბჭოთა კომუნისტური სისტემის რღვევა, რამაც უდიდესი ცვლილებები გამოიწვია მთელს მსოფლიოში. წარმოიშვნენ ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოები (მათ შორის საქართველოც), კომუნისტური სისტემის ნანგრევებზე დაიწყო მმართველობის ახალი, პოლიტიკურად სიცოცხლისუნარიანი და ეკონომიკურად გამართული ფორმების შემოღების მცდელობა.

დაიწყო სოციალისტური სისტემიდან კაპიტალიზმზე, საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლა. მსოფლიომ იცოდა და ნახა, თუ როგორ “განახორციელა” რუსეთმა და მის მიერ ძალით შექმნილმა საბჭოთა კავშირმა 1917 წლიდან კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა. ეს გზა ჩიხი აღმოჩნდა და ეკონომიკის ფაქტიურად განუვითარებლობამ საბჭოთა კავშირის რღვევა გამოიწვია სხვა ფაქტორებთან ერთად. მაგრამ თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო პირიქით, სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლა, ამის გამოცდილება მსოფლიოში არ არსებობდა.

როგორც ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი, წარმოშობით ებრაელი, ზბიგნევ ბჟეზინსკი თავის ნაშრომში “დიდი ცვლილებები” წერს, “თავიდან არც რაიმე მოდელი არსებობდა, არც ზოგადი კონცეპცია, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო ყოველივე... საკითხი, ინტელექტუალურ დონეზე გაუაზრებლობის გარდა, პოლიტიკურადაც მძიმე მოსახელთებელი აღმოჩნდა კომუნიზმის სწრაფი დეზინტეგრაციით (დაშლით) გაოგნებული დასავლური მენტალიტეტისათვის. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, დასაუღეთი მოუშაადებელი აღმოჩნდა ყოფილი საბჭოური ტიპის სისტემათა შეცვლის მიმართ კომპლექსური მიდგომის საკითხში. ლოგიკურია, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამ მხრე მხოლოდ ნაჩქარევი, გარემოებებით ნაკარნახევი იმპროვიზებული ნაბიჯები თუ იღებებოდა”.

გამოირკვა, რომ სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლისათვის საჭიროა ყველა პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ გაიაროს გარდაქმნის, ანუ გარდამავალი ეტაპი, რომლის ხანგრძლივობა 10-დან 25 წლამდეა (იმისდაამხედვეთ, თუ როგორ იყო განვითარებული მანამდე ქვეყანა და რამდენად სწორი ნაბიჯები გადაიდგმება ამ ცვლილებების გასატარებლად. მაგ. ჩეხეთს და პოლონეთს შეიძლება დასჭირდეს ამისთვის 10

წელი, საქართველოს და უკრაინას 20, ტაჯიკეთს - 25-ზე მეტი, ესეც იმ შემთხვევაში, თუ რეფორმები სწორად გატარდება ამ ქვეყნებში და სამოქალაქო დაპირისპირება და ანარქია არ წარმოიშობა კვლავ).

გარდაქმნის დაწყებამ მკვლევარებს მისცა საშუალება გაეთუთულიყო შემდეგი დასკვნა, რომ ორმხრივი იმედები - როგორც ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში, ასევე ზოგადად დასავლეთში - მეტისმეტად ოპტიმისტური და შეიძლება ითქვას, გულუბრყვილოც კი აღმოჩნდა.

კომუნიზმის მარწუხებს ახლადთავდაღწეულ ხალხებს ყოვლად გაზვიადებული და რაც მთავარია, გამარტივებული წარმოდგენა ჰქონდათ იმ დახმარებაზე, რასაც ისინი უცილობლად მიიღებდნენ განვითარებული ქვეყნებისაგან (ერთგვარი ციური მანანა, "მარშალის გვემის" რაღაც ახალი სახესხვაობა. საქართველოშიც ასე იყო: ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებიც და ბევრი სხვაც გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ საკმარისია დამოუკიდებლობა გამოაცხადოთ, რომ დასავლეთი იმწუთშივე დაგვეხმარება, რომ საქართველოს კურორტები, ბორჯომი და ჩიციტრუსები შეინახვენ და ა.შ.).

ამასთან არაფერს გაითვალისწინა მყარად ფესვგადგმული, ჯერ კიდევ დიდი გავლენის მქონე კომუნისტური ნომენკლატურის, როგორც ფენის, აქტიური წინააღმდეგობა და თავად მიმდინარე პროცესების ხანგრძლივობის ფაქტორიც.

აღმოჩნდა, რომ პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა გარდაქმნის გზაზე, გარდამავალ ეტაპზე უნდა გაიარონ 3 ფაზა:

I ფაზა (1-დან 5 წლამდე) - ზოგ ქვეყანას 1 წელი დასჭირდება მის დასავლელად, ზოგიერთს კი - 5 წელი)

II ფაზა (3-დან 10 წლამდე)

III ფაზა (5-დან 15 წლამდე)

ე.ი. ამ გარდაქმნას გარკვეული ეტაპობრივი მიმდევრობა უნდა ახასიათებდეს. ფაზების ხანგრძლივობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ მოცემულ ქვეყნებში როგორ ვითარდებოდა მოვლენები კომუნისტური სისტემის ნგრევისწინა პერიოდში. ბჟეზინსკი აქ გამოყოფს 4 ტიპის სიტუაციას, როცა წარსული მოვლენები უშუალოდ ზემოქმედებენ გარდაქმნის ტემპებზე:

1) როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ცვლილებები დადებითი ხასიათის იყო (მაგ. უნგრეთი და პოლონეთი)

2) პოლიტიკური ცვლილებები დადებითი იყო, ეკონომიკური კი - უარყოფითი (რუსეთი და საქართველო)

3. პოლიტიკური ცვლილებები უარყოფითა, მაგრამ ეკონომიკური - დადებითი (ჩინეთი)

4. როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ცვლილებები მკვეთრად უარყოფითი იყო (რუმინეთი).

პოსტკომუნისტური სისტემის გარდაქმნის ფაზები ბუენოსაის მიხედვით

I ფაზა (1-დან 5 წლამდე)

პოლიტიკური მიზანი: გარდაქმნა

ეკონომიკური მიზანი: სტაბილიზაცია

პოლიტიკა

დემოკრატიული წყობისათვის საბაზრო პირობების შექმნა; თავისუფალი პრესა; ერთპარტიული, პოლიციური სახელმწიფო სისტემის დაშლა; დემოკრატიული გარდაქმნების საინიციატივო კოალიციის შექმნა

იურიდიულ-სამართალდამცავი სისტემა

უსწებრივ-მაკონტროლებელი ორგანოების დამლა

ეკონომიკა

ფასებზე კონტროლისა და სუბსიდიებზე უარის თქმა; კოლექტივიზაციის სისტემის ლიკვიდაცია; პრეფერენციის პროცესის ნებისმიერი სახით დაწყება

დასავლეთის დახმარება

სავალუტო კურსის სტაბილიზაცია; სასწრაფო კრედიტები და სხვადასხვა სახის მიზნობრივი ხელშეწყობა

II ფაზა (3-დან 10 წლამდე)

პოლიტიკური მიზანი: გარდაქმნიდან სტაბილიზაციისაკენ

ეკონომიკური მიზანი: სტაბილიზაციიდან გარდაქმნისაკენ

პოლიტიკა

ახალი კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის მიღება; არჩევნები; დეცენტრალიზებული რეგიონალური თვითმმართველობა; მდგრადი დემოკრატიული კოალიცია - ახალი პოლიტიკური ელიტა

იურიდიულ-სამართალდამცავი სისტემა

იურიდიულ-სამართლებრივი ბაზისის შექმნა უძრავი ქონებისა და ზოგადად კომერციული საქმიანობისათვის

ეკონომიკა

საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი საბანკო სისტემის შემოღება;



სისტემური მცირე და საშუალო პრევატიზაცია; დემონოპოლიზაცია; მენარმეთა ახალი სოციალური ფენის ჩამოყალიბება

დასავლეთის დახმარება

მიზნობრივი სესხები ინფრასტრუქტურის შესაქმნელად; ტექნიკური და მენეჯერული დახმარება; წარმოების სფეროში პრიორიტეტების განსაზღვრა და საინვესტიციო პოლიტიკის ამის მიხედვით გატარება; უცხოური ინვესტიციები

III ფაზა (5-დან 15 წლამდე)

პოლიტიკური მიზანი: კონსოლიდაცია

ეკონომიკური მიზანი: მეთოდური აღმასვლა

პოლიტიკა

სტაბილური დემოკრატიული პარტიების შექმნა; დემოკრატიული პოლიტიკური ურთიერთობების განვითარება

იურიდიულ-სამართალდამცავი სისტემა

დამოუკიდებელი სამართლებრივი და იურიდიული სტრუქტურების განვითარება


ეკონომიკა

მსხვილი პრევატიზაცია; კაპიტალისტური ლობის შექმნა; კერძო-წარმოებლური ურთიერთობების განვითარება და სხვადასხვა სფეროში ცენტრალური სახელმწიფო მართვის მაგთურად საკონტრაქტო სისტემის შემოღება

დასავლეთის დახმარება

ფართო უცხოური კაპიტალდაბანდებანი; დასავლეთის უმნიშვნელო-კანეს ორგანიზაციებში გაწევრიანება (ნატო, ევროკავშირი და სხვ.).

პირველი ფაზა, რომელიც უშუალოდ მოყვება კომუნისტური სისტემის დაცემას, გულისხმობს ორმაგ მცდელობას, მიაღწიოს როგორც პოლიტიკური ძალაულების მქონე ზედა ეშელონის ტრანსფორმაციას, ასევე ეკონომიკის თუნდაც საწყის დონეზე გაწონასწორებას. ტიპოლოგიურად პირველი გულისხმობს ვერტიკალური წყობის დემოკრატიის შემოტანას, ხოლო მეორე - ფულის კურსის სტაბილიზაციას ფასებზე კონტროლის მექანიზმის მოხსნის დროს. სწორედ ეს საწყისი ეტაპია განსაკუთრებით ძნელად დასაძლევია, რადგან იგი არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების მართვის სისტემის ფუნდამენტურ შეცვლას მოითხოვს. უცნობ ვითარებაში შებიჯებას კი გაბედულება და რწმენაც სჭირდება. პირველი ფაზა ყველაზე კრიტიკულია და წარმატების შემთხვევაში ათვლის თავისებურ წერტილად



დაც შეგვიძლია მივიჩნიოთ - ესაა საყრდენი მუორე ფაზისათვის, როცა უფრო ღრმა ეკონომიკური ცვლილებების შესაბამისად უფრო ფართო პოლიტიკურ სტაბილიზებასთან შეთავსება გახდება საჭირო: ახალი კონსტიტუციის მიღება, ახალი საარჩევნო სისტემის შემოღება, საზოგადოების ცხოვრებაში აუცილებელი ცვლილებების შეტანა თავად დემოკრატიული პროცესების ინსტიტუციონალიზაციისთვისაა საჭირო. ასევე სერიოზული ეკონომიკური ცვლილებები შეუძლებელია საბანკო სისტემის სრული გარდაქმნის, დემონოპოლიზაციის, მცირე და საშუალო პრევატიზაციის და საერთოდ, კერძო საკუთრების უფლებებზე იურიდიულად გაფორმებული საყოველთაო კანონის გარეშე.

მხოლოდ მაშინ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ორი ფაზა წარმატებით დასრულდა, შესაძლებელი ხდება შემდეგი, უკვე მესამე ფაზის დაწყება, ანუ როცა დემოკრატიული პროცესები და კონკრეტული სტრუქტურები რეალურად იწყებენ მუშაობას, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედებას და, შესაბამისად, კეთილდღეობის ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდაც უკვე სტაბილური ხდება - კერძო ინიციატივის გამოვლენისათვის სრული შესაძლებლობების მიცემის წყალობით. ამ შემთხვევაში კი პოლიტიკური დემოკრატია და შრომის კონტრაქტული სისტემაც უკვე რეალობად იქცევა. ეს მესამე ფაზა შეიძლება დაეახსიანათოთ როგორც პოლიტიკური კონსოლიდაციისა და ფართო ეკონომიკური გარდაქმნების პერიოდი.

პოლიტიკური რეფორმა წინაპირობაა ეფექტური ეკონომიკური რეფორმებისათვის, ხოლო დემოკრატიული კონსენსუსი (თანხმობა) და ეფექტური პოლიტიკური სვლები უცილობელი თანამდგეი უნდა იყოს პირველი, კრიტიკული და რთული ფაზის დასაძლევად.

პირველი ფაზის ბოლოს ხალხის გაღატაკება და სოციალური დაუცველობა რეალური ხდება, თუმცა ამის დასაძლევად ავტორიტარული მმართველობის შემოღება რეალურ შედეგს ვერ მოიტანს. ამიტომ ხელისუფლებამ ღრმად უნდა გამოიყენოს დამოუკიდებლობის მიღწევით გამოწვეული პოსტკომუნისტური ეიფორია (როცა ხალხი მზადაა ბევრი რამ მოითმინოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად) და სწრაფად დაიწყოს იმ ლეგიტიმური დემოკრატიული ღონისძიებების მომზადება, რომელთა წყალობით შემდგომ შესაძლებელი გახდება გრძელვადიანი, შორსგამიზნული ეკონომიკური რეფორმების გატარება. სწრაფი და სრული გარდაქმნა - ე.წ. "შოკური თერაპია" შესაძლებელია როგორც წმინდა სუბიექტურ, ასევე ობიექტურ წინაპირობათა

თანხვედრის შემთხვევაში. აქ ცნობილი იაპონელი ეკონომისტის სუბუ-რო ოკიტას ერთი გაფრთხილებაც უნდა გავითვალისწინოთ იგი ამტკიცებდა, რომ უშუალო სამთავრობო ხელმძღვანელობა ეკონომიკური პროცესებისა მაინც საჭირო ხდება, თუკი ქვეყანას (მაგ. საქართველოს) არ გააჩნია თავისუფალი ბაზრის მექანიზმის გარკვეული ტრადიცია, გამოცდილება და შესაბამისი სოციალური ურთიერთობების კულტურა (ეს ყველაფერი ერთი საუკუნით ადრე ნიკო ნიკოლაძემ დაასაბუთა ჩვენთან). ოკიტას აზრით, ასეთი სოციუმის გარემოცვაში სახელმწიფო დაგეგმარებისა და საბაზრო მექანიზმების ურთიერთშეწყობის აუცილებლობა გამოწვეულია წმინდა ისტორიული მიზეზებით, ხოლო ასეთ შემთხვევაში მარტოოდენ თავისუფალი ბაზარი პანაცეად ვერ იქცევა.

დასავლეთის ქვეყნების დახმარება ლამის გადამწყვეტია პირველ ფაზის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის, უპირობოდ აუცილებელი ამ ფაზის დასაძლევად, შემდგომ ფაზებში უკვე დასავლეთის ბაზარზე გასვლის შესაძლებლობა და უცხოური ინვესტიციები იწვევს წინა პლანზე. სწორედ ესაა რეალური ეკონომიკური ცვლილებებისა და ექსპორტ-იმპორტის პროცესისათვის დინამიზმის მისაცემი საწყისი. ამგვარი სურათი გამოიკვეთა მაგ. ჩეხეთს, უნგრეთს, პოლონეთსა და ევროგაერთიანებას შორის ურთიერთობის მხრივ, როცა “გასვლის შესაძლებლობამ” შეუდარებლად უკეთესი შედეგი მოიტანა, ვიდრე ნებისმიერი სხვა სახის “ხელის გამართვამ” (თუნდაც კრედიტებით, რომელთა უმრავლესობა საქართველოსათვის “არაუინ იცის” სად გაქრა და ვინ მოიპარა).

ყველაზე კრიტიკული, პირველი ფაზის შემდეგ, გარე კაპიტალის შემოზიდვა სულაც არაა გადამწყვეტი ფაქტორი: დასავლეთის კაპიტალი რომ თავისთავად წარმატების საწინდარი ყოფილიყო, მაშინ ყოფილი აღმოსავლეთი გერმანია (გდრ) უკვე აყვავებული იქნებოდა. ყოფილმა გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ (გდრ), რომლის მოსახლეობა მაშინ 16 მილიონი იყო, 1990-1993 წლებში, გფრ-სთან შეერთების შემდეგ 300 მილიარდი დოლარი მიიღო, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ვერ დაქწია დასავლეთ გერმანიის ცხოვრების დონეს და პრობლემებიც ბევრი აქვს. ჩინეთმა კი 1979-1991 წლებში (მისი მოსახლეობა 1,3 მილიარდია) მხოლოდ 60 მილიარდამდე დოლარი მიიღო, სამაგიეროდ იგი ეკონომიკური განვითარების მატების მხრივ დღეს პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

მოკლედ რომ ითქვას, პირველი ფაზის დასასრულს, ეკონომიკური გარდაქმნისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას უკვე არა უცხოური კაპ-

იტალი, არამედ შინა პოლიტიკა, სოციალური მოწესრიგებულობისაკენ მიმართული ღონისძიებები და თავად ქვეყნის, საზოგადოების მიზანსწრაფვა იქნეს.

რაც შეეხება უცხოურ კაპიტალდაბანდებებს, ბეჟინსკი თვლის, რომ დასავლეთის მხრიდან ნათლად ჩამოყალიბებული პირობები და მისი გამოყენების მკაცრი ზედამხედველობა აუცილებელია, როგორც არ უნდა აღიქვას ის მიმღებმა მხარემ. იგი ამას ასაბუთებს იმით, რომ უცხოური დახმარების არამიზნობრივი გამოყენება და დატაცება ხდება ხშირად ამ ქვეყნებში (მაგ. 70-იან წლებში პოლონეთისთვის მიცემული 30 მილიარდიანი დახმარება არაუინ იცის სად დაიხარჯა. ასევე გარდაქმნის დასაწყისში საბჭოთა კავშირისათვის მიცემული 86 მილიარდი დოლარიდან 40 მილიარდამდე შვეიცარიისა და ჰონკონგის ბანკებში მოხედა. საქართველოში შემოსული 2 მილიარდი დოლარი ასევე "აორთქლდა" და საქმეში ნახევარიც არ დახარჯულა და ა.შ.)

ბეჟინსკის აზრით დასავლეთმა ხელი უნდა შეუწყოს პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებს, რომ მომავლისათვის შეიმუშაონ ისეთი იდეური კონცეფცია, რომელიც მათ მტკივნეული სოციალური რეფორმებისათვის საყრდენად გამოადგებათ. რაც უნდა ქმედითი იყოს გარე მატერიალური დახმარება, ეს ვერ მოხსნის ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებით გამოწვეული სოციალური თუ ფსიქოლოგიური სახის უთანხმოებებს, ასე რომ, პოზიტიური, იმედისმომცემი მომავლის პერსპექტივის გაცხადება პოლიტიკურადაც აუცილებელია. საზოგადოებამ, ხალხმა უნდა გაიაზროს ცვლილებების ის დადებითი მხარე, რაც გარდამავალ პერიოდში მის შეჭირვებას გაამართლებდა (საქართველოსთვის, ალბათ, ასეთი პერსპექტივა უნდა გახდეს ევროკავშირში და ნატო-ში გაწევრიანება, ევროპასთან ინტეგრაცია, და არა მარტო ნუთობ და გაზსადენის გაყვანა და სატრანზიტო ფუნქციის შესრულება).

მომავალი განვითარების თვალსაზრისით ბეჟინსკი პოსტკომუნისტურ ქვეყნებს 4 პირობით კატეგორიად ჰყოფს:

1. ქვეყნები, რომელთაც მომავალში, თუკი რაიმე სრულიად გაუთვალისწინებელი არ შეემთხვავთ, ხელი არ უნდა შეეშალოს პლურალისტული დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანი მმართველობის ინსალწევად (პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვენია, ესტონეთი).

2. რომელთა შანსებიც 50/50-ზე უკეთესად გამოიყურება, მაგრამ სადაც პოლიტიკური უკუპროცესების განვითარება მთლიანად მაინც არ გამოირიცხება (ხორვატია, ბულგარეთი, რუმინეთი, ლიტვა, ლატვია,

ყირგიზეთი და თურქმენეთი, ეს ორი დიდი ეკონომიკური პოტენციალის გამო).

3. რომელთა მომავალიც სრულიად გაურკვეველია ჯერ კიდევ და სადაც დადებითი პროცესები XXI საუკუნიდან თუ დაიწყება (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი).

4. ქვეყნები, რომელთა მომავალიც, ჯერ-ჯერობით სრულიად არასახარბიელოდ მოსწანს (სერბია, ალბანეთი, ბოსნია, მოლდოვა, ტაჯიკეთი - ესენი ახლა იწყებენ პირველ ფაზაში შესვლას).

ყველაზე არამდგრადია შესამე ჯგუფი, სადაც საქართველოც შედის. ჩვენი ქვეყანა ამ სქემით ამჟამად იმყოფება მეორე ფაზის დასაწყისში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 5 წელი დაიკარგა ჯერ ეროვნული ხელისუფლების უმოქმედობის (გამსახურდიას მმართველობა), მერე სამოქალაქო დაპირისპირების, ბოლოს კი აფხაზეთის კონფლიქტისა და ომის გამო, რამაც ქვეყანა ძალზე უკან ჩამოტოვა. ეს ცვლილებები ჩვენთან მხოლოდ 1995 წლიდან დაიწყო, თუმცა პოლიტიკურმა ცვლილებებმა უფრო გაუსწრო ეკონომიკურს, ვინაიდან სრულყოფილი რეფორმები არ გატარებულა და ამან ნახევრადრეფორმის ხასიათი მიიღო. ხალხის ერთუზიანშიც იმედგაცრუებამ შეცვალა. ამას თან დაერთო უცხოური კრედიტების დატაცება, ხალხის ანაბრების მითვისება. ეს თანხები მასიურად გაედინა ძველი ნომენკლატურის ახალ სიტუაციასთან კარგად მორგებული კადრებისა და ახალგამოჩეკილი საშუალო კლასის წარმომადგენლების ხელში, მაშინ, როცა ამ უკანასკნელთა უმრავლესობა, უბრალოდ კაპიტალისტური წყობის ერთადერთ, პარაზიტულ ფორმას ცნობს: მათი ქონება მხოლოდ მოხმარებას ემსახურება და არა მწარმოებლურ ინტერესებს, ქვეყნის განვითარებას. დღევანდელ ეტაპზე კორუფციის დაძლევა და ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების ბოლომდე გატარება საქართველოში სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს, ისევე როგორც ახალი, პროფესიული კადრების გამოჩენა ხელისუფლებაში.

ბეჟინსკი თვლის, რომ აშშ-მა და დასავლეთმა უნდა გადასინჯონ ზოგიერთი დოგმატური დებულება მათ მიერ შემუშავებული რჩევებიდან ყოფილი კომუნისტური ქვეყნების მიმართ. თვით დემოკრატიის სიკეთეთა ქადაგებისას ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ისტორიულად რამხელა დრო და ფაზების გავლა დასჭირდა დასავლეთს დემოკრატიისა და ასეთი კეთილდღეობის მისაღწევად. (ყოველ შემთხვევაში, ამა

თუ იმ რეგიონის სპეციფიკა და კულტურული გარემო უფრო მეტად უნდა იქნეს გათვალისწინებული, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა). ბჟეზინსკის აქ მაგალითად მოჰყავს პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი და წერს, რომ რა წარმატებებსაც არ უნდა მიაღწიოს ამ ქვეყნებმა, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი დროა საჭირო, სანამ მათი ცხოვრების დონე დასავლეთისას გაუთანაბრდება. მაგალითად, თუ დაუშვებთ, რომ გერმანია და ავსტრია პირობითად წელიწადში 2%-ით მოუმატებენ კეთილდღეობის მაჩვენებელს, ხოლო პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი 4%-ით, ანუ ორჯერ მეტად ჩეხეთს 30 წელი დასჭირდება მათ დასაწვად, უნგრეთს - 46, პოლონეთს - 63 წელ. და თუნდაც მატების თანაფარდობა 2 (გერმანია-ავსტრიის) და 8 პროცენტი (ამ სამეულის), ე.ი. 4-ჯერ მეტი იყოს, მაინც 12 (ჩეხეთი), 17 (უნგრეთი) და 23 (პოლონეთი) წელი გაუა, სანამ ეს სხვაობა მოისპობა... რაღა უნდა ითქვას დანარჩენ ქვეყნებზე (მათ შორის საქართველოზეც).

დაბოლოს, ბჟეზინსკი აუცილებლად თელის ახალი ტიპის უშიშროების სისტემის შექმნას, რომელიც თანდათან ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებსაც მოიცავს. ამ სისტემის შექმნა დაიწყო XX საუკუნის ბოლოს, როცა მოხდა ნატოს გაფართოება და მასში მიიღეს ჩეხეთი უნგრეთი და პოლონეთი. 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში მომხდარმა ტერორისტულმა აქტებმა მსოფლიოში კარდინალური ცვლილებები გამოიწვია და დააჩქარა უსაფრთხოების ფართო, ვერო-ატლანტიკური სისტემის შექმნა, რომელშიც თვით რუსეთი და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები ერთვებიან. ამის დადასტურებაა ნატოს 19 ქვეყნის და რუსეთის ხელშეკრულება 2002 წლის მაისიდან და მისთვის "ოცეულის" შექმნა. მზადდება პირობები, რომ ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიც (მაგ. საქართველო), გარკვეული სამხედრო რეფორმების ჩატარების შემდეგ ნატოს სტრუქტურებში და შემადგენლობაში ჩაერთოს (ადრე ეს ძალზე ნაადრევად მიიჩნეოდა, მაგრამ, ბჟეზინსკის აზრით, ეს უკვე აუცილებლობითაა გამოწვეული და აზრი არა აქვს იმის ცდას, სანამ უმრავლესობა არ იქნება ამისათვის მზად).

გარდაქმნის და გარდამავალი პერიოდი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (ზოგში წარმატებით, ზოგში - პირიქით) გრძელდება. მისი საბოლოო შედეგი უნდა გახდეს მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევა, პოლიტიკურად და ეკონომიკურად მდგრადი ლიბერალური ტიპის დემოკრატიის დამკვიდრება, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, რეალურად დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა.



ხელისუფლება საზოგადოებაში წარმოიქმნება და იგი ამდენად, სოციალური მოვლენაა. არ არსებობს პოლიტიკა ხელისუფლების გარეშე და პირიქით.

მოქალაქეებს უმეტესწილად არ მოსწონთ, როდესაც რალაციის გაკეთებას უბრძანებენ. ამ იძულებას კი ძირითადად ხელისუფლება ახორციელებს.

ძალაუფლება და ძლიერება. „ბატონობა და ლეგიტიმურობა“. ძალაუფლება, როგორც ფენომენი, არის შედარებით სტაბილიზირებული არათანასწორუფლებიანი დამოკიდებულება, როდესაც უფრო მაღალ პოზიციებზე მყოფნი წამყვან როლს ასრულებენ. ძლიერება არის არსებულის (ინდივიდის, ინსტიტუტის) უნარი მოახდინოს გავლენა. „ბატონობა“ ძალაუფლების განსაკუთრებული სახეა. კერძოდ, ესაა ძალაუფლება, რომელიც გადაწყვეტილებათა მიღების მოწესრიგებულ პოზიციებზე არსებულ განაწესს ეყრდნობა და რომელსაც ძალუძს ეს განაწესი ზნეჩვეულებებზე, ადათ-წესებსა და ფორმალურ წესებზე დაამყაროს. მკვლევართა ნაწილი „ბატონობას“ და „ხელისუფლებას“ ერთმანეთთან აიგივებს. რეალურად მათ შორის უმნიშვნელო განსხვავებაა, ორივე ეყრდნობა ძალის გამოყენებას, მაგრამ ხელისუფლება ძალის გამოყენების გარეშეც შეიძლება (იშვიათად) განხორციელდეს, მაგ: ავტორიტეტზე დაყრდნობით. ძირითადად კი, ხელისუფლება შეიძლება განესაზღვროთ როგორც ძალის კანონიერი გამოყენება – თავისუფლების აღკვეთისა და სიკვდილით დასჯის ჩათვლით – განსაზღვრულ ტერიტორიულ საზღვრებში ადამიანთა ქცევის კონტროლის მიზნით.

„ძალაუფლებისაგან“ ან პიროვნული „ავტორიტეტისაგან“ განსხვავებით ხელისუფლება ნიშნავს ძალაუფლების მეტად თუ ნაკლებად მოწესრიგებული, ხანგრძლივი ვადითა და მყარი ურთიერთობების სახით ინსტიტუციონალიზებას.

ხელისუფალნი მუდამ ცდილობდნენ შეექმნათ საკუთარი ძალაუფლების სამართლიანობისა და მმართველობის კანონიერების შთაბეჭდილება. ვერც ერთი პოლიტიკური რეჟიმი ვერ შეძლებს დაეყრდნოს მხოლოდ ფიზიკურ ძალას, როგორც მისი ძალაუფლებისადმი თანხმობისა და მორჩილების გარანტს. ამიტომ ხელისუფლება მუდამ ცდილობს თავისი ძალაუფლების დაფუძნებას „პოლიტიკურ ფორმულაზე“ ანუ გარკვეულ პრინციპებზე დაყრდნობით. პოლიტიკური რეჟიმი ვერ შეძლებს ხანგრძლივ არსებობას, თუ მხოლოდ ძალადობას დაეყრდნობა. აუცილებელია ნებაყოფლობითი თანხმობა, რომელიც განმტკიცებული იქნება კანონებისადმი პატივისცემით.

თანამედროვე პოლიტოლოგიაში ნებაყოფლობითი თანხმობის წინამძღვრებად ითვლება მოსახლეობის მყარი და მტკიცე რწმენა იმისა:

1. რომ ხელისუფალთ სრული უფლებითა და სავსებით სამართლიანად უჭირავთ თავიანთი პოსტები;

2. რომ ხელისუფალნი გადაწყვეტილებებს იღებენ და ცხოვრებაში ატარებენ კანონიერი პროცედურის გზით; და

3. რომ ეს გადაწყვეტილებანი არ ვადის საზოგადოდ აღიარებული, კანონიერი სახელმწიფოებრივი ინტერესების ჩარჩოებიდან და არ ხელყოფს იმას, რაც სამართლიანად ითვლება კერძო თუ პირადულ რაიმედ.

ზემოთ ჩამოთვლილიდან გამომდინარე, ხელისუფლების ცნების არსებითი შემაღგენელი ნაწილია ლეგიტიმურობის ცნება. ბატონობის გარკვეული წესრიგის არსებობა უკვე თავად სვამს საკითხს, თუ რატომ ემორჩილებიან მართლნი საკუთარი ნებით გაბატონებულ ავტორიტეტს. მკვებერს მიაჩნდა, რომ მორჩილთ ბატონობის სისტემის მიმართ მხოლოდ საკუთარ მოლოდინთა გამართლების იმედი კი არ უნდა ჰქონდეთ, არამედ თვით ამგვარ ურთიერთობებს სამართლიანად, ე.ი. კანონიერად უნდა თვლიდნენ. ლეგიტიმურობის გარეშე ბატონობის სისტემა სუსტია და შეუძლებელიც კი. ლეგიტიმურობა ეს არის კონკრეტული პოლიტიკური სისტემის მდგომარეობა, მისი ღირსების აღიარება, ლეგიტიმაცია კი - პროცესი, რომელშიც ეს ლეგიტიმურობა ხორციელდება. ლეგიტიმურობა პოლიტიკური სისტემის სამართლიანობისა და კანონიერების აღიარებაა, რწმენაა, ლეგიტიმაცია კი ამ სამართლიანობისა და კანონიერების განმტკიცება და გამართლებაა (ი.ჰაბერმანსი). პოლიტიკური ლიდერის გავლენა, თუ იგი განმტკიცებული არაა ლეგიტიმურობით, ვერ იქცევა ავტორიტეტულად. ავტორიტეტი კანონიერი გავლენის განსაკუთრებული სახეა. ლეგიტიმურობის პრობლემა, ძალაუფლების ავტორიტეტის გარდა, მოიცავს აგრეთვე საკითხს კონკრეტული რეჟიმის მიზნის შესახებ. ძალაუფლება ითვლება ლეგიტიმურად, თუ იგი შეესაბამება პოლიტიკური სისტემის ძირითად გენერალურ იდეებს, მიზნებსა და საყოველთაოდ მიღებულ „ბატონობით“ სტრუქტურებს.

ლეგიტიმურობის მოპოვება ნებისმიერ პოლიტიკურ რეჟიმს შეუძლია, თვით დესპოტურსაც კი, თუ იგი დროთა განმავლობაში მეტნაკლებად ეხმიანება და ამართლებს მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებსა და იმედებს. მაგრამ ლეგიტიმურობა ყველაზე მეტად დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემასა და რეჟიმს ესაჭიროება. ლეგიტიმურობის მაღალი ხარისხისა და ელექტორატის მაღალი პოლიტიკური კულტურისა და კომპეტენტურობის გარეშე დემოკრატია საზოგადოდ შეუძლებელია.

ლეგიტიმურობის ობექტებია: თავად პოლიტიკური რეჟიმი და ძალა-

უფლების განმახორციელებელი პოლიტიკური ავტორიტეტები: ელიტა, პიროვნება და ადმინისტრაციული პერსონალი. ლეგიტიმურობის წყაროებია: იდეოლოგია, სტრუქტურა, პიროვნული თვისებები. ლეგიტიმურობის 3 ტიპი არსებობს:

1. იდეოლოგიური (რეჟიმის კანონიერების შინაგანი რწმენა)
2. სტრუქტურული (სტრუქტურებისა და ნორმების კანონიერებისადმი მიუკერძოებელი რწმენა)
3. პერსონალური (ავტორიტეტებისადმი რწმენის გადატანა თავად რეჟიმის სტრუქტურებსა და ნორმებზე)

პოლიტიკურ რეჟიმთა ლეგიტიმურობის ხარისხის ანუ ინტენსიურობის მაჩვენებლებია:

- I. იძულების ის დონე, რომელიც აუცილებელია საზოგადოებაში პოლიტიკის გასატარებლად;
- II. მთავრობის ან პოლიტიკური ლიდერის დამხობის მცდელობა (რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები);
- III. სამოქალაქო დაუმორჩილებლობის, ამბოხებათა და სამოქალაქო ომის გამოვლენის ძალა;
- IV. მასობრივი ემიგრაცია და გადასახლება;
- V. მასობრივი დემონსტრაციები;
- VI. არსებული მთავრობისადმი მხარდაჭერის უეცარი გამოვლინება ან პირიქით;
- VII. არსებული მთავრობისადმი ოპოზიციის უეცარი და ძლიერი გამოვლენა;
- VIII. არჩევნების შედეგები;
- IX. თავისუფალი მასმედიის მხარდაჭერა ან პირიქით.

ლეგიტიმურობის კრიზისი. ლეგიტიმურობის კრიზისი უპირატესად მაინც გარდამავალი პერიოდის კრიზისია, ამიტომ მისი ფესვები თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების ხასიათში უნდა ვეძიოთ. მაგრამ დასავლურ საზოგადოებაში არსებული ლეგიტიმურობის პრობლემა სპეციფიკურია და ძალზე გასხვავდება ჩვენს საზოგადოებაში არსებული პრობლემებისაგან. ჩვენი ტიპის საზოგადოებაში მისი სიმწვავის მიზეზია სოციალური სტრუქტურის ცვლა. იგი შეიძლება უფრო მწვავედ დადგეს, თუ:

1. ამ სტრუქტურული ცვლილებების პერიოდში საშიშროება დაემუქრება ძირითად და მნიშვნელოვან კონსერვატიულ (ტრადიციულ) ინსტიტუტთა სტატუსს;
2. პოლიტიკური სისტემა ვერ აღიქვამს საზოგადოების ძირითად სოციალურ ჯგუფთა მოთხოვნებს და არ მისცემს მათ პოლიტიკურ არენაზე გამოსვლის საშუალებას.

თვით განახლებული სტრუქტურის შემთხვევაშიც, თუ პოლიტიკური სისტემა ხანგრძლივად ვერ ამართლებს ფართო საზოგადოებრივი ფენების იმედებს, დგება ლეგიტიმურობის პრობლემა. ვაჰენისის აზრით, ლეგიტიმურობის კრიზისის ერთმნიშვნელოვანი მახასიათებელია მასობრივი გადასახლებები და ემიგრაციები. როდესაც ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ქვეტად აღარ შეიძლება არსებული ბატონობის პირობებში ცხოვრება, რომ იგი თავიდან უნდა მოვიშოროთ ან რევოლუციურად გარდაქმნათ; მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვილაპარაკოთ ლეგიტიმურობის კრიზისზე“. პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობის კრიზისი უშუალო კავშირშია საზოგადოების სისტემური და სოციალური ინტეგრაციის პრობლემასთანაც, ლეგიტიმურობის განმტკიცებასთან.

ხელისუფლების მიზნები და ორი დილემა, ყველა ხელისუფლება თავისი მოქალაქეებისაგან მოითხოვს თავისუფლების ნაწილის დათმობას. რატომ თმობენ ადამიანები თავისუფლების ამ ნაწილს? ეს კეთდება იმ სარგებლობის მისაღებად, რომელიც ხელისუფლებას მოაქვს თავისი მიზნების განხორციელებით. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ხელისუფლება ორ ძირითად მიზანს ემსახურებოდა: წესრიგის დაცვას (სიცოცხლის შენარჩუნება და ქონების დაცვა) და საზოგადოებრივი სიკეთის უზრუნველყოფას (განათლება, ჯანმრთელობა, კეთილმოწყობა და მომსახურება). მე-20 საუკუნის ბოლოსთვის ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის ხელისუფლებამ დაისახა მესამე მიზანიც - თანასწორობის ხელშეწყობა და უზრუნველყოფა. წესრიგი და თანასწორობა მნიშვნელოვანი სოციალური ფასეულობებია, მაგრამ ხელისუფლებას არ შეუძლია მისდიოს ერთ-ერთ მათგანს მესამე მნიშვნელოვანი ფასეულობის - პიროვნული თავისუფლების გაწირვის გარეშე. პირველი დილემა, ესაა შეჯახება თავისუფლებასა და წესრიგს შორის, ანუ თავისუფლება წესრიგის წინააღმდეგ. რამდენი თავისუფლება უნდა შესწიროს მოქალაქემ ხელისუფლებას, როგორც ძალის კანონიერ გამოყენებას ადამიანთა ქცევის სამართავად? ეს საკითხი დიდი ხანია აღელვებთ მოაზროვნეებს. ხალხი განეყნებულად პატივს სცემს როგორც თავისუფლებას, ასევე წესრიგს. მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ნებისმიერი პოლიტიკა, ვთქვათ, წესრიგის მხარდასაჭერად, იმავდროულად მიმართულია მეორე ფასეულობის (თავისუფლება) საზიანოდ და პირიქით. მეორე, თანამედროვე დილემაა: თავისუფლება თანასწორობის წინააღმდეგ. არსებობს პოპულარული წარმოდგენა ხალხში იმის შესახებ, რომ თავისუფლება და თანასწორობა ერთმანეთს თან სდევს. სინამდვილეში კი, როცა მთავრობები სოციალური თანასწორობის პოლიტიკას ატარებენ, ეს ორი ფასეულობა თითქმის ყოველთვის ეწინააღმდეგება ერთმანეთს. თანასწორობის მიღწევა თავისუფლების ხარჯზე თუ პირიქით - წარმოადგენს პოლიტიკის თანამედროვე დილემას.

ხელისუფლების ისტორიული ტიპები. სუვერენიტეტი. დღესდღეობით ცნობილია ხელისუფლების 3 ისტორიული ტიპი:

1. ანონიმური (ხელისუფლებას ახორციელებს მთელი საზოგადოება, ემყარება ბელადისა და უხუცესის მორალურ ავტორიტეტს, არ არსებობს მმართველთა განსაკუთრებული ფენა).

2. ინდივიდუალური (ახასიათებს მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებას, მორალური ავტორიტეტი შეცვალა მმართველთა ფენის მხრიდან იძულებამ და ხელისუფლება პოლიტიკური გახდა).

3. ინსტიტუციონალური (ამ ხელისუფლებისათვის დამახასიათებელია 3 შტოდ დაყოფა, არჩევითობა, მას ახორციელებენ თანამედროვე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინსტიტუტები).

სუვერენიტეტის პრინციპი ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების, როგორც პოლიტიკური ხელისუფლების მთავარი წევრის უზენაესობას და დამოუკიდებლობას. მისი უზენაესობა გამოიხატება სახელმწიფოს განსაკუთრებულ უფლებაში - საზოგადოებაში დაამყაროს საერთო მართლწესრიგი, გამოიყენოს იძულება, უფლებები მიანიჭოს მოქალაქეებს მოვალეობებთან ერთად. სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებლობა გულისხმობს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში მის თანასწორობას და დამოუკიდებლობას.

ლეგიტიმური ხელისუფლების ტიპები. მაქს ვებერმა „ლეგიტიმური ბატონობის“ სამი ტიპი გამოყო:

I. ტრადიციული ბატონობა (დამახასიათებელია მონათმფლობელური და ფეოდალური საზოგადოებისათვის. მის საფუძველს შეადგენს ძველი დროიდან (წინაპართა დროიდან) დამყარებული წყობილების სიწმინდის რწმენა და ხელისუფლების ავტორიტეტის პატივისცემა, მორჩილება. ხელისუფლება ეყრდნობა მხოლოდ ტრადიციების ძალას (იორდანია, ნეპალი და სხვ)).

II. ქარიზმატული ბატონობა („ქარიზმა“ ბერძნულია და „ღვთის წყალობას“, ნიჭს ნიშნავს. ქარიზმა - ესაა ღმერთის, ბუნების თუ ბედის მიერ ინდივიდისათვის ბოძებული არაჩვეულებრივი თვისება, რომლითაც ის გამოირჩევა დანარჩენებისაგან. მოსახლეობა აბსოლუტური ნდობით ექცევა ლიდერს, რომელიც ასრულებს არაორდინალურ, მისთვის განკუთვნილ ისტორიულ მისიას და ისიც ითხოვს ქვეშევრდომთა მორჩილებას. ხელისუფლების ეს ტიპი წარმოიშობა ისტორიული კატაკლიზმების შედეგად დამკვიდრებულ არასტაბილურ საზოგადოებაში, როცა უიმედო მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს უჩნდებათ იმის რწმენა, რომ ქვეყნისა და ხალხის გადარჩენა მხოლოდ ერთ, ღვთის მიერ რჩეულ პირს შეუძლია).

III. რაციონალურ-ლეგალური (იგი ემყარება იმ ფორმალური წესების სამართლიანობის რწმენას, რომელთა დახმარებით ხორციელდება ხელი-

სუფლება - კანონის უზენაესობა, თავისუფალი არჩევნები, მმართველთა და მართულთა თანაბარი პასუხისმგებლობა კანონის წინაშე, არის სამართლის ბატონობა ხელისუფლებაზე და მოქალაქეებზე, რაც დამახასიათებელია დემოკრატიული ქვეყნებისა და საზოგადოებისათვის.

ხელისუფლების დანაწილება და მისი 3 შტო. თავის დროზე, XVIII საუკუნეში შარლ ლუი მონტესკიემ ხელისუფლების 3 შტოდ დანაწილების იდეა წამოაყენა:

1. საკანონმდებლო ხელისუფლების - პარლამენტის - ფუნქციაა კანონების მიღება.


2. აღმასრულებელი ხელისუფლების - პრეზიდენტის და მთავრობის - ფუნქციაა სახელმწიფოს მართვა პარლამენტის მიერ მიღებული კანონების საფუძველზე.

3. სასამართლო ხელისუფლების - სასამართლოს ფუნქციაა სამართლის, კანონთა შესრულების დაცვა, მართლმსაჯულება.

ხელისუფლების ეს 3 შტო ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია, ისინი ერთმანეთის საქმიანობაში ვერ ჩაერევიან, მათი უფლებამოსილება მკაცრადაა განსაზღვრული კონსტიტუციით. თუ რომელიმე მათგანი დაარღვევს კონსტიტუციას და გადააჭარბებს თავის უფლებამოსილების ფარგლებს, მის საკითხს განიხილავს სპეციალურად ამისათვის შექმნილი დამოუკიდებელი სასამართლო დაწესებულება კონსტიტუციური სასამართლო (საქართველოში მოქმედებს 1996 წლიდან).

ძირითადი ტერმინები

1. ძალაუფლება
2. ხელისუფლება
3. ძლიერება
4. „ბატონობა“
5. ლეგიტიმურობა და ლეგიტიმაცია
6. ავტორიტეტი
7. სუვერენიტეტი
8. ტრადიციული ბატონობა
9. ქარიზმატული ბატონობა
10. რაციონალურ-ლეგალური ბატონობა
11. კონსტიტუციური სასამართლო
12. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება
13. ხელისუფლების რესურსები
14. ხელისუფლების ობიექტები
15. ხელისუფლების წყაროები და ფუნქციები.



პოლიტიკის შემუშავება, მისი განხორციელება და ადამიანთა მიმხრობა რთული საქმეა და იგი ყველას არ ძალუძს. ასეთები მხოლოდ ერთუღლები არიან და მათ პოლიტიკურ ლიდერებს უწოდებენ (ცნება "ლიდერი" ინგლისურია და ნიშნავს სხვა ადამიანების მმართველს, წამყვანს). სწორედ ამიტომ არის, რომ ყველა პრეზიდენტი, მონარქი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, პარტიის თავმჯდომარე ვერ გახდება პოლიტიკური ლიდერი.

პლატონი პოლიტიკური ლიდერის უმთავრეს მახასიათებლად მის სიბრძნეს მიიჩნევდა. მაქს კუბერის აზრით პიროვნებამ შეიძლება პოლიტიკა ორნაირად გაიხადოს ხელობად: ან ისე, რომ იცოცხლოს პოლიტიკისათვის, ან კიდევ იცხოვროს პოლიტიკით. ამ ორ სახეობას შორის განსხვავება აბსოლუტური ხასიათის არ არის. იდეალურ პლანში და განსაკუთრებით მატერიალური კუთხით, ორივე მათგანს მიეკუთვნებიან ხოლმე ისინი, ვინც პოლიტიკისთვის ცოცხლობს და პარალელურად ცხოვრების კარგად მოწყობასაც ახერხებს.

პოლიტიკით, როგორც ხელობით ის ცხოვრობს, ვინც ესწრაფვის იგი შემოსავლის მუდმივ წყაროდ გაიხადოს (ასეთია თანამედროვე ქართველ პოლიტიკოსთა დიდი უმრავლესობა - ვ.შ.), ხოლო პოლიტიკისათვის ის ცოცხლობს, ვინც ასეთ რამეს არ იკადრებს.

სამართლიანობა და უსამართლობა, სიკეთე თუ ბოროტება, კეთილშობილება თუ ანგარება - აი, ამ თვალსაზრისით შეიძლება შევაფასოთ პოლიტიკური ლიდერის საქციელი.

პოლიტიკური ლიდერი არის ჯგუფის, ორგანიზაციის, პარტიის ან მთელი საზოგადოების ავტორიტეტული წევრი, რომლის პიროვნული ზეგავლენა მას საშუალებას აძლევს ითამაშოს არსებითი როლი პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში.

ლიდერს უწოდებენ იმ ადამიანს, რომელსაც თავისი ნებით, იძულების გარეშე ემორჩილებიან. იგი ჯგუფის ან საზოგადოების აღიარებული წინამძღოლია, გამოირჩევა ნათელი გონებით, ენერგიულობით და აქტიურობით, ხშირად - აგრესიულობითაც. ლიდერი შეიმუშავებს და განსაზღვრავს მთელი ერთობის სამოქმედო პროგრამას, მას შეუძლია ის, რაც არ შეუძლია რიგით ადამიანს.

ლიდერობა ობიექტური და უნივერსალური მოვლენაა. ობიექტური იმიტომ, რომ ადამიანთა ნებისმიერი ერთობლივი მოღვაწეობა საჭიროებს ლიდერის მიერ ორგანიზებას. უნივერსალურია იმიტომ, რომ ლიდერი საჭიროა ყველა სფეროში დაწყებული პოლიტიკით და დამთავრებული სპორტით.

ყოველი პოლიტიკური ლიდერი, წარმოადგენს თავისი ეპოქის პროდუ-

ქტს. და პირშმოს (მაგ.: სტალინი და პიტლერი შეუძლებელია წარმოედგინოთ ახლანდელ დროში).

პოლიტიკური ლიდერი, უპირველეს ყოვლისა, არის პიროვნება, რომელსაც შესწევს უნარი შეცვალოს პოლიტიკური პროცესების მიმართულება და მსვლელობა. დიდი მასშტაბის პოლიტიკური ლიდერები საზოგადოებრივი განვითარების კრიზისული გარდაქმნის, გარდამავალ და გარდატეხის მომენტებში გამოჩნდებიან ხოლმე (ასეთები იყვნენ ლენინი, სტალინი, რუზველტი, მარ-ტე-დუნი).

პოლიტიკური ლიდერი ესაა პიროვნება, რომელსაც შვენებული აქვს გარკვეულ ცვლილებათა ისტორიული აუცილებლობა და საზოგადოებრივ პროცესებში ჩარევის და მასზე ზეგავლენის მოხდენის აუცილებლობა (ამის მაგალითებად გამოდგება რონალდ რეიგანის (აშშ), მარგარეტ ტეტჩერის (ინგლისი), ჰელმუტ კოლის (გერმანია) მოღვაწეობა XX საუკუნის 80-90-იან წლებში).

ლიდერი არ შემოიფარგლება მარტო ზოგადი და განსაკუთრებული ნიშნებით მას ახასიათებს აგრეთვე მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნები, რომლებიც სხვადასხვა ფაქტორებით განისაზღვრება.

ჩარლზ ბერდმა ლიდერისათვის დამახასიათებელი 80-მდე ნიშან-თვისება მოიძია.

რა ასრულებს განმსაზღვრელ როლს პოლიტიკური ლიდერის მოღვაწეობაში?

1) ლიდერის პიროვნული თვისებები

2) ის, თუ რა ინსტრუმენტებს იყენებს ლიდერი ძალაუფლების დაუფლების და განხორციელების პროცესში.

3) სიტუაცია, რომელშიც მას უხდება მოღვაწეობა.

ლიდერის თვისებებს სამ დიდ ჯგუფად აერთიანებენ:

ა) ბუნებრივი თვისებები (მტკიცე და პრინციპული ხასიათი, ნებისყოფა, გაბედულება, მიმზიდველობა, გამჭრიახობა, ინტუიცია, პიპნოზირების უნარი, თავშეკავების უნარი, შეუპოვრობა, მოქნილობა, თვითდაბლობაც და აგრესიულობაც, მაგალითის ძალა სხვათათვის და ა.შ.)

ბ) ზნობრივი თვისებები (კეთილშობილება, პატიოსნება, არაკორუმპირებულობა, სამართლიანობა, ვალდებულების გრძნობა და პასუხისმგებლობა, უნაგარობა, საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვა და ა.შ.)

გ) პროფესიონალური თვისებები (კარგი განათლება, ანალიტიკური აზროვნება, ვითარებაში სწორად და სწრაფად გარკვევის უნარი, სხვისი შეხედულებების დასაბუთებელი განსჯა, კომპეტენტურობა, სიბრძნე, ორატორული ხელოვნება, სხვისი დარწმუნების უნარი, კომპრომისის უნარი, ტაქტი და დიპლომატიურობა, კომუნიკაბელურობა და იუმორი და ა.შ.)

“ხელისუფლების ინსტრუმენტებში“ იგულისხმება ის, თუ რას ვერდნობა პოლიტიკური ლიდერი დასახული ამოცანების გადაჭრის პროცესში (მაგ.: პარტია, პარლამენტი, სასამართლო, მასმედია, შეიარაღებული ძალები თუ სხვ. ყოველივე ამას გონიერულად გამოყენება სჭირდება.

სიტუაცია, რომელშიც პოლიტიკურ ლიდერს მოღვაწეობა უხდება, იშვიათად შეიძლება იყოს მშვიდი და ხელსაყრელი, უფრო ხშირად კი კრიზისული და რთულია. ლიდერს ყველა სიტუაციაში უნდა შეეძლოს გარკვევა, გვემის შემუშავება და გამოსავლის პოვნა მთელი ერისათვის.

პოლიტიკური ლიდერის უპირველესი და უმთავრესი მახასიათებელი უნდა იყოს მისი ეროვნული ხასიათი. ეს ნიშნავს იყო: ამალღებული ეროვნული სულისკვეთებით გაყდენთილი მამულიშვილი, ეროვნული ცხოვრების წესის მედროშე და გამოხატულება.

პოლიტიკურ ლიდერს უნდა შეეძლოს შექმნას ქვეყნისა და აზროვნების ახალი მოღელი და პირადი მაგალითის ძალით დაამკვიდროს იგი საზოგადოებაში, ისე, როგორც ამას აკეთებდა დავით აღმაშენებელი, რომელიც პირადი მაგალითის მიმცემი იყო ყველაფერში: ნიჭიერებაში, შრომაში, ბრძოლაში, განათლებაში, ჰუმანურობაში, ქველმოქმედებაში, სახელმწიფოებრივ აზროვნებაში, მტერთან შეურიგებლობაში, პრინციპულობაში, თავისი თავის მიმართ მოძთხოვნულობაში და ა.შ. პოლიტიკურ ლიდერს უნდა შესწევდეს უნარი შთაუნერგოს ერს რწმენა და ოპტიმიზმი, დაჭმაროს მას დაძლიოს კრიზისი და არასრულფასოვნების და ნიპილიზმის კომპლექსი.

ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანისათვის ეროვნული პოლიტიკური ლიდერი 3 ფუნქციას ასრულებს:

1. ანალიტიკური (კრიზისის მიზნუთა ორმა ანალიზი, ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების შესწავლა)

2. მოქმედების პროგრამის შემუშავება თავის თანამოაზრებთან ერთად

3. პროგრამის შესრულება (ერის მობილიზება ამ მიზნით, მასების დარწმუნება, თავჩახრელი შრომა). საზოგადოებრივი სტაბილურობის მიღწევის შემდეგ ლიდერის ფუნქციები ფართოვდება:

ა) ნოვატორული ფუნქცია (ახალი პროგრამებისა და ნოვატორული გვემების შემუშავება)

ბ) კომუნიკაციური ფუნქცია (ერის ინტერესების ასახვა მათ პრაქტიკულ რეალიზაციაში)

გ) ორგანიზატორული ფუნქცია (ერის მობილიზება პოლიტიკური პროგრამების შესასრულებლად, ეროვნული კადრების მოძიება და მათი სათანადო მოშხადება თანამღებობებზე დანიშნამდე)

დ) ინტეგრაციული ფუნქცია (ერის მთლიანობის, პოლიტიკური ერთობის და კონსენსუსის მიღწევა).

ეროვნული პოლიტიკური ლიდერი უნდა იყოს ერის ღირსების დაცვის გარანტი.

ამერიკელი პოლიტოლოგი რობერტ თაკერი პოლიტიკური ლიდერების სამ ტიპს გამოყოფს:

1. კონსერვატორები (ცდილობენ შეინარჩუნონ საზოგადოებაში არსებული რეალობა, სტატუს-ქვო)

2. რეფორმატორები (ცდილობენ არსებული წყობილების რადიკალურ გარდაქმნას რეფორმებით)

3. რევოლუციონერები (მიზნად ისახავენ პრინციპულად ახალ სისტემაზე გადასვლას ნებისმიერი გზით)

იმის მიხედვით, თუ რას ეფუძნება ხელისუფლების კანონიერება, გამოყოფენ შემდეგ ტიპის ლიდერებს.

ა) ტრადიციული (როცა პიროვნება მემკვიდრეობით იღებს ხელისუფლებას, მაგ. მონარქი, პრინცი).

ბ) ლევალური (ლიდერობა კანონის საფუძველზე, არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლა)

გ) ხარიზმატული (განსაკუთრებული ნიჭით და ზეპუნებრივი უნარით (ხალხის აზრით) გამორჩეული პიროვნება. მაგ. ასეთები იყვნენ დავითი, ბუდა, მუჰამედი, ცეზარი, ნაპოლეონი, სტალინი და ა.შ.).

პოლიტიკურ ლიდერებს აგრეთვე ჰყოფენ საზოგადოების მართვის პროცესში მათ მიერ გამოყენებული მეთოდების მიხედვით ამ კრიტერიუმის შესაბამისად პოლიტოლოგები ორი სახის ლიდერს გამოჰყოფენ:

I. დემოკრატიული ტიპის

II. ავტორიტარული ტიპის

დემოკრატიული ტიპის პოლიტიკური ლიდერი პატივს სცემს ადამიანთა ღირსებას, აძლევს მათ სტიმულს შესაძლებლობების და ინტერესების გამოსავლენად. ისინი მოთმინებით ისმენენ კრიტიკულ შენიშვნებს, ერიდებიან კონფლიქტებს, ქმნიან თანამშრომლობის და კონსენსუსის ატმოსფეროს, არიან თვითკრიტიკულნი და ა.შ. (მაგ. ასეთი იყო ნლე ჟორდანია, ასეთია ჩუბეთის პრეზიდენტი, ყოფილი დისიდენტი და მწერალი ვაკლავ ჰაველი).

ავტორიტარული პოლიტიკური ლიდერები, პირიქით, იყენებენ მართვის არადემოკრატიულ, მონოპოლიურ მეთოდებს, ვერ იტანენ განსხვავებულ აზრს, კრიტიკას, არ უყვართ ძალაუფლების გაყოფა და ერთპიროვნულად მართავენ, ისინი ხალხის მორჩილებას ამყარებენ შიშსა და მუქარაზე. მათ ტირანებსა და დიქტატორებსაც უწოდებენ და ისინი მრავლად იყვნენ წარსულში და არიან ახლაც.

ელიტის არსი. ელიტის ცნების თაობაზე პოლიტოლოგთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. პირველნი მას განსაზღვრავენ როგორც ერთიან ჯგუფს, რომელსაც უკავია საკომანდო და სტრატეგიული მნიშვნელობის პოსტები საზოგადოებაში (ანუ ძირითად ინსტიტუტებში მისი პოზიციის – სოციალური მნიშვნელობის თვალსაზრისით); მეორენი ელიტაში ხედავენ იმ პირთა ერთობლიობას, რომლებიც ფლობენ ძალაუფლებას, სიმდიდრეს, პრესტიჟს და ცნობილნი არიან (ოპერირებს ელიტის წევრთა მიერ განსაზღვრული ფასეულობების ფლობის სტატისტიკურ მონაცემებზე); მესამენი მას მიიჩნევენ საზოგადოების უმაღლეს ფენად (ელიტა, როგორც ადამიანთა ერთიანი დარაზმული და შეკრული ჯგუფი); მეოთხენი ხაზს უსვამენ რა ფსიქოლოგიურ და მორალურ კრიტერიუმებს, ელიტას განსაზღვრავენ, როგორც რჩეულ პიროვნებათა რომელიღაცა სახეს (აქ ელიტა განხილულია მორალური შეფასების კუთხით). ელიტას განეკუთვნებიან ნებისა და ენერჯის განსაკუთრებული ძალის მქონე ადამიანები.

ელიტის თეორიები. ელიტის შესახებ სამი ძირითადი თეორია არსებობს:

1. ღირებულებითი ანუ აქსიოლოგიური;
2. ფუნქციონალური;
3. ინსტიტუციონალური.

აქსიოლოგიური თეორიის თანახმად, ელიტა ეს არის საზოგადოების უმაღლესი ფენის შემადგენელი ნაწილი, რომლებიც საზოგადოების დანარჩენი წევრებისაგან გამოირჩევიან იმ განსაკუთრებული თვისებებით, რომლებსაც მათთვის მოაქვს ძალაუფლება და პრესტიჟი. ამ თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელია ვილფრედო პარეტო, რომელსაც მიაჩნდა, რომ ამ უნარებისა და ფასეულობების დიდი რაოდენობით ფლობა გამოარჩევს ელიტას მასისაგან.

ფსიქოლოგიური ღირებულებითი თეორიის არსი ყველაზე კარგად ჩამოაყალიბა დიდმა ესპანელმა მოაზროვნემ ზოსე ოსტეგა ი გასეტმა თავის ესსეში „მასების ამოხი“, სადაც ელიტა განსაზღვრულია, როგორც გამორჩეულ პიროვნებათა ერთობლიობა, რომელსაც მასებისაგან გამოარჩევს ნებისა და ენერჯის განსაკუთრებული ძალა, თავის თავზე აღმატების სურვილი, კეთილშობილება. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს სიმდიდრეს და სიღარიბეს, თანამდებობას – ისინი რჩეულნი არიან თავიანთი პიროვნული, ზნეობრივი, ინტელექტუალური თვისებების გამო. ელიტა ღირსია ფლობდეს იმას, რაც გააჩნია, სწორედ მისთვის შინაგანად დამახასიათებელი თვისებების ძალით. ამგვარად, ელიტა ეს არის მაღალი ზნეობრივი და ინტელექტუალური თვისებების მფლობელ ადამიანთა ჯგუფი.

ორტეგა ი გასეტის მიხედვით ელიტის ჩამოყალიბება ხდება არა

ძალაუფლების, სიმდიდრის, პრესტიჟის მოპოვებისათვის ბრძოლაში, არამედ იგი არის საზოგადოების მიერ მისი ყველაზე ღირსეული და ფასეული წარმომადგენლების ბუნებრივი შერჩევის შედეგი. ელიტარულობა საზოგადოების ფუნქციური ფუნქციონირების პირობაა. საზოგადოებაში მუდამ იქნებიან „ჩემპიონები“ და „აუტსაიდერები“, რაც განპირობებულია ადამიანთა ნიჭის, უნარებისა და ენერჯის უთანაბრობით. დემოკრატიული საზოგადოება პიროვნებებს აძლევს შანსს, სასტარტო პირობების თანასწორობას, ზოგი სათანადოდ სარგებლობს ამით, ზოგი კი ვერ იყენებს მას, ამიტომ, შესაბამისად, შედეგებიც განსხვავებულია და უნდა იყოს კიდეც.

ფუნქციონალური თეორია ამოდის პოლიტიკურად ორგანიზებულ საზოგადოებაში ელიტის ფუნქციონალური „გარდაუვალობის თეზისიდან“. მათი აზრით, შეიძლება ხალხის სახელით მართო საზოგადოება, მაგრამ არა ხალხის მეშვეობით. ხალხს მისი რაოდენობისა და არაორგანიზებულობის გამო, არ შეუძლია მართვის ფუნქციის თავის თავზე აღება. ელიტა არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ფლობს განსაკუთრებულ კვალიფიკაციას, რაც აუცილებელია განსაზღვრული ხელმძღვანელი პოზიციების დასაკავებლად საზოგადოებაში. ამ თეორიის მიმდევართა აზრით, ელიტა არ არის ერთიანი, პრივილეგირებული და დარაზმული ჯგუფი. იმდენი ელიტა არსებობს, რამდენიც საზოგადოებისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი საქმიანობის სფეროა. ადგილი აქვს ელიტათა კონკურენციას, რაც საშუალებას აძლევს საზოგადოებას, დემოკრატიული პროცედურების გამოყენებით შეარჩიოს ყველაზე კვალიფიციური და კომპეტენტური მმართველი ჯგუფი, რომელიც დაინტერესებულია სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებათა მიღებითა და ცხოვრებაში გატარებით. დემოკრატიისათვის კი ელიტები აუცილებელია, რადგან უზრუნველყოფს ხალხის მიერ არჩეული ხელმძღვანელების თვისობრივად მაღალ დონეს. მაღალი თვისებებისა და უნარების მქონე ელიტათა მონაცვლეობა (როტაცია) მუდმივად ცვლად საზოგადოებაში განაპირობებს თავად დემოკრატიის სოციალურ ღირებულებასა და ფასს.

ინსტიტუციონალური თეორიის ავტორია ჩარლ მელსი, რომელმაც თავის ნაშრომში „მბრძანებელი ელიტა“ გადმოსცა ინსტიტუციონალური მიდგომის უპირატესობა ელიტის გავების საკითხში. ეს თეორია ელიტას განმარტავს ძირითად ინსტიტუტებში მისი პოზიციების სოციალური მნიშვნელობისა და იმ სოციალური სტრუქტურის თვალსაზრისით, რომელსაც ეს ინსტიტუტები ქმნიან. აქ ელიტის განმარტების საფუძველში ჩადებულია ძირითად სოციალურ ინსტიტუტებში მის მიერ დაკავებული პოზიციების კუთხით განხილვა. ისინი ხელმძღვანელობენ მსხვილ კორპორაციებს, მართავენ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მქანინებებს. ელიტა მართავს სამხედრო უწყების საქმიანობას, მათ ხელშია თავმოყრილი

ნამდვილი საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ძალაუფლებას, სიმდიდრესა და პრესტიჟს, რომელითაც მისი შემადგენელი ინდივიდები სარგებლობენ. ამ თეორიით, ელიტა ესაა ერთიანი, შეკრული და ძლიერი ჯგუფი, რომელიც უდიდეს გავლენს ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

ელიტის შემადგენელი ადამიანები - უბრალოდ ისინი კი არ არიან, ვისაც ყველაზე მეტი აქვთ: „მათ არ ექნებოდათ „ყველაზე მეტი“, რომ არ ეჭირათ თავისი განსაკუთრებული პოზიციები მნიშვნელოვან სოციალურ ინსტიტუტებში, ვინაიდან ეს ინსტიტუტებია ძალაუფლების, სიმდიდრის, პრესტიჟის აუცილებელი საფუძველი, და ამავე დროს, ძალაუფლების განხორციელების, სიმდიდრის მოპოვებისა და შენარჩუნების, პრესტიჟზე ყველაზე მაღალი პრეტენზიების რეალიზაციის იარაღი“ (ჩ.მილსი).

პოლიტოლოგიაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ „პოლიტიკურ კლასს“ და „პოლიტიკურ ელიტას“, რათა კარგად დავინახოთ თუ ვინ მართავს საზოგადოებას.

„პოლიტიკურ კლასს“ შეადგენს ძალაუფლებისა და გავლენის მქონე ჯგუფი, რომელიც უშუალოდ გამსჭვალულია (ანგაჟირებულია) პოლიტიკური ლიდერობისათვის ბრძოლით.

პოლიტიკური ელიტა - ესაა პოლიტიკური კლასის ის ნაწილი, რომელიც რეალურად იყენებს ძალაუფლებას მოცემულ საზოგადოებასა და მოცემული დროის მონაკვეთში“ (ჩ.მილსი).

პოლიტიკური ელიტის ნიშნები. ამრიგად თუ გავაერთიანებთ ყოველივე ზემოთქმულს, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ პოლიტიკური ელიტის შემდეგი ნიშნები:

1. ელიტის არსებობა გარდაუვალია.
2. მთავარი ნიშანია საზოგადოების მართვის ფუნქცია.
3. ძირითადი მახასიათებელია პროფესიონალიზმი, მაღალი კვალიფიკაცია.
4. გამორჩეული სოციალურ-ფსიქოლოგიური ნიშნები (აღზრდა, განათლება, პრაქტიკა)
5. ხელისუფლებრივი შესაძლებლობები, სიმდიდრე, სოციალური მდგომარეობა, განათლება, ქმნის ელიტარულობის იმიჯს, რომლებიც გამოხატულებას პოულობენ სტატუსსა და პრესტიჟში.
6. გამოკვეთილი ინდივიდუალობა და დამოუკიდებლობა პოლიტიკური ელიტის წევრს აქცევს სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნების აქტიურ სუბიექტად.
7. თანამედროვე ელიტებისათვის დამახასიათებელია რადიკალური და ხარისხობრივი დიფერენციაცია, როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური მობილობის თვალსაზრისით. ახალი ელიტური ჯგუფების წარმოშობა და გადაადგილებები ჰორიზონტალურად განაპირობებს ელიტის განახლება - ცირკულაციის პროცესის ინტენსივობის ზრდას.

8. პოლიტიკური ელიტარულობა თავისთავად ნიშნავს სოციალურ-პოლიტიკური იერარქიის მაღალ საფეხურზე დგომას, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში აქტიურ მონაწილეობას ან მასზე ზემოქმედებას.

9. ელიტებისათვის, როგორც რჩეულთათვის, დამახასიათებელია „საერთო სახე“, რომელიც გამოხატულებას პოულობს „განსაკუთრებულ ფასეულობებში“, ქცევებში, სტერეოტიპებში და ა.შ.

10. ელიტის შიგნით იერარქიული წყობაა - გამოიყოფიან ლიდერები და არალიდერები.

11. ელიტის სტატუსს, პრესტიჟს განსაზღვრავს არა მარტო დაკავებული თანამდებობები, სიმდიდრე, განათლება, არამედ მისი „გარეკავშირები“, რომლებიც შეიძლება მომდინარეობდეს ეროვნულობიდან, წარმოშობიდან, რელიგიურობიდან, ინტერესთა ერთობლიობიდან, რასაც შეუძლია გარკვეული როლის თამაში პოლიტიკური პროცესების მართვაში.

ელიტათა სახეები. არსებობს შემდეგი სახის ელიტები: ეკონომიკური (ბიზნესის, პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური, პროფკავშირული, მეცნიერულ-აკადემიური და სხვ. ამ ელიტებს, თითოეულს თავის როლი და დანიშნულება აქვს.

პოსტოტალიტარულ ქვეყნებში ყველაზე მეტად გამოკვეთილია პოლიტიკური ელიტა (იკვეთება ეკონომიკური ელიტა, ჩამოყალიბების პროცესშია სამხედრო და რელიგიური ელიტები). ეს ელიტა ძირითადად დაკომპლექტებულია ყოფილი პარტიულ-კომკავშირული ფუნქციონირებით. მათ არ გააჩნიათ მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური თვისებები ქვეყნის ახალ ვითარებაში მართვისათვის. სახელმწიფოს მართვა მიმდინარეობს „სახანძრო ჯგუფის“ რეჟიმში და ნაკლებად ითვისებენ სტრატეგიული მიმართულების აუცილებლობას; მთავრობის კაბინეტისა და სახელმწიფო ჩინოვნიკების საქმიანობა არ ატარებს კონცეფტუალურ ხასიათს; ზშირად იცვლიან გადაწყვეტილებებს; მათი საქმიანობა მოწყვეტილია რეალურ ვითარებას; მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას ვერ იჩენენ თანმიმდევრობას მისი განხორციელების პროცესში; მათ მძიმე ტვირთად აწევთ მხრებზე წარსულის გადმონაშთი - პოლიტიკური კურსის შემუშავებისას იმოქმედონ ფარულად საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირების გარეშე; მათი საჯარო გამოსვლები არ გამოირჩევიან ობიექტურობითა და გულწრფელობით, ამიტომ ვერც ინტერვიუების დროს იქნებიან გულწრფელნი და ობიექტურნი. მათი არაობიექტურობის გამოვლინების მაგალითები უამრავია: ისინი აბუზად იგდებენ საზოგადოებრივ აზრს, მათთვის მიუღებელია სიმართლე და თავისუფალი აზრი და ასეთი ადამიანები.

ასეთმა პოლიტიკურმა ელიტამ ჩამოაყალიბა მოხელის განსაკუთრებული ტიპი, რომელიც სრულიად საპირისპიროა მაქს ვებერის სქემის მოხელის ტიპისა. იგი გამოირჩევა გაუნათლებლობით და არაკომპეტენტურობით,

ძალზე ადვილად ექცევა კორუფციის ტყვეობაში და სრულიად არა მკავს ეფექტურ და პოლიტიკურად ნეიტრალურ ადმინისტრატორს; იგი განუხრელად, საკმაოდ თანმიმდევრულად და მტკიცედ ისწრაფვის ხელისუფლებისაკენ; ყოფილი ტოტალიტარული სოციალიზმის ქვეყნების (200 დოლარიანი ხელფასის მქონე) მოხელენი ფლობენ მონოპოლიას სიმდიდრეზე, ხელისუფლებაზე, განათლებაზე და უფრო შუასაუკუნეების მოხელეებს მოგვაგონებენ, - (ავთანდილ ტუკვაძე).

პოლიტიკური ელიტა და დემოკრატია. ერთი შეხედვით ელიტარულობა შეუთავსებადია დემოკრატიასთან. თუ ელიტისათვის დამახასიათებელია ადამიანთა მცირე ჯგუფის მიერ საზოგადოების მართვაზე ყურადღების გამახვილება, მაშინ დემოკრატია - ხალხის როლზე აკეთებს ძირითად აქცენტს. აქ ნამდვილადაა პრობლემა, მაგრამ არა დაუძლეველი. რარონის აზრით, მონოლითური ელიტის არსებობა ნიშნავს თავისუფლების დასასრულს, ხოლო სუსტ და წვრილ-წვრილ ჯგუფებად დაშლილი ელიტა კი - სახელმწიფოს დასასრულს. ამგვარად, ელიტა აუცილებელია, მაგრამ ამ ორი უკიდურესობიდან თავისუფალი. დემოკრატია თავისუფლად ვითარდება მაშინ, როდესაც ელიტათა დიფერენციაციას მიჰყვართ ცალკეულ ძალაუფლებრივ ცენტრთა შორის შეჯიბრსა და ელიტათა შორის სოლიდარობასთან, რომელიც პოლიტიკური თამაშის საფუძველდამდებ პრინციპებისა და წესების შესახებ კონსენსუსში გამოიხატება. უმთავრესი მოთხოვნა, რომელიც ელიტას წაეყენება დემოკრატის პირობებში, შემდეგია: - პლურალიზმი, ელიტათა განცალკევებულ ჯგუფთა არსებობა, ცალკეულ ელიტარულ ჯგუფთა ავტონომიურობა და ერთმანეთისაგან შედარებითი დამოუკიდებლობა, დემოკრატიული პოლიტიკური ცხოვრების ბაზისურ ღირებულებათა და ძირითად წესთა შესახებ კონსენსუსი. ახლანდელი პროცესები კარგად ავლენს „მმართველ კლასს“ და „პოლიტიკურ ელიტას“, მაგრამ ცუდად მოსჩანს საზოგადოება. დღეს იგი ასიმბლირებული კი არაა, არამედ იგნორირებულია, გათქეფილი კი არაა, არამედ წარმოდგენილია.

ძირითადი ტერმინები:

1. ელიტა
2. ელიტის თეორიები (ღირებულებითი, ფუნქციონალური, ინსტიტუციონალური)
3. პოლიტიკური კლასი
4. პოლიტიკური ელიტა
5. ელიტათა სახეები (ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური, მეცნიერულ-აკადემიური და სხვ).

ტერმინი „პოლიტიკური სისტემა“ დღეს უფრო ინტენსიურად გამოიყენება პოლიტოლოგიაში, ვიდრე ადრე გამოყენებული ტერმინები „სახელმწიფო“, „ერი“, რომლებიც უფრო ვიწრო სამართლებრივ და ინსტიტუციონალურ აზრს ატარებენ.

თანამედროვე სოციოლოგები და პოლიტოლოგები (ალმონდი, კოლუმანი, ჰაუელი) პოლიტიკური სისტემის განსაზღვრისას ამოდიან მუხებურისაგან, მაგრამ ცდილობენ მის შეცვლასა და გაფართოებას. პოლიტიკური სისტემა ესაა ყოველ დამოუკიდებელ საზოგადოებაში ურთიერთქმედების სისტემა, რომელიც ასრულებს ინტეგრაციისა და ადაპტაციის (საზოგადოების შიგნით და გარეთ, აგრეთვე საზოგადოებათა შორის) ფუნქციებს. მეტად თუ ნაკლებად ლეგიტიმური ფიზიკური იძულების გამოყენების ან დაშინების გზით.

ამრიგად, პოლიტიკური სისტემა - ეს არის ლეგიტიმური, საზოგადოებაში წესრიგის გამამტკიცებელი, მხარდამჭერი და გარდამქმნელი სისტემა.

საზოგადოების შესწავლაში „სისტემის“ ცნება ტალკოტ პარნსონსმა დაამკვიდრა. მას ასევე ხშირად იყენებდა დისტონიც. პარნსონსის მიხედვით, პოლიტიკური სისტემა ღია სისტემაა. იგი ავტონომურია და მუდმივი ურთიერთობები აქვს საზოგადოების დანარჩენ ქვესისტემებთან (აქაც ფაქტორთა და პროდუქტთა იგივე ტიპია გაბატონებული, როგორც ეკონომიკურ სისტემაში - „დანახარჯები - გამოშვება“). პარნსონსის მიხედვით საზოგადოებაში 4 ურთიერთდამოკიდებული ქვესისტემაა, რომლებიც ენაცვლებიან კიდევ ერთმანეთს. ესენია: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სულიერი.

პოლიტიკის ინსტიტუციურ სტრუქტურაში პარნსონსი გამოყოფს 3 ინსტიტუტს:

1. ლიდერობა
2. ხელისუფლების ორგანოები
3. რეგლამენტაცია (იგი მდგომარეობს იმ ნორმებისა და წესების გამოყენებაში, რომელიც გარკვეულ საფუძველს ქმნის სოციალური კონტროლისათვის. ასეთებია: სამართალი, პროფესიონალური ნაშრომები, პარტიებისა და ასოციაციების წესდებები და ა.შ.)

კ.შარანის აზრით პოლიტიკური სისტემის ძირითადი ელემენტებია:

1. ძალაუფლება (როგორც რესურსთა განაწილება ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ ჯგუფებს შორის, რომელთაც ძალუძთ გავლენა იქონიონ გადაწყვეტილების მიღებაზე)
2. ინტერესები (როგორც მიზანთა ერთობლიობა, რომელთა აღსრუ-

ლებისას ცალკეული პირები ან ჯგუფები პოლიტიკური პროცესის მონაწილენი ხდებიან)

3. პოლიტიკა (როგორც ხელისუფლებისა და ინტერესებს შორის ურთიერთქმედების საზოგადოებრივი რეზულტატი, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოთქმულია სახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ფორმით)

4. პოლიტიკური კულტურა (როგორც ადამიანთა სუბიექტური ორიენტაცია პოლიტიკურ სისტემებზე)

პოლიტიკური სისტემები განსხვავებულ სოციალურ სისტემებს ეფუძნება. ყოველი პოლიტიკური სისტემა, ჩვეულებრივ, ეყრდნობა ტერიტორიულ გაერთიანებას და ეთნიკურ ბაზას (თუ ქვეყანაში რამდენიმე ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს).

პოლიტიკური სისტემა სტიმულს აძლევს ადამიანთა იმედების გაერთიანებას და წარმართავს მის ფაქტობრივ მოქმედებებს, უმუშავებს მათ თანამშრომლობისა და თანხმობის ჩვევებს წახალისებისა და ხანდახან დასჯის მიზნითაც.

ქვეყნის, ხალხის, პოლიტიკური სისტემისა და სახელმწიფოს - ამ ოთხი ტიპის სისტემის შერწყმა აქცევს თანამედროვე ეროვნულ სახელმწიფოს მძლავრ ინსტრუმენტად, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებაა თვითრეგულაციის ძალა და უნარი.

პოლიტიკური სისტემის კომპონენტები. მათ მიეკუთვნება შემდეგი:

1. პირველი აუცილებელი კომპონენტია ადამიანთა შედარებით დიდი რაოდენობა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან შრომის პოლიტიკური დანაწილებით (ყველა ამომრჩეველი)

2. თანამდებობრივ პირთა რაოდენობა, რომელთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა პოლიტიკური გაერთიანების წევრთათვის

3. რეჟიმი, ე.ი. კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპები და სტრუქტურები, პოლიტიკური პროცესები, ინსტიტუციური ნორმები და ძირითადი ღირებულებანი.

4. „ტერიტორია“ - რომელსაც აქვს გარკვეული საზღვრები და ასრულებს დამაკავშირებელ როლს.

პოლიტიკური სისტემის ნორმები. პოლიტიკური სისტემის ნორმათა ანალიზის 3 მთავარი მიმართულების განსაზღვრისათვის, პ.შარანის აზრით, საჭიროა დაისვას სამი საკითხი: მიღებულ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის, მმართველობის „ინსტრუმენტებისა“ და „იდეოლოგიის“ შესახებ. მონაწილეობა ესაა პირველი მიმართულება ნებისმიერი სახელმწიფოებრივი წყობისას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. მასზე

საუბრისას საჭიროა განვიხილოთ დემოკრატიისა და მონარქიის ან ოლიგარქიის თანაფარდობის საკითხი, ხოლო მმართველობის ინსტრუმენტებისათვის გაეანალიზოთ ლიბერალიზმისა და ავტორიტარიზმის თანაფარდობა. დაბოლოს, მიზნების შესახებ საკითხში ძირითადი როლი განეკუთვნება იდეოლოგიას.

პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა. მკვლევარები გამოყოფენ პოლიტიკური სისტემის შემადგენელ 5 ქვესისტემას, რომლებიც ურთიერკავშირში არიან:

✓ 1. ინსტიტუციონალური (პოლიტიკური ინსტიტუტები: სახელმწიფო, პარტიები, დაინტერესებული ჯგუფები, მასშედა, ეკლესია და ა.შ.)

2. ნორმატიული (შედგება სამართლებრივი, პოლიტიკური, მორალური ნორმებისა და ღირებულებათაგან, ტრადიციებისა და ჩვეულებებისაგან, სიმბოლოებისაგან. მათი მეშვეობით პოლიტიკური სისტემა მუდმივ ზემოქმედებას ახდენს მოქალაქეთა ქცევაზე, ინსტიტუტების საქმიანობაზე.

3. კომუნიკაციური (მოიცავს პოლიტიკური ურთიერთქმედების ყველა ფორმას, როგორც სისტემის შიგნით (მაგ: სახელმწიფო ინსტიტუტებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის), ისე სხვა ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებთან.

4. ფუნქციონალური (მოიცავს პოლიტიკური საქმიანობის მეთოდებს, ხელისუფლების განხორციელების საშუალებებს (თანხმობა, იძულება, ავტორიტეტი და სხვ). ეს ქვესისტემა პოლიტიკური რეჟიმის საფუძველია.

5. კულტურული (იდეოლოგიური) - ამ ქვესისტემას შეადგენს სუბკულტურების, რწმენის, რელიგიის, პოლიტიკური ქცევის ნორმებისა და პოლიტიკური ცნობიერების ერთობლიობა. იგი ხელს უწყობს საზოგადოების სტაბილურობას და ურთიერთგაგებისა და თანხმობის, კულტურული ერთგვარონების მიღწევის საფუძველს წარმოადგენს.

პოლიტიკური სისტემის მიზანი და ფუნქციები. პოლიტიკური სისტემის მიზანია საზოგადოებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფა და მისი განვითარება სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების ბალანსირების გზით. გამოყოფენ პოლიტიკური სისტემის შემდეგ ფუნქციებს:

1. ინტერესთა არტიკულაცია (გამოხატვა) - პოლიტიკურმა სისტემამ პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პარლამენტის, ინტერესთა ჯგუფების და ა.შ. საშუალებით უნდა გამოხატოს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ შეიძლება მონახონ თავიანთი მოთხოვნების გამოხატვის სხვა, ხშირად დამანგრეველი ფორმები (რევოლუცია, შეიარაღებული გამოსვ-

ლა, როგორც ეს იყო 1991-92 წლების მიჯნაზე თბილისში).

2. ინტერესთა აგრეგირება (შეერთება) და განზოგადება (დაქსაქსული ჯგუფების ინტერესთა შეერთება და განზოგადება, მნიშვნელობის მიხედვით განსაზღვრა, პროგრამის ფორმით ჩამოყალიბება და ხელისუფლებამდე დაყვანა. ამას ძირითადად პოლიტიკური პარტიები ასრულებენ.

3. წესებისა და ნორმების გამომუშავება (ამ ფუნქციას საკანონმდებლო ორგანოები ასრულებენ).

4. ნორმებისა და წესების გამოყენება (ამ ფუნქციას აღმასრულებელი ხელისუფლება ასრულებს).

5. კონტროლი წესების გამოყენებაზე (ამ ფუნქციას სასამართლო და იძულების ორგანოები ასრულებენ).

6. პოლიტიკური კომუნიკაცია (ის გულისხმობს პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა სტრუქტურებს, ლიდერებსა და მოქალაქეებს შორის ინფორმაციების გაცვლისა და ურთიერთქმედების ფორმებს).

7. პოლიტიკური სოციალიზაცია (პოლიტიკური სისტემის არსებული მოდელის მხარდაჭერა და შენარჩუნება პოლიტიკური სოციალიზაციის ფუნქციით ხორციელდება, რომლის აგენტებია: ოჯახი, სკოლა, თანატოლები, უბანი, მასმედია).

ამ ფუნქციებიდან პირველი ორი მიეკუთვნება „შემაგალ“, ხოლო დანარჩენი 5 - „გამომავალ“ ფუნქციებს.

პოლიტიკური სისტემის კლასიფიკაცია და ტიპები. საყოველთაოდაა მიღებული ამერიკელი პოლიტოლოგის გალმონდის მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკური სისტემების შემდეგი კლასიფიკაცია:

1. ანგლო-ამერიკული სისტემა (აშშ, დიდი ბრიტანეთი) - ახასიათებს პოლიტიკური როლებისა და ფუნქციების განაწილების მაღალი ხარისხი სახელმწიფოს, პარტიებს და ინტერესთა ჯგუფებს შორის.

2. კონტინენტალურ-ევროპული ტიპის სისტემა (საფრანგეთი, გერმანია, იტალია) - ახასიათებს ანგლო-ამერიკული და ძველი კულტურის ელემენტების ეკლექტიკური შერევა. პოლიტიკური როლებისა და ფუნქციების დანაწილება ხდება არა მთელი საზოგადოების მასშტაბით, არამედ კლასის, ჯგუფის, პარტიის შიგნით.

3. ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემა (ყოფილი სსრკ, ფაშისტური გერმანია და იტალია) ამ სისტემაში აკრძალულია ნებაყოფლობითი გაერთიანებები, კომუნიკაციებს კი მკაცრად აკონტროლებს სახელმწიფო აპარატი. ამ სისტემის ღირებულებებს უშეტესობა აღიარებს იძულების შედეგად და არა თავისი ნებით.

პოლიტიკური სისტემების გაყოფის საფუძვლად პოლიტიკურ რეჟიმს მიიჩნევენ. პოლიტიკური რეჟიმის კლასიფიკაციის საფუძველზე

პოლიტიკურ სისტემებს ყოფენ დემოკრატიულ, ავტორიტარულ, ტოტალიტარულ ტიპებად.

იმის მიხედვით თუ რომელი მოდლობაა (ძალა, ავტორიტეტი, ხელმძღვანელობა) წინა პლანზე წამოწეული, შეიძლება განვასხვავოთ 3 ტიპის პოლიტიკური წყობა:

1. ავტორიტარული - რომელშიც დომინირებს ძალის გამოყენება ავტორიტარული ტიპის ტიპებად.

ა. დესპოტიზმი წყობა, როცა დესპოტი მთელ პოლიტიკურ გაერთიანებას თავის საკუთრებად თვლის;

ბ. ტირანული წყობა (აქ ტირანი ძალაუფლებას იყენებს საკუთარი ინსტიტუტებისა და ვნებების, ძალაუფლების ჟინის, ავზორცობის, პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად);

გ. ავტორიტარული წყობა (ძალაუფლების მფლობელი არ ცდილობს ამ მონოპოლიის გაგრძელებას საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სახეზე - მაგ: ეკონომიკა შეიძლება აქ კარგადაც განვითარდეს);

დ. ტოტალიტარული წყობა (იდეოკრატია) - თვითმარქვია უმციურესობა ხელთ იგდებს ძალაუფლებას იმისათვის, რათა საზოგადოებას თავს მოახვიოს რომელიმე იდეოლოგია (მაგ: კომუნიზმი) ან უტოპია;

ე. მაფიოზური წყობა (მისთვის დამახასიათებელია სახელმწიფოებრივ პოსტებზე „თავისი ადამიანების“ ქსელის შექმნა, რომელთაც აკონტროლებს „ნათლიმაშები“ და რომლებიც დაჟინებით მოითხოვენ გაჭლენის სფეროების სწორ განაწილებას.

2. დემოკრატია, რომელიც ემყარება ავტორიტეტის ძალაუფლებას.

3. დემოკრატია, რომლის საფუძველია მოქალაქეთა ხელმძღვანელობის პრინციპი - ხელმძღვანელობას ფესვები გადგმული აქვს მართულ უმრავლესობაში ანუ მორჩილებაში.

დემოკრატის უმთავრესი პრინციპია, რომ „მართულნი თვითონვე ირჩევენ იმათ, ვის მორჩილებაზეც თანახმა არიან. იმის მიხედვით თუ „ვინ ირჩევს“ უზენაეს ხელისუფლებას, შეიძლება გამოიყოს შემდეგი ისტორიული ტიპები:

I. არისტოკრატია, როდესაც უზენაეს ხელისუფალს ირჩევს მაღალი წარმოშობის ადამიანები.

II. ოლიგარქია (პლუტოკრატია) - როდესაც უზენაეს ხელისუფალს ირჩევენ მდიდრები, რომლებიც ამ ძალაუფლებით აღჭურვავენ გარკვეულ პირებს ძირითად მათივე წრიდან.

III. საკუთრივ დემოკრატია, როცა პოლიტიკურ გაერთიანების ყველა წევრს უფლება აქვს აირჩიოს (აქ მნიშვნელობა არა აქვს არც წარმოშობას, არც სიმდიდრეს).

IV. იეროკრატიული წყობა, რომლის თავისებურებებს განაპირობებს 3 ძალა: ტრანსცენდენტური (ზეცა-ჩინეთში, ალაჰი-მაჰმადიანურ ქვეყნებში, ღმერთი-ქრისტიანულ ქვეყნებში). ღმერთი ხელისულებას გადასცემს თავის მიწიერ ნაცვალს, რომელიც ხშირად ხდება არა ცალკეული ადამიანი, არამედ გვარი ან დინასტია (მაგ: ბაგრატიონები). ამ ნაცვალს ემორჩილებიან ქვეშევრდომნი, რომლებიც აღიარებენ როგორც ტრანსცენდენტურ საწყისს, ისე ნაცვლის სტატუსსაც. განასხვავებენ ზომიერ და აბსოლუტურ იეროკრატიებს.

V. ავტოკრატიული წყობა, რომლის დროსაც ძალაუფლების მქონეებმა (ან მქონემ) იგი ხელში ჩაიგდეს ძალითა და ეშმაკობით, წამოაყენეს საკუთარი თავი და ხელისუფლებას ახორციელებენ იმავე მეთოდებით, ხალხს კი შიშში ამყოფებენ. კრძალავენ ყოველგვარ თავისუფალ გაერთიანებას, რათა ხალხი დაცალკევდეს და დათითოკაცდეს. ამას კი ისინი ახერხებენ დაბეზლების წახალისებით.

ძირითადი ტერმინები:

1. პოლიტიკური სისტემა
2. პოლიტიკური ქვესისტემა
3. პოლიტიკური სისტემის ელემენტები
(ძალაუფლება, ინტერესები, პოლიტიკა, პოლიტიკური კულტურა)
4. პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა
5. ანგლო-ამერიკული სისტემა
6. კონტინენტალურ-ევროპული ტიპის სისტემა
7. ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემა
8. ავტოკრატია (დესპოტური, ავტორიტარული, ტირანული, ტოტალიტარული, მაფიოზური წყობები)
9. იეროკრატია
10. დემოკრატია
11. არისტოკრატია
12. ოლიგარქია (პლუტოკრატია)

საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წ. 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა "საქართველო".

ქალაქის მოსახლეობა 56%, სოფლის - 44%.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა: საქართველოს დედაქალაქი - თბილისი, 2 ავტონომიური რესპუბლიკა (აჭარის და აფხაზეთის), 9 მხარე (კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის), 63 რაიონი, 10 საქალაქო რაიონი, 7 საქალაქო საბჭოს დაქვემდებარებული ტერიტორია, 942 სასოფლო საბჭო (სულ 62 ქალაქი, 53 ქალაქის ტიპის დაბა, 4475 სოფელი).

მოსახლეობა 4 მილიონზე მეტი მათ შორის თბილისში 1,4 მილიონი. ქვეყანაში მოქმედებს 1995 წლის 24 აგვისტოს პარლამენტის მიერ მიღებული კონსტიტუცია.

კონსტიტუცია აგებულია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მკვეთრი გამიჯვნის პრინციპზე. საქართველოს საზღვრები განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით (მუხლი 2); აღიარებულია საერთაშორისო ხელშეკრულებების უპირატესობა ეროვნულ კანონმდებლობასთან შედარებით (მუხლი 6); საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ენიჭებათ პრეზიდენტს, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, საპარლამენტო კომიტეტს, ავტონომიურ წარმონაქმნებს ან 30 ათას ამომრჩეველს (მუხლი 6.). რეფერენდუმი შეიძლება მოეწეოს პრეზიდენტის, პარლამენტის ან 200 ათასი ამომრჩეველის ინიციატივით (მუხლი 74).

საკანონმდებლო კონფლიქტების გადასაწყვეტად დაარსდა საკონსტიტუციო სასამართლო.

კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივით შეიძლება წარდგინდეს პრეზიდენტი, პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარი ან 200 ათასი ამომრჩეველი (მუხლი 102).

1995 წლის კონსტიტუციაში დიადაა დატოვებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. აღნიშნულია, რომ იგი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ გადაწყდება ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ სპეციალურად მიღებული ორგანული კანონით.

საპარლამენტო ხელისუფლება - პარლამენტი

1990 წლის 28 ოქტომბერს, 1992 წლის 11 ოქტომბერს, 1995 წლის 5 ნოემბერს და 1999 წლის 31 ოქტომბერს ჩატარებულმა მრავალპარტიულმა არჩევნებმა საქართველოში უკვე შექმნა პარლამენტარიზმის გარკვეული ტრადიციები და გამოცდილება. პარლამენტი სულ უფრო გამოკვეთილ ადგილს იკავებს პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1995 და 1999 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა შერეული პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემით, რომელშიც მანდატთა უმრავლესობა (150) ნაწილდებოდა იმ პარტიულ სიებს შორის, რომლებმაც მთელი ამომრჩევლების 5% (1995 წელს) ან 7% მაინც (1999 წელს) დააგროვეს; ერთმანდატიანი ოლქებიდან კი ირჩეოდა 85 დეპუტატი. 1995 წელს 5%-იანი საარჩევნო ბარიერი გადალახა 3 პარტიამ (საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ და საქართველოს აღორძინების კავშირმა), ხოლო 1999 წელს 7%-იანი ბარიერი გადალახა ასევე სამმა პარტიამ (საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა, საქართველოს აღორძინების კავშირმა და საარჩევნო ბლოკმა "მრჩველობა გადაარჩენს საქართველოს").

1995 და 1999 წლების არჩევნების თავისებურება ისიც იყო, რომ ისინი ვერ ჩატარდა სუპარატისტული მთავრობის კონტროლის ქვეშ მყოფი აფხაზეთის ტერიტორიაზე და 1992 წელს აფხაზეთიდან არჩეულ პარლამენტარებს ამ მოწვევის პარლამენტშიც გაუგრძელდათ მანდატები.

1999 წლის პარლამენტის არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძის პარტიამ - საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა, რომელმაც საპარლამენტო უმრავლესობაც შეიქმნა, მაგრამ ეს უმრავლესობა მტკიცე ვერ აღმოჩნდა. მისი დაშლა დააჩქარა ედუარდ შევარდნაძის გადადგომამ პარტიის თავმჯდომარის პოსტიდან და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას გადადგომამ აღნიშნული პოსტიდან. 2001 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ პირველად ქვეყნის ისტორიაში არჩეულ იქნა ქალი - ნინო ბურჯანაძე. პარლამენტში არის 16 საპარლამენტო კომიტეტი და 15 საპარლამენტო ფრაქცია (ფრაქციაში 10 კაცზე მეტი შედის).

ა) პრეზიდენტი

პირველი საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში 1991 წლის 26 მაისს ჩატარდა და მასში ზვიად გამსახურდიამ გაიმარჯვა. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ გაუქმდა პრეზიდენტის ინსტიტუტი. 1992 წლის 6 ნოემბერს მიღებული სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის მიხედვით პარლამენტის თავმჯდომარეს ვლადარ შვეარდნაძეს სახელმწიფო მეთაურის უფლებამოსილება მიენიჭა.

1995 წლის კონსტიტუციით კვლავ შემოღებულ იქნა პრეზიდენტის თანამდებობა. პრეზიდენტი აირჩევა საერთო-სახალხო კენჭისყრით 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პიროვნება პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ ორი ვადით იგი არის სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, უმაღლესი მთავარსარდალი.

პარლამენტს აქვს პრეზიდენტის იმპიჩმენტის (გადაყენების) უფლება ხმათა 2/3-ით პრეზიდენტად არ შეიძლება აირჩეს პიროვნება, რომელსაც არ შესრულებია 35 წელი. (ზედა ზღვარი დადგენილი არ არის). 1995 და 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ზედიზედ ორჯერ გაიმარჯვა ვლადარ შვეარდნაძემ (დაბადებულია 1928 წელს, 25 იანვარს).

პრეზიდენტი იმავდროულად არის ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე

ბ) მთავრობა

1995 წლის კონსტიტუციამ მნიშვნელოვნად შეცვალა აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა. გაუქმდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, აღარ არსებობს მინისტრთა კაბინეტი (თუმც ამის შემოღების აუცილებლობა კვლავ დღის წესრიგში დგას.)

1997 წლის 3 მაისს ძალაში შევიდა ახალი კანონი სახელმწიფო მოწყობის შესახებ. დღეისათვის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურას ქმნიან:

პრეზიდენტი, სახელმწიფო მინისტრი (სახელმწიფო კანცელარიის მეთაური), სამინისტროები, სახელმწიფო დეპარტამენტები, სახელმწიფო ინსპექციები. დღესდღეობით სახელმწიფო მინისტრია ავთანდილ ჯორჯენაძე, რომელიც 2002 წლის 29 თინისიდან გახდა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეც.

წინა წლებში პარლამენტმა რამდენიმე მინისტრი იმპიჩმენტის წესით გადააყენა. პარლამენტთან შეთანხმებით მინისტრების წარდგენის და დანიშვნის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს.

სასამართლო ხელისუფლება

1995 წლის კონსტიტუციით აკრძალულია სპეციალური სასამართლოების შექმნა. მოსამართლეებს ირჩევენ 10 წლის ვადით შესაბამისი გამოცდების ჩაბარების შემდეგ. გენერალური პროკურორის უფლებამოსილების ვადა 5 წელია. ამჟამად საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა ლადო ჭანტურია, გენერალური პროკურორი კი ნუგზარ გაბრიჩიძე. 1996 წლიდან პირველად შეიქმნა საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც მოწოდებულია კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა დასაცავად. იგი შედგება 10 წლის ვადით დანიშნული 9 წევრისაგან. ამჟამად საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეა ჯონი ხეცურიანი. მოსამართლედ შეიძლება გახდეს 30 წელს გადაცილებული პირი. სასამართლო სისტემაზე მეთვალყურეობა ავალია საქართველოს პრეზიდენტთან შექმნილ სათათბირო ორგანოს - იუსტიციის საბჭოს, შექმნილია რაიონული, საოლქო, სააპელაციო, აფხაზეთის და აჭარის უმაღლესი, საქართველოს უზენაესი სასამართლოები.

1997 წლიდან შემოღებულ იქნა სახალხო დამცველის ანუ ომბუდსმენის თანამდებობა, რომელსაც საკმაოდ დიდი უფლებები გააჩნია და რომელიც არც ერთი პარტიის წევრი არ უნდა იყოს. ამჟამად სახალხო დამცველია ქალი - ნანა დუდარიანი.

კონტროლის პალატის თავმჯდომარეა სულხან მოლაშვილი.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი - ირაკლი მანაგაძე.

ადგილობრივი ხელისუფლება

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების მოწყობის პრობლემა ყველაზე მტკივნეული აღმოჩნდა ახალი ქართული სახელმწიფოებრიობისათვის. ქვეყნის ტერიტორიის 15%-ზე მეტი, ყოფილი აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია სეპარატისტული მთავრობების ხელშია კვლავაც და უდიდეს პრობლემებს უქმნის ქვეყანას.

ავტონომიები

აფხაზეთს ავტონომიის უფლება ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციით ჰქონდა მინიჭებული. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ 1921 წლის 16 დეკემბერს იგი "სახელმეკრულებო რესპუბლიკად" გამოაცხადა, ხოლო 1931 წლის 19 თებერვალს იგი გაფორმდა ავტონომიურ რესპუბლიკად საქართველოს სსრ შემადგენლობაში.

აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ სეპარატისტულ

მოძრაობას ყოველთვის რუსეთი აღეშინებდა, რომელსაც დიდად არ ანადგულებდა არც აფხაზების ბედი. 1991 წლის ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლის დროისათვის ეთნიკური აფხაზების წილი აფხაზეთის მოსახლეობის 17%-ს შეადგენდა, ქართველებისა კი - 46%-ს.

აფხაზები სარკებლობდნენ ქართველებზე მეტი უფლებებით ყველა სფეროში, რასაც დემოკრატიის პროცესების დაწყებამ საფრთხე შეუქმნა. მიუხედავად იმისა, რომ 1991 წლის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში აფხაზებს გამსახურდიას ხელისუფლებამ ქართველებზე მეტი ქვოტა მისცა (აფხაზებს 28 მანდატი, ქართველებს - 26, 11 ადგილი კი სხვა ეროვნების წარმომადგენლებს. კონფლიქტი რუსეთის წაქეზებით მაინც მწიფდებოდა და იგი განსაკუთრებით გაღრმავდა 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ. 1992 წლის 23 თვის აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ხმათა უბრალო უმრავლესობით გამოაცხადა აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენა, რაც ფაქტიურად აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფას ნიშნავდა. საქართველოს სამხედრო საბჭომ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართულმა ფრაქციამ (31 დეპუტატი) არ ცნო ეს უკანონო აქტი.

დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია 1992 წლის 14 აგვისტოს, როცა სარკინიგზო მაგისტრალების უსაფრთხოების დაცვისა და სინამდვილეში კი ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა განეიტრალების მიზნით საქართველოს შეიარაღებული ძალები შევიდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამან გამოიწვია ომი აფხაზეთის სეპარატისტულად განწყობილ ხელისუფლებასთან, რომელსაც აქტიურად დაეხმარნენ იქ დისლოცირებული რუსი სამხედროები და ჩრდილოკავკასიელი დაქირავებული მეომრები.

ეს ომი 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემით და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დამარცხებით დამთავრდა. ომში დაახლოებით 30 ათასამდე ადამიანი დაიღუპა, მოხდა ქართველთა გენოციდი - 250 ათასზე მეტი ქართველი გამოძევებულ იქნა აფხაზეთიდან, დაიკარგა აფხაზეთის ყოფილი ავტონომიის ტერიტორია.

1994 წლიდან მიმდინარეობს მოლაპარაკებები თბილისისა და სოხუმის დეფაქტო ხელისუფლებას შორის, რომელშიც შუამავლის როლს რუსეთი ასრულებს, აგრეთვე მასში სხვადასხვა სტატუსით მონაწილეობს გაერო, ეუთო, "საქართველოს მეგობართა" ოჯახი (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი). კონფლიქტის ზონაში საშვიდობო ძალების ფუნქციებს "ასრულებს" რუსეთის სამხედრო კონტიგენტი, რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამშრომლობის (დსთ) კვლით მოქმედებს და რომელიც ფაქტიურად ეხმარება აფხ-

აზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას მიღწეულის შენარჩუნებაში, მოლაპარაკებები ძირითადად ორ საკითხზე მიმდინარეობს: აფხაზეთის სტატუსზე და ლტოლვილთა დაბრუნებაზე. არც ერთ ამ საკითხზე რაიმე პროგრესი არაა მიღწეული. გალის რაიონში სტიქიურად დაბრუნდა და დაუცველად ცხოვრობს 60 ათასამდე ქართველი.

1995 წლის 22 აგვისტოს სოხუმის ე.წ. პარლამენტმა სპეციალური რეზოლუციით დაადასტურა აფხაზეთის სრული დამოუკიდებლობა, არჩეულ იქნა აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტიც. დღეს აფხაზეთის საკითხი ჩიხშია მოქცეული. საქართველო არასოდეს არ შეგუება აფხაზეთის დაკარგვას, აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლებას კი გაგონებაც არ უნდა საქართველოს შიგნით ფართო ავტონომიის მიღებაზე.

ცხინვალის რეგიონი

თუკი აფხაზეთის განსაკუთრებული ავტონომიური სტატუსი პრინციპულად მისაღებია ქართული საზოგადოებისათვის, იგივე არ ითქმის ცხინვალის რეგიონზე, ე.წ. სამხრეთ ოსეთზე.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ხელოვნურად შექმნა 1922 წლის 20 აპრილს ბოლშევიკებისადმი ოსი ხალხის დახმარების ჯილდოდ. ამიტომ ქართული საზოგადოების უმრავლესობის თვალში ამ ავტონომიური ოლქის თვით არსებობა არალეგიტიმური იყო.

რეგიონში შექმნილმა მოძრაობამ XX ს-ის 80-იან წლებში “ადამონ ნიხასის” ხელმძღვანელობით მოითხოვა ჩრდილო ოსეთთან გაერთიანება, რაც უკანონო ნაბიჯი იყო. პირველი შეტაკებები რეგიონში დაიწყო 1989 წელს. გამსახურდიას ხელისუფლებამ თავდაპირველად განაცხადა, რომ ეჭვს ქვეშ არ აყენებდა ავტონომიის ლეგიტიმურობას, მაგრამ როცა თბილისთან შეთანხმების გარეშე ავტონომიურ ოლქში არჩევნები ჩატარდა და ახლადარჩეულმა უზენაესმა საბჭომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა (ფაქტიურად საქართველოდან გამოყოფა) გამოაცხადა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის დეკემბერში გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ამას სამხედრო დაპირისპირება მოჰყვა. ეს კონფლიქტი ორმხრივი მსხვერპლით მიმდინარეობდა 1992 წლის ივლისამდე. იგი დამთავრდა სამმხრივი ქართულ-ოსურ-რუსული შეთანხმებით, რომლითაც ყოფილი ოლქის სტატუსის გარკვევამდე რეგიონში სამმხრივი სამშვიდობო ძალები დადგებოდა. ეს შეთანხმება დღემდე მოქმედებს. ოლქის ტერიტორიას კი რეალურად აკონტროლებს ცხინვალის ე.წ. ხელისუფლება - მთავრობა და პრეზიდენტი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (აღრე მას დამოუკიდებლობის წლებში 1918-1921 წწ. სამუსლიმანო საქართველოს ეძახდნენ) შექმნილია არა ეთნიკური ნიშნით (აჭარლები ქართველებია ყველა), არამედ რელიგიური ნიშნით, თურქეთთან გარკვეული შეთანხმების საფუძველზე. აჭარის ხელმძღვანელობას არასოდეს დაუყენებია ეჭვქვეშ საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა. 1991 წლიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ასლან აბაშიძე, რომელიც ზვიად გამსახურდიას აშკარა მხარდაჭერით სარგებლობდა (მან რამდენიმე ხმით აჯობა როსტომ დოლიძეს).

1992 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ასლან აბაშიძემ ცნო ახალი ხელისუფლება, მიესალმა ედუარდ შევარდნაძის დაბრუნებას საქართველოში. მან მოახერხა (რუსული ნაწილების დახმარებით) არ დაეშვა აჭარაზე იმჟამად ძლიერი სამხედრო ფორმირებების (მხედრიონი, გვარდია) გავლენის გავრცელება, რისი წყალობითაც რეგიონი ფაქტიურად გადაურჩა ნგრევას, შენარჩუნდა წესრიგი და გარკვეული აღმშენებლობაც დაიწყო. ამან ასლან აბაშიძე პოპულარულ ფიგურად აქცია, რასაც მისი ფინანსური სიძლიერეც ხელს უწყობდა. მან შექმნა ახალი პარტია "საქართველოს აღორძინების კავშირი", რომელიც გავლენით მეორე პოლიტიკური ძალაა საქართველოში. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მან 60-მდე დეპუტატის მანდატი მიიღო საქართველოს პარლამენტში. ასლან აბაშიძე ყოველთვის ხაზს უსვამს თავის ერთგულებას საქართველოს მთლიანობის იდეისადმი. იგი ძლიერი მმართველია და ნაკლებად სჯერა დემოკრატიული მმართველობის სიკეთის.

ყოველივე ამის მიუხედავად შეინიშნება გარკვეული დაძაბულობა ცენტრსა და აჭარის მმართველობას შორის. მიუხედავად იმისა რომ საქართველოს კონსტიტუციაში დაფიქსირდა აჭარის ავტონომიის საკითხი, რეალურად არ მომხდარა ძალაუფლების სფეროთა გამიჯნვა ცენტრსა და რეგიონს შორის. ეს ქება საკადრო საკითხებსაც. ხშირია ურთიერთბრალდებები. 1991 წლიდან ასლან აბაშიძე არ ჩამოსულა თბილისში ტერორისტული აქტების შიშის გამო. 1996 და 2001 წელში ჩატარდა აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნები. მიღებულია აჭარის ავტონომიის კონსტიტუციაც. 2001 წელს ასლან აბაშიძე არჩეულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურად პირდაპირი კენჭისყრით.

ადგილობრივი თვითმმართველობა

1995 წლის კონსტიტუციაში ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სისტემა არ იქნა შექმნილი და იგი განიხილება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა ორგანული კანონით უნდა განსაზღვრულიყო. ყველაზე დიდი ცვლილება ადგილობრივი მმართველობის სფეროში ეს იყო ტერიტორიული მმართველობის შეაღებული (რეგიონალური) რგოლის - მხარის შექმნა (სულ 9 მხარე შეიქმნა, რომელსაც პრეზიდენტის რწმუნებულები განაგებენ 1993 წლიდან. მხარეების შექმნა განხორციელდა ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით და მისი (და არა პარლამენტის მიერ მიღებული კანონის) ბრძანებულებით და ამდენად იგი ჯერჯერობით არაკონსტიტუციურ წარმონაქმნს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ 1997 წელს მიღებულ იქნა კანონი - მხარის შესახებ. მომავალში მოსალოდნელია რაიონების გაუქმება და რეგიონალურ (სამხარეო) მმართველობაზე გადასვლა, ორპალატიანი პარლამენტის შემოღება).

1997 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ, რომლის საფუძველზეც 1998 წლის 15 ნოემბერს ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი არჩევნები საქართველოში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გამოკლებით.

2002 წლის 2 თენისს (1 წლის დაგვიანებით) ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის მეორე არჩევნები. ქალაქებში (თბილისისა და ფოთის გარდა) პირდაპირი კენჭისყრით აირჩიეს ქალაქის მერები, აგრეთვე სოფლების და ქალაქების საკრებულოები. რაიონების გამგებლებს კვლავ ნიშნავს პრეზიდენტი რაიონული საკრებულოს წარდგინებით. ასევე ინიშნებიან თბილისისა და ფოთის მერები. თბილისში და ფოთში პროპორციული წესით აირჩა საკრებულოები. ეს არჩევნები დაძაბულ და რთულ, დაპირისპირებულ ვითარებაში ჩატარდა. იყო მრავალი დარღვევა, არჩევნების შედეგების გაყალბება, სასამართლოში გასაჩივრება. ამ არჩევნებში წარმატებას მიაღწიეს ახალმა მემარჯვენეებმა. „მრეწველებმა“, ლეიბორისტებმა, ნაციონალურმა მოძრაობამ - დემოკრატიულმა ფრონტმა.

პოლიტიკური პარტიები

საბჭოთა რეჟიმის რღვევის პროცესმა 1987-1988 წლიდან დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნა გამოიწვია. იმ პერიოდში შეიქმნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ილია ჭავჭავაძის საზოგად-

დოება, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია და სხვები, რომელთა მთავარი მოთხოვნა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ მოხერხდა სახალხო ფრონტის შექმნა, რომელმაც დროებით გააერთიანა ყველა პოლიტიკური ძალა კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. ეს ერთიანობა დროებითი აღმოჩნდა. იმპლურა ამბიციებმა და ეროვნული ძალები ძირითადად ორ ბანაკად გაიყვნენ: ზვიად გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა შექმნეს ბლოკი “მრავალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო”, რომელმაც გაიმარჯვა კიდევ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში. ამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 34 პოლიტიკურმა ორგანიზაციამ. ეროვნული მოძრაობის მეორე ბანაკი მკვეთრად დაუპირისპირდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას, რომელმაც მრავალი შეცდომა დაუშვა.

1991-1992 წლის სამოქალაქო დაპირისპირება სწორედ ამ პოლიტიკურ ძალებს შორის მოხდა. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დაიწყო ახალი ძლიერი პარტიების წარმოშობა - 1993 წლის ნოემბერში უღუპარდ შვეარდნაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, რომელმაც გაიმარჯვა 1995 და 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებზე (დღეს ამ პარტიის თავმჯდომარეა სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე). 1993 წლის თებერვლიდან შეიქმნა საქართველოს აღორძინების კავშირი, რომლის თავმჯდომარეა ასლან აბაშიძე. 1999 წლიდან მოქმედებს პოლიტიკური მოძრაობა “მრწველობა გადაარჩენს საქართველოს”, რომლის თავმჯდომარეა ყოფილი ბიზნესმენი გოგი თოფაძე. სწორედ ამ სამმა პარტიამ გადალახა 7%-იანი საარჩევნო ბარიერი 1999 წლის არჩევნებზე.

1996 წლიდან მოქმედებს საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია (თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი), რომელმაც წარმატებას მიაღწია 1998 და 2002 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე. 1995 წელს დაარსდა საქართველოს სოციალისტური პარტია (თავმჯდომარე ვახტანგ რჩულიშვილი). 2001 წელს შეიქმნა პარტია “ახალი მემარჯვენეები” (ლიდერი ლევან განჩილაძე), 2002 წელს კი 2 პოლიტიკური გაერთიანება “ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტი”, რომლის თავმჯდომარეა მიხეილ სააკაშვილი და “გაერთიანებული დემოკრატები” (თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია). ეს ბოლო სამი პოლიტიკური გაერთიანება მოქალაქეთა კავშირის ნამსხვრევებზე აღმოცენ-

და და მათ საკმარის წარმატებას შიდა წილს 2002 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე. დღეს პარლამენტში ასევე წარმოდგენილი არიან “ქართულ ტრადიციონალისტთა კავშირი” (თავმჯდომარე აკაკი ასათიანი), კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება (თავ-რე ვახტანგ ბოჭორიშვილი). 1997 წელს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ორად გაიყო: სახალხო პარტიად (თავ-რე მამუკა გიორგაძე) და საკუთრივ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიად (თავ-რე ირინა სარიშვილი-ჭანტურია) - ისინი დღეს პარლამენტში არ არიან წარმოდგენილი. სულ საქართველოში ამჟამად 100-ზე მეტი პარტია, მოძრაობა და პოლიტიკური ორგანიზაციაა.

მასმედია

1987 წლიდან დაიწყო დამოუკიდებელი პარტიული გამოცემების გამოშვება, მაგ. სახალხო ფრონტის გაზეთი “საქართველო” მასობრივ პოპულარულ გამოცემად იქცა. დამოუკიდებელი არაპარტიული გამოცემების ისტორია 1990 წლიდან გაზეთ “7 დღის” გამოსვლით იწყება, რომელსაც მერე გაზეთი “დრონიც” დაემატა. საგაზეთო პლურალიზმი განსაკუთრებით გაგრძელდა სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ. პრესაზე სახელმწიფო ცენზურა არ ხორცილდება და იგი სრულად თავისუფალია დღეს (თუ არ ჩავთვლით მატერიალური დამოუკიდებლობის მწვავე პრობლემას). დამოუკიდებელი პრესის პრინციპით მოქმედებენ საგაზეთო ლიდერები “რეზონანსი”, “ახალი თაობა”, “ალია”, “ჯორჯიან ტაიმსი”, “ახალი ვერსია”, “ახალი 7 დღე”, “კვირის პალიტრა”, ჭურნალები “სარკე”, “გზა”, “ბომონდი”, “თბილისელები”, იმიჯი და სხვა.

რაც შეეხება სამაუწყებლო მედიას (ტელევიზია, რადიო, ელექტრონული მედია), ხელისუფლება გაცილებით უხალისოდ ელვება თავის მონოპოლიას ამ დარგში. სახელმწიფო ტელე და რადიო არხებთან ერთად (რომლებიც ხელისუფლების თვალსაზრისს გამოხატავენ მეტწილად), შეიქმნა დამოუკიდებელი არხებიც: “რუსთავი-2”, “მე-9 არხი”, “იბერია”, “ვერიკა”, “კავკასია”, “საქართველოს ხმა”, რადიოარხები “ფორტუნა”, “რადიო-105”, “იმედი”, “ვერიკა”, “საქართველოს ხმა”, “რადიო “თავისუფლების” ქართული რედაქცია და სხვა. სატელევიზიო ადგილობრივი საკაბელო არხები გააჩნია ბევრ რაიონს და რეგიონს. 2001 წლის ოქტომბერში “რუსთავი-2”-ის გარშემო დიდი სკანდალი

მოხდა, რაც მერე პოლიტიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ტელეკომპანიაში შევიდნენ უშიშროების სამინისტროს მუშაკები და ფაქტიურად მისი შეზღუდვა და გაუქმება მოინდომეს სხვა საბაბით ხალხმა მასიურად დაუჭირა "რუსთავი-2"-ს, მერე კი ეს ყოველივე პარლამენტთან მჯდომარე აქციაში გადაიზარდა, რომელსაც მთავრობის გადადგომაც მოჰყვა.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ "დამოუკიდებელი" ტელე და რადიო არხების უკან პოლიტიკური და ფინანსური ჯგუფები დგანან, რომლებიც ხშირად ჭეშმარიტ ქართულ ინტერესებს სულაც არ გამოხატავენ.

არასამთავრობო ორგანიზაციები

დღეს საზოგადოებრივი ორგანიზაციები ძირითადად სამ ჯგუფად იყოფა: შემოქმედებითი კავშირები და პროფკავშირები (რომლებიც საბჭოური პოლიტიკური სისტემის სპეციფიკურ ელემენტს წარმოადგენდნენ), ახალი არასამთავრობო ორგანიზაციები, რელიგიური ორგანიზაციები. 1992 წლიდან დაიწყო გამოკვეთილად არაპოლიტიკური არასამთავრობო ორგანიზაციათა ჩამოყალიბება, რომელთა რიცხვმა 3000-ს გადააჭარბა. მათი უმრავლესობა ფუნქციონირებს უცხოური ფონდების (მაგ. "ღია საზოგადოება - საქართველო, ანუ სოროსის ფონდი, ფონდი "ვერაზია", ფონდი "პორიზონტი", ტასისის პროგრამა, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, ასევე ქართული ფირმა "ქართუს" საქველმოქმედო ფონდი, გოგი თოფაძის ფონდი, ასლან აბაშიძის ფონდი, ედუარდ შვეარდნაძის ფონდი, ახალი მემარჯვენეების ფონდი და სხვა). და იმეათად საკუთარი სახსრების მეშვეობით არასამთავრობო სექტორი უფრო მეტად აქტიურია ისეთ სფეროებში, როგორცაა გარემოს დაცვა, ადამიანის უფლებები, სამოქალაქო განათლება, დემოკრატიული რეფორმების საკანონმდებლო საფუძვლების შემუშავება, კონფლიქტების რეგულირება, სოციალური და კუმანიტარული დახმარება, ახალგაზრდობის და ქალთა პრობლემები. არასამთავრობო ორგანიზაციებს "მესამე სექტორს" უწოდებენ.

საქართველოში ახლა იწყება ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბება (მაგ. მწარმეები, რომლებიც მძაფრად აკრიტიკებენ საგალუტო ფონდს და სხვა "დამხმარე" ორგანიზაციებს), რომლებიც ლობირებენ სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებს ხელისუფლებაში.

პოლიტიკური რეჟიმის არსი და მისი ელემენტები. იდეოლოგიური, ინსტიტუციონალური და სოციალური ელემენტების ერთობლიობას, რომლებიც ხელს უწყობენ პოლიტიკური ხელისუფლების ფორმირებას მოცემულ ქვეყანაში გარკვეულ პერიოდში პოლიტიკური რეჟიმი ეწოდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკური რეჟიმი – ესაა პოლიტიკური ხელისუფლების რეალიზაციის მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების თავისუფლებისა და საზოგადოებაში მისი სამართლებრივი მდგომარეობის ხარისხს.

ცნობილმა პოლონელმა პოლიტოლოგმა ვჟი ვიატრმა მოგვცა პოლიტიკური რეჟიმის განსაზღვრება, რომელიც საკმაოდ ზუსტად ასახავს მისი შინაარსის წინააღმდეგობრივ ხასიათს: „პოლიტიკური რეჟიმი მე მესმის, როგორც კონსტიტუციური (კანონიერი) წესრიგის სისტემა და ამ სისტემის კონკურენტული გამოხატულება პრაქტიკაში“. როგორც ვხედავთ, ამ განსაზღვრებაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ კონსტიტუციურად დამატებული წესრიგი ყოველთვის არ შეესაბამება პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ კონკურენტულ გამოხატულებას. პოლიტიკური რეჟიმი არის ის რეალობა, რომელიც აერთიანებს პირველსა და მეორეს. ამასთან ერთად ეს ცნება ასახავს პოლიტიკური ხელისუფლების რეალურ სურათს ამა თუ იმ ქვეყანაში.

პოლიტიკური რეჟიმის მოყვანილი განსაზღვრება იძლევა მოცემული ცნების ყველაზე ზოგად წარმოდგენას. განსაზღვრულ ქვეყანაში პოლიტიკურ რეჟიმზე უფრო ფართო და კონკრეტული წარმოდგენა რომ შეგვექმნას, აუცილებელია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

1) როგორ წარმოიშვა მოცემული პოლიტიკური რეჟიმი? – იგულისხმება პოლიტიკური ხელისუფლების ორგანოებში არჩევნების ორგანიზაცია და გატარება.

2) რა პოლიტიკური დაჯგუფებები იმყოფებიან ხელისუფლებაში? ეს ხსნის იმ მიზნებს, რომლებისკენაც მიისწრაფიან ეს ჯგუფები.

3) პოლიტიკური ბატონობის რა მეთოდებს ენიჭება უპირატესობა – დემოკრატიულს თუ მოძალადურს?

4) როგორი (დემოკრატიული, ლიბერალური, კომუნისტური, ფაშისტური და ასე შემდეგ) პარტიები ისწრაფვიან პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებას?

5) დაშვებულია თუ არა პოლიტიკური ოპოზიციის არსებობა და რა ზომით?

6) როგორია პიროვნების მდგომარეობა მოცემულ ქვეყანაში? წარმოდგენილი დებულებები განიხილება როგორც პოლიტიკური რე-

ქიშების კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმები.

პოლიტიკური ხელისუფლება თავისი მმართველობის ფორმებითა და საშუალებებით მრავალსახოვანია („მმართველობის ფორმა“, „პოლიტიკური რეჟიმი“, „პოლიტიკური სისტემა“).

პოლიტიკური რეჟიმის ელემენტებს მიეკუთვნებიან:

1. ლეგიტიმურობის პრინციპი
2. ინსტიტუტების სტრუქტურა
3. პარტიების სისტემა
4. სახელმწიფოს ფორმა და როლი
5. საარჩევნო სისტემა.

ლეგიტიმურობის პრინციპი რეჟიმთან მიმართებაში გულისხმობს ხელისუფლების უნარს მოსახლეობას შეუქმნას „იმის რწმენა, რომ მიუხედავად ყველა მისი შეცდომისა და ნაკლოვანებისა, არსებული პოლიტიკური ინსტიტუტები საუკეთესოა, ვიდრე სხვა რომელიმე, რომელიც შეიძლება დამკვიდრდეს“ (ს.ლინცი).

განასხვავებენ ლეგიტიმურობის 2 დონეს:

I. ვერტიკალური (როცა ხელისუფლება შეესაბამება საზოგადოების ფართო ფენების ღირებულებებს და მისწრაფებებს, მათ შეხედულებებს სამართლიანობაზე და დემოკრატიაზე);

II. ჰორიზონტალური (როცა პოლიტიკური რეჟიმი ცხოვრებაში ატარებს მხოლოდ მმართველი ელიტის ღირებულებებსა და მისწრაფებებს).

საუკეთესო ვარიანტია, როცა ერთდროულად არსებობს ორივე სახის ლეგიტიმურობა.

პოლიტიკური ინსტიტუტები გარდაქმნის ცალკეული ინდივიდების ნებას პოლიტიკურ ნებად. პოლიტიკური რეჟიმის ეფექტურობა დიდადაა დამოკიდებული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციაზე და იმ პრინციპებზე, რომლითაც ურთიერთმოქმედებს ხელისუფლების სამი შტო - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუტები. უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების ფორმირების საშუალებები, მისი ორგანიზაციისა და მოქალაქეებთან მათი ურთიერთქმედების პრინციპები გამოიხატება ერთი ცნებით - „მმართველობის ფორმა“.

შეგახსენებთ, რომ სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ორი ძირითადი ფორმაა გავრცელებული: უნიტარული და ფედერაციული (იშვიათად კონფედერაციული).

მმართველობის ფორმაც ასევე ორგვარია: მონარქია და რესპუბლიკა.

მონარქიის დროს სახელმწიფოს მართვა ხორციელდება ერთპიროვნულად და იგი, როგორც წესი, მემკვიდრეობით გადადის. არის მონარქიის რამდენიმე ტიპი:

1. აბსოლუტური მონარქია (ამ დროს მთელი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება თავმოყრილია მონარქის ხელში, რომელიც არაფრითაა შეზღუდული, ხალხი კი სრულიად უუფლებოა).

2. პარლამენტური მონარქია (ამ დროს მონარქის ხელისუფლება შეზღუდულია, ის მხოლოდ წარმომადგენლობით ფუნქციას, სიმბოლოს განასახიერებს და ასრულებს: მეფობს, მაგრამ არ მართავს, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტისა და მთავრობის ხელშია).

რესპუბლიკა მმართველობის ისეთი ფორმაა (წარმოიშვა ჯერ კიდევ ძველ ათენში), რომლის დროსაც სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება არჩევითი ორგანოების მიერ, რომელთაც ხალხი ირჩევს განსაზღვრული ვადით. ხელისუფლების სამი შტო აქ დანაწილებულია და ერთმანეთს აკონტროლებს, სახელმწიფოს მეთაურს, მონარქისაგან განსხვავებით, აკისრია იურიდიული პასუხისმგებლობა კონსტიტუციის მიხედვით. არსებობს ორი ტიპის რესპუბლიკა:

I საპარლამენტო (ამ დროს ერთადერთ დემოკრატიულ კანონიერ ინსტიტუტად პარლამენტი გვევლინება, მთავრობის ხელისუფლება კი მთლიანად დამოკიდებულია პარლამენტის ნდობის ვოტუმზე. ამ სისტემაში შეიძლება არსებობდეს პრეზიდენტის ინსტიტუტიც, რომელიც აირჩევა ხალხის ან პარლამენტის მიერ, მაგრამ არ გააჩნია საკმარისი უფლებამოსილება პრემიერ-მინისტრთან შედარებით (მაგ: დღევანდელი გფრ)).

II საპრეზიდენტო (აშშ, ბრაზილია და სხვა) აქ პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურიცაა და სახელმწიფოს მეთაურიც, აქვს მთავრობისა და აღმინისტრაციის შემადგენლობაზე კონტროლის უფლება, ირჩევა პირდაპირი სახალხო კენჭისყრით გარკვეული ვადით და დამოკიდებული არ არის პარლამენტის ნდობის ვოტუმზე. ამ სისტემაში პრეზიდენტი მართავს, პარლამენტი კი კანონებს იღებს.

III შერეული-საპრეზიდენტო-საპარლამენტო რესპუბლიკა (მაგ: საფრანგეთი). აქ პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია და არაა მთავრობის ხელმძღვანელი. მთავრობა ამ დროს ნდობის ვოტუმს იღებს პარლამენტი-საგან. პრეზიდენტს აქვს პარლამენტის დათხოვნის და ახალი არჩევნების დანიშვნის უფლება.

პოლიტიკური რეჟიმის ტიპები. დღეისათვის ცნობილია პოლიტიკური რეჟიმის 3 ტიპი (რომლებიც წმინდა სახით არ არსებობენ). ესენია:

1. ტოტალიტარიზმი
2. ავტორიტარიზმი
3. დემოკრატია

„როგორც რესპუბლიკას ესაჭიროება ზნეობრიობა, მონარქიას კი ღირსება, ისე დესპოტური მმართველობისათვის შიშია საჭირო“.

შარლ ლუი მონტესკიე.

ტოტალიტარიზმის არსი და კრიტიკურიუმები. ტერმინი „ტოტალიტარიზმი“ ლათინური totalis-დან მომდინარეობს და „მთლიანს, ერთიანს, სრულს“ ნიშნავს. ეს ტერმინი შემოღებული იქნა იტალიური ფაშიზმის იდეოლოგიის ჯ.ჯენტილეს მიერ XX საუკუნის დასაწყისში. ამ ტერმინმა პირველად 1925 წელს გაიჟღერა იტალიის პარლამენტში, ხოლო პოლიტიკურ ლექსიკონში ის შემოტანილი იქნა იტალიური ფაშიზმის ლიდერის ბენიტო მუსოლინის მიერ. დიქტატურის ეს ახალი ფორმა XX საუკუნეში წარმოიშვა და მის 2 სახესხვაობას გამოჰყოფენ: ფაშისტურსა და კომუნისტურ ტოტალიტარიზმს. ამ დროს სახელმწიფო თავის თავზე იღებს საკუთარ მოქალაქეებზე პასუხისმგებლობას და აკონტროლებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ძალადობის გზით. იშლება ყოველგვარი საზღვარი პოლიტიკასა და სოციალურ შორის. ეკიდენსი გამოჰყოფს ტოტალიტარიზმის 4 ნიშანს, რარონიხუსს, ხოლო ჟეჟელევი, კფრიდრიჰი და ზ.ბზეჟინსკი - ექვს ნიშანს (კრიტიკიუმს):

1. ძალადობით დაწესებული მონოპოლიური იდეოლოგია;
2. ერთადერთი პარტია;
3. ტერორი საიდუმლო პოლიციის დახმარებით, საკონცენტრაციო ბანაკები.
4. კომუნიკაციების საშუალებათა (პრესა, რადიო, ტელევიზია) მონოპოლიური ფლობა;
5. შეიარაღების მონოპოლიური უფლება;
6. ეკონომიკის ცენტრალიზაცია (მართვისა და კონტროლის ცენტრალიზებული სისტემა).

ტოტალიტარიზმი უფრო უნდა განვიხილოთ, როგორც გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური რეჟიმის ფორმა, როდესაც დიქტატორი იღებს ძალაუფლებას და მასობრივი ტერორის დახმარებით ნერგავს ტოტალიტარულ იდეებს - სტალინის მმართველობის პერიოდი სსრ კავშირში, ჰიტლერისა - გერმანიაში, ან პოლ პოტისა კამბუჩიაში (პოლ პოტმა 7 მილიონი მოსახლეობისაგან 4 მლნ გაანადგურა). ყველა ასეთი რეჟიმისათვის დამახასიათებელია მეტიხმეტი სიმკაცრე და ხელისუფლების მიერ პროვოცირებული მკვლევლობები და ხალხის მოსპობა. ტოტალიტარიზმი ყალიბდება ისეთ საზოგადოებაში, სადაც ცხოვრების ყველა სფერო ღრმა კრიზისის პირობებში იმყოფება, საიდანაც

აუცილებელია გამოსვლა.

ავტორიტარიზმი და მისი ნიშნები. ავტორიტარიზმი („ავტოკრატია“ - ერთი პიროვნების შეუზღუდავი მმართველობა), როგორც პოლიტიკური რეჟიმი, ყველაზე გავრცელებული ტიპია კაცობრიობის ისტორიაში. მას შუალედური მდგომარეობა უკავია ტოტალიტარიზმსა და დემოკრატიას შორის (ავტოკრატიულობით იგი ტოტალიტარიზმს ენათესავება, ხოლო ავტონომიური - ეკონომიკისა და კერძო ცხოვრების არსებობით, სამოქალაქო საზოგადოების ელემენტების შენარჩუნებით, იგი დემოკრატიის მსგავსია).

ამრიგად, ავტორიტარიზმი შეიძლება განისაზღვროს როგორც ერთი პირის ან პირთა ჯგუფის შეუზღუდავი ძალაუფლება, რომელიც არ უშვებს პოლიტიკური ოპოზიციის არსებობას, მაგრამ ინარჩუნებს პიროვნებისა და საზოგადოების ავტონომიას არაპოლიტიკურ სფეროებში. ავტორიტარიზმს გააჩნია რამდენიმე ნიშანი:

1. ავტოკრატია (ძალაუფლების მატარებელთა მცირე რიცხვი - მონარქი ან ტირანი, ან სამხედრო ხუნტა და სხვ)
2. ძალაუფლება შეუზღუდავია (მოქალაქეები ამ ხელისუფლებას ვერანაირად ვერ აკონტროლებენ)
3. რეალურ თუ პოტენციურ ძალაზე დაყრდნობა (მმართველი ფლობს საკმარის ძალას ხალხის მორჩილებაში საყოლიებლად, თუმცა შეიძლება კანონებითაც მართოს, რომელსაც თავისებურ განმარტებას აძლევს)
4. ძალაუფლების და პოლიტიკის მონოპოლიზაცია (რეალური ოპოზიციის და კონკურენციის არარსებობა)
5. პიროვნებას და საზოგადოებას ეძლევა ავტონომია ეკონომიკის და სხვა არაპოლიტიკურ სფეროებში.
6. პოლიტიკური ელიტის რეკრუტირება (გაწვევა, შევსება) ხდება არა კონკურენციულ ელექტორალური ბრძოლის, არამედ კოოპტაციის, ზემოდან დანიშვნის გზით.

ავტორიტარული რეჟიმები მთლიანად შეთავსებადია ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ და ხანდახან იდეოლოგიურ პლურალიზმთანაც კი.

ავტორიტარულ რეჟიმს აქვს როგორც სუსტი, ისე ძლიერი მხარეები.

სუსტი მხარეებია: ა) პოლიტიკის სრული დამოკიდებულება სახელმწიფოს მმართველის ან ხელისუფალთა ჯგუფის პოზიციაზე, ბ) პოლიტიკური ავანტიურისა და თვითნებობის შეუზღუდაობა, გ) საზოგადოებრივი ინტერესების გამოხატვის ინსტიტუტთა შეზღუდულობა.

ძლიერი მხარეებია: ა) პოლიტიკური სტაბილურობისა და საზო-

გადობრივი წესრიგის უზრუნველყოფის, ბ) გარკვეული ამოცანების გადასაწყვეტად საზოგადოებრივი რესურსების მობილიზების, გ) პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგობის გადალახვის უნარი.

ამიტომ, იგი მკვლევართა აზრით, საკმაოდ ეფექტური საშუალებაა რადიკალური საზოგადოებრივი რეფორმების გასატარებლად კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ქვეყნებისათვის.

დემოკრატიის არსი და ტიპები. „დემოკრატია“ ბერძნული სიტყვაა და ხალხის მმართველობას, ძალაუფლებას ნიშნავს. მაგრამ ვინ შეიძლება ჩავთვალოთ „ხალხად“, როგორ შეიძლება მთელი ხალხი მართავდეს ქვეყანას თუ ესაა მართვა ხალხის სახელით?

სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინ „დემოკრატიის“ 4 მნიშვნელობას გამოყოფენ:

1. დემოკრატია, როგორც ხალხის მმართველობა;

2. დემოკრატია, როგორც ნებისმიერი ორგანიზაციის წყობის ფორმა, რომელიც დაფუძნებულია მმართველობაში მისი წევრების თანასწორ მონაწილეობასა და უმრავლესობის მიხედვით გადაწყვეტილების მიღებაზე;

3. დემოკრატია, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა ხალხის ძალაუფლების, დემოკრატიული მიზნებისა და იდეალების განსახორციელებლად;

4. დემოკრატია, როგორც ფასეულობათა განსაზღვრულ სისტემაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წყობის იდეალი და მისი შესატყვისი მსოფლმხედველობა;

ისტორიულად დემოკრატიის მრავალი ტიპია ცნობილი (მაგ: პირველყოფილი, სამხედრო, ანტიკური). დღეს გამოყოფენ დემოკრატიის 3 ტიპს:

I წარმომადგენლობითი მრავალპარტიული დემოკრატია (სადაც არსებობს მინიმუმ ორი პარტია)

II წარმომადგენლობითი ერთპარტიული დემოკრატია (ყოფილი სსრკაკშირი, ჩინეთი და სხვა)

III ერთობლივი დემოკრატიული მმართველობა (ანუ პირდაპირი და უშუალო დემოკრატია).

თანამედროვე დემოკრატიის ხასიათისა და შეზღუდულობის შესახებ ყველაზე გავრცელებულ წარმოდგენათა სისტემებს მიეკუთვნება: ლიბერალური, კოლექტივისტური, პლურალისტური დემოკრატიები.

რა წანამძღვრებია საჭირო ჭეშმარიტი, ლიბერალური დემოკრატიის არსებობისათვის:

1. საბაზრო, კონკურენციული ეკონომიკა;



2. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე;
3. მოქალაქეთა კეთილდღეობის შედარებით მაღალი დონე;
4. სოციალური უთანასწორობის დაბალი დონე; მრავალრიცხოვანი და გავლენიანი საშუალო ფენა;
5. გადაწყვეტილებების მიღების ავტონომიურ ცენტრთა სიმრავლე, ანუ განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება;
6. სამოქალაქო-პოლიტიკური კულტურა, რომელშიც შერწყმულია აქტივისტური და მორჩილებითი კულტურის თვისებები.

დემოკრატია, როგორც პოლიტიკური რეჟიმი, შემდეგი ნიშნებით ხასიათდება:

- ა) პოლიტიკური ხელისუფლება ეკუთვნის უმრავლესობას, ხელისუფლების წყაროა ხალხი;
- ბ) ხელისუფლება ყალიბდება თავისუფალი არჩევნების გზით;
- გ) დაცულია უმცირესობის უფლებები, მმართველი რეჟიმის კრიტიკის უფლება და მისი შეცვლა შესაძლებელია არჩევნების გზით;
- დ) ხელისუფლება დანაწილებულია 3 დამოუკიდებელ შტოდ (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო);
- ე) კონკურენტული ორ ან მრავალპარტიული სისტემის არსებობა;
- ვ) პიროვნების სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური უფლებების გარანტიები.

დემოკრატიის შესაძლებლობის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა ინდივიდებში შესაბამისი სამოქალაქო (სიმაჰაცე, ტოლერანტობა, ავტონომიურობა, თავდადება) და პოლიტიკური სათნოების (ზომიერება, სიმტკიცე-პრინციპულობა, სიფრთხილე) არსებობა.

დემოკრატიზაციის გზაზე მრავალი ეროვნულ-კულტურული თუ სოციალური წინაღობა გვხვდება, რის გამოც ბევრ ქვეყანაში დემოკრატია მარცხს განიცდის (ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოდ ქცევას). ასეთი დამაბრკოლებელი ფაქტორები შეიძლება გახდეს:

1. ეროვნული ერთიანობის განცდის უქონლობა;
2. რელიგია;
3. სოციალური თანასწორობა;
4. სამოქალაქო საზოგადოებისაკენ მისწრაფება;
5. ლიბერალური ინსტიტუტების ისტორიული გამოცდებულობა.

როგორც ახტყვილი მიუთითებდა, დემოკრატია ყველაზე უკეთ მაშინ „მუშაობს“, როცა ზემოდან ქვემოთ კი არა, ქვემოდან ზემოთ ვრცელდება. ფფუკუამას აზრით კი, დემოკრატია, ბოლოს და ბოლოს, სწორედ თვითმმართველობამდე დაიყვანება, და თუ ადამიანებს შესწევთ

უნარი ქალაქებში, სოფლებში, კორპორაციებში, პროფკავშირებში თუ უნივერსიტეტებში „მიხედონ თავს“, საფიქრებელია, სახელმწიფო დონეზეც წარმატებით მოახერხებენ იმავეს.

ძირითადი ტერმინები:

1. პოლიტიკური რეჟიმი
2. ლეგიტიმურობის დონე
3. მონარქია
4. რესპუბლიკა
5. ტოტალიტარიზმი
6. ავტორიტარიზმი
7. დიქტატურა
8. დემოკრატია (ლიბერალური, კოლექტივისტური, პლურალისტური)
9. სამოქალაქო და პოლიტიკური სათნოებანი.

ქვეყანაში კანონები და პოლიტიკური კურსი ხორციელდება სხვადასხვა სახის სამინისტროების, სააგენტოების, დეპარტამენტების, სამმართველოების, დაწესებულებების და სხვა სამთავრობო ერთეულების საშუალებით. ყველა ამათ ბიუროკრატია უწოდებენ.

ბიუროკრატის არსი ბიუროკრატია აღნიშნავს ნებისმიერ დიდსა და რთულ ორგანიზაციას, რომლის თანამშრომლებსაც გააჩნიათ ძალიან კონკრეტული პასუხისმგებლობა და რომლებიც მუშაობენ უფლებამოსილების იერარქიული პრინციპით - უმცროსი თანამდებობრივად ექვემდებარება თავის უშუალო უფროსს. ასეთი ორგანიზაციები ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელთა გარეშე სახელმწიფოებრივი მმართველობის განხორციელება შეუძლებელია.

თანამედროვე სამთავრობო ბიუროკრატის ორგანიზაცია ხშირად ასახავს თვით მისი გადარჩენის მოთხოვნილებებს. პრეინდუსტრიულ ტომებსაც ხშირად მტრულ გარემოცვაში უხდებოდათ გადარჩენისათვის ბრძოლა. არანაკლებ მტრულია თანამედროვე გარემოცვა, რომელიც სავსეა დაპირისპირებული პოლიტიკური მოთხოვნებით და ბიუჯეტის შემცირების მუდმივი მუქარით. ის, თუ როგორ არის ორგანიზებული სამთავრობო ბიუროკრატია, ასახავს, აგრეთვე, მისი კლიენტების მოთხოვნილებებსაც. ეფექტიანი ორგანიზაციის ჩამოყალიბებისათვის ერთი გზა არ არსებობს. მაგ: თუ სახელმწიფო სკოლების მუშაობა შეიძლება უფრო ეფექტური გახადოს მათთვის მინიჭებულმა მეტმა ავტონომიამ, სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის გასაუმჯობესებლად იგივე საშუალება შესაძლოა არ გამოდგეს.

ბიუროკრატის შესწავლა კონცენტრირებულია დიდი სამთავრობო ორგანიზაციების პრობლემებზე. მოქალაქეთა წარმოდგენებში მთავრობა მიაგავს რვაფეხას, რომლის საცეცები ყველგან და ყველაფერს შეიძლება მიწვდეს.

ბიუროკრატის არსებობა წარმოშობს სიძნელეებსაც:

1. ბიუროკრატული აპარატის მრავალფეროვნება საკითხის გადაჭრას დროში საკმაოდ აზანგრძლივებს - თითოეულმა საკითხმა უნდა გაიაროს წინასწარ დადგენილი წესით ყველა ინსტანცია სათანადო პროცედურებით, რომ საბოლოო დასკვნა იქნას გამოტანილი.

2. თანამედროვე საზოგადოების განვითარების დონე და ხელისუფლების უკეთ ფუნქციონირების მოთხოვნები იწვევენ ბიუროკრატული აპარატის გაზრდას, რაც ზედმეტ ხარჯებთანაა დაკავშირებული და მძიმედ აწვება მოსახლეობას.

ფრანგი პოლიტოლოგის დომინიკ კოლას აზრით ბიუროკრატული

ადმინისტრაცია თანამედროვე დასავლური სახელმწიფოს ფორმას, მაგრამ ტერმინი „ბიუროკრატია“ შეიძლება გავიგოთ, როგორც მინიმუმ ორი მნიშვნელობით: თუ ბიუროკრატია, როგორც ჯგუფი, წარმოადგენს იმას ერთობლიობას, ვინც ახორციელებს საორგანიზაციო მისიას დაწესებულებებში, ბიუროკრატია უწოდებენ, აგრეთვე, როგორც აღწერით, ისე კრიტიკული მნიშვნელობით, ჯგუფს, რომელიც ინსტიტუტს თავისი ფუნქციების შესრულებაში უშლის ხელს, რათა მიიღოს საკუთარი მოგება (სარგებლობა).

ყველა ქვეყნის მოქალაქეთა საერთო წუხილია ბიუროკრატიული აპარატის სიდიდე და მათ მიერ გადასაწყვეტი ამოცანების სიმრავლერა იწყვეს ამას?

მთავრობის ზრდა, 1918-1921 წ.წ. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობაში სულ ხუთიოდე სამინისტრო იყო, დღეს კი საქართველოს მთავრობაში 30-ზე მეტი სამინისტრო და დეპარტამენტია გაერთიანებული.

მთავრობის რიცხოვრივ ზრდას ბევრი მიზეზი განაპირობებს:

1. მეცნიერება და ტექნიკა. ადრინდელთან შედარებით თვით საზოგადოება გახდა უფრო რთული. გაჩნდა ისეთი ახალი სამინისტროები და დეპარტამენტები, რომლებიც ადრე საჭირო არ იყო.

2. ბიზნესის რეგულირება. მთავრობის ზრდის მეორე მიზეზია საზოგადოებრივი აზრის შეცვლა ბიზნესთან დაკავშირებით. თუ ადრე ბიზნესი ავტონომიური სფერო იყო და მთავრობა მასში არ ერეოდა, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში დამოკიდებულება ამისადმი შეიცვალა - საზოგადოება მიხვდა, რომ ჩაურევლობის წყალობით მათ არ ექნებოდათ მომხმარებლისათვის სარგებლობის მომტანი კონკურენტუნარიანი ბაზარი. მთავრობის ჩარევა ეკონომიკაში თანდათანობით მისაღები გახდა იმდენად, რამდენადაც აუცილებელი იყო მწარმოებელთა და გამსაღებელთა შესაძლო უპატიოსნო პრაქტიკასთან ბრძოლა. ამ მიზნით, მაგალითად, აშშ-ში (და ჩვენთანაც) შეიქმნა ახალი ბიუროკრატიული აპარატები. ასეთებია, მაგ: - ფასიანი ქაღალდებისა და საბირჟო კომიტეტი“, რომელიც აკონტროლებს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას, „სასურსათო პროდუქტებისა და ფარმაცოლოგიის ადმინისტრაცია“, რომლის მიზანია დაიცვას მომხმარებელი არასაიმედო კვების პროდუქტების, წამლებისა და კოსმეტიკური საშუალებებისაგან“, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია (აკონტროლებს ენერგეტიკის სფეროს), კავშირგაბმულობის მარეგულირებელი კომისია (აკონტროლებს ტელერადიო მაუწყებლობას და სატელეფონო კომპანიებს) და ა.შ.

ამ ბიუროკრატიული აპარატების მეშვეობით მთავრობა ხდება ბაზრის არბიტრი, რომელიც აწესებს პატიოსანი ვაჭრობის ნორმებს, ად-

გენს ტარიფებს და გასცემს ლიცენზიებს ცალკეული ტიპის საქმიანობაზე.

3. სოციალური კეთილდღეობა. შეიცვალა შეხედულებები სოციალური კეთილდღეობის სფეროში მთავრობის პასუხისმგებლობის მიმართ. დღეს მსოფლიოში მთავრობებს სულ უფრო მეტი მოვალეობები ეკისრებათ ამ კუთხით, განსაკუთრებით დაბალშემოსავლიანი, შრომისუუნარო და ღარიბი მოსახლეობის მიმართ, რომელთა დასახმარებლად ყველა ქვეყანაში სპეციალური პროგრამები დგება.

4. პროგრესის რწმენა. ადამიანების მტკიცე რწმენა პროგრესში ასევე ხელს უწყობს დიდი და მძლავრი მთავრობის არსებობას, განსაკუთრებით დიდ ქვეყნებში. დღეს, როცა კოსმოსში უკვე პირველი ტურისტი წავიდა, ადამიანებს უფრო დიდი ორიენტირები უჩნდებათ სამომავლოდ. იგივე შემართება ამომრავლებს პოლიტიკოსებს, როცა ომს უცხადებენ სიღარიბეს, კიბოს, შიდსს და ა.შ. რაც მოითხოვს დიდსა და კარგად დაფინანსებულ პროგრამებს და შესაბამისად ახალ შტატებს.

5. პატივმოყვარე ხელმძღვანელები. დაბოლოს, მთავრობა გაიზარდა იმიტომაც, რომ მისი ქვედანაყოფების ხელმძღვანელებმა გაზარდეს თავისი ორგანიზაციები და შტატები, რათა მეტი უფლება და პასუხისმგებლობა აეღოთ თავის თავზე, და მიიღონ გარკვეული სარგებელიც.

ბიუროკრატიის კულტურა. რატომ მოქმედებენ მოხელეები „ბიუროკრატიულად“? პიროვნებები, რომლებიც მუშაობენ დიდი ორგანიზაციებში, თავს ვერ აარიდებენ „ბიუროკრატიული კულტურის“ გავლენას. თანამედროვე ბიუროკრატიული აპარატი ავითარებს დახვეწილ წესებს და სტანდარტებს, რათა უფრო ეფექტიანი გახადოს თავისი საქმიანობა. მაგრამ თითოეულ ორგანიზაციაში არსებული ნორმები (ქცევის არაოფიციალური, დაუსწერელი წესები) გავლენას ახდენენ მასში მომსახურე ხალხის მოქმედებაზე.

ბიუროკრატიული აპარატები პოლიტიკის შემუშავებისას ხშირად განიცდიან მასში მომუშავე ხალხის, ხელმძღვანელების გაბატონებული ჩვევების, განწყობების, მოლოდინის ზეგავლენას. სამინისტროები და უწყებები, ჩვეულებრივ ავითარებენ იმ ვალდებულებების გრძნობას, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ცალკეულ მიზანზე და მისი მიღწევის საშუალებებზე.

ბიუროკრატები, ერთი შეხედვით, შეიძლება სრულიად უარყოფით პიროვნებად მოგვეჩვენონ, მაგრამ მათ საქმიანობას დადებითი მხარეც აქვს - პასუხისმგებლობის გამოკვეთილი გრძნობა, ძლიერი კორპორაციული სული. ბიუროკრატთა სიფრთხილე და წესდებებისადმი ერთგულება მათი თანმიმდევრულობისა და შეუვალობის საზომია. ყველაფერი მწობრიდან გამოვიდოდა, თუ მთავრობის მოხელეები ისე გაიგებდნენ წესდე-

ბას, როგორც თითოეულ მათგანს მოესურვებოდა. ბიუროკრატები „მის-
დევნენ წესებს“, რადგანაც ეს „წესები“ ეყრდნობა ქვეყნის კანონებსა და
წესდებებს.

მთავრობის სიდიდის ერთ-ერთი მიზეზია თვით ხელისუფლებისა და
ბიზნესის პატიოსნების უზრუნველყოფა: მთავრობას უხდება დიდი თანხე-
ბის გაღება ბიუროკრატებისა და იმ ადამიანების, რომელთაც ბიუროკრა-
ტები მართავენ, ქცევის მონიტორინგის მიზნით. იქამდე, ვიდრე მფლანგ-
ველობა, თაღლითობა, კორუფცია, თანამდებობის ბოროტად გამოყენება
არსებობს და საზოგადოება ბიუროკრატის რეფორმირებას მოითხოვს,
საჭირო იქნება ბიუროკრატების ახალი ფენების დამატება კონტროლის
მიზნით.

ამგვარად, არსებობს დაპირისპირება ორ მიზანს შორის: 1. შემცირ-
დეს მთავრობა, არ ჩაერიოს არაფერში და, ამდენად გახდეს უფრო
ეფექტიანი და; 2. ხალხი დაცული იქნეს ბიუროკრატების თაღლითობისა
და არასაიმედო ან არაკეთილსინდისიერი ბიზნესისაგან, დაწესდეს მათ-
ზე კონტროლი.

ეს ის ტრადიციული დილემაა, რომელიც არსებობს თავისუფლებასა
და წესრიგს შორის.

ყველა საზოგადოებას სჭირდება წესრიგის დაცვა, მაგრამ მსოფლიოს
ბევრ ქვეყანაში ბიუროკრატიული აპარატი ემსახურება ავტოკრატიული
რეჟიმის ინტერესებს. ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლი-
კის (გდრ) საიდუმლო პოლიცია (შემოკლებით „შტაზი“) იყო უდიდესი
ბიუროკრატიული აპარატი, რომელმაც საზოგადოების ყველა სფეროში
შეაღწია: მას ჰყავდა 85 ათასი მუშაკი სრულ შტატზე. აქედან 6 ათასის
ერთადერთი ამოცანა იყო სატელეფონო საუბრების მოსმენა, 2 ათასი –
ორთქლზე ხსნიდა წერილებს, კითხულობდა მათ, კვლავ ლუქავდა და
ისე უგზავნიდა ადრესატს. შტაზის დაქირავებული ჰყავდა, აგრეთვე 150
ათასი აქტიური ინფორმატორი და ჰყავდა ასეულ ათასობით დამსმენი.
საქმეები შედგენილი იყო 4-5 მილიონ ადამიანზე (ქვეყნის მოსახლეობა 16
მილიონი იყო). მიუხედავად იმისა, რომ გდრ-ს დიდი არმია გააჩნდა,
შტაზის არსენალში 250 ათასი იარაღის ერთეული იყო.

შტაზიმ შეაღწია გდრ-ის მთავრობის უმაღლეს ემელონებში, წარმო-
ების სფეროში და უნივერსიტეტებში, სადაც მას ადგილებზე გამწესებუ-
ლი ჰყავდა 2 ათასი აგენტი.

ძირითადი ტერმინები

1. ბიუროკრატია
2. ბიუროკრატიული კულტურა
3. მონიტორინგი.

რატომ გაიმარჯვეს ბოლშევიკებმა რუსეთში 1917 წელს და ამით „უკან დააბრუნეს“ მთელი იმპერია? რატომ დაიშალა სსრ კავშირი 1991 წელს?

ამ კითხვებზე ერთი პასუხი არსებობს – იმიტომ, რომ არ არსებობდა სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც იბრძოლებდა თავისი უფლებების დასაცავად.

მაინც რა არის სამოქალაქო საზოგადოება?

სამოქალაქო საზოგადოება არის ზნეობრივი, რელიგიური, ეროვნული, სოციალურ-ეკონომიკური, საოჯახო ურთიერთობებისა და ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელთა მეოხებითაც კმაყოფილებიან ინდივიდებისა და მათი ჯგუფების ინტერესები.

ეს განმარტება მიგვანიშნებს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ძირითად იდეას წარმოადგენს ა დ ა მ ი ა ნ ი ს პრობლემა.

ძველი მოაზროვნეები სამოქალაქო საზოგადოების შესახებ, არსებობს სამოქალაქო საზოგადოების 5 ერთმანეთისადმი დაპირისპირებული მნიშვნელობა, მაგრამ ყველა მათგანში მას უპირისპირებენ „ოჯახს“: სამოქალაქო საზოგადოება ან პოლიტიკური საზოგადოება, ან პოლიტიკური ერთობლიობა, ან სახელმწიფო იმ განსაზღვრებების მიხედვით, რომელიც მას მიეცემა, ყოველთვის წარმოიდგინება როგორც კავშირის, ასოციაციის განსაკუთრებული წესი, რაც განასხვავებს მას ნათესაური კავშირისაგან, რომელიც ეფუძნება სისხლით ერთობას.

1. არისტოტელესთან „სამოქალაქო საზოგადოება“ ანუ „პოლიტიკური ერთობლიობა“ წარმოადგენს საზოგადოების ერთ-ერთ ფორმას. ოჯახისაგან განსხვავებით ის უპირისპირდება ეთნოსს, ხალხს, უფრო დაბალი ორგანიზაციის წესით, სადაც ადამიანის ბუნება „სოციალური/პოლიტიკური ცხოველი“ სრულად არ არის განხორციელებული.

2. წმინდა ავგუსტინესათვის მიწიერი საზოგადოება უპირისპირდება ღვთის ქალაქს. ამ ორ სამეფოდ დაყოფა სათავეს იღებს ცოდვაში. ყველა პოლიტიკური საზოგადოება არ არის ტოლფასი; ის, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობასა და ძალისმიერი ნების გაკონტროლების საშუალებას იძლევა, სხვებზე მაღლა დგას – ასეთია „რესპუბლიკა“.

3. კობსთან სამოქალაქო საზოგადოება უპირისპირდება ბუნებრივ მდგომარეობას. ის იძლევა საშუალებას ბოლო მოელოს ომს ყველასი ყველას წინააღმდეგ და წინ წამოიწიოს ადამიანის ჰუმანურობის საკითხმა ფოვლისშემძლე პოლიტიკური ძალაუფლების დამყარებით, რომელსაც, ამასთანავე, არ ექნება უფლება წაართვას ადამიანებს მათი უფლებები. რუ

სოსთან სამოქალაქო საზოგადოება უპირისპირდება ბუნებრივ მდგომარეობას, მაგრამ ეს ბუნებრივი მდგომარეობა არ წარმოადგენს კონფლიქტურ არსებობას, არამედ პირიქით, ეს არის ბედნიერი ცხოველის ეული ცხოვრება, რომელმაც სამოქალაქო საზოგადოებაში დეგრადაცია განიცადა.

4. ჰეგელთან სახელმწიფო განსხვავდება სამოქალაქო საზოგადოებისაგან. მისი აზრით, სახელმწიფო წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობის პირობას. ეს არის ის სფერო, რომელშიც ადამიანები ცდილობენ დაიკმაყოფილონ თავისი მოთხოვნილებები შრომით იმ მკაცრ ჩარჩოებში, სადაც კორპორაცი

სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობა და მისი მახასიათებლები

დიდი ხნის მანძილზე პოლიტიკურ მეცნიერებაში ერთმანეთთან აიგივებდნენ ცნებებს „სახელმწიფო“ და „სამოქალაქო საზოგადოება“. შუა საუკუნეებში ცალკეულ ადამიანებს საკუთარი თავი ვერ წარმოედგინათ საზოგადოებრივი ცხოვრების გარეშე, მისგან განცალკევებულად. XVIII საუკუნიდან ერთმანეთისაგან გაიმიჯნა პოლიტიკა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროები, საზოგადოებრივი ცხოვრება გათავისუფლდა სახელმწიფო ხელისუფლების ყოელისმომცველობისაგან, გაჩნდა დამოუკიდებელი პიროვნება განუყოფელი ბუნებრივი უფლებებითა და თავისუფლებებით. ერთი მხრივ, სახელმწიფოსა და კოლექტიური ცხოვრებისაგან ადამიანის თავისუფლებისაკენ სწრაფვის პროცესი ჩამოყალიბდა ცნებაში „სამოქალაქო საზოგადოება“, მეორეს მხრივ, საზოგადოების მთლიანობის უზრუნველყოფის, ინდივიდებისა და სოციალური ჯგუფების მისწრაფებათა შეთანხმების მოთხოვნილება აისახა ცნებაში „სახელმწიფო“.

სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლები:

ა) ეკონომიკური: მრავალდარგობრივი ეკონომიკა, საკუთრების ფორმათა მრავალფეროვნება, რეგულირებადი საბაზრო ურთიერთობები;

ბ) პოლიტიკური ხელისუფლებრივ უფლებამოსილებათა დეცენტრალიზაცია, ხელისუფლების დანაწილება, პოლიტიკური პლურალიზმი, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობაში მოქალაქეთა დაშვება, კანონის უზენაესობა და მის წინაშე ყველას თანასწორობა;

გ) სულიერი: ერთი იდეოლოგიისა და მსოფლმხედველობაზე მონოპოლიის არქონა, სინდისის თავისუფლება, ცივილიზებულიობა, მაღალი სულიერება და ზნეობრიობა.

ამრიგად, სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო ურთიერთშემავსებელი და ურთიერთდამოკიდებული ინსტიტუტებია, ამიტომ ისინი პირობითადაა გამიჯნული:

სახელმწიფო: შინაარსი (სოციალური ჯგუფების, კლასების, ფენების, ეთნოსების საერთო მნიშვნელობის ინტერესების რეალიზაციის სფერო); რეალიზაციის საშუალებები (კონსტიტუცია, ხელისუფლება, სამართალი, იძულება); სახელმწიფოს საფუძვლები (პოლიტიკური ინსტიტუტები, ხელისუფლების სამი შტოს ორგანოები, ელიტა, ლიდერები..).

სამოქალაქო საზოგადოება - შინაარსი (ინდივიდების ყოველდღიური ინტერესების დაკმაყოფილების და რეალიზაციის სფერო); რეალიზაციის საშუალებები (ტრადიციები, ჩვეულებები, რწმენა, სამართლებრივი და მორალური ნორმები, ხელოვნება, სპორტი და ა.შ.).

საზოგადოების საფუძველია თავისუფალი ინდივიდი განუყოფელი უფლებებით და არაპოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთა საშუალებითაც იგი ამ უფლებების რეალიზაციას ახდენს).

სახელმწიფოშიც და სამოქალაქო საზოგადოებაშიც, ორივეგან, ერთნაირია პოლიტიკური ძალები (პარტიები, მოძრაობები, დაინტერესებული ჯგუფები, რომლებიც მოქალაქეთა ინტერესებს წარმოადგენენ).

სამოქალაქო საზოგადოება თავის არსით ბურჟუაზიული საზოგადოებაა, რომელიც უარყოფს საზოგადოების წოდებრივ დაყოფას. სამოქალაქო საზოგადოების საფუძველია თავისუფალი ინდივიდი, რომელსაც აქვს ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლება. სამოქალაქო საზოგადოებაში ერთმანეთისაგან გამიჯნულია ადამიანის უფლებები და მოქალაქის უფლებები. ადამიანის უფლებებს (სიცოცხლის, თავისუფლება, შრომის და სხვ) უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოება, ხოლო მოქალაქის უფლებებს (პოლიტიკურ უფლებებს) - სახელმწიფო.

ამრიგად, სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობისა და განვითარების მთავარი პირობაა ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების გამიჯვნა.

სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობის და ფუნქციონირების მიზეზებია:

1) კერძო საკუთრების არსებობა. ადამიანთა უმრავლესობა კერძო მესაკუთრეა და ცდილობს საკუთრების ამ ფორმის შენარჩუნებას კოლექტიური თუ პირადი ძალისხმევით;

2) საბაზრო ეკონომიკის არსებობა, რომელიც საკუთარი კანონებით იმართება. მასთან დაპირისპირება საერთოდ ძნელია, ერთპიროვნულად კი საერთოდ შეუძლებელი. ამიტომ სხვადასხვა სახის ორგანიზაციები აიოლებენ ამ სიძნელეთა დაძლევას - საბაზრო კანონებისადმი მისადაგებას;

3) მოქალაქეთა ინტერესების მრავალფეროვნება, ინტერესთა სპექტრის განსაკუთრებული სიფართოვე, რომელსაც ვერ გასწვდება სახელმ-

წიფო. ამიტომ ის შეიძლება დაკმაყოფილდეს სხვადასხვა სპეციალური ორგანიზაციების შექმნით და მათი ფუნქციონირებით (მაგ: საქველმოქმედო ფონდები, ეკოლოგიური ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ).

სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირების მნიშვნელოვანი პირობაა სოციალური თავისუფლება, დემოკრატიული სახელმწიფოებრივი მმართველობა, პოლიტიკური დისკუსიებისა და პოლიტიკური მოღვაწეობის საზოგადოებრივი გარემოს არსებობა, საჯაროობა და მოქალაქეთა მაღალი ინფორმირებულობა, სამართლებრივი და საკანონმდებლო გარანტიები. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი ფუნქციაა საზოგადოების მატერიალურ, სოციალურ და სულიერ მოთხოვნილებათა უკეთ და მაქსიმალურად დაკმაყოფილება.

სამოქალაქო საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დაინტერესებულ ჯგუფებს, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა პროფესიისა და ფენის ადამიანთა ორგანიზაციებსა და ასოციაციებს, რომლებიც გაერთიანებულია საერთო ინტერესებით.

სამოქალაქო საზოგადოებაში არსებობს ისეთი საქველმოქმედო საზოგადოებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოვრებისათვის საჭირო საარსებო მინიმუმს საზოგადოების თითოეული წევრისათვის (დატაკისათვის) და პირველ რიგში მათთვის, ვისაც რაიმე მიზეზის გამო არ შეუძლია საარსებო მინიმუმის თავად მოპოვება (ინვალიდები, ავადმყოფები, ობლები, უპატრონო მოხუცები, ბავშვები და ა.შ.).

სამოქალაქო საზოგადოებაში ქრება პოლიტიკისა და რელიგიის, პოლიტიკისა და იდეოლოგიის ერთიანობა. რელიგია გამოყოფილია პოლიტიკისაგან. აქ რწმენა არის მორწმუნის პირადი საქმე (ე.წ. სინდისის თავისუფლება). ასევე თავისუფლდება სახელმწიფოს კონტროლისაგან ლიტერატურა, ხელოვნება, განათლება, მეცნიერება და ა.შ.

სამოქალაქო საზოგადოება მოიცავს პიროვნებათშორის ურთიერთობების მთელ სპექტრს, რაც სახელმწიფოს ჩარევის გარეშე და მისი ჩარჩოების მიღმა ვითარდება. იგი მოიცავს ასევე სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ინსტიტუტების განტოტებულ სისტემას, რომლებიც ინდივიდთა ყოველდღიური და კოლექტიურ მოთხოვნილებების რეალიზაციას ახდენენ.

პირთაშორის ურთიერთობების პირველ დონეს შეადგენს წარმოებითი ურთიერთობები, რომლებიც ძირითადი ადამიანური მოთხოვნილებების - კვების, ტანსაცმლის, ბინის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ (პროფესიული, მომხმარებელთა და სხვა გაერთიანებანი).

პირთაშორის ურთიერთკავშირების მეორე დონეს ქმნის სოციოკულ-

ტურული საშუალებები - (საოჯახო-ქორწინებითი, რელიგიური, ეთნიკური და სხვა სახის ურთიერთმოქმედებები) გვარის გაგრძელების, განმრთელობის, ბავშვთა აღზრდის, სულიერი სრულყოფის და რწმენის, ინფორმაციის, სექსის და სხვ. მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება (ოჯახის, ეკლესიის, სასწავლო და სამეცნიერო, შემოქმედებითი, სპორტული და სხვა საზოგადოებების მეშვეობით).

პირთაშორის ურთიერთობების შესამე, უმაღლეს დონეს შეადგენს პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობები, რომლებიც ხელს უწყობს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას პოლიტიკური მონაწილეობის სფეროში. ეს დონე გულისხმობს ინდივიდში კონკრეტული პოლიტიკური პოზიციების ჩამოყალიბებას. ინდივიდებისა და ჯგუფების მიერ პოლიტიკური უპირატესობის მინიჭება ხდება დაინტერესებული ჯგუფების, პოლიტიკური პარტიების, მოძრაობების დახმარებით.

საზოგადოება პირობითად 3 სექტორად შეიძლება დაიყოს:

1) პირველი სექტორი. - სახელმწიფო, რომელიც მართავს საზოგადოების ცხოვრებას.

2) მეორე სექტორი - ბიზნესი, რომელიც ზრუნავს თითოეულზე ფულის წყალობით.

3) მესამე სექტორი - არაკომერციული ორგანიზაციები (საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც იქმნება საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და საქველმოქმედო ორგანიზაციები, რომლებიც სხვების (მაგ: უმწევთა და დაერდომილთა) დასახმარებლად იქმნება).

ძირითადი ტერმინები:

1. სამოქალაქო საზოგადოება
2. სამართლებრივი სახელმწიფო
3. წარმოებითი და სოციოკულტურული ურთიერთობები
4. არასამთავრობო ორგანიზაციები
5. მესამე სექტორი
6. ეკონომიკური და სოციალური თავისუფლება.

სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირების პრინციპები:

- წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება;
- პიროვნების ინდივიდუალური თავისუფლება და დამოუკიდებლობა;
- სახალხო სუვერენიტეტი;
- საზოგადოებრივი აზრის ფორმირების თავისუფლება;
- კანონთა სამართლიანობა და მათი აუცილებელი შესრულება;
- სახელმწიფოსა და საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ ინფორმირებულება.

სამოქალაქო საზოგადოების ნიშნები:

- ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლების სრული უზრუნველყოფა;
- თვითმართვადობა;
- მისი შემადგენელი სტრუქტურებისა და ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების კონკურენცია;
- საზოგადოებრივი აზრის თავისუფალი ფორმირება და პლურალიზმი;
- ეკონომიკის მრავალფეროვნება (საწარმოო ძალების თავისუფალ მფლობელთა არსებობა);
- ხელისუფლების დემოკრატიული ხასიათი და ლეგიტიმურობა;
- სამართლებრივი სახელმწიფო;
- სახელმწიფოს ძლიერი სოციალური პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა ცხოვრების ღირსეულ დონეს.
- ცხოველყოფილება მასაში მასაში დაფუძნებულია კოორდინაციის პრინციპზე;
- საყოველთაო ინფორმირებულება, ინფორმაციაზე ადამიანის უფლებების რეალური განხორციელება;
- სამოქალაქო კულტურის განსაზღვრული დონე.

სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურა

- არასახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები და ინსტიტუტები (საკუთრება, შრომა, მეწარმეობა);
- სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ მწარმოებელთა ერთობლიობა (კერძო ფირმები, ბანკები და ა.შ.);
- საზოგადოებრივი ორგანიზაციები და გაერთიანებები;
- პოლიტიკური პარტიები და მოძრაობები;
- აღზრდის სფერო და არასახელმწიფოებრივი განათლების სისტემა;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებების არასახელმწიფოებრივი სისტემა;
- ოჯახი;
- ეკლესია და ა.შ.

ინტერესთა ჯგუფები (ლობიზმი)



ინტერესთა ჯგუფები და მათი როლი. ინტერესთა ჯგუფი ინდივიდუალური ორგანიზებული ერთობაა, რომელსაც აერთიანებს კონკრეტული პოლიტიკური მიზნები და რომელიც ცდილობს გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე.

აშშ-ში ყველაზე ცნობილ ინტერესთა ჯგუფებს წარმოადგენენ „ამერიკის შრომის ორგანიზაცია და საწარმოო პროფკავშირების კონგრესი“, „ამერიკის ფერმერთა ბიუროების ასოციაცია“ (წარმოადგენს ფერმერთა ინტერესებს), „ბიზნესმენთა მრგვალი მაგიდა“ (წარმოადგენს მსხვილ ბიზნესს) და „საერთო საქმე“ (წარმოადგენს ხელისუფლების რეფორმით დაინტერესებულ მოქალაქეებს). ინტერესთა ჯგუფებს ხანდახან ლობის უწოდებენ, ხოლო მათ წარმომადგენლებს - ლობისტებს.

ლობირება არის ლობისტების მიერ ხელისუფლების დარწმუნების პროცესი მოსახლეობის რომელიმე ნაწილის ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობაში. ე.ი. ლობისტები გამოხატავენ მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის ინტერესებს და ცდილობენ დაითანხმონ ხელისუფლება ამ ჯგუფებისათვის ანგარიშის გასაწევად. ლობისტები გამუდმებით აწვდიან ინფორმაციას ხელისუფლებას იმ ჯგუფის შესახებ, რომელთა ინტერესებსაც იცავენ. ამით ხელისუფლებას შესაძლებლობა ეძლევა სრულყოფილად იცნობდეს საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის ინტერესებს. ლობისტები ამასთანავე კარგად ერკვევიან ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების ბიუროკრატიულ ტექნოლოგიაში.

ინტერესთა ჯგუფების როლი. დაინტერესებული ჯგუფების პოლიტიკის „მანკიერი“ მხარე ნათელია: თითოეულ ჯგუფს გააჩნია თავისი ეგოისტური ინტერესები, რომლებიც ყოველთვის არ ემსახურება საზოგადოების დანარჩენი ჯგუფების ინტერესებს (მაგ. სკანდალი საქართველოს პარლამენტში პიროლიზული ფისის შემოტანასთან დაკავშირებით, რომელიც მკვნე მინარევებს შეიცავს ჯანმრთელობისათვის), მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი საწინააღმდეგოს ამტკიცებს. ინტერესთა ჯგუფების „დადებითი“ მხარე შეიძლება არც ისე ნათელი იყოს. რა სარგებლობა მოაქვს ინტერესთა ჯგუფებს ქვეყნის პოლიტიკური სისტემისათვის?

1. წარმომადგენლობა - (ინტერესთა ჯგუფები წარმოადგენენ ხალხს ხელისუფლების წინაშე).

2. მონაწილეობა - (იძლევიან პოლიტიკური მონაწილეობის საშუალებას საერთო მიზნის მისაღწევად).

3. განათლება - (მიზნის განხორციელების პროცესში ეხმარებიან თავიანთი წევრების, მთლიანად საზოგადოების და მთავრობის მოხელეების განათლებას).

4. პოლიტიკური დღის წესრიგის ჩამოყალიბება - (მათ პოლიტიკურ არენაზე გამოაქვთ ახალი საკითხები).

5. პროგრამების მონიტორინგი - (ისინი თვალყურს ადევნებენ ამომრჩეველთათვის მნიშვნელოვან სამთავრობო პროგრამებს და მათ შესრულებას ადგილებზე).

ინტერესთა ჯგუფების მიერ შეგროვებული თანხის ნაწილი გამოიყენება ლობისტების საქმიანობის ასანაზღაურებლად, რომლებიც აკავშირებენ ორგანიზაციას მთავრობასთან. ლობისტებს აფასებენ გამოცდილების მიხედვით. მათ იციან ხელისუფლების მუშაობის სისტემა. ჩვეულებრივ, ეს არის ხალხი, რომლებსაც უმუშაოთ ხელისუფლების საკანონმდებლო ან აღმასრულებელ ორგანოებში და ამ მუშაობის უშუალო გამოცდილება გააჩნიათ.

არსებობს ლობირების 3 ტაქტიკა

1. უშუალო ლობირება (მიმართულია პოლიტიკის შემუშავებელთა მიმართ და ხორციელდება ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენელთა საშუალებით. პერსონალური ლობირება ყოველდღიური პროცესია - მაგ: აშშ-ის გაზის ასოციაციის ლობისტებს აქვთ ხელისუფლების 1200 წარმომადგენლის სია, რომლებიც „ხშირად უნდა მონახულონ, რათა არაოფიციალურად ისაუბრონ მათთან და ინფორმაცია მიაწოდონ ასოციაციის შესახებ“. ლობისტების ჯგუფის ხელმძღვანელს აქვს მაღალი რანგის მთავრობის მოხელეების მოკლე, 104 კაციანი სია, რათა შეხვდეს თითოეულ მათგანს მიზნის მისაღწევად).

2. ფართო მასების ლობირება (მასში ჩართულნი არიან დაინტერესებული ჯგუფების რიგითი წევრები, აგრეთვე ის ხალხი, რომლებიც არ შედიან ამ ორგანიზაციებში, მაგრამ თანაუგრძნობენ მათ პოლიტიკურ მიზნებს. თუ ხელისუფლების წარმომადგენლები უპასუხოდ ტოვებენ ლობირების კონვენციურ (ჩვეულ) ტაქტიკას, ჯგუფმა შეიძლება მიმართოს პოლიტიკური პროტესტის რაიმე ფორმას, გაფიცვას, გამოსვლას და ა.შ.

3. საინფორმაციო კომპანიები (იგი მიმართულია საზოგადოებისადმი) ინტერესთა ჯგუფები გრძნობენ, რომ საზოგადოებრივი მხარდაჭერა მათ მოქმედებას ლობირების პროცესში კიდევ უფრო მეტ ძალას მატებს. ამ მიზნით ინტერესთა ჯგუფები მიმართავენ საინფორმაციო კამპანიებს - საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებისათვის გამიზნულ ორგანიზებულ საქმიანობას, რომლის საშუალებითაც ჯგუფი თავის თვალსაზრისს

აცნობს საზოგადოებას. პაბლიკ რილეიშენში ერთ-ერთი სანფორმაციო ტაქტიკაა. იგი მოიცავს ორატორთა გაგზავნას ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მიტინგებზე ან ბროშურების და პროსპექტების შედგენასა და გავრცელებას. ამ ტაქტიკის ძალზე თვალსაჩინო ფორმაა განცხადებების გამოქვეყნება გაზეთებსა და ჟურნალებში, მაგრამ ეს ძვირადღირებული ტაქტიკაა.

ინტერესთა ჯგუფები კიდევ ერთი გზით ახორციელებენ ზეწოლას თავისი მიზნების მისაღწევად. ეს არის კვლევის ორგანიზება, როცა ჯგუფი თვლის, რომ მას შეუძლია დაავალოს მკვლევართა ჯგუფს ამ საკითხის შესწავლა. ზოგიერთი ჯგუფი თვლის, რომ პარლამენტში სახელობითი კენჭისყრის შედეგების გამოქვეყნება საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების კარგი საშუალებაა.

ლობირების ტაქტიკის საბოლოო ასპექტია კოალიციის შექმნა. ამ დროს, ერთობლივი ლობირების მიზნით ერთიანდება რამდენიმე ორგანიზაცია. ეს ერთობლივი ძალისხმევა ხელს უწყობს მსგავსი თვალსაზრისის მქონე ჯგუფების რესურსების დაზოგვასა და უფრო ეფექტიან გამოყენებას. კოალიცია ყველაზე ხშირად იქმნება იმ ჯგუფების მიერ, რომლებიც ერთსა და იმავე პოლიტიკურ სფეროში მოღვაწეობენ და მსგავსი პოლიტიკური შეხედულებები გააჩნიათ (მაგ: ქალთა უფლებების დამცველი სხვადასხვა ორგანიზაციები და სხვ). უკანასკნელ პერიოდში მთელ მსოფლიოში გაიზარდა იმ ჯგუფების რაოდენობა, რომლებიც ცნობილნი არიან როგორც საზოგადოებრივი ინტერესების დამცველი ჯგუფები. საერთოდ, ითვლება, რომ ასეთ ჯგუფებს არ გააჩნიათ პირადი ეკონომიკური ინტერესი (მაგ: ასეთია გარემოს დაცვის ჯგუფები, რომლებიც დაბინძურების კონტროლის უფრო მაკაცრი კანონისათვის იბრძვიან, ჯგუფები რომლებიც ჯართს და ხე-ტყის გატანის წინააღმდეგნი არიან და სხვ. ასეთი ნორმების დადგენის შედეგად ისინი არ ელიან რაიმე ფინანსურ მოგებას, სარგებელი აქ იდეოლოგიური და ესთეტიკური).

ასევე მთელ მსოფლიოში იზრდება ბიზნესის ლობის რიცხვი, რომლებიც ცდილობენ კომპანიებისათვის სასარგებლო კანონების მიღებას პარლამენტში.

ლობისტური ჯგუფი ან ცალკეული ლობისტი შეიძლება წარმოადგენდეს მთელ ქვეყანას მეორე ქვეყნის ხელისუფლების წინაშე. მაგ: საქართველოს ჰყავს ოფიციალური ლობისტი აშშ-ის კონგრესსა და მთავრობაში, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ინტერესებს აშშ-ში, ლობირებას უწყევს საქართველოსათვის საჭირო და სასარგებლო გადაწყვეტილებათა მიღებას აშშ-ში. მისი წლიური ხელფასი 150 ათასი დოლა-

რია და გადაიხდება საქართველოს ხაზინიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერესთა ჯგუფების რიცხვი იზრდება და გარკვეულ ცვლილებებსაც განიცდის, ძირითადი პრობლემა, რომელიც 200-ზე მეტი წლის წინათ დააყენა მედისონმა, კვლავ გადაუჭრელი რჩება: თავისუფალ და ღია საზოგადოებაში ჯგუფები ყალიბდება, რათა გაატარონ მათთვის სასარგებლო პოლიტიკა უფრო ფართო ეროვნული ინტერესების ხარჯზე. ინტერესთა ჯგუფების სისტემა საფრთხეს უქმნის პოლიტიკური თანასწორობის იმ იდეას, რომელიც ჩამოყალიბებულია პრინციპში: "ერთი ადამიანი - ერთი ხმა".

ძირითადი ტერმინები:

1. ინტერესთა ჯგუფები
2. ლობიზმი (ლობირება)
3. ლობიზმის ტაქტიკა
4. პაბლიკ რილეიშენზ
5. ლობისტური კოალიცია
6. ზეწოლის ტაქტიკა
7. საზოგადოებრივი ინტერესების დამცველი ჯგუფები.

მეოთხე ხელისუფლება. განვითარებულ, დემოკრატიულ ქვეყნებში თავისუფალ მასმედიას ხშირად მეოთხე ხელისუფლებას უწოდებენ (იგულისხმება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შემდეგ), იმდენად დიდია მისი მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესში.

ინფორმაციის როლი და მნიშვნელობა. ადამიანის უფლების ერთ-ერთი კომპონენტია მის გარშემო და უპირველესად მის შესახებ არსებული ინფორმაციის თავისუფლად მიღების შესაძლებლობა. ეს არ ეხება სახელმწიფო და სხვა ადამიანების პირად საიდუმლოებას. არსებობს სამხედრო-პოლიტიკური, უსაფრთხოების და სხვა სახის ცნობები, რომელთა დაცვა სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის აუცილებელია. ასევე არსებობს ეკონომიკური და საფინანსო ინფორმაციები, რომლებიც მათი მფლობელების საიდუმლოს წარმოადგენენ და იგი ასეთად რჩება მანამ, სანამ უფლებამოსილი პირი ან დაწესებულება მათ საჯაროდ არ გამოაცხადებს.

ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში დაწესებულია მკაცრი კონტროლი ინფორმაციის გავრცელებაზე, ცენზურა კრძალავს ყველაფერს, რაც არსებული რეჟიმის საწინააღმდეგოა მიჩნეული. დემოკრატიულ საზოგადოებაში ცენზურა არ არსებობს და ყველას თანაბრად მიუწვდება ხელი ნებისმიერ ინფორმაციაზე სახელმწიფო საიდუმლოების გარდა. 2000 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსი სწორედ ამის უფლებას იძლევა, თუმცა იგი ჯერ კიდევ ქალაქდება დარჩენილი.

ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს (მასმედია) მიეკუთვნება: პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო და აუდიო ჩანაწერი, ვიდეო ჩანაწერი, მასობრივი ცნობარები, ელექტრონული მედია.

მასობრივი ინფორმაციის შეკრებას, დამუშავებას და გავრცელებას ახორციელებენ სხვადასხვა დაწესებულებანი-სააგენტოები, რადიო და ტელეკომპანიები, ჟურნალ-გაზეთების რედაქციები სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების (ბეჭდვითი სიტყვის, რადიო-ტელემაუწყებლობის და სხვა ელექტრონული კომუნიკალური სისტემების, ინტერნეტის) მეშვეობით.

მასობრივი საინფორმაციო საშუალებები არა მარტო შეარჩევენ ინფორმაციას, არამედ თვითონ აწარმოებენ მას, აგრეთვე გამოდიან ინფორმაციის კონტროლისა და გამავრცელებლის როლში.

მასმედია იყენებს ინფორმაციის გავრცელების ორ ძირითად ხერხს - თანმიმდევრულსა და ფრაგმენტულს პირველს მიმართავს პრესა, მეორეს - ტელევიზია.

ინფორმაციის ფრაგმენტულად გადაცემისას ინფორმაცია ქუცმაცდება, რაც ქმნის მისი მრავალმხრივობისა და ოპერატიული მიწოდების შთაბეჭდილებას და კომენტატორებს, წამყვანებს, მანიპულირების საშუალებას აძლევს. ამ შემთხვევაში მაყურებელს ინფორმაცია კონკრეტული პოლიტიკური მიზანდასახულობით მიეწოდება. მაგრამ თემებისა და გადაცემის ხერხების შერჩევა ხდება არა იმდენად პოლიტიკური მოტივებით, არამედ მეტწილად საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გათვალისწინებით. მასმედიის წარმატების მთავარი კრიტერიუმები და გადარჩენის პირობაა პუბლიკის ინტერესი და ყურადღება. ამიტომ მასმედია თემების შერჩევისას ხელმძღვანელობს რამდენიმე ზოგადი პრინციპით:

1. მოქალაქეთათვის თემის პრიორიტეტულობა და მიზნიდველობა, ე.ი. ისეთი თემების შერჩევა, რომელიც საზოგადოებას განსაკუთრებით აინტერესებს (მოქალაქეთა უსაფრთხოება, ტერორიზმი, ეპიდემიები, სკანდალები, სენსაციები).

2. ფაქტების არაორდინალურობა - ეს ნიშნავს ექსტრემალური მოვლენების - შიმშილი, ომები, სასტიკი დანაშაულობანი, მიწისძვრები და ა.შ. გაშუქება.

3. ფაქტების ოპერატიულად გადაცემა და სიახლე - მოსახლეობას განსაკუთრებით აინტერესებს ისეთი ფაქტები, რომელიც ფართოდ არაა ყველასათვის ცნობილი.

4. ვარსკვლავების კულტი - ყოველთვის დიდია ინტერესი ცნობილი პიროვნებების, პოლიტიკოსების, სპორტსმენების, მსახიობების, ბიზნესმენების და ა.შ. მიმართ, განსაკუთრებით მათი პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციების მიმართ.

5. მაღალი საზოგადოებრივი სტატუსი - იგი განისაზღვრება ინფორმაციის წყაროს მიხედვით. რაც უფრო მაღალია ინფორმაციის წყაროს სტატუსი, მით უფრო მნიშვნელოვანია ინტერვიუ ან გადაცემა.

დღეს ტელევიზია იქცა ძირითად ინფორმაციულ ნერვად, რომელსაც შეუძლია საზოგადოების ინტეგრირება და მისი ფრაგმენტულობისაკენ მიდრეკილების გადალახვა.

ინფორმაციული სივრცის კონტროლი მდგომარეობს არა მის ჩაკეტვაში, როგორც ამას ესწრაფვის ხანდახან ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი.

სტრატეგიული კომუნიკაციები განსაზღვრავენ რა და როგორ უნდა ითქვას მოცემულ დღეს ან მოცემულ კვირას ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ, ტაქტიკური კომუნიკაციები (პრესის-სამსახურები) სად და როდის უნდა ითქვას.

მასშედია და დემოკრატია. 1966 წელს გამოვიდა ჯ. კარტერის წიგნი სათაურით „მთავრობის მეოთხე შტო“. სწორედ ამ დროიდან უწოდებენ მასშედიას მეოთხე ხელისუფლებას. თანამედროვე თავისუფალი მასშედია ასახავს საზოგადოებრივ აზრს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მმართველი წრეების მოქმედებათა შეზღუდვისათვის, მათი მხრიდან კანონთა დარღვევის ფაქტების მხილებაში. ასე მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში, რადგან მათ არავინ შებოჭავს, მხოლოდ ძლიერი ეკონომიკური ბაზის საფუძველზე, რადგან მატერიალურად სხვაზე დამოკიდებულ მასშედიაზე ძლიერ ზეწოლას ახდენენ.

მასშედიას ფუნქციები ყველაზე სრულად დემოკრატიულ საზოგადოებაში ვლინდება. თავისუფალი მასშედია დემოკრატიული ცხოვრების წესის, მისი ფასეულობითი საფუძველის და დემოკრატიული იდეალის განუყოფელი ატრიბუტია. დემოკრატიის თანამედროვე მოდელი ემყარება წარმოდგენას, რომლის თანახმადაც ადამიანი რაციონალურად მოაზროვნე და თავის მოქმედებაზე პასუხისმგებელი პიროვნებაა, რომელიც შეგნებულად და კომპეტენტურად მონაწილეობს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებაში. დემოკრატიულ ქვეყანაში ასეთი თვისების მატარებელი უნდა იყოს არა ერთი კაცი, ანდა მცირერიცხოვანი ჯგუფი, არამედ საზოგადოების ყველა დაინტერესებული წევრი. თითოეულ მოქალაქეს თავისი პოზიციის გარკვევით ჩამოსაყალიბებლად სჭირდება საკმაო ინფორმაცია, რომლითაც საზოგადოების უზრუნველყოფა სწორედ მასშედიას ვალია.

დემოკრატიულ ქვეყნებში საინფორმაციო საშუალებები თავისუფალნი არიან ცენზურისაგან და ისინი ასახავენ საზოგადოებრივ აზრს, თუმცა თითოეულ საინფორმაციო ორგანოს აქვს თავისი პოლიტიკური მიმართულება. დემოკრატიის დიდი პლიუსი ისაა, რომ იგი იძლევა საშუალებას, საზოგადოებაში არსებობდეს შეხედულებათა პლურალიზმი და მასშედიაში კი მათი ასახვის მრავალფეროვანი სპექტრი.

რადიოს, ტელევიზიის, ჟურნალ-გაზეთების გარეშე კარგად განათლებული ადამიანიც კი ვერ შეძლებს სწორად ორიენტირებას რთულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებში. მასშედია საშუალებას აძლევს ადამიანს გამოვიდეს უშუალო ინდივიდუალური გამოცდილების ფარგლებიდან და დროის მცირე მონაკვეთში მიიღოს ინფორმაცია მთელი სამყაროს შესახებ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფალი დაფუძნება და საქმიანობა სიტყვის თავისუფლების რეალური გამოვლინებაა, რომლის გარეშეც პიროვნების დანარჩენი უფლებები პრაქტიკულად განუზოცი-ელებელია.

განვითარებული, დემოკრატიული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც ობიექტურად აშუქებენ მოვლენებს - დემოკრატიული სახელმწიფოს სტაბილურობის, საზოგადოების მართვის ეფექტურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტიაა და პირიქით: მასობრივი საშუალებების მიერ პოლიტიკურ სისტემაში თავისი ფუნქციის შეუსრულებლობას შეუძლია ძირეულად დაამახინჯოს მისი მიზნები და ფასეულობანი, დაარღვიოს დემოკრატიული სისტემის ეფექტურობა

„სახელმწიფომ საქმე ისე უნდა დააყენოს, რომ პრესა სახელმწიფოსა და ერის უსიტყვო მსახურად იქცეს“

ადოლფ ჰიტლერი.

1987 წელს ლონდონში გაიმართა 34 ქვეყნის ჟურნალისტთა მსოფლიო კონფერენცია - „თავისუფლების ხმა“, სადაც მიღებულ იქნა „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების ქარტია“. აი, მისი ზოგიერთი მუხლი:

- ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება უზრუნველყოფს ხალხის თავისუფლებას;

- ნებისმიერი ცენზურა, პირდაპირი თუ არაპირდაპირი, მიუღებელია;

- ქვეყნის ხელისუფალნი არ უნდა აყენებდნენ ინფორმაციის ორგანოებს ეკონომიკურ და სხვა დისკრიმინაციულ მდგომარეობაში;

- ინფორმაციის სამთავრობო ორგანოთა რედაქტორებს უნდა მიეცეთ უფლება გამოაქვეყნონ სხვადასხვა მოსაზრება. ეს მდგომარეობა განმტკიცებული უნდა იყოს კანონით და პრაქტიკით.

„ლიტერატურა. პარტიული უნდა გახდეს, წინააღმდეგ ბურჟუაზიული ზნისა. გაზეთები სხვადასხვა პარტიული ორგანიზაციების ორგანოები უნდა გახდნენ. ლიტერატორები უსათუოდ პარტიულ ორგანიზაციებში უნდა შევიდნენ“.

ვ. ლენინი.

ძირითადი ტერმინები:

1. მასმედია
2. მეოთხე ხელისუფლება
3. ცენზურა
4. ინფორმაციის გავრცელების ხერხები: - ფრაგმენტული და თანმიმდევრული
5. შეხედულებათა პლურალიზმი

პარტიების წარმოშობის მიზეზები და პარტიის არსი. დემოკრატია და პოლიტიკური პარტიები ერთმანეთისაგან განუყოფელი ცნებებია. ტერმინი *part*-პარტია ლათინურია და რალაციის, მთელის ნაწილს აღნიშნავს. პარტოკრენტისი, ანუ პარტიათა ჩამოყალიბების და ფუნქციონირების პროცესი XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნიდან იწყება, თუმცა თანამედროვე გაგებით პარტიები XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ყალიბდება. არსებობს პარტიის რამდენიმე განმარტება. ერთის თანახმად, პარტია არის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება კანდიდატებს სახელმწიფო თანამდებობის დაკავებაში ამავე ორგანიზაციის სახელით (ჯანდა, ბერი, გოლდმენი). მეკბერის აზრით, პარტია არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ეყრდნობა წევრთა ნებაყოფლობით მიღებას, მიზნად ისახავს თავისი ხელმძღვანელობისათვის ძალაუფლების მოპოვებას და აქტიური წევრების შესატყვისი პირობებით (მატერიალური და სულიერი) უზრუნველყოფას, მატერიალური სარგებლის ან პირადი პრივილეგიების, ან ერთდროულად ორივეს მისაღებად. რ. შვარცენბერგის განმარტებით, პოლიტიკური პარტია - ეს არის მუდმივად მოქმედი ორგანიზაცია, რომელიც არსებობს როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე, მიზანმიმართულია ხელისუფლების მოპოვებისა და განხორციელებისაკენ და ამ მიზნით საზოგადოების მხარდაჭერისაკენ ისწრაფვის.

მოკლედ თუ ვიტყვით, პოლიტიკური პარტია არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისა და პოლიტიკური ძალაუფლების დაუფლების მიზნით. რამ განაპირობა პარტიების წარმოშობა?

1. პარტიათა წარმოშობის მიზეზი ადამიანთა ბუნებაა, მასში ჩადებული ბრძოლის ტენდენციის გამო, ამა თუ იმ პოზიციის დაკავებასთან დაკავშირებით.

2. მეორე მიზეზია ადამიანის ტემპერამენტი. ერთნი ტრადიციებზე და წარსულზე არიან ორიენტირებულნი და მის შენარჩუნებას ცდილობენ, ეწინააღმდეგებიან ახალ მიმართულებას; მეორენი კი გაბედულად მიდიან რისკზე ახალი ცვლილებისათვის.

3. მესამე თვალსაზრისი აქცენტს აკეთებს აქტიური პოლიტიკური ლიდერის პიროვნებაზე, რომელიც თავის მომხრეებში უსიტყვო მორჩილების გრძნობას ბადებს.

პარტიის ნიშნები და ფუნქციები. ამოცანები. ადამიანთა ყოველგვარი გაერთიანება არ არის პარტია. პარტია სხვა საზოგადოებრივი

ორგანიზაციებისაგან განსხვავდება. მას შემდეგი ნიშნები ახასიათებს:

I. პარტია არის ადამიანთა გაერთიანება საკმაოდ ხანგრძლივი დროით.

II. მყარი ადგილობრივი ორგანიზაციის არსებობა, რომელიც ემორჩილება ცენტრალურ ხელმძღვანელობას.

III. დაინტერესებული ჯგუფებისაგან განსხვავებით პარტია ისწრაფვის ხელისუფლების მოპოვებისაკენ პარლამენტსა და მთავრობაში თავიანთი წარმომადგენლების საქმიანობის გზით.

IV. საზოგადოების მხარდაჭერის უზრუნველყოფა არჩევნებით დაწყებული და პარტიაში ინდივიდთა აქტიური წევრობით დამთავრებული.

V. პარტია უყრდნობა გარკვეულ იდეოლოგიას ზეწოლის ჯგუფებისაგან განსხვავებით.

პარტიები დემოკრატიული სისტემის საარსებო აუცილებლობაა. პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება კი ნორმალურ ქვეყანაში მხოლოდ არჩევნების გზით ხდება. ეს კი განაპირობებს პარტიათა შემდეგ ამოცანებს:

1. პარტიის უმთავრესი მიზანი და ამოცანაა არჩევნებში გამარჯვება. ამ მხრივ ძირითადი საბუთი დაკავშირებულია პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებასთან.

2. საზოგადოებრივი აზრის მომხრობა.

პოლიტიკური პარტიების აქტიური და მრავალფეროვანი მონაწილეობის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე პარლამენტარიზმი. რა ფუნქციები გააჩნიათ პარტიებს? პოლიტიკური პარტიის ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს ცალკეული მოქალაქის, დაინტერესებული ჯგუფების და სოციალურ ფენათა მრავალი კერძო ინტერესების გამოთქმა (არტიკულაცია) და მათი ერთობლივ პოლიტიკურ ინტერესად გაერთიანება (აგრეგირება) ამ ინტერესების ერთიან მნიშვნელზე დაყვანის გზით.

პოლიტოლოგიაში გამოიყოფა პარტიის რამდენიმე ფუნქცია:

1. ისინი ხელს უწყობენ საღი შეხედულებების ჩამოყალიბებისადმი ღრმა ინტერესს. ამას ინტერესების წარმომადგენლობის ფუნქცია ჰქვია.

2. ალტერნატიული სამთავრობო პროგრამების შემუშავება, დღის პოლიტიკური პრობლემების განსაზღვრა.

3. კანდიდატების დასახელება და მათდამი დახმარება (პოლიტიკური რეკრუტირება).

4. პოლიტიკური სოციალიზაციის ფუნქცია (მომავალ თაობებზე პოლიტიკური გამოცდილების გადაცემა).

5. კომუნიკაციის ფუნქცია (კავშირი ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის).

6. სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის კოორდინაცია.

7. გამარჯვებული პარტია აყალიბებს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას და თავის თავზე იღებს დეკლარირებული პოლიტიკის რეალიზაციას. ამ პერიოდში უმცირესობის პარტია ოპოზიციაში უდგება მთავრობის პოლიტიკას, გულდასმით მისდევს ცხოვრებაში ამ პოლიტიკის გატარების პროცედურებს და შედეგებს.

8. პარტიები უზრუნველყოფენ ხელისუფლების მშვიდობიან შეცვლას ძალის და ტერორის გარეშე.

პარტიების არსებითი ფუნქციაა აიძულონ მთავრობა ანგარიში გაუწიოს საზოგადოებრივ აზრს. პარტიების იდეალური როლი ჩამოყალიბებულია პასუხისმგებლობის მქონე პარტიული მთავრობის 4 პრინციპის საფუძველზე:

I. პარტიებმა ამომრჩევლებს უნდა შესთავაზონ გასაგები და თანმიმდევრული პროგრამა;

II. ამომრჩევლებმა უნდა აირჩიონ კანდიდატები პარტიული პროგრამების მიხედვით;

III. გამარჯვებულმა პარტიამ ხელისუფლების სათავეში ყოფნისას უნდა განახორციელოს თავისი პროგრამა;

IV. ამომრჩევლებმა მომდევნო არჩევნებისას პასუხი უნდა მოსთხოვონ მმართველ პარტიას პროგრამის შესრულების თაობაზე.

პარტიათა ტიპოლოგია და ორგანიზაციული სტრუქტურა. პარტიული სისტემის ტიპოლოგიზაციის ერთ-ერთი პარამეტრია ამა თუ იმ სახელმწიფოში არსებული პარტიების რაოდენობა. პარტიულ სისტემებს ასხვავებენ რაოდენობრივი და თვისობრივი კრიტერიუმებით.

რაოდენობრივი ნიშნის მიხედვით ასხვავებენ:

1) ერთპარტიულ სისტემას, სადაც არსებობს ერთი, მონოპოლიურად გაბატონებული პარტია (რომელიც ფაქტიურად არც არის „პარტია“ – მთელის ნაწილი). ეს სისტემა ახასიათებს ტოტალიტარულ რეჟიმებს (ყოფილი სსრ კავშირი, კუბა, ჩრ.კორეა და სხვა)

2) ორპარტიული სისტემა (შედგება ორი მსხვილი და ძლიერი პარტიისაგან, რომელთაგან თითოეულს აქვს შანსი არჩევნებში მოიპოვოს ადგილების უმრავლესობა. მაგ: თანამედროვე აშშ-ი – რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები, დიდი ბრიტანეთი – ლეიბორისტული და კონსერვატიული პარტიები. ორპარტიული სისტემის დროს არსებობენ სხვა პარტიებიც, რომლებიც ხშირად ვერ აგროვებენ ხმებს პარლამენტში მოსახვედრად.

3) მრავალპარტიული სისტემის არსებობისას ყოველ პარტიას მეტნაკლებად ნათლად გამოხატული იდეურ-პოლიტიკური და იდეოლოგიუ-

რი პოზიცია უკავია და ითვალისწინებს ორი და მეტი პარტიის აქტიურ როლს. ასეთ სისტემაში აშკარა პოლიტიკური უპირატესობა არც ერთ პარტიას არ აქვს და ამიტომ კომპრომისისაკენ ისწრაფვიან.

თვისობრივი კრიტერიუმები „პოლიტიკური წონის“ მიხედვით:

1) მაჟორიტარული პარტია (ე.ი. პარტია, რომელმაც სადემუტატო მანდატების აბსოლუტური უმრავლესობა და საკუთარი პოლიტიკური კურსის გატარების უფლება მიიღო).

2) დომინირებული პარტია (ე.ი. პარტია, რომელიც სადემუტატო ადგილების უმრავლესობას ფლობს).

3) მაჟორიტარული მიდრეკილების პარტია (მას შანსი აქვს გაიმარჯვოს მომავალ არჩევნებში).

4) მინორიტარული პარტია (რომელიც ფლობს მანდატების მინიმალურ რაოდენობას პარლამენტში).

პარტიაში სტრუქტურული თვალსაზრისით გამოყოფენ 3 დონეს:

ა) ამომრჩეველები ანუ ელექტორატი, რომელიც მოცემულ პარტიას აიგივებენ საკუთარ თავთან და სისტემატურად აძლევენ მას ხმას, თუმცა შეიძლება არ იყოს პარტიის წევრი.

ბ) ოფიციალური პარტიული ორგანიზაცია (რაიონული, რესპუბლიკური და ცენტრალური ხელმძღვანელობით).

გ) თანამდებობის მქონე პირები, რომლებიც ხელმძღვანელობენ პარტიებს.

პარტიათა ტიპები. იდეური საფუძვლების, ორგანიზაციული სტრუქტურისა და წევრობის პარამეტრთა მიხედვით შეიძლება განვასხვავოთ პარტიათა ტიპები.

იდეური საფუძვლების მიხედვით:

ა) დოქტრინული (ორგანიზებულია თავისი იდეოლოგიური სიწმინდის დაცვაზე)

ბ) პრაგმატული (ორიენტირებულია მოქმედებათა პრაქტიკულ მიზანშეწონილობაზე)

გ) ხარიზმული (წევრები ერთიანდებიან პარტიის ლიდერის ხარიზმის მიხედვით).

პარტიის წარმოქმნის საფუძველი შეიძლება აღმოჩნდეს სოციალური - მაგ: ღარიბთა პარტია, სოციალურად დაზარალებულთა პარტია, ეთნიკური (მაგ: აფხაზთა პარტია), კულტუროლოგიური (ლუდის მოყვარულთა პარტია გერმანიაში).

ყველაზე მეტად მიღებული და გავრცელებულია ფრანგი პოლიტიკური სოციოლოგის მდიუვერჟეს მიერ შექმნილი კლასიფიკაცია, რომლის საფუძველია ორგანიზაციული სტრუქტურა და წევრობის პირობე-

ბი. ამ პარამეტრებით გამოყოფენ

- 1) მასობრივ
- 2) საკადრო
- 3) მკაცრად ცენტრალიზებულ პარტიებს

მასობრივი პარტიები წარმოიქმნა პარლამენტის გარეთ საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებასთან ერთად, რის გამოც მათ სოციალური მოძრაობის ხასიათი მიიღეს. ისინი ცენტრალიზებულ და დისციპლინირებულ გაერთიანებებს წარმოადგენენ, ახასიათებთ მასობრიობა და ორიენტირებულნი არიან მასების პოლიტიკურ აღზრდაზე და საზოგადოების რიგებიდან ელიტის ჩამოყალიბებაზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეხედულებათა ერთობას, იდეოლოგიზირების მაღალ ხარისხს (სოციალისტური, კომუნისტური, ფაშისტური და პოპულისტური პარტიები).

საკადრო ტიპის პარტიები ყალიბდებიან პოლიტიკური მოღვაწეების ჯგუფის ირგვლივ, მათი ორგანიზაციულობის საფუძველია ლიდერების, აქტივისტთა პოლიტიკური კომიტეტი. ასეთი პარტიები ყალიბდებიან ზემოდან საპარლამენტო ჯგუფის საფუძველზე და აქტიურდებიან არჩევნების დროს. ასეთი პარტია არ ესწრაფვის პარტიის წევრთა რიცხვის ზრდას, მისი ამოცანაა წინასაარჩევნო კამპანიის ორგანიზება და გავლენიან პირთა მოზიდვა, რომელთაც ენდობა და მხარს უჭერს მოსახლეობა. აქ არ არსებობს წევრობის სისტემა რეგისტრაციით და საწევრო გადასახადის რეგულარული გადახდით, ეს პარტია ნაკლებიდეოლოგიზებულია.

მკვეთრად ცენტრალიზებული პარტიისათვის, დიუვერჟეს აზრით, დამახასიათებელია იდეოლოგიური კომპონენტის ძირითად საწყისად გადაქცევა. ასეთ პარტიებს ახასიათებთ იერარქიულ რგოლთა სიმრავლე, მკაცრი, თითქმის სამხედრო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, პოლიტიკურ ბელადთა თაყვანისცემა (კომუნისტური და ფაშისტური პარტიები).

აღნიშნულის გარდა, პოლიტოლოგები გამოყოფენ ამომრჩეველთა ტიპის პარტიებს, რომლებიც ვჭმონატავენ საერთო ინტერესებს, უარყოფენ იდეოლოგიას და ატარებენ სოლიდარობის, თანხმობის და პროგრესის იდეას (ევროპის სოციალ-დემოკრატიული პარტიები).

მმართველი და ოპოზიციური პარტიები. მმართველი პარტიები ისინი, რომლებმაც გაიმარჯვეს საპარლამენტო არჩევნებში და ჩამოაყალიბეს მთავრობის კაბინეტი. შეიძლება მმართველ პარტიასთან კოალიციაში შევიდეს რომელიმე პარტიაც, რომელიც ასევე ინაწილებს მმართველის პასუხისმგებლობას.

ოპოზიციურია პარტიები, რომლებმაც ვერ გაიმარჯვეს არჩევნებ-

ში და არ არიან წარმოდგენილი მთავრობაში (არის საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია, რადიკალური ანუ შეურიგებელი და კონსტრუქციული ოპოზიცია). მისი ფუნქციებია:

1. მთავრობის საქმიანობის სისტემატური კრიტიკა, შეცდომებსა და ნაკლოვანებებზე მითითება.

2. პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული მოდელების შეთავაზება.

3. ხელისუფლების მოქმედების კონტროლი კონსტიტუციასთან და წინასაარჩევნო დაპირებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

4. არსებული მმართველი ძალის შეცვლა მომდევნო არჩევნებში მშვიდობიანი გზით.

ძირითადი ტერმინები

1. პოლიტიკური პარტია

2. საკადრო პარტია

3. მასობრივი პარტია

4. მკაცრად ცენტრალიზებული პარტია

5. ამომრჩეველთა პარტია

6. ერთპარტიული, ორპარტიული და მრავალპარტიული სისტემები

7. მაჟორიტარული პარტია

8. დომინირებული პარტია

9. მინორიტარული პარტია

10. ოპოზიციური და მმართველი პარტიები

11. დოქტრინული, პრაგმატული და ხარიზმული პარტიები

პოლიტიკური იდეოლოგიის არსი. ყოველ ინდივიდს, მოქალაქეს თავისი პოლიტიკური შეხედულებანი და მრწამსი გააჩნია. ის ასახავს პოულობს რომელიმე იდეოლოგიაში.

პოლიტიკური იდეოლოგია არის ადამიანთა შეხედულებებისა და იდეების მეცნიერული სისტემა პოლიტიკის, პოლიტიკური ინსტიტუტების, სახელმწიფოს, საზოგადოების მოწყობისა და პრიორიტეტული ფასეულობების შესახებ. არ არსებობს საყოველთაო იდეოლოგია, რომელსაც ყველა იზიარებდეს. იდეოლოგია პოლიტიკას ეყრდნობა და ყოველთვის გამოხატავს საზოგადოების რომელიმე კლასის, ან ჯგუფის ინტერესებს. სხვანაირად იდეოლოგია არის იმ ღირებულებების, შეხედულებების და რწმენის (მრწამსის) სისტემა, რომლებშიც გამოიხატება სინამდვილისადმი დამოკიდებულება.

იდეოლოგია ღირებულებითი ცნობიერებაა. მასში აისახება ინტერესები მათი მნიშვნელობის შეფასების, საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციებთან მათი შესაბამისობის ან შეუსაბამობის მიხედვით.

იდეოლოგია წარმოადგენს პოლიტიკური პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. მის გარეშე არ არსებობს პოლიტიკური ქმედება, არ შეუძლიათ არსებობა არც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობებს და არც პარტიებს.

იდეოლოგია და პოლიტიკა დაკავშირებული არიან აზრების, შეხედულებებისა და პროგრამების მრავალფეროვნებასა და ბრძოლასთან. ხდება მათი გარდაუვალი პოლარიზაცია დადებითი და უარყოფითი შეფასებებით, მემარცხენე და მემარჯვენე, რევოლუციურ და რეაქციულ, პროგრესულ და კონსერვატიულ მიმართულებად.

პოლიტიკური იდეოლოგიის გამოვლენის ფორმებია:

- პოლიტიკური თეორიები
- პოლიტიკური კონცეფციები
- პოლიტიკური იდეები
- სოციალურ-პოლიტიკური იდეალები
- პოლიტიკური პრინციპები
- პოლიტიკური ლოზუნგები
- პოლიტიკური შეხედულებები

პოლიტიკური იდეოლოგიის ფუნქციებია:

- მოსახლეობის მასობრივი პოლიტიკური ცნობიერების დაუფლება, მასში, მიმდინარე პროცესების შეფასების საკუთარი კრიტერიუმების

დანერგვა. იმ კრიტიკიკუმების რომელთა შესაბამისადაც ადამიანები უნდა ორიენტირებდნენ პოლიტიკურ სივრცეში. იდეოლოგიამ უნდა შექმნას მიმდინარე პოლიტიკური კურსის პოზიტიური სახე, მისი შესაბამისობა საზოგადოების ინტერესებთან;

- პოლიტიკის სუბიექტების მიზანდასახული მოქმედების სტიმულირება;

- საზოგადოების ინტეგრირება განსაზღვრული ინტერესების, მიზნების, შეხედულებების საფუძველზე. ადამიანების შეკავშირება და მათი შემოქმედებითი ენერჯის აკუმულირება და ა.შ.

პოლიტიკური იდეოლოგიის წარმოშობა უკავშირდება XVIII საუკუნის მეორე ნახევარს, როცა საფრანგეთში საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა წამოაყენა არსებული პოლიტიკური სისტემის გარდაქმნის მოთხოვნა და მისი შესაბამისი ანტიფეოდალური თეორიები.

დღემდე ცნობილია 5 ძირითადი სახის პოლიტიკური იდეოლოგია:

1. ლიბერალიზმი (ნეოლიბერალიზმი)
2. კონსერვატიზმი (ნეოკონსერვატიზმი)
3. სოციალიზმი-კომუნისმი
4. სოციალ-დემოკრატიზმი
5. ფაშიზმი

ლიბერალიზმი (ლათინურია და „თავისუფლებას“ ნიშნავს) პირველი პოლიტიკური იდეოლოგიაა, რომელიც ჩამოყალიბდა XVIII საუკუნეში. მის ჩამოყალიბებაში უმთავრესი როლი ეკუთვნის ჯ.ლოკს, ი.კანტს, მ.მონტესკიეს, ჯ.სმილს და სხვა იდეებს და შეხედულებებს.

თავის დროზე ლიბერალიზმი გამოხატავდა ეკონომიურად ძლიერი, თუმცა პოლიტიკურად ფაქტიურად უუფლებო ბურჟუაზიის პრეტენზიებს ხელისუფლებაზე.

ლიბერალური იდეოლოგიის უმთავრესი და ამოსავალი თეზისია დებულება პიროვნების თავისუფლებისა და უფლებების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებზე ინდივიდის ინტერესების უპირატესობის შესახებ. ლიბერალების აზრით პიროვნების თავისუფლება უნდა გამოვლინდეს ცხოვრების ყველა სფეროში მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური კანონზომიერებებით, მაგ: ეკონომიკურ სფეროში - სამეურნეო საქმიანობის, მეწარმეობის სრული თავისუფლებით; პოლიტიკურში - კავშირების, გაერთიანებების შექმნის თავისუფლებით; სულიერ სფეროში - მსოფლმხედველობის, რწმენისადმი ერთგულებისა და მისი შეცვლის თავისუფლებით.

ლიბერალურ იდეოლოგიაში უმთავრესი საკითხია თუ რა დოზით და რა სახით უნდა ჩაერიოს სახელმწიფო მოქალაქის პირად ცხოვრებაში, როგორ უნდა შეუერთდეს ერთმანეთს დემოკრატია და თავისუფლება,

უფლება და ვალდებულება.

ლიბერალური იდეოლოგიით კერძო საკუთრება პიროვნების თავისუფლების პირობაა, პიროვნების ინტერესების უზენაესობის გარანტი. ე.ი. ლიბერალიზმი მხარს უჭერს სრულ ეკონომიკურ თავისუფლებას და სახელმწიფოს შეზღუდულ ჩარევას საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში. ლიბერალები აფასებენ თავისუფლებას უფრო მეტად, ვიდრე წესრიგს, მაგრამ ნაკლებად, ვიდრე თანასწორობას.

ლიბერალიზმის მახასიათებელი ნიშნები:

1. მოქალაქეთა სამართლებრივი თანასწორობა;
2. სახელმწიფოს ხელშეკრულებითი ხასიათი;
3. რელიგიური შემწყნარებლობა და პლურალიზმი;
4. ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური და პროფესიული გაერთიანებების თანაბარუფლებიანობა.

დღეს ძველმა ლიბერალიზმმა სახე იცვალა და ნეოლიბერალიზმის სახით ჩამოყალიბდა. მის თეორეტიკოსებად ითვლებიან შფრიდმანი, კაპოპერი და სხვ.

ნეოლიბერალიზმის აღმოცენებას ხელი შეუწყო მეორე მსოფლიო ომამდე, XX-ის 30-იან წლებში არსებულმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც აჩვენა, რომ ლიბერალური ფასეულობანი არაა საკმარისი კრიზისის დროს მოსახლეობის მასობრივი გაღატაკების და ლუმპენიზაციის პროცესში. ნეოლიბერალიზმი შემდეგ იდეებს ეყრდნობა:

1. ჯანსაღი კონკურენციის და კერძო ინიციატივის ყოველმხრივი წახალისება;
2. მმართველთა და მართულთა თანხმობა;
3. პოლიტიკურ პროცესებში მასების აუცილებელი მონაწილეობა;
4. მოგების აბსოლუტიზაცია, რომელსაც არაპროპორციული, მაგრამ საყოველთაო სიკეთე მოაქვს;
5. გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურის გადემოკრატიულება;
6. ე.წ. საზოგადოებრივი დარვინიზმის ფართოდ დანერგვა, რომ წახალისდეს ყველა ეფექტური ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც უფლებას აძლევს მეწარმეებს, სახელმწიფოს შუამავლობის გარეშე, სოციალური გარანტია შეუქმნან მათთან დასაქმებულ ადამიანებს;
7. სახელმწიფოს სოციალური ფუნქციების (დახმარება ნაკლებშეძლებულებისათვის) და ეკონომიკურ სფეროში ჩარევის საზღვრების გაფართოება.

კონსერვატიზმი. კონსერვატიზმი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს შენახვას, შენარჩუნებას. კონსერვატიზმი, როგორც იდეოლოგია და პოლიტიკური მიმდინარეობა, სათავეს XVIII ს-ის ბოლოდან, საფრანგეთის

1789 წლის დიდი რევოლუციის დროიდან იღებს. კონსერვატიზმი მიზნად ისახავს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების, მათი სამართლებრივი და ზნეობრივი საფუძვლების შენარჩუნებასა და მხარდაჭერას. კონსერვატიზმის მთავარი ფასეულობებია: წესრიგი, სტაბილურობა და ტრადიციონალიზმი, უპირატესობის პრინციპი მმართველობის არსებული სისტემისა ახალთან შედარებით, მიუხედავად მისი ხასიათისა და მიზნებისა.

„იყო კონსერვატორი, ნიშნავს უპირატესობა მინიჭო ცნობილს - უცნობთან შედარებით; პრაქტიკით შემოწმებულს - გამოუცდელთან შედარებით; ფაქტს - მოგონილთან შედარებით; სინამდვილეს - შესაძლებლობებთან შედარებით; შემოფარგლულს - უსასრულოსთან შედარებით; ახლობელს - შორეულთან; ჩვეულებრივს - სრულყოფილთან; დღევანდელ დაკმაყოფილებულს - უტოპიურ ღვთაებრივთან შედარებით და ა.შ.

მ. უოკშიტი.

კონსერვატიზმის პოლიტიკურ იდეალს წარმოადგენს ძლიერი სახელმწიფო, რომელშიც ხელისუფლება ეკუთვნის პოლიტიკურ ელიტას, თავისუფლება განიხილება, როგორც ხელისუფლებისადმი მორჩილება, შენარჩუნებულია არსებული სოციალური წესრიგი.

კონსერვატორები თავისუფლებას უფრო მეტად აფასებენ, ვიდრე თანასწორობას. თავისუფლების შეზღუდვა საზოგადოებრივი წესრიგის შესანარჩუნებლად.

ნეოკონსერვატიზმი წარმოიშვა როგორც ტრადიციული კონსერვატიზმის, ლიბერალიზმისა და ტექნოკრატიზმის იდეების სინთეზი. თეორიის დარგში მისი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ა.ჰაიეკი.

ნეოკონსერვატიზმი წარმოიშვა 70-იანი წლების ბოლოს და იგი დაუკავშირდა რ. რეიგანის (აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი 1980-1988 წწ.), მ. ტეტჩერის (დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი - (1979-1990 წწ.), ჰ. კოლის (გფრ-ის ყოფილი კანცლერის 1982-1998 წწ.) სახელებს. ნეოკონსერვატიზმი გამოდის დეცენტრალიზაციის (სახელმწიფოს როლის შესუსტების) და სოციალურ-ეკონომიკური რეგულირების დემონტაჟის მომხრედ, მხარს უჭერს დებიუროკრატიზაციას, ილაშქრებს ინდივიდუალიზმის კოლექტივიზმთან, ელიტარიზმისა და სოციალური თანასწორობის დაპირისპირების წინააღმდეგ.

აღიარებულია ცალკეული მოქალაქის თავისუფლებათა და უფლებების უპირატესობა სახელმწიფოსთან მიმართებაში, შეიზღუდა სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში.

სოციალიზმი-კომუნიზმი, კონსერვატიზმისაგან განსხვავებით, სოციალიზმი წარმოიშვა როგორც ოცნება სამართლიან, საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოებაზე, სადაც შრომა სასიამოვნო საქმედ იქცეოდა, მოისპობოდა განსხვავება ღარიბებსა და მდიდრებს შორის, კერძო საკუთრებას შეცვლიდა საერთო საკუთრება, ადამიანებს მიეცემოდათ თავიანთი უნარისა და ნიჭის ყოველმხრივ განვითარების საშუალება (უტოპიური, ანუ განუხორციელებელი სოციალიზმი). უტოპიური სოციალიზმის თეორია XIX საუკუნეში განავითარეს კარქსმა და ფრ.ენგელსმა და იგი მეცნიერულად ჩამოაყალიბეს. მათი აზრით სოციალიზმის შემდეგ უნდა წარმოშობილიყო კომუნიზმი - „საყოველთაო კეთილდღეობის“ საზოგადოება - მზარდი კონკურენცია კაპიტალიზმის პირობებში აღატაკებს წვრილ მეწარმეებს, ვაჭრებს და ისინი პროლეტარიატის რიგებს ემატებიან. რამდენადაც მდიდრდება ბურჟუაზია, იმდენად ღატაკდება პროლეტარიატი, რომელიც საბოლოო ჯამში დაამზობს კაპიტალისტთა ბატონობას და ამყარებს პროლეტარიატის დიქტატურას. სოციალიზმის დროს კერძო საკუთრება იცვლება საერთო საკუთრებით, ისპობა კლასები, გარდაიქმნება ადამიანის შეგნება, დამყარდება თანასწორობა, კონკურენციას შეცვლის თანამშრომლობა, საბოლოოდ კი სოციალისტური საზოგადოება ააშენებს კომუნიზმს, რომლის დროს უკვე მოკვდება სახელმწიფო თავისი ფუნქციებით და აპარატებით (სასამართლო, ჯარი, პოლიცია, არმია, ციხე და ა.შ.).

მთლიანობაში, სოციალიზმი უარყოფს ინდივიდის ეკონომიკურ თავისუფლებას, კონკურენციისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელობას. სოციალიზმი წინა პლანზე აყენებს სახელმწიფოს და არა პიროვნებას და მის ინტერესებს.

სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეების გატარების მცდელობამ სსრ კავშირში (1917-1991 წ) და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში, კრაზი განიცადა.

სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია XIX საუკუნის ბოლოს წარმოიშვა და თავისი პრაგმატულობის გამო ერთ-ერთ უძლიერეს იდეოლოგიად ჩამოყალიბდა. თანამედროვე სოციალ-დემოკრატიზმი ალტერნატიულს წარმოადგენს ერთი მხრივ კაპიტალიზმის და მეორე მხრივ კი, კომუნიზმის მიმართ. ამ იდეოლოგიის თეორიული საფუძვლები ჩამოაყალიბა ებერნშტეინმა 1899 წელს („სოციალიზმის წინამძღვრები და სოციალ-დემოკრატიის ამოცანები“), რომელმაც მოახდინა მარქსიზმის თეორიულ დებულებათა რევიზია (რაც პრაქტიკულად განახორციელეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა 1918-1921 წ.წ., რომლებმაც შექმნეს მსოფლიოში პირველი სოციალ-დემოკრატიული მთავრობა). თანამედროვე სოციალ-დემოკრატია წარმატებით აერთიანებს ლიბერალიზმისა და მარ-

ქსიზმის იდეებს და გამოხატავს საზოგადოების ფართო მასების (მუშები, გლეხები, მეწარმეები) ინტერესებს.

სოციალ-დემოკრატიულმა იდეოლოგიამ ჩამოაყალიბა „დემოკრატიული სოციალიზმის“ დოქტრინა, რომლის უმთავრესი ღირებულებებია თავისუფლება, სამართლიანობა, სოლიდარობა. „რამდენი ქვეყანაცაა, იმდენი სოციალიზმი შეიძლება იყოს“ (კ.რენერი), აი, თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის სამოქმედო დევიზი. ე.ი. სოციალ-დემოკრატებმა უარი თქვეს ერთიან იდეოლოგიურ საფუძველზე, სოცინტერნის გადაწყვეტილებები სავალდებულო არაა მასში შემავალი პარტიებისათვის, რომელნიც ყოველმხრივ დამოუკიდებელნი არიან. „კერძო საკუთრება ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია და საზოგადოებრივი რეგულირება ყველგან, სადაც ეს აუცილებელია“ (გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გოდესბერგის პროგრამიდან), „მაქსიმალური ნაყოფიერება, მაქსიმალური მოგება და მაქსიმალურად სამართლიანი განაწილება“ - აი, სოციალ-დემოკრატიის ზოგიერთი ლოზუნგი.

დღესდღეობით სოციალ-დემოკრატიული (სოციალისტური, ლეიბორისტული) პარტიები ბევრი დიდი და პატარა ქვეყნის ხელისუფლებაში არიან (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი და ა.შ.)

ფაშიზმი. ფაშიზმი იტალიური სიტყვაა და კონას, შეკვრას, გაერთიანებას ნიშნავს. ეს იდეოლოგია წარმოიშვა XX საუკუნის 20-30-იან წლებში იტალიასა (მუსოლინი) და გერმანიაში (ჰიტლერი). ფაშიზმისათვის დამახასიათებელია ანტიკომუნისმი, ანტილიბერალიზმი, ანტისემიტისმი (ებრაელთა მოძულეობა. მარტო ჰიტლერმა 6 მილიონი ებრაელი მოსპო), გასამხედროებული ნაწილების არსებობა პარტიაში, შოვინისმი და რასისმი. ფაშისტურ იდეოლოგიაში შეზავებულია რასობრივი უთანასწორობის და ერთი რასის მეორეზე ბატონობის, კლასთა შორის პარმონიის, ფიურერიზმის, ტოტალიტალური სახელმწიფოს და გეოპოლიტიკის იდეები. ფაშიზმი არსებობს ავტოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის დროს, რომელიც უხეშად თელავს მოქალაქის დემოკრატიულ უფლებებსა და თავისუფლებებს და ამისათვის იყენებს უკიდურეს საშუალებებს, საზოგადოებრივ და პიროვნების კერძო ცხოვრებაზე ამყარებს ყოვლისმომცველ კონტროლს. ფაშიზმი ასევე ემყარება სოციალურ დემაგოგიას.

ფაშიზმისათვის ერის ინტერესი ყოველთვის მალლა დგას ინდივიდუალურ, ჯგუფურ და კლასობრივ ინტერესებზე, რომლებიც მსხვერპლად უნდა შეწირვოდა ეროვნულ ინტერესებს (ვანსხვაგვებით წინა იდეოლოგიებისაგან კომუნისტურის გამოკლებით). ფაშიზმის მიხედვით კაცობრიობა მაღალი და დაბალი რასებისაგან შედგებოდა, რომელთაგან ერთნი ცივი-

ლიზაციის შემოქმედნი იყვნენ, მეორენი ამ კულტურის შემნახველნი იყვნენ, მესამენი კი - ცივილიზაციის დამანგრეველები. ყველაზე სიცოცხლისუნარიან რასად ნაცისტები „არიულ რასას“ (გერმანელებს) თვლიდნენ, ყველაზე დამანგრეველად - ებრაელებსა და სლავებს. ამიტომ გერმანელთა ისტორიულ მისიას ფაშისტები მსოფლიო ბატონობაში ხედავდნენ. „ყველაფერი სახელმწიფოსათვის, არაინ და არაფერი სახელმწიფოს წინააღმდეგ“ (მუსოლინი) - ასეთი იყო ფაშისტთა ლოზუნგი, ეს იყო ტოტალიტარული სახელმწიფოს, ძლიერი სახელმწიფოს შექმნის ლოზუნგი, რომელიც მთლიანად შთანთქავდა პიროვნებას და საზოგადოებას, უხეშად ჩაერეოდა ეკონომიკაში და სხვ.

პოლიტიკური იდეოლოგიები ორი ნიშნით განსხვავდება:

1) დამოკიდებულება სასურველი საზოგადოების სოციალ-პოლიტიკური მოწყობის მოდელთან (ამ ნიშნით იდეოლოგიები შეიძლება დაკჯიროთ „მემარჯვენე“, „ცენტრისტულად“, „მემარცხენედ“)

2. დამოკიდებულება საზოგადოების პროგრესთან (წინსვლა) და მისი განხორციელების საშუალებებთან (ამ ნიშნის - სოციალური ცვლილებებისადმი მიდგომის მიხედვით გამოყოფენ რადიკალებს, რომლებიც საზოგადოების მუდმივ ღრმა რევოლუციურ ცვლილებებს ემხრობიან) და კონსერვატორებს (რომლებიც ისწრაფვიან შეინარჩუნონ არსებული სულიერი წყობა) რადიკალებსა და კონსერვატორებს შორის არიან ზომიერები, რომლებიც თანდათანობით რეფორმების გზას ირჩევენ.

დღესდღეობით ყველაზე პოპულარულია ცენტრიზმისა და მემარჯვენეობის იდეები.

ძირითადი ტერმინები

1. პოლიტიკური იდეოლოგია
2. ლიბერალიზმი (ნეოლიბერალიზმი)
3. კონსერვატიზმი (ნეოკონსერვატიზმი)
4. სოციალიზმი-კომუნიზმი
5. სოციალ-დემოკრატიზმი
6. დემოკრატიული სოციალიზმი
7. დეეტატიზაცია
8. ნაციონალიზმი, რასიზმი
9. რადიკალები, ზომიერები
10. მემარცხენე, ცენტრიზმი, მემარჯვენე იდეოლოგიები.

პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური სოციალიზაცია



პოლიტიკური კულტურის არსი და ტიპები. ადამიანი ერთდროულად კულტურის შემქმნელიცაა და ამთვისებელიც, რადგან შეუძლებელია, რომ კულტურა გენური კოდებით, ანუ ბიოლოგიური გზით გადაეცეს. ყოველი თაობა იძულებულია კვლავ აწარმოოს იგი და გადასცეს მომდევნო თაობას. სწორედ ეს პროცესია სოციალიზაციის მთავარი ნაწილი. მისი მეშვეობით ღირებულებანი, იდეალები, რწმენა, ნორმები და წესები ბავშვის პიროვნების არსებით შემადგენელ ნაწილად იქცევა და ხელს უწყობს მისი ქცევის-მოქმედების ფორმირებას. ამგვარად, სოციალიზაცია და კულტურა ერთმანეთს გამსჭვალავს და განაპირობებს.

პოლიტიკის დონეზე კვლავ მეორდება და ვლინდება იგივე პროცესი. პოლიტიკური სოციალიზაციის გზით მოქალაქეთა ცხოვრებაში ინერგება და ფორმირდება პოლიტიკური კულტურა - მსოფლმხედველობა გადაეცემა ინდივიდებს, რომლებიც ითვისებენ პოლიტიკური სისტემის მიმართ არსებულ შეხედულებებს, ორიენტირებასა და პოზიციებს. იგი ხელს უწყობს ადამიანური ქცევის გარკვეული მიმართულებით წარმართვას, გარდა ამისა, პოლიტიკური კულტურა ფუნქციონირებს როგორც ლეგიტიმურობის ინსტრუმენტი.

ტერმინი „პოლიტიკური კულტურა“ პირველად გამოიყენა გერმანელმა ფილოსოფოსმა ი.ჰერდერმა, ხოლო პოლიტიკური კულტურის თანამედროვე თეორიის შექმნასა და განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს გალმონდმა, სკერბამ, გლიბსეტმა, მდიუვერჟემ, ლ.პაიმ, პაელმა და სხვ.

პოლიტიკური კულტურის თანამედროვე კონცეპციები:

გ. ალმონდის სკოლა (ფსიქოლოგიური მიდგომა) - პოლიტიკური კულტურა განიხილება, როგორც სოციალ-პოლიტიკურ ობიექტებსა და პროცესებზე ფსიქოლოგიური ორიენტაციის ერთობლიობა.

რ.თაკერი, დ.მერვიკი, ლ.დიტმერი (კომპლექსური მიდგომა)

- პოლიტიკურ კულტურას მიეკუთვნება პოლიტიკაში მიმდინარე ყველა პროცესი. მას არ გააჩნია სპეციფიკური შინაარსი. იგი ან იდენტიფიცირებულია პოლიტიკურ სისტემასთან (დ.მერვიკი), ან დაფუძნებულია პოლიტიკურ ურთიერთქმედებამდე (რ.თაკერი). ლ.პაი, დ.პოლი (ნორმატიული ახსნა) - პოლიტიკური კულტურა განსაზღვრულია, როგორც პოლიტიკური სისტემის მიერ მიღებული პოლიტიკური ქცევის ნორმები და ნიმუშები.

ს. ჰანტინგტონი (ევრისტიკული კონცეფცია) - პოლიტიკური კულტურა გაგებულია, როგორც სასურველი ქცევის ჰიპოთეტიკური ნორ-

მატიული მოდელი.

დ. ვარდნერი, რ. კარი, ი. ტინხომიროვი (სოციოლოგიური მიდგომა) — პოლიტიკური კულტურა განსაზღვრულია როგორც მიდგომის ქცევითი მატრიცა, რომლის ფარგლებშიც მდებარეობს და ფუნქციონირებს პოლიტიკური სისტემა. მსგავს კონცეპციაში აქცენტი გაკეთებულია პოლიტიკური კულტურის არსის განმსაზღვრელ ობიექტურ სოციალურ ფაქტორებზე.

აქსიოლოგიური ახსნა — პოლიტიკური კულტურა წარმოდგენილია როგორც განსაზღვრული რიგის ფასეულობების ერთობლიობა. ამ ახსნის „ბინარული“ ვარიანტი პოლიტიკურ კულტურაში აერთიანებს როგორც დადებით, ისე უარყოფით ფასეულობებს. „პროგრესისტული“ ვარიანტი პოლიტიკურ კულტურას ახასიათებს, როგორც დადებითი პოლიტიკური ფასეულობების ერთობლიობას.

მოცემულ პოლიტიკურ სისტემაში კოლექტიურ გამოცდილებათა მიღების პროცესში ინდივიდი იძენს ადამ-წესებს, ჩვევებს, მიდგომებს. პოლიტიკური კულტურა — ესაა მიდგომათა, გრძნობათა და წარმოდგენათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს პოლიტიკურ პროცესს, იძლევა საფუძველდამდებ, ამოსავალ ვარაუდებსა და დაშვებებს, რომელიც განსაზღვრავს მოქმედებათა მიმართულებას პოლიტიკურ სისტემაში. იგი მოიცავს როგორც პოლიტიკურ იდეალებს, ისე პოლიტიკური ცხოვრების მათორიენტირებელ ნორმებსაც (მეორენაირად, პოლიტიკური კულტურა — ესაა წინამორბედი თაობების პოლიტიკური გამოცდილებით განსაზღვრული მოქალაქეთა პოლიტიკური ცოდნის დონე და ხასიათი, რომელიც მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოიყენება).

პოლიტიკური კულტურა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ღირებულებათა და ნორმათა სისტემა, რომელსაც მოსახლეობის უმრავლესობა იზიარებს და რომლის ჩარჩოებშიც მოქმედებენ ადამიანები საზოგადოებაში მიღებული „თამაშის წესების“ შესაბამისად.

ლ. პაისა და ს. კერბას აზრით, „პოლიტიკური კულტურა — ახალი ტერმინია, რომელიც გვეხმარება უფრო ნათლად და სისტემური ფორმით გავიგოთ ისეთი ფენომენები, როგორიცაა: პოლიტიკური იდეოლოგია, ეროვნული ხასიათი და გონი, ეროვნული პოლიტიკური ფსიქოლოგია და ერის (ხალხის) ფუნდამენტური ღირებულებები“.

პოლიტიკური კულტურა შედგება განსახილველი პოლიტიკური სისტემის თავისებურებათა: პოლიტიკური წყობის რაობის, მთავრობის სასურველი და არასასურველი მოქმედებების, ინდივიდთა, როგორც პოლიტიკური საქმიანობის მონაწილეთა, როლის მიმართ დამოკიდებულებათა დამახასიათებელი ტიპებისაგან. სხვაგვარად პოლიტიკურ კულტურას — ძირითადად პოლიტიკურ პოზიციათა (ორიენტაციათა) ერთობლიობასაც

უწოდებენ.

ალმონდისა და პაუელის თანახმად, პოლიტიკური ორიენტაცია ანუ პოზიცია, მოიცავს 3 ელემენტს:

1. კოგნიტურს (ცოდნა) - ესაა პოლიტიკურ მიზანთა ცოდნა, ცოდნა იმისა, რაც იცინან ან ფიქრობენ, რომ იცინან - პოლიტიკური ინსტიტუტების, პარტიების, პოლიტიკური ხელმძღვანელობის შესახებ; ცოდნა იმისა, რაც განაპირობებს თქვენს რეაქციას, განწყობას, იმოქმედოთ ამა თუ იმ წესით.

2. აფექტურს (გრძნობები) - ესაა პოლიტიკური სისტემისადმი მიკუთვნებულობის, ჩაბმულობის ან ათვალწუნების, სიყვარულის ან ზიზლის და ა.შ. გრძნობები. სწორედ მათ ეყრდნობა ხელისუფლების პერსონალიზაცია, ის ერთგულება და თავდადებულობა, რომელიც აკავშირებს ადგილობრივ გავლენიან ადამიანებს მათ „სამწყვდოსთან“.

3. შეფასებითი ანუ ნორმატიული ელემენტები - ესაა ღირებულებები, იდეალები, იდეოლოგიები და მათ საფუძველზე გამოთქმული ეთიკური და ნორმატიული მსჯელობები პოლიტიკური ობიექტებისა და ხდომილებების შესახებ, რომელიც გულისხმობს და ეყრდნობა ღირებულებით სტანდარტებსა და იდეალებს.

პოლიტიკური კულტურის შინაარსისა და სტრუქტურის შემადგენელი ელემენტებია:

- ა) ზოგადი პოლიტიკური განათლება
- ბ) პოლიტიკური აზროვნება
- გ) პოლიტიკური გრძნობა


პოლიტიკური კულტურის მაღალი დონის მაჩვენებელია სამი ძირითადი კრიტერიუმი, რომლებიც ვლინდებიან ადამიანთა პოლიტიკურ ქცევაში:

- პოლიტიკურ მოღვაწეობაში მონაწილეობა;
- პოლიტიკური აქტიურობა;
- რაციონალურობა.

ალმონდი და პაუელი გამოყოფენ პოლიტიკური კულტურის 3 ტიპს:

- I. ტრადიციული (პატრიარქალური, ანუ ადგილობრივი
- II. მორჩილების ანუ სუბიექტურს
- III. მონაწილეობის ანუ პარტისიპატიულს.

პირველი სახის კულტურა წმინდა სახით შეიმჩნევა ტრადიციულ საზოგადოებაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია განუვითარებელი და მარტივი სპეციალიზაცია. ადგილობრივი პოლიტიკური კულტურის მქონე ადამიანი გულგრილია, ნაკლებადაა დაინტერესებული გლობალური პოლიტიკური კულტურით, ეროვნული მთლიანობით. იგი ყურადღებას ამახვილებს შეზღუდულ პოლიტიკურ სისტემაზე (სოფელი, ტომი, კლ-



ანი) და ყურადღების გარეშე ტოვებს ეროვნულ სახელმწიფოს. რ. შვარცენბერგის აზრით, ამგვარი პოლიტიკური კულტურა ახასიათებს უმეტესად ახლადწარმოქმნილ სახელმწიფოს, რომელიც მრავალ ურთიერთგანსხვავებულ ერთობებს აერთიანებს.

მეორე მორჩილების ანუ სუბიექტური კულტურა (სქვეშევრდომული კულტურა⁴⁾) წარმოიქმნება ისეთ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებაში ჭარბობს ორიენტაცია სისტემაზე, როგორც მთელზე, და განსაკუთრებით იმ ასპექტებზე, რომლებიც დაკავშირებულია მისი ფუნქციონის საბოლოო შედეგებთან. ამ კულტურის მქონე ადამიანის პოზიცია ძირითადად პასიურია. მან იცის პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური შეგნების მაღალ დონესაც ფლობს, მაგრამ მაინც პასიური რჩება. იგი თავს პოლიტიკური სისტემის გარეთ და მალაც აყენებს, მისგან მოვლის საარსებო საშუალებებს, ეშინია ამ სისტემის მხრიდან დაწესებული გადასახადების ან დიქტატის შეუბრალებლობის, მაგრამ ამავე დროს არც კი ფიქრობს რაიმე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობაზე და თავის მოვალეობად მიაჩნია ის, რომ ეს სისტემა მიიღოს ისე, როგორც არის და არსებობს.

მესამე მონაწილეობის ანუ პარტისიპატიული კულტურის შემთხვევაში მთელი საზოგადოების მასშტაბით წარმოიქმნება ახალ მდგომარეობათა მთელი სპექტრი. აქ ინდივიდი უკვე საზოგადოების აქტიური წევრია, გარკვეული უფლება-მოვალეობებით, რომელიც მან არათუ იცის, არამედ ცხოვრებაში ახორციელებს. ამ დროს ინდივიდი ნამდვილი მოქალაქეა. მას აქვს სურვილი ზემოქმედება მოახდინოს პოლიტიკური სისტემის საქმიანობაზე არჩევნების, დემონსტრაციების და სხვა საშუალებით.

პირველი, „ადგილობრივი“ პოლიტიკური კულტურა ტრადიციულ დეცენტრალიზებულ პოლიტიკას შეესაბამება, მეორე, მორჩილების ანუ „სქვეშევრდომული“ კულტურა - ავტორიტარულ და ცენტრალიზებულ სტრუქტურას, მესამე, მონაწილეობის ანუ პარტისიპატიული კულტურა - დემოკრატიულ სახელმწიფოს. მაგრამ არ არსებობს ერთგვაროვანი პოლიტიკური კულტურა. არც ერთი პოლიტიკური კულტურა არ აუქმებს მის წინამორბედს, არამედ მას ემატება და ავსებს. ამიტომ ნებისმიერი პოლიტიკური კულტურა შერეულია. იგი სამივე ტიპის ელემენტს შეიცავს, ოღონდ არათანაბარი პროპორციით - ზოგჯერ მეტს, ზოგჯერ - ნაკლებს.

სუბკულტურა და მისი ტიპები. კულტურისაგან, რომელიც საერთოა ჯგუფის ყველა წევრისათვის, განსხვავებენ სუბკულტურას, რომელიც ჯგუფში ადამიანთა რომელიღაც ნაწილის მრწამსის, ღირებულებებისა და სიმბოლოთა გამოხატულებას წარმოადგენს. ნორმებისა

და ღირებულებების ერთობლიობას, რომელიც ჯგუფს განასხვავებს უფრო ფართო გაერთიანებისაგან, სუბკულტურას უწოდებენ.

დღევანდელ პოლიტიკაში სუბკულტურათა რამდენი ტიპი გამოიყოფა:

1. რეგიონალური სუბკულტურა, რომელიც განპირობებულია ქვეყნის ცალკეულ რეგიონს შორის ეკოლოგიური განსხვავებით. კლიმატი, ნიადაგის შედგენილობა და სხვა ფაქტორები, ქმნის ეკონომიკურ განსხვავებებს, რომელიც ეხება ამა თუ იმ რეგიონის ცხოვრების წესს და მასზე ზეგავლენას ახდენს.

2. ეთნოლინგვისტური სუბკულტურა, რომელიც უკავშირდება ენობრივ და ეთნიკურ თავისებურებებს.

3. სოციო-ეკონომიკური სუბკულტურა, რომელიც განპირობებულია ჯგუფური და კლასობრივი სტატუსით. სპეციფიკურ ინტერესებთან ერთად იგი ბაღებს განსხვავებას ცხოვრების სტილსა და წესშიც.

4. რელიგიური სუბკულტურა, რომელიც გავლენიან ძალად იქცევა მაშინ, როცა რელიგია ისეთ კულტურულ სუბსტანციას წარმოადგენს, რომელიც ყველაფერს მსჭვალავს.

5. ასაკობრივი სუბკულტურა - მას ზეგავლენის შედარებით ნაკლები უნარი ახასიათებს და იშვიათადაც გვხვდება.

პოლიტიკური სოციალიზაცია და მის არსი. პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესის შედეგად პიროვნება ეზიარება პოლიტიკურ კულტურას, ითვისებს მას და თავის პოლიტიკურ ორიენტაციას აყალიბებს. პოლიტიკურ სოციალიზაციას ადგილი აქვს ნებისმიერ ქვეყანაში მმართველობის ნებისმიერი ფორმის დროს, რადგან საზოგადოების ლიდერები ცდილობენ დანერგონ მოქალაქეთა ცნობიერებაში მათთვის სასურველი ქცევის მოდელი.

პ.შარანის განმარტებით, „პოლიტიკური სოციალიზაცია“ - ესაა სწავლა-აღზრდის პროცესი, რის შედეგადაც არსებული საზოგადოებისათვის მისაღები ქცევის პოლიტიკური ნორმები და სქემები თაობიდან თაობას გადაეცემა“. მისი მიზანია პოლიტიკურ მოქმედებათა არსებული მოდელისა და ფორმების მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფა. უფროს თაობას უნდა ძალუძდეს აღზარდოს ახალგაზრდობა თავიანთი შეხედულებებისა და ფასეულობების შესატყვისი სულისკვეთებით.

პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესმა უნდა გადაჭრას 3 მთავარი ამოცანა:

1. პოლიტიკური გაერთიანების წევრებისადმი ამ საზოგადოებაში გაბატონებული პოლიტიკური კულტურის ელემენტების გადაცემა;

2. ამ ელემენტთაგან ზოგიერთის გარდაქმნა როგორც საზოგადოებრივ ცვლილებათა აუცილებელი პირობა;

3. განსაკუთრებულ პირობებში ახალი პოლიტიკური კულტურის შექმნა (მაგალითად, ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოშობის შემთხვევაში).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესს, როცა სოციალიზაცია ყველაზე ინტენსიურად მიმდინარეობს. დისტონი და ჯდენისი ბავშვთა სოციალიზაციის პროცესში გამოყოფენ 4 პერიოდს:

I. პოლიტიზაცია - პოლიტიკის აღქმადობა;

II. პერსონალიზაცია - როცა რომელიმე ავტორიტეტული პოლიტიკური ფიგურა იქცევა თითქოსდა შეხების წერტილად ბავშვსა და პოლიტიკურ სისტემას შორის (მაგ: ქვეყნის პრეზიდენტი);

III. პოლიტიკურ ხელისუფალთა იდეალიზაცია, როდესაც ბავშვი აღიქვამს მათ როგორც კეთილი ან ბოროტი განზრახვის მქონედ და სწავლობს სიყვარულს ან სიძულვილს;

IV. ინსტიტუციონალიზაცია - ესაა პერიოდი, როდესაც ბავშვი გადადის პერსონალიზებული წარმოდგენებიდან ინსტიტუციურზე ანუ პოლიტიკური სისტემის წარმოდგენებზე. პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში დიდ როლს ასრულებს ისეთი ორგანიზაციები, როგორცაა, ოჯახი, სკოლა, ახალგაზრული ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, ინტერესთა ჯგუფები, ნათესაური ჯგუფები, მასშედია. ამათგან პირველი და ყველაზე ძლიერია ოჯახური გარემოცვა. როგორც წესი, მყარი ღირებულებები, ნორმები და პოლიტიკური პრიორიტეტები ინდივიდს უფალიბდება ოჯახში გაბატონებული განწყობილებების მიხედვით. ასევე განსაკუთრებული ადგილი უკავია სკოლას და საერთოდ განათლების სისტემას, სადაც მიმდინარეობს პოლიტიკური აღზრდის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამგვარი აღზრდის მიზანი ნორმატიულიცაა და ინფორმატიულიც. ეს მიზანი რეალიზდება სასწავლო პროგრამების, რიტუალებისა და ინფორმირების ჩარჩოებში. სასწავლო პროგრამა თითქმის ყველგან გამოიყენება, როგორც პატრიოტულ ფასეულობათა განმტკიცებისა და ათვისების საშუალება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ინდივიდთა სოციალიზაციის უმოკლესი და საუკეთესო გზაა. ადამიანთა დიდი მასების ახალი ორიენტირებით აღჭურვა ძნელი ამოცანაა და ამ დროს დამლუპველია სინქარე და წარსულთან კავშირის სწრაფი გაწყვეტა.

გამოყოფენ პოლიტიკური სოციალიზაციის რამდენიმე ტიპს:

1. პარმონიული (ახასიათებს ნორმალური დამოკიდებულება ხელისუფლების ინსტიტუტებისადმი, საკუთარი მოქალაქური მოვალეობის შესრულების სურვილი, პატივისცემა არსებული წყობისადმი)

2. ჰეგემონისტური (ახასიათებს მკვეთრი კრიტიკული დამოკიდებულება ნებისმიერი წყობისა და ხელისუფლებისადმი, გარდა იმისა, რასაც ისინი თავად გვთავაზობენ. ეს ტიპი პრეტენზიული და თავდაჯერებულია, რომ მას შეუძლია განსაკუთრებული როლის თამაში პოლიტიკურ ცხოვრებაში)

3. პლურალისტური (ახასიათებს დემოკრატიზმი, თანასწორ-უფლებიანობის მხარდაჭერა, სხვისი აზრის პატივისცემა, თუ დაარწმუნებენ შეცდომაში, იცვლის თავის შეხედულებებს)

4. კონფლიქტური (მუდამ ილტვის გამწვავებისაკენ, ქმნის ურთიერთდაპირისპირებულ დაჯგუფებებს, რათა მიაღწიოს საკუთარ მიზანს, დაიკმაყოფილოს ინტერესი)

5. კონსუქტურული (მისი შეხედულება და ქცევა სიტუაციაზეა დამოკიდებული, რომელსაც იგი ეგუება საკუთარი ანგარების დასაკმაყოფილებლად. იგი უპრინციპობით გამოირჩევა).

ძირითადი ტერმინები:

1. პოლიტიკური კულტურა
2. პოლიტიკური ორიენტაცია
3. „თამაშის წესები“
4. პოლიტიკური აზროვნება და გრძნობა
5. პოლიტიკური კულტურის 3 ტიპი (ტრადიციული, მორჩილებითი, მონაწილეობის)
6. სუბკულტურა
7. პოლიტიკური სოციალიზაცია

დემოკრატიის არსი. დემოკრატია („დემოს“ – ხალხი და „კრატია“ – მმართველობა) ხალხის მმართველობაა. დემოკრატიის მშვენიერი ნიმუშები გვხვდება ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში. მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო, ვიდრე შეიქმნებოდა დემოკრატიის ახალი გაგება და დემოკრატიული ქვეყნები. ეს XX საუკუნეში მოხდა.

თანამედროვე დემოკრატია შემდეგი ნიშნებით ხასიათდება:

1. უმრავლესობის მმართველობა;
2. მოქალაქეთა პოლიტიკური თანასწორობა;
3. აზრის, სიტყვისა და რწმენის თავისუფლება;
4. შრომის პატივისცემა და პირადი ღირსება;
5. წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევითობა და მათი პერიოდული ანგარიშგება ამომრჩევლის წინაშე;
6. მოქალაქეთა უფართოესი უფლებების უზრუნველყოფა, მათ შორის მოქალაქის უფლება აირჩიოს და არჩეულ იქნეს სახელმწიფო ორგანოებში და ამით შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტაში;
7. ყოველივე ეს დამყარებულია ერთ უმთავრეს დებულებაზე – კანონის საყოველთაო ბატონობაზე, რაც ნიშნავს კანონის წინაშე ყველას თანასწორობას.

„სპარტელები თავისუფლები არიან, მაგრამ ყოველმხრივი თავისუფლება მაინც არა აქვთ, რადგან მათ ჰყავთ უფალი – კანონი.“

ჰეროდოტე

„თუ ტერმინ „დემოკრატია“ ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით გავიგებთ, მაშინ ჭეშმარიტი დემოკრატია არასოდეს არსებულა და არც იარსებებს.. ბუნებრივი რიგის საწინააღმდეგოა, რომ ხალხის უმრავლესობა იყოს მმართველი, უმცირესობა კი – მართულნი. შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ ხალხი დაუსრულებლად იკრიბებოდეს საზოგადოებრივ საქმეთა აღსასრულებლად“.

ჟან ჟაკ რუსო.

დემოკრატია იდეალური მმართველობის სისტემა არაა. მას ბევრი ნაკლოვანი მხარე და დილემა გააჩნია და იგი მიწიერ სამოთხეს არ წარმოადგენს:

- დემოკრატია არ იძლევა პასუხს ყველა იმ პრობლემებზე, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ეჯახებიან ადამიანები;

- დემოკრატია - ეს მხოლოდ საშუალებაა მხარდამხარ მომუშავე კეთილი ნების ადამიანებისათვის, რათა მათ მიიღონ გადაწყვეტილება და მართონ ქვეყანა;

- დემოკრატია არ იძლევა გარანტიას, რომ მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე საუკეთესო და უნაკლო იქნება;

- დემოკრატია ქმნის სხვა სახის დაპირისპირებასაც: ხელისუფლება გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნოს პოლიტიკურად გაუთვინობიერებელ უმრავლესობას თუ კონკრეტული ინტერესებით გაერთიანებულ ჯგუფებს, რომლებსაც სათანადო ცოდნა და პასუხისმგებლობა გააჩნიათ?

დემოკრატია სიკეთეა მხოლოდ მაშინ, როცა ხალხს გააჩნია მაღალი პოლიტიკური კულტურა, შესაბამისი ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები. დემოკრატია ვერ დამყარდება ისეთ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს კონკურენცია, კერძო საკუთრება და ბაზარი. ჭეშმარიტი (და არა მოჩვენებითი) საბაზრო ეკონომიკა ხელს უშლის ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების თავმოყრას საზოგადოების რომელიმე ერთი ჯგუფის ხელში. იგი უზრუნველყოფს მოქალაქის ავტონომიას, იცავს მას ტოტალური სახელმწიფო კონტროლისაგან, ხელს უწყობს მასში დემოკრატიისათვის ისეთი აუცილებელი თვისებების განვითარებას, როგორცაა მისწრაფება თავისუფლებისაკენ, პასუხისმგებლობა, მეწარმეობა, ჭეშმარიტი საბაზრო ეკონომიკის გარეშე არ შეიძლება ჩამოყალიბდეს სამოქალაქო (ღია) საზოგადოება, რომელსაც ეყრდნობა დემოკრატია.

დემოკრატიის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია:

1. ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე;
2. ურბანიზაციის (მრავალრიცხოვანი განვითარებული ქალაქები) არსებობა;
3. სოციალური ჯგუფების მრავალფეროვნება, ძლიერი საშუალო ფენის არსებობა;
4. მოსახლეობის საერთო განათლებულობა და პოლიტიკური კულტურის მაღალი დონე.

დემოკრატიულია ქვეყანა, თუ:

1. მოზრდილთა უმეტესობას შეუძლია მონაწილეობდეს საარჩევნო პროცესში;
2. ხმის მიცემა თავისუფალი და საიდუმლოა და გამორიცხულია ძალდატანება;
3. ხელმძღვანელებს ირჩევენ თავისუფალი არჩევნების გზით, რომელშიც მონაწილეობს, სულ ცოტა, ორი მეტოქე პარტია და თანამდებობაზე არჩევის ვადა ლიმიტირებულია;

4. ხელისუფლება თავის კანონიერებას და გადაწყვეტილებებს აფუძნებს მოქალაქეთა ნებაზე;

5. რიგითი მოქალაქეები და თანამდებობის პირები სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით - სიტყვის, პრესის, შეკრების, რელიგიის და გაერთიანების ძირითადი თავისუფლებების კუთხით.

ადამიანის უფლებები. ნამდვილი დემოკრატია მხოლოდ მაშინაა, როცა ქვეყანაში მაღალ დონეზეა დაცული ადამიანის უფლებები. იმისათვის, რომ თავისუფლება, რომელიც ადამიანის ღირსეული არსებობისათვის ყველაზე მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს, იყოს ჭეშმარიტად, რეალურად არსებული, აუცილებელია მთელი რიგი უფლებების დაცვა და განხორციელება. მოუხედავად იმისა, რომ ადამიანები მისდევენ ცხოვრების სხვადასხვა წესს და განსხვავებულად აზროვნებენ, მათ მაინც ერთნაირი ინტერესები აქვთ:

- სიცოცხლის უსაფრთხოება;
- საკუთრების ხელშეუხებლობა;
- პიროვნული დამოუკიდებლობა;
- შრომის უფლება და სხვა.

ყველა ამათ ადამიანის ბუნებრივი უფლებები ჰქვიათ. ბუნებრივი უფლებების ეს ცნება უპირისპირდება სამართლებრივი უფლებების ცნებას, რომლებიც განსაზღვრულია კანონმდებლობითა და კონკრეტული წესებით და რომლებიც დამკვიდრებულია და მიღებულია სახელმწიფოში. ბუნებრივი უფლებები განსხვავდება მორალური უფლებებისაგანაც, რომლებიც ეფუძნებიან გარკვეულ მორალურ კოდექსს.

ბუნებრივი უფლებები თანამედროვე გაგებით ჩამოაყალიბა ჯონ ლოკმა და სწორედ მისმა თეორიამ განსაზღვრა ძირითადად ამერიკის ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, რომელიც მიიღო ფილადელფიის კონგრესმა 1771 წელს, სადაც მოთხოვნის სახით დაფიქსირდა „სიცოცხლის, თავისუფლების და საკუთრების“ უფლება.

ადამიანის ბუნებრივი უფლებები მალე აღიარებულ იქნა ევროპაშიც. ამავე საუკუნეში საფრანგეთის ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციაში ვკითხულობთ: „ყველა პოლიტიკური გაერთიანების მიზანია დაიცვას ადამიანის უფლებები და აუცილებელი უფლებები; ეს უფლებებია: თავისუფლება, საკუთრება, უსაფრთხოება, ჩაგვრისადმი წინააღმდეგობა“.

მოუხედავად ყოველივე ამისა, მთელს მსოფლიოში მეორე მსოფლიო ომამდე არ დამკვიდრებულა ადამიანთა ბუნებრივი უფლებების ხელშეუხებლობის რწმენა. აღიარებული იყო ის თეორიები, რომელიც შექმნეს ჰეგელმა, შემდეგ კი მარქსმა და ენგელსმა.

ჰეგელი და მისი მიმდევრები უარყოფდნენ ნებისმიერ მოსაზრებას

ადამიანის ხელშეუხებელი უფლებების შესახებ. მათთვის უპირველესი იყო სახელმწიფო ძალაუფლება და მოქალაქეს არ შეიძლება ჰქონოდა ისეთი უფლებები, რომელიც ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს. მარქსისა და ენგელსისათვის ადამიანის უფლებები ბურჟუაზიულ მოთხოვნას წარმოადგენდნენ, რომელიც ეფუძნებოდა ინდივიდუალურ დაშვებებს და არა სოციალურ მოთხოვნილებებს.

ადამიანის უფლებების იდეამ საყოველთაო აღიარება და გავრცელება მოიპოვა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1945 წლიდან). ნაცისტური გერმანიის ლიდერების გასამართლება მოხდა იმ დანაშაულისათვის, რომელსაც ეწოდა „კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული“ და რომელიც არ ფიგურირებდა არც ერთი ქვეყნის სასამართლო კოდექსში.

1948 წელს გაეროს სპეციალურმა კომიტეტმა შეადგინა, ხოლო გენერალურმა ასამბლეამ გამოაქვეყნა „ადამიანის უფლებათა დეკლარაცია“, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ყველა ქვეყნისათვის აუცილებელი საერთო სტანდარტები, რომელთა მიღწევა სავალდებულოა. დეკლარაციაში ჩამოთვლილია შემდეგი უფლებები:

1. მოქმედების პერსონალური უფლებები (სიცოცხლის უფლება, თავისუფლება, საკუთრება, ემიგრაცია, სიტყვისა და გაერთიანების თავისუფლება, სინდისის თავისუფლება);

2. კანონის მხრიდან დაცულობის უფლებები (თანასწორობის უფლება კანონის წინაშე, უმიზეზო, დაუსაბუთებელი დაპატიმრების დაუშვებლობა, გასამართლება მიუკერძოებელი მოსამართლის მიერ);

3. პოლიტიკური უფლებები (მონაწილეობა თავისუფალ საყოველთაო არჩევნებში);

4. ეკონომიკური და სოციალური უფლებები (ერთნაირი შრომის თანაბარი ანაზღაურება, ფასიანი შევებულება, სოციალური დაცვა, განათლების უფლება და სხვა).

1960-იან წლებში უფლებების სფეროში დამკვიდრდა ახალი ტერმინი - ღირსების დაცვის უფლება, რომლის გავრცელება ამერიკელი ფილოსოფოსის დვორკინის დამსახურებაა, რომელმაც თავის პოლიტიკის თეორიაში უპირატესობა მიანიჭა მორალურ უფლებებს და კერძოდ ორ მორალურ უფლებას - თანასწორი მოპყრობის უფლებას ყველა მოქალაქის მიმართ და ადამიანური ღირსების დაცვის უფლებას.

ზემოთ ჩამოთვლილი ეს უფლებები ბუნებრივად გულისხმობს იმას, რომ ადამიანმა უნდა დაიცვას და აღიაროს მისთვის დაკანონებული უფლებები სხვისთვისაც, ანუ შეიგნოს, გააცნობიეროს, რომ როგორც ის მოითხოვს თავისთვის თანასწორობასა და თავისუფლებას, ასეთივე უფლების ღირსია და უნდა ფლობდეს მათ სხვა ნებისმიერი პიროვნება, რომელიც მასავით თავისუფალია, ღირსეულია და უფლებამოსილი.

ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანი უნდა იყოს შემწვანარებელი სხვა ადამიანების მიმართ და არ უნდა შელახოს სხვისი უფლებები იმის გამო, რომ ის ხასიათდება სხვა თვისებებით, არ ჰკავს მას. ე.ი. დემოკრატიული ღირებულებები ლოგიკურად მოითხოვენ ისეთი ღირებულებების აღიარებას, როგორცაა ტოლერანტობა (შემწვანარებლობა).

1966 წელს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენციები:

ა) „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, რომელიც ეხება ადამიანის დღეს უკვე ტრადიციულ ისეთ უფლებებს, როგორცაა ადამიანის წამების, დაუსაბუთებლად დასჯისა და დაპატიმრების აკრძალვა, აზრის, რწმენისა და ასოციაციებში გაერთიანების თავისუფლება.

ბ) „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებების შესახებ“, სადაც საუბარია კვების, საცხოვრებლის, განათლების, სამედიცინო მომსახურების უფლებებზე.

ადამიანის უფლებები ირღვეოდა სქესობრივ-ასაკობრივი თვალსაზრისითაც – ინაგრებოდნენ ქალები და ბავშვები. 1967 წლის 7 ნოემბერს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ქალთა მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვის დეკლარაცია, ხოლო 1979 წელს – კონვენცია. 1989 წელს მიღებულ იქნა ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია, რომლის თანახმად ბავშვები და მოზარდები ისეთივე ადამიანებია, როგორც დიდები და მათაც გააჩნიათ თავიანთი ღირსებები, პიროვნული ღირებულებები და აქვთ თავიანთი უფლებები. ყველა ბავშვს აქვს უფლება, იზრდებოდეს უსაფრთხო პირობებში, მათი აზრები და გრძნობები პატივისცემით უნდა იქნენ მიღებული.

გაერო-მ 10 დეკემბერი დააწესა, როგორც ადამიანის უფლებათა დღე. ადამიანის უფლებებში ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა:

1. მატერიალური (მოიცავს ადამიანის კონკრეტულ უფლებებსა და თავისუფლებებს)

2. საპროცესო (ადამიანისათვის კუთვნილი მოქმედების მეთოდი და მასთან დაკავშირებული ინსტიტუტებია, რომლის დახმარებითაც ადამიანი აიძულებს ხელისუფლებას დაიცვას თავისი უფლებები).

განარჩევნ აგრეთვე პოზიტიურ და ნეგატიურ უფლებებს. პოზიტიურია ის უფლებანი, რომელიც გულისხმობს ხელისუფლების აქტიურ მოვალეობებს თითოეული მოქალაქის მიმართ. ხოლო ნეგატიურია ის უფლებები, რომლებიც უკრძალავს სახელმწიფოს ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში ჩარევას.

ამრიგად, ადამიანის უფლება – ეს არის ადამიანისათვის მიუცილებელი კონკრეტულ მოქმედებათა განხორციელების შესაძლებლობა, რომლის წართმევა ან რამენაირი დაბრკოლება დაუშვებელია სახელმწიფოს, მისი ორგანოებისა და ცალკეული პირების მხრიდან.

სამართლებრივ სახელმწიფოში

ადამიანის უფლებები:

1. უსაფრთხოების დაცვა;
2. სიცოცხლის დაცვა;
3. თავისუფალი შრომა;
4. თავისუფალი აზრი;
5. საოჯახო საიდუმლო;
6. ენის არჩევა;
7. სოციალური დაცვა;
8. ღირსების დაცვა;
9. კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობა;
10. საცხოვრებლის ხელშეუხებლობა;
11. შრომის ჰუმანური პირობები;
12. მიმართოს სახელმწიფო ორგანოებს;
13. ეროვნული მიკუთვნებულობის განსაზღვრა და მითითება;
14. არჩევის და არჩევანის გაკეთების უფლება;
15. ბავშვებზე ზრუნვისა და აღზრდის;
16. კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების უფლება;
17. თავისუფლად გადაადგილებსა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება;
18. მიტინგის, შეკრების, დემონსტრაციის თავისუფლება;
19. შემოქმედებითი (მხატვრული, სამეცნიერო, ტექნიკური) თავისუფლება;
20. ადამიანის უფლებათა დასაცავად საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მიმართვა;
21. საკუთარი თავისა და ახლობლების წინააღმდეგ ჩვენების არ მიცემის უფლება;
22. განაჩენის გადასინჯვის, შეწყალების ან შერბილების უფლება;
23. დასვენების უფლება;
24. სახელისა და ღირსების დაცვა;
25. განათლება;
26. ჯანმრთელობა და სამედიცინო დახმარება;
27. ალტერნატიული სამხედრო სამსახური;
28. სახელმწიფო საქმეების მართვის უფლება;
29. სახელმწიფო სამსახურში თანაბარი დაშვება;
30. უმუშევრობისაგან დაცვა;
31. საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება;
32. კულტურის დაწესებულებებით სარგებლობა;
33. რეფერენდუმში მონაწილეობა;
34. სიტყვისა და აზრის გამოთქმის თავისუფლება;
35. ბოროტებისადმი წინააღმდეგობის უფლება;
36. საკუთრება;
37. სასამართლო დაცვა;
38. პირადი საიდუმლო;
39. მემკვიდრეობა;
40. მეწარმეობა;
41. კავშირების უფლება;
42. თავისუფლება და პირადი ხელშეუხებლობა;
43. მონაწილეობა სამართალწარმოებაში;
44. გაფიცვის უფლება;
45. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება;
46. კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება;
47. კულტურულ ფასეულობებზე ხელმისაწვდომობა;
48. ინდივიდუალურ და კოლექტიურ დაკვებში მონაწილეობის უფლება და ა.შ.

თუ თქვენ უკანონოდ დაგაპატიმრეს ან დაგაკავეს:

- თქვენ გაქვთ დუმილის უფლება;
- ყველაფერი, რასაც იტყვით, შეიძლება თქვენ წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული სასამართლოზე;
- დაკითხვამდე გაქვთ უფლება მოესაუბროთ თქვენთვის სასურველ ადვოკატს;
- თუ არ გაქვთ სახსრები დაიქირავოთ ადვოკატი, ადვოკატი უზრუნველყოფილი იქნებით უფასოდ.

უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანს უფლებებთან ერთად ვალდებულებებიც აკისრია, რომელთა აღსრულება ასეთივე აუცილებლობას წარმოადგენს.

ძირითადი ტერმინები:

1. დემოკრატია
2. ადამიანის უფლება
3. მატერიალური უფლება
4. საპროცესო უფლება
5. პოზიტიური უფლება
6. ნეგატიური უფლება
7. ტოლერანტიზმი.

პოლიტიკური მონაწილეობა, არჩევნები და მისი მონიტორინგი



უშუალო დემოკრატიის დროს მოქალაქეები იკრიბებიან და თვითონ იღებენ გადაწყვეტილებებს, შუალობითი დემოკრატიის დროს კი მოქალაქეები მონაწილეობას იღებენ ხელისუფლების საქმიანობაში მათ მიერ არჩეულ წარმომადგენლების საშუალებით, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს მათ მაგივრად.

არჩევნები სახელმწიფოს დემოკრატიულობის აუცილებელი პირობაა და არა მისი გარანტი. თუმცა მოქალაქეებს პოლიტიკური ქცევის სხვა საშუალებებიც გააჩნიათ: პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობა, დაინტერესებული ჯგუფების შექმნა, სახელმწიფო მოხელეებთან კონტაქტი, ოფიციალურ პოსტზე თავისი წარმომადგენლის გაყვანის და მთავრობის გადაწყვეტილებისადმი პროტესტის გამოხატვაც კი.

პოლიტიკური მონაწილეობა ესაა ცალკეული მოქალაქეების ქმედება, რომლის ძალითაც მათ მთავრობასა და პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა ან მათთვის მხარდაჭერა სურთ.

ეს განსაზღვრება მოიცავს პოლიტიკაში მონაწილეობის ორივე ფორმას:

1. ჩვეული (კონვენციური) - არჩევნებში მონაწილეობა, წერილობითი მიმართვების გაგზავნა.

2. უჩვეულო (არაკონვენციური) - მჯდომარე გაფიცვები, შიმშილობები, ქუჩის აქციები და სხვ.

ჩვეული მონაწილეობა ისეთი ქცევაა, რომელიც იყენებს წარმომადგენლობითი ხელისუფლების ინსტიტუციურ არხებს, განსაკუთრებით - კანდიდატებისათვის მხარდაჭერასა და არჩევნებში მონაწილეობას.

პოლიტიკური მონაწილეობის უჩვეულო ფორმა კი ისეთი ქცევაა, რომელიც უპირისპირდება ან არ ემორჩილება ხელისუფლების ინსტიტუციურ წესებს ან გაბატონებულ კულტურას.

მხარდამჭერი ქცევა ისეთი ქმედებაა, რომელიც გამოხატავს ერთგულებას ქვეყნისა და მთავრობისადმი. ზეგავლენის მქონე ქცევას იყენებენ მთავრობის პოლიტიკის შესაცვლელად ან გარდასაქმნელად.

მონაწილეობის ჩვეულ ფორმებს შორის ყველაზე თვალსაჩინოა არჩევნებში მონაწილეობა და პარტიებისა თუ კანდიდატებისთვის ხმის მიცემა.

არჩევნების არსი და თუნქციები. არჩევნები ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების ფორმალური პროცედურაა. ხმის მიცემა კი არის

მოქმედება, რომელსაც ასრულებს პიროვნება არჩევნების დროს ალტერნატიულ კანდიდატებს (პარტიებს) შორის არჩევნის გაკეთებისას. გამოყოფენ არჩევნების შემდეგ ფუნქციებს:

1. ელექტორატის (ამომრჩეველთა) მრავალფეროვან ინტერესთა გამოთქმა (არტიკულაცია) და გაერთიანება (აგრეგირება);
2. ძალაუფლების ინსტიტუტებზე კონტროლი;
3. საერთო პოლიტიკური ნების ჩამოყალიბება და მრავალსახოვან შეხედულებათა ინტეგრაცია;
4. პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმაცია და სტაბილიზაცია;
5. ძალაუფლების ინსტიტუტების წარმომადგენელთა და მოქალაქეთა შორის ურთიერთობის გაფართოება;
6. პოლიტიკურ კონფლიქტთა მშვიდობიანი მოწესრიგება;
7. მოსახლეობის პოლიტიკური პოლარიზაცია;
8. პოლიტიკური ელიტის რეკრუტირება (გაწევა);
9. ალტერნატიულ პოლიტიკურ პროგრამათა კონკურენციული ბრძოლის მეშვეობით, საზოგადოების განახლების გზების ძიება;
10. ეფექტური ოპოზიციის ჩამოყალიბება და მისი მომზადება მართვის ფუნქციების დასაუფლებლად.

ამ ფუნქციების წარმატებით შესრულება მაშინაა შესაძლებელი, თუ ისინი ეყრდნობიან საარჩევნო უფლების შემდეგ დემოკრატიულ პრინციპებს:

ა) საყოველთაობა - ყველა მოქალაქეს, მიუხედავად სქესისა, ეროვნული, რასობრივი, შემოსავლის თუ პოლიტიკური შეხედულებისა აქვს არჩევნებში მონაწილეობის აქტიური (ამომრჩევლის სახით) და პასიური (კანდიდატის სახით) უფლება. არსებობს შეზღუდვა მხოლოდ მცირე ცენზით, რომელიც კრძალავს არჩევნებში მონაწილეობას.

ასაკობრივი ცენზი, რომელიც არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მხოლოდ სრულწლოვანების (ჩვენთან 18 წელი) მიღწევის შემდეგ იძლევა; პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატების შედარებით მაღალი ასაკობრივი ცენზი (ჩვენთან 25 წელი); უუნარობის ცენზი, რომელიც ფსიქიკურად დაავადებულებს ართმევს არჩევნების უფლებას; მორალური ცენზი, რომელიც საარჩევნო უფლებას ართმევს პატიმრებს, ბინადრობის ცენზი, რომელიც საარჩევნო უფლების მისაღებად ითვალისწინებს მოცემულ ქვეყანაში ცხოვრების განსაზღვრულ ვადას (10-15 წელი)

ბ) თანასწორობა - ყოველ ადამიანს აქვს ერთი ხმა („ერთი პიროვნება - ერთი ხმა“).

გ) დაფარულობა - ამომრჩევლის გადაწყვეტილება არ უნდა იყოს ვინმესთვის ცნობილი.

დ) პირდაპირი ხმის მიცემა - ამომრჩეველი თავად იღებს უშუალო გადაწყვეტილებას კონკრეტული კანდიდატის ასარჩევ თანამდებობაზე არჩევის შესახებ.

საარჩევნო კამპანიათა რეგლამენტაციის საფუძველია 3 მთავარი პრინციპი:

I. არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიისა და კანდიდატისათვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა მატერიალურ და ინფორმაციულ სფეროებში.

II. ე.წ. ლოიალურობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც კანდიდატები ვალდებული არიან ლოიალურად ექცეოდნენ თავიანთ მეტოქეებს, არ დაუშვან ფალსიფიკაცია და ურთიერთშეურაცხყოფა.

III. სახელმწიფო აპარატის ნეიტრალიტეტი, მისი ჩაურევლობა წინასაარჩევნო კამპანიაში.

საარჩევნო სისტემის ტიპები. საარჩევნო სისტემის მთავარი დანიშნულებაა უზრუნველყოს ხალხის ნების წარმომადგენლობითობა და ძალაუფლების ეფექტური ორგანოების ჩამოყალიბება. არსებობს საარჩევნო სისტემის 2 ძირითადი ტიპი:

1. მაჟორიტარული (ანუ ალტერნატიული)

2. პროპორციული (ანუ წარმომადგენლობითი)

ხშირად იყენებენ შერეულ სისტემებს, რომლებშიც გაერთიანებულია ორივე საარჩევნო სისტემის ელემენტები მაგ: საქართველოში მაჟორიტარული წესით აირჩევა 85 დეპუტატი, პროპორციული წესით კი 150 დეპუტატი (ასევეა რუსეთში, გერმანიაში).

მაჟორიტარული სისტემის დროს ყოველი საარჩევნო ოლქიდან თითო დეპუტატი აირჩევა. არჩევნებში იმარჯვებს ის, ვინც ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობას მოაგროვებს. ხმების უმრავლესობა შეიძლება იყოს აბსოლუტური (50%+1 ხმა) ან შედარებითი (ე.ი. უფრო მეტი, ვიდრე მოწინააღმდეგემ). აბსოლუტური უმრავლესობის პრინციპის გამოყენების დროს, თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ნახევარზე მეტი ხმა, ტარდება არჩევნებით მეორე ტური, რომელზეც უკვე იბრძვის ის ორი კანდიდატი, რომლებმაც მოაგროვეს ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა.

პროპორციული სისტემის არსი ისაა, რომ იგი მანდატებს ანაწილებს არჩევნებში პარტიების ან პარტიული ბლოკების მიერ მიღებული ხმების პროპორციულად. ამ სისტემის მთავარი ღირსებაა - არჩევით ორგანოებში პარტიათა წარმომადგენლობა განისაზღვრება ამომრჩევლებში მათი რეალური პოპულარობის და ნდობის შესაბამისად.

ბევრი ქვეყანა პარლამენტის მეტისმეტი პარტიული დაქვემდებარების თავიდან ასაცილებლად იყენებს საარჩევნო ბარიერებს, ანუ ადგენს დეპუტატის მანდატის მისაღებად საჭირო ხმების აუცილებელ მინიმუმს (1999

წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებში ეს ბარიერი პარტიებისათვის შეადგენდა 7%-ს).

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები აირჩევა უფრო მცირე ხნით (საქართველოში 4 წლით), რადგან მათ წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტა უფრო მარტივია. პარლამენტი და პრეზიდენტი უფრო დიდი ხნით აირჩევა (ჩვენთან პარლამენტი ყოველ 4 წელიწადში ერთხელ, პრეზიდენტი - 5 წელიწადში ერთხელ). იმ ოლქს, სადაც ერთ დეპუტატს ირჩევენ, ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი ეწოდება, რამდენიმე დეპუტატის არჩევის შემთხვევაში კი - მრავალმანდატიანი ოლქი.

საარჩევნო კამპანიის ძირითადი სტადიები. საარჩევნო პროცესი იყოფა რამდენიმე ეტაპად:

1. მოსამზადებელი ეტაპი (საარჩევნო კომისიის შექმნა და არჩევნების დანიშვნა);

2. კანდიდატთა წამოყენება, რაც სრულდება მათი რეგისტრაციით;

3. სააგიტაციო - პროპაგანდისტული კამპანია;

4. ხმის მიცემა და არჩევნების შედეგების შეჯამება.

საარჩევნო კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავს ოფიციალური საარჩევნო კამპანიის დაწყებისა და დამთავრების ვადებს. წინასაარჩევნო კრებების ჩატარება, საარჩევნო აფიშების გაკერა და რადიო-ტელევიზიით გამოსვლა შეიძლება მხოლოდ ოფიციალური საარჩევნო კამპანიის განმავლობაში.

საარჩევნო კამპანიის პირველი ნაბიჯია - კანდიდატების ან პარტიების (მათი ბლოკების, მოძრაობების) წამოყენება. ყველაზე გავრცელებულია კანდიდატთა წამოყენება პარტიების, ორგანიზაციების, ასევე მოქალაქეთა ჯგუფების მიერ მხარდასაჭერად განსაზღვრული რაოდენობის ხელმოწერების (კანდიდატთათვის - ათასი, პარტიებისა და მათი ბლოკებისათვის 50 ათასი ხელმოწერა საქართველოში) მოგროვების მეშვეობით.

კანდიდატთა წამოყენება მთავრდება მათი რეგისტრაციით, რომლის შემდეგაც იწყება წინასაარჩევნო ანუ სააგიტაციო-პროპაგანდისტული კამპანია. იქმნება კანდიდატის (პარტიის) სპეციალური საარჩევნო შტაბი, რომელშიც ერთიანდებიან ნდობით აღჭურვილი პირები, კანდიდატის მხარდამჭერთა ჯგუფი, პროფესიონალი იურისტები, იმიჯმეიკერები, პოლიტოლოგები, სპონსორები, აგიტატორები, მოხალისე აქტივისტები.

სააგიტაციო-წინასაარჩევნო კამპანია მთავრდება არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, რაც საშუალებას აძლევს ამომრჩეველს კარგად განსაზღვროს თავისი არჩევანი.

ნომინალურ სიტუაციაში, ადამიანები ხმას აძლევენ მას, ვისაც, მათი აზრით, აწუსებს იგივე პრობლემები და საზრუნავი, რაც მათ აწუსებთ,

და ვისაც, მათი აზრით, შეუძლია რაღაცის სასიკეთოდ შეცვლა, გამოკვლევებმა და პრაქტიკულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ადამიანები ყველაზე მნიშვნელოვნად თვლიან 10 ძირითად ფასეულობას მათი მნიშვნელობის მიხედვით:

1. ჯანმრთელობა
2. ფინანსური კეთილდღეობა
3. რწმენის თავისუფლება
4. ოჯახური კეთილდღეობა
5. უზრუნველყოფილი სიბერე
6. საინტერესო თავისუფალი დრო
7. სიამოვნების მომტანი სამუშაო
8. კარგი განათლება შეიღებისათვის
9. საკუთარი სახლის ფლობა
10. მოგზაურობის შესაძლებლობა.

ხმის მიცემა და მისი შედეგების შეჯამება არჩევნების კულმინაციური მომენტია, რადგან ამ სტადიაზე უშუალოდ გამოიხატება მოქალაქეთა ნება და განისაზღვრება ხელისუფლების ორგანოთა შემადგენლობა. ამიტომ ამ სტადიის კონტროლისა და დარღვევების მინიმუმამდე დაყვანას პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

არჩევნების მონიტორინგი (დაკვირვება). არჩევნების შედეგებისადმი ამომრჩეველთა ნდობის უზრუნველსაყოფად იქმნება კომისია, რომელიც სარგებლობს კონკურენციაში მყოფი პარტიების ნდობით. კომისიაში იწვევენ დამოუკიდებელ, მათ შორის ადგილობრივ (მაგ: „სამართლიანი არჩევნები“, „პოლიტიკური იმიჯისა და მარკეტინგის საერთაშორისო ასოციაცია“ და სხვ), ასევე საერთაშორისო დამკვირვებლებს უცხოეთის ქვეყნიდან. ზოგჯერ საზოგადოების, ეკლესიის, მასმედიისა და ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელნი ატარებენ არჩევნების შედეგების დამოუკიდებელ დათვლას. არჩევნების მთელი პროცედურის გამჭვირვალობას, შედეგების გაუფალებლობას დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური ხელისუფლების და სისტემის ლეგიტიმურობის ან მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მიერ აღიარებისა და ნდობის მოპოვების საქმეში.

პოსტსაბჭოური ქვეყნები (ცხადია საქართველოც) ჯერ კიდევ ძალიან შორსაა არჩევნების ობიექტური და სრულყოფილი ჩატარებისაკან. აქ ადგილი აქვს მრავალ დარღვევას საარჩევნო კამპანიის მსვლელობის და არჩევნების შედეგების შეჯამების პროცესში.

ხმის მიცემის პროცესის მსვლელობისას და შედეგების შეჯამების მომენტში შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის დარღვევები:

1. ამომრჩეველთა იძულება, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში კონკ-

რეტული პარტიის ან კანდიდატის სასარგებლოდ (ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, მატერიალური დაინტერესება);

2. საარჩევნო უბნების გვიან გაღება, ადრე ან გვიან დახურვა;

3. საარჩევნო პროცედურის დადგენილი წესის შეცვლა კომისიის მიერ;

4. არჩევნების ადმინისტრირებაში იმ პირების მონაწილეობა, რომელთაც ამის უფლება არა აქვთ;

5. კენჭისყრის ფარულობის დარღვევა;

6. უკანონო დახმარების აღმოჩენა კომისიის წევრის ან დამკვირვებლის მიერ;

7. აგიტაციის წარმოება ან სააგიტაციო მასალების (პლაკატები, ბუკლეტები და სხვ.) არსებობა საარჩევნო უბანში ხმის მიცემის დროს;

8. დამკვირვებლებისათვის უბანში შესვებაზე უარის თქმა, უბნიდან გაძევება და ა.შ.

9. ბიულეტენების გაცემა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე;

10. ერთი ამომრჩევლისათვის ბიულეტენთა ერთ კომპლექტზე მეტის მიცემა;

11. სასურველი პარტიის სასარგებლოდ დამატებითი (ზედმეტის) ბიულეტენების საარჩევნო ყუთში ჩაგდება;

12. ერთი და იგივე ამომრჩევლის მიერ (ერთ ან სხვადასხვა უბანში) ხმის რამდენჯერმე მიცემა გარდაცვლილთა, ადგილნაცვალთა და იმათი სახელით, ვინც არ მოვიდა არჩევნებზე;

13. ხმების დათვლის პროცესის გაჭიანურება;

14. ხმების დათვლის პროცედურაში იმათი მონაწილეობა, ვინც კომისიის წევრები არ არიან;

15. არასასურველი პარტიის (კანდიდატის) სასარგებლოდ შევსებული ბიულეტენების გაფუჭება;

16. საარჩევნო ყუთების განადგურება, მოპარვა ან შეცვლა;

17. დათვლის დროს ყუთიდან გადმოყრილ ბიულეტენებში სასურველი კანდიდატის სასარგებლოდ შევსებული ბიულეტენების შერევა;

18. ამომრჩეველთა რიცხვის ხელოვნური გაზრდა;

19. ხმის მიცემის შედეგების გადაადგილება, როცა A პარტიის მიერ მიღებული შედეგები ოქმში შეაქვთ, როგორც B პარტიის (კანდიდატის მიერ მიღებული ხმები და ა.შ.).

უშუალო დემოკრატიის ფორმები თანამედროვე ვითარებაში უშუალო დემოკრატიის ფორმებიდან ყველაზე დიდი მნიშვნელობა შეიძინა რეფერენდუმმა.

თანამედროვე სახელმწიფოთა პოლიტიკურ პრაქტიკაში რეფერენ-

დუმი ეს არის პირდაპირი, უშუალო მიმართვა ამომრჩევლებისადმი რა-
იმე საკანონმდებლო ან სხვა შიდა და საგარეო პოლიტიკური საკითხის
საბოლოოდ გადაჭრის მიზნით.

პარლამენტს ან სახელმწიფოს მეთაურს გამოაქვთ საკითხები, რომ-
ლებიც ეხება სახელმწიფო - პოლიტიკური მოწყობის და პოლიტიკური
ცხოვრების მნიშვნელოვან პრობლემებს: კონსტიტუციის მიღება და მას-
ში ცვლილებების შეტანა, სახელმწიფოებრივი მოწყობის ან მმართველო-
ბის ფორმის შეცვლა, ახალი კანონის მიღება ან მოქმედი კანონების
გაუქმება, ქვეყნის გაწვევრიანება საერთაშორისო ორგანიზაციაში, საერ-
თაშორისო შეთანხმებებისადმი შეერთება.

რეფერენდუმის სახესხვაობაა პლებისციტი - საყოველთაო სახალ-
ხო გამოკითხვა კენჭისყრის გზით იმ ტერიტორიის ამა თუ იმ სახელ-
მწიფოსადმი კუთვნილების შესახებ, რომელზეც გამოკითხული მოსახლე-
ობა ცხოვრობს.

1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმით საქართველოს
მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ (98%-ზე მეტი) მხარი დაუჭირა
საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, რომელიც გამოცხადდა კი-
დეც ამ რეფერენდუმის საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს.

ძირითადი ტერმინები:

1. პოლიტიკური მონაწილეობა
2. ჩვეული და უჩვეულო (კონვენციური და არა კონვენციური) მონა-
წილეობა
3. არჩევნები
4. ხმის მიცემა
5. მაჟორიტარული არჩევნები
6. პროპორციული არჩევნები
7. შერეული საარჩევნო სისტემა
8. ერთ და მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი
9. საარჩევნო კამპანია
10. მონიტორინგი (დაკვირვება)
11. უშუალო დემოკრატია
12. რეფერენდუმი
13. პლებისციტი

მარკეტინგის არსი. ტერმინი „მარკეტინგი“ წარმოებულია ინგლისური სიტყვიდან „მარკეტ“ – ანუ „ბაზარი“. ეს ტერმინი გაჩნდა XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე და ნიშნავდა ბაზარზე საქონლისა და მომსახურების მოთხოვნილებისა და გასაღების შესწავლას.

მარკეტინგი როგორც წარმოების და რეალიზაციის მართვის სისტემა, ერთი მხრივ, გულისხმობს ბაზრის საგულდაგულო და ყოველმხრივ შესწავლას, მომხმარებელთა მოთხოვნილებებისა და გემოვნების ცოდნას, წარმოების ორიენტაციას ამ მოთხოვნილებათა უფრო სრულ დაკმაყოფილებაზე; მეორე მხრივ, მარკეტინგი ესაა აქტიური ზემოქმედება ბაზარზე და არსებულ მოთხოვნილებებზე, მათი ფორმირების პროცესზე.

„პოლიტიკური ბაზარი“. დემოკრატიულ საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები შეიძლება განვიხილოთ საბაზრო ეკონომიკის ანალოგიურად. პოლიტიკა არსებითად იგივე ბაზარია, მხოლოდ პოლიტიკის სფეროში მიმოიქცევა სპეციფიკური საქონელი: შესაძლო სარგებელი და პრივილეგიები, დაკავშირებული ამა თუ იმ პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან. გამყიდველთა როლში გამოდიან პოლიტიკური ხელისუფლების ნამდვილი ან პოტენციური მატარებლები, ხოლო მყიდველთა როლში – რიგითი მოქალაქეები, ამომრჩევლები. საქონლის ხელსაყრელი „გაყიდვის“ მიზნით მიმართავენ მომხმარებლის მოპოვებისა და ბაზრის ათვისების იმ ხერხებს, მეთოდებსა და წესებს, რომლებიც დიდი ხანია შეიმუშავა ეკონომიკურმა მეცნიერებამ და პრაქტიკამ.

არჩევნებსა და საქონლის გასაღებას შორის ანალოგის გავლების შესაძლებლობის შედეგად წარმოიშვა პოლიტიკური მეცნიერების სპეციალური დარგი – პოლიტიკური მარკეტინგი.

მიჩნეულია, რომ პოლიტიკური მარკეტინგი დასაბამს იღებს აშშ-ში, დუაიტ ეიზენჰაუერის დროს, რომელმაც წინასაარჩევნო კამპანიის ორგანიზაციისათვის პირველმა მიმართა სარეკლამო სააგენტოს დახმარებას. ე.წ. „პოლიტიკური მენეჯმენტის“ პირველი სპეციალიზირებული ფირმა ჯერ კიდევ 1933 წელს შეიქმნა კალიფორნიაში ცოლ-ქმარი უიტეიკერის და ბექსტერის მიერ. 1933 წლიდან 1955 წლამდე მათ ჩაატარეს 75 პოლიტიკური კამპანია და 70 მათგანში გაიმარჯვეს.

შემდგომში პოლიტიკური მარკეტინგი ფართოდ დაშვებულა აშშ-ში და იქიდან დასავლეთის სხვა ქვეყნებშიც. ანალოგიური ორგანიზაციები ამ ბოლო ხანს საქართველოშიც შეიქმნა. მაგ: პოლიტიკური იმიჯისა და მარკეტინგის საერთაშორისო ასოციაცია და სხვ.

პოლიტიკური მარკეტინგის არსი. პოლიტიკური მარკეტინგი იკვლევს პოლიტიკური ბაზრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პრობ-

ლემებს. მას მჭიდრო კავშირი აქვს ისეთ დისციპლინებთან, როგორცაა პოლიტიკური ფსიქოლოგია, პოლიტიკური გეოგრაფია, პოლიტიკური სემანტიკა, პოლიტიკური სოციოლოგია და სხვ.

პოლიტიკური მარკეტინგის ძირითადი სახეობაა საარჩევნო მარკეტინგი. საარჩევნო მარკეტინგს ხშირად აიგივებენ საერთოდ პოლიტიკურ მარკეტინგთან, რაც მთლად ზუსტი არაა. „პოლიტიკური მარკეტინგი - ესაა თეორიებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომლითაც შეიძლება ისარგებლონ პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა და ხელისუფლებამ ორი მიზნით: განსაზღვრონ თავიანთი ამოცანები და თავისი პროგრამები; გავლენა მოახდინონ მოქალაქეთა ქცევაზე. საარჩევნო მარკეტინგი მხოლოდ ნაწილია პოლიტიკური მარკეტინგისა და აქვს უფრო შეზღუდული მიზანი: პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს დაეხმაროს ეფექტური საარჩევნო კამპანიის შემუშავებასა და ჩატარებაში“ (დ.ლინდონი)

საარჩევნო მარკეტინგი არაა უბრალო რეკლამა, რომელიც პრეტენდენტს შელამაზებულად წარმოადგენს და არარსებულ ღირსებებს მიაწერს. არც მხოლოდ ავტაციაა, როდესაც ერთნაირი საშუალებით ხდება მთელ ხალხზე, (ყველა ფენაზე) ზემოქმედება.

საარჩევნო მარკეტინგი გულისხმობს სხვადასხვა სოციალური და ეროვნული ჯგუფების ინტერესების სპეციალურ შესწავლას და ამის საფუძველზე ამომრჩეველთა ყოველი კატეგორიისათვის სწორედ პრეტენდენტის იმ რეალური თვისებების და ღირსებების გამოვლენასა და ხაზგასმას, რომელთა მიმართაც ამომრჩეველთა მოცემული ჯგუფები მეტ ინტერესს ამჟღავნებენ. საარჩევნო მარკეტინგი ლიდერობის პრეტენდენტს ეხმარება განსაზღვროს, თუ რამდენად შეესაბამება მისი იდეები და პროგრამა „ბაზრის მოთხოვნილებებს“.

სოციალური სივრცის მნიშვნელობა. პოლიტიკური მარკეტინგის გამოყენებისათვის აუცილებელია სრული წარმოდგენის შექმნა იმ სოციალური სივრცის შესახებ, რომელშიც ხორციელდება მოქმედება. მრავალი უცხოელი პოლიტოლოგი თვლის, რომ არჩევნების შედეგები დამოკიდებულია შემდეგ ძირითად ფაქტორებზე:

- საარჩევნო ოლქის სოციალურ-ეკონომიკური პირობები;
- ოლქის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების პოლიტიკურ ტრადიციათა ხასიათი და პოლიტიკური კულტურის დონე;
- რეგიონის პოლიტიკური სტრუქტურის თავისებურებანი;
- საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და გაერთიანებების აქტიურობა.

პოლიტიკური მარკეტინგის სოციალურ სივრცეში გამოიყოფა რამდენიმე სეგმენტი:

- მართვადი ფაქტორები. ესაა ფაქტორები, რომლებიც დამოუკიდებულნი არიან თვითონ კანდიდატის და მისი მხარდამჭერი ჯგუფის (შტაბის), ისევე როგორც პოლიტიკური მარკეტინგის სპეციალისტების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებაზე.

- უძრავი ფაქტორები. მათ რიცხვს მიეკუთვნება სოციალური სინამდვილის ის მოვლენები, რომლებიც ობიექტურად ზემოქმედებენ წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაზე, მაგრამ არ ექვემდებარებიან ზეგავლენას და დამოუკიდებელნი არიან პრეტენდენტის, მისი შტაბის და პოლიტიკური მარკეტინგის სამსახურის მისწრაფებისა და მოღვაწეობისაგან. აქ გასათვალისწინებელია პოლიტიკური პროცესების ზოგადი ტენდენცია, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მოქმედება, ეკოლოგიური სიტუაციის თავისებურებანი, ეკონომიკური და სოციალური ტენდენციები.

- უკუკავშირები და ადაპტაცია. უკუკავშირები ესაა ინფორმაცია სოციალური სივრცის ობიექტური ფაქტორების შესახებ, პოლიტიკური ბაზრის რეაქციის თაობაზე პრეტენდენტისა და მისი შტაბის მოღვაწეობაზე.

მთელი საარჩევნო კამპანიის მანძილზე მარკეტოლოგები უნდა განსაზღვრავდნენ სხვადასხვა სოციალური ჯგუფების დაკმაყოფილების დონეს წინასაარჩევნო პლატფორმის დებულებებით, ამომრჩეველთა სავარაუდო მხარდაჭერას და გამოხმაურებას. შემდეგ მუშავდება რეკომენდაციები, რომელთაც კორექტივები შეაქვთ ადრე შემუშავებულ სტრატეგიაში, რათა მოხდეს მისი ადაპტაცია სოციალური სივრცის ზეგავლენასთან და პოლიტიკური ბაზრის მოთხოვნილებებთან.

წინასაარჩევნო პლატფორმა. კანდიდატის წინასაარჩევნო პლატფორმა ის მთავარი პოლიტიკური საქონელია, რომელიც გამოაქვთ ამომრჩევლის წინაშე. აქედან გამომდინარე, საკუთრივ მარკეტინგული მოღვაწეობის ორგანიზაციაში პირველ ნაბიჯს სწორედ წინასაარჩევნო პლატფორმის შემუშავება წარმოადგენს. როგორი უნდა იყოს იგი?

ა) პოზიტიური (კონკურენტების კრიტიკას უნდა სჭარბობდეს პოზიტიური ნაწილი 60:40 შეფარდებით);

ბ) ორიგინალურობა (პროგრამა არ უნდა ჰგავდეს სხვების პროგრამებს);

გ) მიზნის მკაფიოდ ჩამოყალიბება;

დ) საშუალებების და ვადების განსაზღვრის კონკრეტულობა;

ე) ერთმანეთში არ უნდა იქნეს არეული მიზნები და საშუალებები;

ვ) „ძირითადი რგოლის“ სწორად შერჩევა, დებულება, რომელიც ყველას აღელვებს;

ზ) მოტივაცია - რას მიიღებს ამომრჩეველთა ესა თუ ის ჯგუფი

კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში;

თ) საარჩევნო პლატფორმის ენა უნდა იყოს გასაგები, ზუსტი და ნათელი.

თუ წინასაარჩევნო პლატფორმა აგებული იქნება ზოგადი დებულებებისა და ლოზუნგების გამოყენებით, თუ მასში არ გამოჩნდება ინდივიდუალობა, გულწრფელობა და დამოუკიდებელი აზროვნება, ის მხოლოდ უარყოფით შემოქმედებას მოახდენს ამომრჩევლებზე და ვერ მიიზიდავს მათ ყურადღებას.

პოლიტიკური რეკლამა. მარკეტინგული მოღვაწეობის ორგანიზაცია მარკეტინგული მოღვაწეობის ორგანიზაციის საფუძველს წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმვა, რომელიც მოიცავს 7 ურთიერთდაკავშირებულ ეტაპს:

- 1) წინასაარჩევნო კამპანიის ამოცანების განსაზღვრა;
- 2) პრეტენდენტის გუნდის წევრების ფუნქციების განაწილება;
- 3) პოლიტიკური მარკეტინგის მიზნების დადგენა;
- 4) სიტუაციური ანალიზი;
- 5) მარკეტინგის სტრატეგიის შემუშავება;
- 6) ტაქტიკის რეალიზაცია;
- 7) შედეგებისადმი თვალყურის დევნება.

საარჩევნო კამპანიის გადამწყვეტი ელემენტია პოლიტიკური რეკლამა. ესაა ტრადიციული პლაკატები, ტრანსპარანტები, ფურცლები, თუ სატელევიზიო სარეკლამო რგოლები. პოლიტიკური რეკლამის ამოცანაა პოლიტიკური პარტიის, მისი ლიდერისა და სხვა წარმომადგენლების შესაბამისი იმიჯის ფორმირება.

პოლიტიკური რეკლამა ამარტივებს რთულ პოლიტიკურ პროგრამებს და ის უბრალო ალტერნატივებზე დაჰყავს, მაგრამ სწორედ ამის გამო ის უაღრესად მისაწვდომი და პოლიტიკური ბრძოლის ეფექტური ინსტრუმენტი ხდება. რეკლამა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს აუდიტორიის სპეციფიკას.

მესიჯი და ლოზუნგი. მესიჯი პოლიტიკური პროგრამისაგან განსხვავდება იმით, რომ უფრო შეკუმშული სახე აქვს, პრიორიტეტების გამარტივებული ფორმაა და ბუნებრივია, ემთხვევა პროგრამის მიზანს. მესიჯი უნდა იყოს პოზიტიური და იმავე დროს უნიკალური. იგი ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას, თუ არ იწვევს ამომრჩევლებში მხოლოდ ამ კანდიდატის ასოციაციას. პოლიტიკური პროგრამა შეჯამებულ უნდა იყოს მესიჯში და ორივე ერთად უნდა გამოიკვეთებოდეს და იგულისხმებოდეს ლოზუნგში, ისე, რომ სამივე კომპონენტს ერთნაირი ხასიათი, ინფორმაციული დატვირთვა და ასევე ემოციური ერთიანობის დონე გააჩნდეს, ადვილად გასაგებიც იყოს.

პოლიტიკური პარტია და საარჩევნო კამპანია. ყოველ დიდ პარტიას ჰყავს მრჩეველთა ჯგუფი, რომელთა ამოცანასაც წარმოადგენს პარტიის საარჩევნო კამპანიის წარმართვა პოლიტიკური მარკეტინგის მეთოდებით. პოლიტიკური პარტიის საარჩევნო კამპანიაში 4 ძირითადი ორგანიზაციული „ბლოკია“:

- პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავება;
- მხარდაჭერის კომიტეტების მოღვაწეობის კოორდინაცია, დაგეგმვა და კონტროლი;
- პრეს-სამსახურის მოღვაწეობა;
- კამპანიის ფინანსური უზრუნველყოფა.

ზოგადი სტრატეგია 1 წლით ადრე მუშავდება შემდგომი კორექტივებით, არჩევნებამდე 1,5-4 თვით ადრე იწყება „სამიზნეებისათვის სროლა“ - ე.ი. ამომრჩეველთა ცალკეული ჯგუფების დამუშავება. არჩევნების პირველ ტურამდე 2-3 კვირით ადრე მთელი ძალით იწყებს მუშაობას პარტიული პროპაგანდის ყველა ორგანო, ტარდება მიტინგები, გამოდიან რადიოთი და ტელევიზიით, მუშაობს „ცხელი ხაზი“, ძლიერდება შეტევა მოწინააღმდეგეებზე.

თავისი ყოველი კანდიდატის დასახმარებლად პარტია გამოყოფს პროპაგანდისტულ მასალას, აფიშებს, ფურცლებს, საეთერო დროს და აგრეთვე გარკვეულ თანხას. დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთარი ძალების და შესაძლებლობების სწორ განაწილებას.

ძირითადი ტერმინები:

1. პოლიტიკური მარკეტინგი
2. საარჩევნო მარკეტინგი
3. „პოლიტიკური ბაზარი“
4. პოლიტიკური მენეჯმენტი
5. სოციალური სივრცე
6. უკუკავშირები და ადაპტაცია
7. პოლიტიკური რეკლამა
8. სტრატეგიული დაგეგმვა
9. მესიჯი და ლოზუნგი
10. წინასაარჩევნო პლატფორმა

იმიჯის მნიშვნელობა და ტიპები პოლიტიკოსის გარეგნული სახის, მისი პიროვნული თვისებებისა და ცხოვრების წესის როლი პოლიტიკაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ პოლიტოლოგიის ცალკე სამეცნიერო მიმართულებად იქცა იმიჯოლოგია. იგი შეისწავლის პოლიტიკური ლიდერის სახის, („იმიჯის“) ფორმირებისა და ადამიანთა ცნობიერებაზე მისი ზემოქმედების კანონზომიერებებს.

იმიჯი - ესაა მიზანდასახულად შექმნილი განსაკუთრებული სახე-წარმოდგენა (ხატება), რომელიც ასოცირების მეშვეობით ობიექტს (მოვლენას, პიროვნებას და ა.შ.) ანიჭებს დამატებით ფასეულობებს (სოციალურს, ესთეტიკურს, პოლიტიკურს, ფსიქოლოგიურს და ა.შ.) რის წყალობითაც ხელს უწყობს მის უფრო ემოციურ აღქმას.

იმიჯი თანამედროვე არჩევნების ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამომრჩეველთა უმეტესობა პრაქტიკულად არ იცნობს კანდიდატს. ისინი მას აღიქვამენ მხოლოდ როგორც „იმიჯს“, რომლის საფუძველზეც ფალობდება მათი აზრი კანდიდატის შესახებ და გადაწყვეტილება ხმის მიცემის თაობაზე. ე.ი. წინასაარჩევნო კამპანიის წარმატების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს კანდიდატის ეფექტური იმიჯის შექმნა წარმოადგენს.

ფასეულობები, რომლითაც იმიჯი „ავსებს“ ობიექტს, შეიძლება სინამდვილეში არც გააჩნდეს მას, მაგრამ ამ ფასეულობებს საკმაო მნიშვნელობა აქვთ იმ ადამიანებისათვის, რომლებიც იმიჯს აღიქვამენ. შექმნილი იმიჯი, როგორც წესი, სიმბოლოა და არა რეალობა.

იმიჯი საკმაოდ რთული ფენომენი, კომუნიკაციური ერთეულია, რომელშიც გადახლართულია სრულიად სხვადასხვა ფაქტორები. მისი აღქმა ადამიანის მიერ ხდება სხვადასხვა არხის მეშვეობით და თითოეული მათგანის კუთხით სათანადო საშუალო უნდა იქნას ჩატარებული.

ლიდერის იმიჯი ეხმარება პოლიტიკოსს ქვეყნის მართვაში, საქონლის, პროდუქტის კარგი იმიჯი უწყობს მის სწრაფ რეალიზაციას, სტაბილური და კეთილსაიმედო ქვეყნის იმიჯი ხელს უწყობს ამ სახელმწიფოში ინვესტიციებისა და ტურისტების მოზიდვას.

ამასთან იმიჯი უნდა ატარებდეს მუდმივ, სისტემატურ ხასიათს, რათა არ დაირღვეს ხალხში კანდიდატზე ჩამოყალიბებული სტერეოტიპები.

იმიჯის ტიპები. პოლიტიკაში ფაქტიურად მეორდება რეკლამის მოქმედების კანონი-ერთნაირი თვისებების მქონე ერთნაირი პროდუქტების გაყიდვისას (იქნება ეს სარეცხი ფხვნილი, სიგარეტი, სასმელი თუ პოლიტიკური მოღვაწე) იყიდება არა მისი რეალური მახასიათებლები,

არამედ ამ პროდუქტის იმიჯი, ვინაიდან რეალობის დონეზე ამ პროდუქტებს შორის განსხვავება ძალზე უმნიშვნელოა.

იმიჯთან მიმართებაში შეიძლება გამოიყოს სამნაირი მიდგომა:

1. ფუნქციონალური (რომლის დროსაც გამოიყოფა სხვადასხვა ფუნქციონირებიდან გამომდინარე მისი სხვადასხვა ტიპები: სარკისებური, მიმდინარე, სასურველი, მრავალფეროვანი, კორპორატიული, უარყოფითი და ა.შ.)

2. კონტექსტური (რომლის დროსაც ფუნქციონირების ამ ტიპებს ჩვენ ვხვდებით რეალიზაციის სხვადასხვა კონტექსტებში)

3. შეპირისპირებითი ანუ შედარებითი (რომლის დროსაც ადგილი აქვს ახლომდგომი იმიჯების შედარებას).

ვინ აკეთებს იმიჯს, დღეს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც, სულ უფრო იზრდება იმ პოლიტიკათა რიცხვი, რომლებიც სარგებლობენ იმიჯმეიკერთა (იმიჯის შექმნელთა) და სპინრაიტერთა (მოხსენების დამწერთა) მომსახურებით. მათ სახელსა და გვარს აღარავინ მალავს და ისინი საყოველთაოდ ცნობილი არიან (მაგ: საფრანგეთში ყველაზე პოპულარულია ფაკ სევალა, აშშ-ში დევიდ გერგენი და რიჩარდ ვერსლინი, დიდ ბრიტანეთში ტიმ ბელი და ბერნარდ ინგჰემი და ა.შ.) შექმნილია იმიჯმეიკერული ფირმები და ასოციაციები, რომლებიც პროფესიულ დონეზე აწარმოებენ ამ საქმეს (ასეთი ანალოგი საქართველოშიც შეიქმნა. მაგ: პოლიტიკური იმიჯისა და მარკეტინგის ასოციაცია და ა.შ.)

იმიჯის შექმნის სტრატეგია, გზები და მეთოდები. იმიჯის შექმნის ძირითადი სტრატეგიაა პოზიციონირება, რომელიც მარკეტინგიდანაა შემოტანილი იმიჯოლოგიაში. იმისათვის, რომ გავყიდოთ საქონელი, უნდა მოვახდინოთ მისი პოზიციონირება ე.ი. გადავიყვანოთ ის მწარმოებლის ენიდან მომხმარებლის ენაზე. პოზიციონირების კანონია უპირატესობათა პრიმატი უბრალო მახასიათებლებთან შედარებით. პირველ ადგილზე დგება მომხმარებლის (ამ შემთხვევაში ამომრჩევლის) თვალსაზრისი. შესაბამისად პოლიტიკა მაქსიმალურად უნდა დაუახლოვდეს მოსახლეობას და გაითვალისწინოს მისი ინტერესები. როგორ ახორციელებს ამომრჩეველი თავის არჩევანს? ზემოქმედების თეორიის თანახმად, აქ დიდ მნიშვნელობას იძენს უპირატესობის (და არა უბრალო მახასიათებლების) დემონსტრირება. პოზიციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია მიახლოება ბიოლოგიურ სტანდარტებთან. ლიდერს ხალხი უნდა აღიქვამდეს როგორც ძლიერს და საკმაოდ აგრესიულს, წინამძღოლს, რომელსაც მიღებული აქვს როგორც ხელმძღვანელობის, ისე წახალისების და დასჯის უფლება (შესაბამისად არ მოსწონთ სუსტი და წუწუნა პოლიტიკოსები). როდესაც სურთ, გასცენ ნეგატიური ინ-

ფორმაცია, ხდება მათთვის საინტერესო ობიექტის პოზიციონირება უარყოფითი მახასიათებლის კუთხით. მაგ: ამგვარად წარმოაჩენდა ჯორჯ ბუში (უფროსი) სადამ ჰუსეინის პოზიციონირებას - როგორც არაბულად მოლაპარაკე პიტლერისას).

დღეისათვის მსოფლიოში დაგროვილია იმიჯის შექმნის დიდი გამოცდილება. ფსიქოლოგების, სოციოლოგების, მსახიობების რჩევების საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები, რომლებიც ემყარება მასობრივი კომუნიკაციების საშუალებათა თავისებურებების გათვალისწინებას, რადგანაც სწორედ ისინი ქმნიან და ავრცელებენ პრეტენდენტის სახეს. მაგალითად ამომრჩევლებთან კანდიდატის ურთიერთობის სტილი მნიშვნელოვნად გაართულა რადიოსა და ტელევიზიის გაჩენამ.

პოლიტიკოსი, რომელიც ბრწყინვალედ გამოდის მასობრივ მიტინგებზე, შეიძლება მძიმე და სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდეს ტელევიზორანზე, თუ არ გაითვალისწინებს მის თავისებურებებს. ტელევიზია ქმნის გაცილებით ინტიმურ ატმოსფეროს, მოითხოვს არა მასებისადმი მიმართვას, არამედ საუბარს თითქოსდა ყოველ ცალკეულ ინდივიდთან (მაგ: ცნობილია, რომ რეიგანი და ტეტჩერი უფრო უკეთესად გამოდიოდნენ რადიოთი, ვიდრე ტელევიზიით, სადაც მათ „უჭირდათ“).

სხვა შემთხვევაა ასევე ტრადიციული პრესის მეშვეობით მიმართვა ამომრჩევლისადმი. აქაც უნდა შემუშავდეს განსაკუთრებული ხერხები კანდიდატისათვის, რადგანაც ერთსა და იმავე კითხვაზე პასუხი სატელევიზიო და საგაზეთო ინტერვიუსთვის არ შეიძლება ერთნაირად ჟღერდეს, რამდენადაც მასმედიის ეს არხი სხვადასხვანაირად აღიქმება ამომრჩევლის მიერ.

მაგალითად, რადიოში ჯობს გადაიცეს სერიოზული ცნობები და განცხადებები, რადგანაც აუდიტორია უფრო კარგად აღიქვამს ინფორმაციის შინაარსს, ტელევიზიაში კი უფრო მეტი ყურადღება ეძლევა მასალის მიწოდებას და ვიზუალურ მხარეს.

ტელეინტერვიუში რთულ კითხვაზე გაცემული მოკლე პასუხი უფრო სავარაუდოა გამოყენებულ იქნას ახალი ამბების გადაცემისას, ვიდრე გრძელი პასუხი. მაქსიმალური სატელევიზიო ეფექტი მიიღწევა დასამახსოვრებელი, მკაფიო, მოკლე, სწრაფი სახეების გამოყენებით. ამიტომ სწორედ ტელევიზიას სჭირდება იპოვნოს პრეტენდენტების თავისებურების, ორიგინალობის და გარეგნული მიმზიდველი სახის შექმნის ხერხი (ასეთი იყო ჯ.კენედის „ახალგაზრდული ვარცხნილობა“ და „სპორტულობა“, რ.რეიგანის „თითქმის ბავშვური ღიმილი“ და ა.შ.).

იმიჯმეიკერები კანდიდატებს რეკომენდაციებს აძლევენ დაიცვან დიეტა. თვლიან, რომ ტელეკამერა ადიდებს წონას, ხოლო ტიპიური თანამედროვე პოლიტიკოსისათვის დამახასიათებელია მოწვესრიცხვულობა, სპორ-

ტულობა ეს უკანასკნელი თავის მხრივ გამოვლინებაა პრეტენდენტის იმიჯის სხვა მნიშვნელოვანი სფეროსი - ჯანსაღი ცხოვრების წესისა. სპეციალისტთა აზრით, ამომრჩევლებისათვის უფრო მიმზიდველია კანდიდატის სახე, რომელიც არ ეწევა, არ სვამს (ანდა ამას ზომიერად აკეთებს), მისდევს სპორტს და დღეების მანძილზე საზოგადოების საკეთილდღეოდ მუშაობს, შეუძლია ეროვნული ინტერესების გამოხატვა და დაცვა.

წარმატებული პოლიტიკური კარიერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად ითვლება კარგი ოჯახი, გარემოცვა - იმიჯის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ამომრჩეველს უადვილებს კანდიდატთან გაიგივებას.

უბრალოება და მისაწვდომობა ასევე იმიჯის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად და ეფექტურად გამოყენებული ნიშნებია, ისევე როგორც ხაზგასმული რელიგიურობა. ლიდერმა, კანდიდატმა უნდა ისწავლოს მისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი თვისების დამალვა. იმიჯმეიკერები სპეციალურად ასწავლიან მათ, ილაპარაკონ გულწრფელად, დამალონ თავიანთი გაუბედობა (რთულ და საშიშ სიტუაციებში). უნდა შენიღბონ ისეთი თვისებებიც, რომლებიც ხელს უშლიან ურთიერთობებს ადამიანებთან (ეჭვიანობა, ურწმუნობა, აგრესიულობა, მისწრაფება ავტორიტარულობისაკენ), ასევე მალავენ, ნიღბავენ „გარეგნობის კრიტიკულ ზონებს“, ავადმყოფობას.

წარმოდგენა კანდიდატის ამ თვისებების შესახებ აიგება კომერციული რეკლამის კანონების მიხედვით. აუცილებელია ხშირი „გაუქვება“ ეკრანზე ან მასშედის ფურცლებზე. ამის ერთ-ერთი ხერხია ყურადღების ხელოვნურად მიქცევა - თუ კანდიდატთან არაფერი ხდება, ის ვალდებულია შექმნას სიახლე, სენსაციური და მიმზიდველი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის.

პოლიტიკოსის იმიჯი ყოველმხრივ უნდა შეესაბამებოდეს ელექტორატის (ამომრჩევლის) განწყობას და მოლოდინს, მის წარმოდგენებს კანდიდატზე.

იმიჯის შემქმნელი დამატებითი ფაქტორები არის ის პარამეტრები, რომლებიც დაკავშირებულია კანდიდატის არაძირითად მოღვაწეობასთან. ესენია:

- წარსული
- ოჯახი
- სპორტი
- შინაური ცხოველები
- ჰობი

- სისუსტეები.

იმიჯმეიკერებმა კანდიდატის ეს ინფორმაციული უჯრედები აუცილებლად უნდა შეავსონ, თორემ ამომრჩეველები და მოწინააღმდეგეები მას თავისი ფანტაზიით შეავსებენ.

დიდი მნიშვნელობა აქვს კანდიდატის გარეგნობას, ჯანმრთელობას და ქონებრივ მდგომარეობას, არაკორუმპირებულობას, ოპტიმისტურ განწყობას.

საერთოდ კი სპეციალისტები გამოყოფენ 3 ფაქტორს, რომელიც იმიჯის ფორმირებაზე მოქმედებს და გამოავლენს კანდიდატის თვისებებს:

1. **საიმედოობა** (უსაფრთხოება) - მას განეკუთვნება პიროვნების ისეთი მახასიათებლები, როგორცაა „კეთილი“, „მეგობრული“, „სასიამოვნო“, „პატიოსანი“, „მიმტკეპელი“, „წყნარი“, „მომთმენი“, „სტუმართმოყვარე“, „თბილი“, „გულლია“ და ა.შ. არაა აუცილებელი შეფასებათა მაქსიმუმის მიღება, მაგრამ ძალზე სასურველია ამ მარკებელთა მიხედვით მაღალი ქულების დაგროვება.

2. **კვალიფიკაცია** (გამოცდილება, ინფორმირებულობა, უნარი, ავტორიტეტულობა, შესაძლებლობა და გაგებულობა). თუ უსაფრთხოების კუთხით კანდიდატს მაღალი ქულები აქვს, მაგრამ მოიკოჭლებს კვალიფიკაციის კუთხით, ძალიან გაუჭირდება არჩევნებში გამარჯვება.

3. **დინამიზმი** (ენერგიულობა, აგრესიულობა, აქტიურობა, სისწრაფე)

კანდიდატს შეიძლება ძალზე წაადგეს თავისი (ძლიერი) პარტიის იმიჯიც.

ძირითადი ტერმინები:

1. იმიჯი
2. იმიჯის ტიპები
3. იმიჯმეიკერი
4. სპინრაიტერი
5. პოზიციონირება
6. ელექტორატი

ტერმინი პიარი წარმოდგება ინგლისური აბრევიატურისაგან PR (ფაბლიკ რილეიშენზ), რაც სიტყვასიტყვით "საზოგადოებასთან კავშირს" ნიშნავს.

პიარი, როგორც ადამიანის საქმიანობის განსაკუთრებული სფერო, ჩამოყალიბდა აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში XX საუკუნის მეორე ნახევარში. პიარი რეკლამის სახესხვაობაა, მაგრამ დახვეწილი რეკლამისა, რომელიც ემყარება უკანასკნელ აღმორჩენებს სოციალური ფსიქოლოგიისა და ნეიროლინგვისტური პროგრამირების სფეროში, ასევე საზოგადოებრივი ცნობიერების მანიპულირების ათასწლოვან გამოცდილებას.

ეკონომიკის სფეროში "საზოგადოებასთან კავშირის" (პიარის) მეთოდმა ბრწყინვალედ იმუშაა და მაშინ მისი გამოყენება პოლიტიკოსებმაც გადაწყვიტეს.

სწორედ აშშ-ში დაამუშავეს პიარ-პოლიტიკის სქემა: ტრადიციულ იდეოლოგიებს (მემარჯვენეობას, მემარცხენეობას, ცენტრისტობას) თანამედროვე მსოფლიოში ნაკლები ფასი აქვს, მთავარია - რაც შეიძლება მეტი დაფინებით გავიტანოთ პოპულისტური (ხალხისათვის სასიამოვნო) ფასეულობები ნებისმიერი მისაწვდომი მეთოდით. ამერიკულ ჟურნალ "ფორჩუნის" მონაცემებით, პიარი შედის მსოფლიო ეკონომიკის 20 ყველაზე სწრაფად განვითარებად დარგში. ხელისუფლებასა და პიარის სპეციალისტებს შორის ახლო ურთიერთობანი არსებობს მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანაში. აშშ-ში ყველაზე მეტი ადამიანის დასაქმებას "ფაბლიკ რილეიშენზის" სფეროში ფედერალური მთავრობა ახორციელებს.

მსოფლიოში არ არსებულა სისტემა, რომელსაც შეძლებია ნამდვილად თავისუფალი და პატიოსანი, გაუყალბებელი არჩევნები ჩაეტარებინა. გამონაკლისი არც დემოკრატიული სისტემის პირობებში არის. პირიქითაც ხდება, სწორედ დემოკრატიის ქვეყნებში (აშშ დასავლეთ ევროპა და სხვ.) დაიწყეს თეთრი და განსაკუთრებით შავი (ანდა ნაცრისფერი) საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენება.

დღესდღეობით მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ორი სახის საარჩევნო ტექნოლოგიები გამოიყენება - "თეთრი" და "შავი" საარჩევნო ტექნოლოგიები. "თეთრი" ტექნოლოგიების გამოყენების დროს კანდიდატები მოქმედებენ არსებული კანონმდებლობის და საზოგადოებაში მიღებული ზნეობრივ-ეთიკური ნორმების ფარგლებში.

ამ ტექნოლოგიის ფარგლებში კანდიდატი აჩაღებს მჩქეფარე მოღვაწეობას ამომრჩეველთა სრულმასშტაბიანი "გაბრუებისათვის". ამასთან ის უმტკიცებს უბრალო ხალხს, რომ მათ ბედნიერებასა და კარგ ცხოვრებას მოუტანს. დემოკრატიის პირობებში არაფერია ითხოვს, თუ რამდენად შეესაბამება ესა თუ ის კანდიდატი მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს ან რა სასარგებლო გაუკეთებია მას საერთოდ ცხოვრებაში. მიზნის მისაღწევად კანდიდატმა კარგად უნდა ისწავლოს დახვეწილი ხერხებით ხალხის მოტყუება, უნდა ისწავლოს უბრალო ხალხის "სიყვარული" და მათზე "ზრუნვა", თანაც ისე, რომ თავისთვის რაც შეიძლება მეტი სიკეთე დაიტოვოს.

"შავი პიარის" დროს კანდიდატები თავის გუნდთან ერთად იყენებენ ისეთ ფორმებსა და მეთოდებს მეტოქის დასამარცხებლად, ან მის ჩამოსაშორებლად, რომელიც აშკარად ცდება საზოგადოებაში მიღებულ ზნეობრივ-ეთიკურ ნორმებს და ახლოსაა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის დარღვევის ზღვართან. არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში წარმატება არ მოაქვს მხოლოდ "თეთრ" საარჩევნო ტექნოლოგიებს, სამწუხაროდ, გამარჯვების მისაღწევად სულ უფრო ხშირად იყენებენ "შავ პიარს". ბოლო წლებში სულ უფრო იზრდება ხელისუფლების ჩარევა საარჩევნო პროცესებში რის გამოც ღირსეულ კანდიდატთა უმრავლესობა უფულობის გამო უღირსებთან მარცხდება.

"თეთრი" საარჩევნო ტექნოლოგიები

საარჩევნო კამპანიის დროს უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება პრესას და ტელევიზიას, ამიტომაც მათ ხშირად მასობრივი პროპაგანდის საშუალებებსაც უწოდებენ.

ცენტრალური პრესა და ტელევიზია, "როგორც წესი", მაგნატების ან ოლიგარქების ხელშია და უბრალო, უფულო ადამიანებს მათზე ხელი არ მიუწვდებათ.

პრესისა და სატელევიზიო რეკლამისა და მასალების დაბეჭდვის შემდეგ გუშინდელი "მოჩალიჩე" კანდიდატი ერის თუ არა რევიონის, ან რაიონის მზრუნველ "მამად" მოგვევლინება სოციალური ფსიქოლოგიებისა და იმიჯმეიკერების წყალობით. მათ კანდიდატის პიროვნება თავიდანვე დადებით ასპექტში უნდა წარმოადგინონ, რათა იგი ამომრჩეველებში უარყოფით ემოციას არ იწვევდეს. კანდიდატის წარდგენის დროს გამოიყენება მხოლოდ "თეთრი" ტექნოლოგიები - ამისათვის გამოიყენება პუბლიკისათვის ცნობილი ადამიანები - მეცნიერები, ხელოვნების და კულტურის წარმომადგენლები, გაელენიანი ფიგურები, ბიზნესმენები. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით კანდიდატის



წარდგენის წარმოჩენის ძირითადი ხერხები შემდეგია.

1. კანდიდატის მონაწილეობა სატელევიზიო ანალიტიკურ პროგრამაში "საკითხის" დასმით და მისი გადაწყვეტის გზების ჩვენებით
2. მოკლე ინტერვიუ ახალი ამბების პროგრამისათვის ამა თუ იმ პრობლემის შესახებ.
3. პრესკონფერენცია ჟურნალისტებისათვის, რომელიც შემდგომ ფართოდ გაშუქდება მასმედიაში.
4. ცნობილი ადამიანების კომენტარი კანდიდატის გამოსვლაზე ამ და სხვა პროგრამებით.
5. პუბლიკაციები კანდიდატის შესახებ და "გამოხმაურებანი" მათ გამოსვლებზე და პროგრამაზე.

რაც უფრო დაუჯერებელი და თავხედურია ტყუილი კანდიდატისა და მისი დაპირებების შესახებ, მით უფრო იჯერებს ხალხი მას. ტყუილი გამიზნულია ყველა სოციალური წრისა და ჯგუფისათვის: პენსიონერებს და სტუდენტებს პირდებიან, რომ მოუმატებენ პენსიას და სტიპენდიას (თუმცა ძველიც კი არ გაუციათ ჯერ), დიასახლისებს ატყუებენ რომ ძალზე ზრუნავენ მეუღლეზე და ქმარებიან შინ მას, უმუშევრებს პირდებიან, რომ შექმნიან ახალ სამუშაო ადგილებს და დაუნიშნავენ უმუშევართა დახმარებას, მანქანის მფლობელებს პირდებიან, რომ შეამცირებენ ბენზინის ფასს, ხალხს პირდებიან, რომ სახელმწიფო ქონების დამტაცებლებს და კორუპტირებულებს უკან დააბრუნებინებენ მოპარულ ფულებს და ციხეში გამოამწყვდევნენ, მეანბრეებს პირდებიან, რომ ნელ-ნელა დაუბრუნებენ დაკარგულ თანხებს, პროფესორ-მასწავლებლებს პირდებიან ხელფასის მომატებას, პოლიციას და არმიას ასევე ხელფასის მომატებას და მდგომარეობის გაუმჯობესებას, ყველას პირდებიან ნამდვილი, შედეგიანი რეფორმების გატარებას, უფასო სამედიცინო მომსახურებას და ა.შ.

ამომრჩეველთა მოსატყუებლად (და გასატუტუცებლად) ეფექტიანი საშუალებაა მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება პრესით და ტელევიზიით შესაბამისი თანხის გადახდის შემთხვევაში წამყვანი მასმედიის საშუალებები უშალ დაარწმუნებენ ხალხს, რომ კანდიდატს ყოველკვირულად მზარდი მაღალი რეიტინგი აქვს. საარჩევნო კამპანიის პროცესში ამომრჩეველმა კანდიდატისაგან ერთი ცუდი სიტყვაც კი არ გაიგოს თავის კონკურენტებზე - ამას მისი გუნდის წევრები ჩუმად, ანონიმურად გააკეთებენ. ამომრჩეველმა უნდა გაიგოს და დაიჯეროს, რომ მხოლოდ თქვენ გახდით მას ბედნიერს და კმაყოფილს. ამ მიზანს უნდა ემსახუროდეს საავიტაციო პლაკატები, ფურცლები, "ბილბორდები", რომლებიც რაც შეიძლება თვალსაჩინო

ადგილზე უნდა გამოიკრას. იგივე მეორდება ამომრჩეველებთან მოწყობილ შეხვედრებზე, სადაც კანდიდატს წარადგენენ როგორც კარგ მოუჯახეს, ერისკაცს, კომპეტენტურ და თავდადებულ პიროვნებას, რჩეულ ადამიანს.

“შავი პიარის“ სტრატეგია და ტაქტიკა

“შავი პიარის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტაქტიკას წარმოადგენს სასამართლოსა და პროკურატურის გამოყენება დასახული მიზნის მისაღწევად, მეტოქის გასანეიტრალებლად (სხვათაშორის აშშ-ის ბოლო პრეზიდენტის ვინაობა გაირკვა სასამართლოს და არა ელექტორატის საშუალებით, სადაც ჯორჯ ბუშმა (უმცროსმა) სულ რამდენიმე ათეული ხმით აჯობა მეტოქეს.)

ასევე ძალზე მნიშვნელოვანი “კომპრომატების“ შეგროვება მეტოქეებზე და მისი ხალხში გავრცელება. ხშირად კომპრომატს თან ახალავს შანტაჟის გამოყენება კონკურენტებზე, რომ თუ ისინი არ მოხსნიან კანდიდატურებს, ეს კომპრომატები გამოქვეყნდება პრესაში.

კონკურენტებზე ზეგავლენის მოსახდენად ხშირად გამოიყენება ფინანსური ბერკეტები. თუ თქვენ კონკურენტი სახელმწიფო ჩინოვნიკია, შეიძლება თქვენ ან თქვენი გუნდის წევრები მოულოდნელად შეამოწმონ საგადასახადო სამსახურმა და პოლიციამ, სახანძრო და სანეიძლადგურებმა და თუ არ დათანხმდით, დიდი ჯარიმები დაგაკისრონ, ან სასამართლოს გადაგცენ, რაც კანდიდატის დეზორიენტაციას და “გასვრას“ იწვევს. ზემოქმედების ერთ-ერთი ფორმა თავად კანდიდატის ან მისი საარჩევნო კამპანიის თავმჯდომარის მოსყიდვაა, რომელიც ფლობს ყველა ინფორმაციას თავის “შეფზე“.

შემდეგი ხერხია თავად ამომრჩეველის მოსყიდვა ფულით, პროდუქტებით, კუპონით, რაღაცის საჩონლით, მედიკამენტებით, სუფრების მოწყობით ამომრჩეველებზე ზეგავლენის ერთ-ერთი ხერხია არმიისა და პოლიციის ნაწილების ხელმძღვანელთა “გადაბირება“ (მოსყიდვა), რათა მათ უბრძანონ ხელქვეითებას კონკრეტული კანდიდატისათვის ხმების მიცემა.

“შავი პიარის“ ერთ-ერთი შემადგენელი ტაქტიკაა საარჩევნო კომისიის წევრთა მოსყიდვა, მეტოქეებისათვის წინასწარ მოფიქრებული სცენარით მძიმე და არაკაცური დარტყმების მიყენება, ჭორებისა და ცრუ ინფორმაციების გავრცელება, კონკურენტების ერთმანეთზე წასისიანება, მათი ყურადღების შვენებულად მოდუნება, კონკურენტებთან ჯერ შეთანხმება, მერე კი მათი მოტყუება (“გადაგდება“), კონკურენტების პლაკატებზე დაქირავებული ჯგუფის მიერ საღებავის გადასხმა

ან ცუდი სიტყვების დაწერა, აგენტების შეგზავნა კონკურენტების საარჩევნო შტაბში ინფორმაციის მისაღებად, ყალბი ბიულეტენების დაბეჭდვა, ე.წ. "კარუსელების" მოწყობა, როცა რამდენიმე ასეული ადამიანი სხვადასხვა უბნებში აძლევს ხმას რამდენჯერმე, საარჩევნო სიების გაყალბება, საარჩევნო ბარათების არდარიგება ამომრჩევლებისათვის, მიცვალებულთა შეტანა საარჩევნო სიებში, საარჩევნო ყუთებში წინასწარ ბიულეტენების ჩაყრა (ან დათვლის პროცესში სინათლის გამორთვა), საარჩევნო ყუთების გატაცება, ოქმების ფალსიფიკაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიებში, ჩხუბებისა და დებოშების ორგანიზება საარჩევნო უბნებში, ფარული აგიტაცია არჩევნების დღეს და ა.შ.

"შავი პიარის" ერთ-ერთი ტაქტიკაა ამომრჩევლებში არჩევნებისადამი ზიზღისა და უიმედობის ჩანერგვა (რომ მისვლას აზრი არა აქვს, რომ ყველაფერი უკვე წინასწარ ცნობილია, რომ მაინც "ის" გაიმარჯვებს, ან "გადახაზეთ ყველა" და ხმა არ მისცეთ არავის). რაც ნაკლები ზალხი მთა არჩევნებზე, მით მეტია მისი გაყალბების შანსი. ხშირად გამოიყენება ამომრჩეველთა დაშინება, რომ "იმ" ძალის გამარჯვების შემთხვევაში დაიწყება ანარქია, დაპირისპირება, დაკარგავენ სამუშაოს. "შავი პიარის" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა "საჭიროა თავი მოაჩვენო და არა - იყო". "დარჩე ხელისუფლებაში ნებისმიერი საშუალებით" და ა.შ. რაც ამორალური და არაკანონიერია.

შაკ სეგელას, როგორც პოლიტიკური რეკლამის დიდი სპეციალისტის ბრწყინვალე კარიერა იწყება 1981 წელს - ფრანსუა მიტერანის პირველი საპრეზიდენტო კამპანიის დროიდან. მათი ნაცნობობა კი დაიწყო 1980 წლის ფლისიდან, როცა ფრანსუა მიტერანმა მას შეხვედრა დაუთქვა ერთ-ერთ პარიზულ რესტორანში

სეგელამ დაიყოლია მიტერანი, რომ ჩაეტარებინა "არა პოლიტიკური, არამედ მუდიატიური კამპანია (ე.ი. აქცენტი გაეკეთებინა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე), რასაც შაკ სეგელა საკუთარ გამოგონებად მიიჩნევდა.

თავის ბრწყინვალე წიგნში "ეროვნული თავისებურებანი ხმებზე ნადირობის პროცესში" შაკ სეგელა მოგვითხრობს მის მიერ ჩატარებულ საარჩევნო კამპანიებზე (მას მოგებული აქვს ათამდე საპრეზიდენტო და საარჩევნო კამპანია ევროპის ქვეყნებში - ვ.შ.).

ეს საარჩევნო კამპანიები აბსოლუტურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, მასში სეგელამ გამოიყენა სხვადასხვა საარჩევნო სტრატეგია, პოლიტიკური რეკლამის განსხვავებული მოდელები. საინტერესოა ისიც, თუ როგორ ასათურებს წიგნში ის ამა თუ იმ კანდიდატის უმთავრეს მახასიათებლებს; მაგალითად ბორის ელცინი - ადამიანი-ტანკი; ფრანსუა მიტერანი - ადამიანი-ძალა; ფრანც ვრანიცკი - ადამიანი-რკინა; იოჟეფ ანტალი - ადამიანი-თავისუფლება; ჟელიუ ჟელევი - ადამიანი-უბრალოება; ალექსანდრე კვასნევსკი - საქმის ადამიანი; ლიონელ ჟოსპენი - თანამედროვე ადამიანი.

შაკ სეგელას, რომელსაც დასავლეთში "პრეზიდენტების შემომქმედს" (შემქმნელს) უწოდებენ, თავისებური შეხედულება გააჩნია არა მარტო პოლიტიკური, არამედ საერთოდ უბრალო რეკლამაზეც: "ფილმები, სერიאלები, გასართობი პროგრამები, წერს ის, - ყველა ეს არარეალური, გამოგონილი სამყაროა, რეკლამა კი - ეს რეალობაა, მაშინაც კი, როცა ის გაკეთებული მდიდარი ფანტაზიით". ამიტომაც მას მიაჩნია, რომ ეს საქმიანობა, ვერ იტანს დაბალ რითმს: "მე შეიძლება მაპატიონ სარეკლამო კამპანიის ჩაჯარდნა, მაგრამ არასოდეს - უინტერესო და მოწყვნილი სადილი", - წერს იგი.

ოცი წლის მანძილზე ჩატარებული საარჩევნო კამპანიების დროს სეგელამ დააგროვა ძალზე დიდი გამოცდილება, რასაც გვიზიარებს თავის წიგნში რჩევებისა და ღარიგებების სახით

აი, რას ამბობს სველა სოციოლოგიური გამოკითხვებისა და რეიტინგების შესახებ, რომელთა მნიშვნელობას ასე აზვიადებენ ჩვენში: „ერთადერთი საიმედო გამოკითხვა, ეს არის არჩევნების პირველი ტური. მხოლოდ მისი შედეგები შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტებად (თუ, რა თქმა უნდა, არჩევნები არ გაყალბებულა - ვ.მ.).“

თავად სოციოლოგიური გამოკითხვების პროცესში, რომელიც მიზნად ისახავს ელექტორატის ტემპერატურის გაზომვას, სველას მნიშვნელოვნად მიაჩნია კანდიდატთა სუსტი და ძლიერი მხარეების დიაგნოსტიკა და ამ დიაგნოზის საფუძველზე პირველის გამოსწორება და მეორის მაქსიმალურად გამოყენება. მან მიტერანისთვის სპეციალურად მოამზადა პატარა ბარათი ორი გრაფით პირველ გრაფაში ჩამოთვლილი იყო მიტერანის სუსტი მხარეები, რომელიც მას უნდა გამოესწორებინა და ექცია ძლიერად და მეორე გრაფაში კი - მისი მოწინააღმდეგეების სუსტი მხარეები. მიტერანს უნდა წაეკითხა ეს ბარათი ყოველი ინტერვიუს თუ ტელედებატების წინ და აუცილებლად გაეთვალისწინებინა ისინი.

მაშინდელ მოქმედ პრეზიდენტთან ვალერი ჟისკარ დესტენთან შედარებით, რომელსაც საკმაოდ დიდი ბერკეტები გააჩნდა არჩევნების მოსაგებად, სველამ ყურადღება შეაჩერა ნაკლებად ნაცნობ კანდიდატზე - ფრანსუა მიტერანზე, სოციალისტთა ლიდერზე.

არჩევნები, წერს სველა, სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის ბედისა და ერის მოლოდინის შეხვედრა. კანდიდატისათვის საკმარისია... აჩვენოს, რომ ის თავისი საქციელით და მრწამსით არის ამ მოლოდინის ჭეშმარიტი მატარებელი - და ის პრეზიდენტია. აქვე სველა ყურადღებას ამახვილებს ჟისკარ დესტენის ერთ ძალიან მნიშვნელოვან მიწვევას: „ხელისუფალისთვის არაფერია იმაზე ცუდი, როცა მას თავისი ხალხის აღარ ესმის“. ამან მნიშვნელოვნად განაპირობა მისი მარცხი.

სველამ მიტერანს შეურჩია საარჩევნო სტრატეგია, რომელიც ტრიადისაგან შედგებოდა: “სახე-ხასიათი-სტილი“. სახე - ესაა ის, რასაც გააკეთებს მიტერანი პრეზიდენტად გახდომის შემდეგ - წყნარი ცვლილებები; ხასიათი - ისეთი, როგორიცაა მიტერანი - წყნარი ადამიანი. რჩებოდა სტილი, რომლითაც უნდა მომხდარიყო ერთან სიმბოლიზება. ამისთვის კი საჭირო არ იყო ზედმეტი თავის მტკრევა. საკმარისია ეროვნული დროშის ფერების აღება და გამოყენება. ამრიგად, სტილი იქნება სამფეროვანი და უშფოთველი. რომ გადაეყვანა საარჩევნო ენაზე წყნარი ცვლილებები, რომელიც მოდიოდა წყნარი ადამიანისგან, საჭირო იყო წყნარი საფრანგეთის სახის შექმნა. აქედან ერთი ნაბიჯი რჩებოდა “წყნარი ძალის“ (მიტერანის საარჩევნო კამპანიის დევიზის სახელ-

წოდება) მისაღებად და ეს ნაბიჯიც სვეელამ სწრაფად გააკეთა. სვეელამ მიზანშეწონილად ჩათვალა ხალხისთვის გაეცნო მიტერანის პირადი ცხოვრების დეტალები. ამისათვის მან აირჩია ინტიმური შუამავალი - შუე-თუთი (და არა ფერადი) ილუსტრირებული ჟურნალი, რომელშიც ცნობილი ადამიანები, დაწყებული მწერალ ფრანსუაზა საგანიტ და დამთავრებული ვულკანოლოგ პარუნ თაზიფით, დამაჯერებლად და უბრალოდ ყვებოდნენ მიტერანზე. ჟურნალის რამდენიმე ნომრის გამოსვლის შემდეგ ამ პუბლიკაციებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა და იგი უმაღლ აიტაცა პრესამ, ტელევიზიამ და რადიომ.

ამ ნაბიჯმა საზოგადოებრივი აზრის ლიდერებზე და ჟურნალისტებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ორაზროვანი პოლიტიკის ოსტატის მაგორად. ხალხმა უეცრად დაინახა მიტერანი - კუმანისტი, რომელსაც უყვარს ხელოვნება და ბუნება, ამასთან გამოირჩევა მაღალი კულტურით და ღრმა ეროვნულობით და ძირებით.

ჟაკ სვეელა დიდ ყურადღებას უთმობს თითქოსდა უმნიშვნელო დეტალებსაც კი. მცირედი რამის უგულვებელყოფაც კი, მაგალითად, გარეგნობისა და ჩაცმის სტილისა, კანდიდატს შეიძლება ძალზე ძვირად დაუჯდეს. მე ვურჩიე მიტერანს, რომ შეეცავლა თავისი მკერავი-მოდელიერი. მიტერანი გაეცნო კუტიურე მარსელ ლასანს, რომელიც ცნობილი იყო ტანსაცმლის თავისუფალი, ცხოვრებისეული სტილით და რბილი ხაზებით. საბოლოო ჯამში, წერს სვეელა, - პროვინციელმა ბურჟუამ პარიზის მარცხენა სანაპიროს ინტელიგენტის იერი მიიღო.

იყო ასეთი პრობლემაც, თუ როგორ უნდა ეჭიროს თავი კანდიდატს ტელეკამერის წინ. სვეელა წერს, რომ მიტერანის საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში ადგილი არ ჰქონია კანდიდატის ვიდეოტრენინგს, არც ტელევენურობის კურსები ჩატარებულა. მან მისცა მიტერანს ასეთი უბრალო რჩევა - ელექტრონული თვალის მზერის მომენტში ერთადერთი საშუალება, რომ ბუნებრივად გამოიყურებოდე, არის ის, რომ მისცე უფლება ილაპარაკონ ხელებმა. ამის შემდეგ მიტერანი უფრო თავისუფალი, ბუნებრივი და გახსნილი გახდა.

აქვე სვეელა მოგვითხრობს თითქოსდა წერილმან ფაქტზე: მიტერანს ჰქონდა ერთი ცუდი ჩვევა - ტელედებატების დროს ის ხშირად ახამხამებდა თვლებს, რითაც ტოვებდა თავის თვაში დარწმუნებული პიროვნების შთაბეჭდილებას. სვეელამ რეკომენდაცია მისცა მას, რომ დაჯენებინათ გაშუქების ახალი ვარიანტი, თვალის სტამბამი კი, თურმე, გამოწვეული ყოფილა მეტისმეტად მკვეთრი, თვალისმომჭრელი გაშუქებისაგან.

ხშირად ჟაკ სვეელას რჩევები საპირისპიროა ყოველივე იმისა, რაც

ჩვენშია ფეხმოკიდებული და სოველთაოდ მიღებული. აი, მაგალითად, მისი ასეთი რეკომენდაცია: “წინასაარჩევნო პერიოდში ჯობს მოერიდო და თავი შეიკავო პრესასთან ურთიერთობისაგან, არ განიცადო მისი ზეწოლა“, უკეთესია წაზვიდე რომელიმე საზღვარგარეთულ ტურნეში (ან ყოველ შემთხვევაში თავი გაარიდო დედაქალაქს და განმარტოდე წყნარ ადგილას). რითაა ეს უკეთესი? სულერთია, თქვენი მნიშვნელოვანი გამონათქვამები და გამოსვლები მაინც მივა პოლიტიკოსებამდე და ამომრჩევლებამდე. სამაგიეროდ ისინი შეიძენენ ექსკლუზიურობის, უნიკალურობის, საჯაროობის სახეს და მნიშვნელოვან ეფექტს იქონიებენ მასაზე.

ჟაკ სველა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საარჩევნო კამპანიაში მთავარ როლს თამაშობს კანდიდატი და არა პოლიტიკური რეკლამის სპეციალისტი. იმიჯმეიკერი. მას ამ კუთხით მოჰყავს ერთი საინტერესო მაგალითი: მიტერანი იყო სოციალისტური პარტიის ლიდერი, მაგრამ პარტიის ხელმძღვანელობამ - ოცოვე წვერმა უარი განაცხადა მიეღოთ სვეელას მიერ მიტერანისათვის შეთავაზებული სამოქმედო გეგმა. სწორედ აქ გამოჩნდა მიტერანის გაბედული ხასიათი. მან თავის თავზე აიღო ვველაფერი და სველა გვერდიდან არ მოიშორა, რამაც, საბოლოო ჯამში, მთავარი როლი ითამაშა.

ჟაკ სველას ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ის, რომ შვენებულად გაურბის მუშაობაში გამეორებებს, შტამპებს, ის ყოველთვის ახალს ეძებს და იგონებს. ამის კარგი მაგალითია 1988 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც მიტერანი დაუპირისპირდა ქვეყნის ახლანდელ პრეზიდენტს ჟაკ შირაკს. ამ დროისათვის მიტერანი თითქმის მარტო დარჩა - პრემიერ-მინისტრი და მთავრობა, პარლამენტი, რეგიონებისა და დეპარტამენტების უმრავლესობა მემარჯვენეების ხელში იყო. ასეთ პირობებში არჩევნების მოგება თითქმის შეუძლებელი იყო., მაგრამ მიტერანმა სველას დახმარებით ამ არჩევნებშიც გაიმარჯვა.

1981 წლის არჩევნებში მიტერანის დევიზი “წყნარი ძალა“ 1988 წლისათვის უკვე პაროდიად იყო ქცეული. მიტერანმა გადაწყვიტა ეთამაშა სოციალური სამართლიანობის მოწინავე ბასტიონის და უკანასკნელი ბურჯის როლი. საჭირო იყო ახალი დევიზის მოძებნა. სველა წერს, რომ ხშირად ყველაზე უკეთესი აღმოჩნდება ხოლომე ყველაზე უბრალო იდეები. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ პრეზიდენტისათვის შეგვერჩია ოფიციალური მეტსახელი... ასე იქცა მიტერანი ტონტონად (ტონტონი - კეთილი ძია, ფრანგული კომიქსებისა და მულტფილმების გმირია), “ძიად“. ამ მოტივზე შეიქმნა სიმღერაც “ნუ დაგვტოვებ ჩვენ, ტონტონ!“.

რომელსაც შესანიშნავად ასრულებდა შანსონიე რენო. ამ სიმღერამ, წერს სველა, უფრო მეტი როლი ითამაშა მიტერანიის წარმატებაში, ვიდრე ერთად აღებულმა სოციალისტური პარტიის პლაკატებმა.

მემარჯვენეებმა კი, მიტერანიისაგან განსხვავებით, არნახული თანხები გადაიხადეს რეკლამებში, რომელიც ყოველდღიურად, მასმედიის ყველა საშუალებით ჟღერდა და ამან საბოლოო ჯამში “დააფრუა ამომრჩეველი” და უკუეფექტი გამოიწვია.

დიდხანს ფიქრობდნენ სველა და მისი თანაშემწეები (სველას პარიზში გახსნილი აქვს პოლიტიკური რეკლამის სააგენტო, სადაც მრავალი სპეციალისტი ჰყავს მიწვეული. ამ სააგენტოს ფილიალები აქვს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში), თუ რა უნდა ყოფილიყო მიტერანიის მეორე ხარჩევნო კამპანიის ღოზუნგი. მათ ასობით ასეთი სათაური შეარჩიეს, მაგრამ საბოლოოდ ყველაზე მისაღებად ჩათვალეს “ერთიანი საფრანგეთი”.

ასევე ძნელი შესარჩევი აღმოჩნდა მთაური პლაკატი. სველამ დიდი ფიქრის შემდეგ შეარჩია კანდიდატის პროფილში გადაღებული ფოტო (კანდიდატები უმეტესად ანფასით პოზიორობენ). სველას მიაჩნდა, რომ ფოტო არ უნდა ყოფილიყო ფაღბი, არაბუნებრივი, სიმართლეს მოკლებული.

საინტერესოდ მოგვითხრობს სველა მიტერანიისა და შირაკის ტელედებატების თაობაზე. ერთი შეხედვით გამოუცდელ მაყურებელს ჰგონია, რომ ტელედებატების დროს ყველაფერი სპონტანურად, იმპროვიზირებულად ხდება. სინამდვილეში, თითოეული კანდიდატის გუნდი შეიმუშაებს ტელესცენარს და ცდილობს მოწინააღმდეგე თავისი გვერდით წაიყვანოს და შეიტყუოს წინასწარ დაგებულ მახეში.

სველა წერს, რომ კრივის მსგავსად, ტელედებატებშიც ხშირად ყველაფერი პირველ რაუნდში წყდება. მიტერანმა დასაწყისშივე მიაყენა დარტყმა შირაკს, როცა უწოდა “ბატონი პრემიერ-მინისტრი”. შირაკმა თავი ვერ შეიკავა და ანკესზე წამოგო: “ნება მომეცით შვენიშნო, რომ ამ საღამოს უკვე არც მე ვარ პრემიერ-მინისტრი და არც თქვენ პრეზიდენტი. ჩვენ ორი თანაბარი უფლების მქონე კანდიდატი ვართ ფრანგების სამსჯავროზე გამოსული...”

- თქვენ აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით, ბატონო პრემიერ-მინისტრო, - მიაყოლა ისევ მიტერანმა და შირაკი ნოკდაუნში ჩააგდო.

ჟაკ სველამ ასევე წარმატებით იმუშავა აღმოსავლეთ ვეროპის ქვეყნებში, სადაც დაეხმარა დემოკრატ ლიდერებს, მაგალითად ილჰუფანტალს, ფელიუ ფელევს, ალექსანდრე კვასნევსკის და სხვებს წარმატების მიღწევაში. ამასთან, არა მარტო პოლიტიკური რეკლამის კუთხ-

ით დაეხმარა ზოგიერთს (მაგალითად ჟელეკს), არამედ ფინანსურადაც. საინტერესოა რჩევა, რომელიც მან მისცა ჟელიუ ჟელეკს (სხვა რჩევებთან ერთად): “თქვენზე იმსჯელებენ უფრო გარუგნული ნიშნების მიხედვით ვიდრე თქვენს ჯკუს მიხედვით მთავარი შინაარსია, მაგრამ იგი ვადმოიცემა ფორმის მეშვეობით ნუ გეწყინებათ მაგრამ კარგად გაიკრიჭეთ დალაქთან, იყიდეთ მუქი კოსტიუმი და თეთრი პერანგი ჰალსტუხთან ერთად. შეხედეთ თქვენს მოწინააღმდეგეებს: მათ არ გააჩნიათ არაფერი იღვები, მაგრამ გამოიფურებიან ძალზე კარგად”.

კიდევ ერთი საინტერესო დაკვირვება, რაც სჯეულამ ამ ქვეყნებში გააკეთა და რაც ასევე დამახასიათებელი იყო საქართველოში “მრგვალი მაგიდის” მმართველობისათვის: “დემოკრატიის ამ სტადიაში წინა პლანზე წამოვიდნენ ის პოლიტიკოსები და ლიდერები, რომლებიც დამოუკიდებლობის ღოზუნგით და დროშით იბრძოდნენ. მაგრამ როგორც კი მათ აირჩევდნენ, ისინი ძალაუფლებას ებლაუჭებოდნენ და სხვებს აღარ უყოფდნენ. ამიტომ ამ ქვეყნებში მუდმივად არის იმის საფრთხე, რომ ხელისუფლების უზურპაცია მოახდინონ იმ ძალებმა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში თავად ებრძოდნენ ტოტალიტარიზმს”.

ჟაკ სჯეულა ასევე ძალზე მალალ შეფასებას აძლევს მცირე დოზით გაშვებულ ინფორმაციებს და ძველ “ჯუნგლების ტელეგრაფად” წოდებულ და იმედროულად ძალზე თანამედროვე პოლიტიკური კომუნიკაციის საშუალებას - ჭორებს (დაყრილ ხმებს), რომელიც გაცილებით უფრო ეფექტიანია, ვიდრე სტენდებზე და კედლებზე გაკრული საარჩევნო აფიშები.

სჯეულა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გამოკვეთილ ლიდერს, პიროვნებას საარჩევნო პროცესში: ადამიანებს სჭირდებათ ნათელი სახეები. იმ პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც არა ჰყავს თავისი გმირი, თავისი იდეების მატარებელი და ფლაგმანი, წარმატების მიღწევის შანსი თითქმის არა აქვს.

ჟაკ სჯეულა აკრიტიკებს მათ, ვინც მეტიხმეტ მნიშვნელობას ანიჭებს იუმორს პოლიტიკაში და წერს: არ ვიცი რატომ, მაგრამ პოლიტიკაში იუმორს არასოდეს დადებითი შედეგი არ მოაქვს. ამის მაგალითად მას მოაქვს წინასაარჩევნო აფიშაზე გამოსახული ორი სიუჟეტი: ერთზე ნაჩვენებია იყო ბრეჟნევისა და ჰონეკერის ჩახუტება და პირზე კოცნა, მეორეზე კი ახალგაზრდა ბიჭი და გოგონა კოცნიან ერთმანეთს. აქვეა მოკლე მოწოდება: “ამოირჩიეთ”. ერთი შეხედვით ძალზე მრავლისმეტყველი და ნათელი პლაკატია, მაგრამ მან თავის მიზანს ვერ მიაღწია.

ჟაკ სჯეულას ეკუთვნის მრავალი რჩევა, რეკომენდაცია და გონივრუ-

ლი გამონათქვამი. განსაკუთრებით ცნობილია მისი 8 მცნება, რომელ-
იც პოლიტიკური რეკლამის საქმეში გამოიყენება:

1. ხმას აძლევენ პიროვნებას და არა მის პარტიას;
2. ხმას აძლევენ იდეას და არა იდეოლოგიას;
3. ხმას აძლევენ მომავალს და არა წარსულს;
4. ხმას აძლევენ სოციალურ მოტივს და არა პოლიტიკურს;
5. ხმას აძლევენ ადამიან-ლეგენდას და არა უფერულ პიროვნებას;
6. ხმას აძლევენ საინტერესო ბედის პიროვნებას და არა ჩვეულებრივი ბედისას;
7. ხმას აძლევენ გამარჯვებულს და არა ხელმოცარულს;
8. ხმას აძლევენ ჭეშმარიტ და არა ყალბ ღირებულებებს.



კორუფცია არის საჯარო ხელისუფლების ბოროტად გამოყენება პირადი ან ჯგუფური გამორჩენის მიზნით. გაერო-ს გენერალური ასამბლეის 1979 წლის 17 დეკემბრის 34-ე სესიის ფორმულირების მიხედვით „კორუფცია არის ნებისმიერი ფორმის საზღაურის სანაცვლოდ, საზღაურის გაძღვების ინტერესებიდან გამომდინარე, თანამდებობის პირის მიერ, მისი თანამდებობრივი უფლებამოსილების სფეროში, გარკვეული მოქმედების შესრულება ან უმოქმედობა“.

კორუფციის სახეები და მოდელები, კორუფციის ორი ძირითადი სახეა ცნობილი: მცირე ანუ მასობრივი და ელიტური. მცირე ანუ მასობრივია კორუფცია „გადარჩენის მიზნით“, რომელსაც მისდევენ სამოქალაქო მომსახურენი აშკარად დაბალი ხელფასით და რომლებიც იმ მცირე შემოსავლით ცხოვრობენ, რასაც საზოგადოებისაგან იღებენ. ამის საფუძველს წარმოადგენს ოჯახის გამოკვების, შვილების სკოლაში სწავლის, მეურნეობის საფასურის გადახდის აუცილებლობა. მასობრივი კორუფცია ძირითადად მოიცავს მოქალაქეთა ყოველდღიურ ურთიერთობას ხელისუფლების წარმომადგენლებთან – მაგ: საგადასახადო, საბაჟო, მარეგისტრირებელ, სალიცენზიო და სხვ. სახელმწიფო სტრუქტურებთან. ის გულისხმობს საშუალო და დაბალი რანგის მოხელეების მიერ მატერიალური რესურსების უშუალო გამოძალვას მოსახლეობისაგან. ელიტარული კორუფცია არსებობს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში, ჩვეულებრივ ის დაკავშირებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხებისა თუ მატერიალური სიკეთეების მითვისებასთან.

კორუფციას ღრმად აქვს ფესვები გამჯდარი როგორც განვითარებული, ასევე უფრო მეტად განვითარებადი ქვეყნების სახელისუფლებო სტრუქტურებში.

შესაბამისად გამოყოფენ კორუფციის 3 მოდელს (რ.ალემანის განსაზღვრება):

ა) შავი მოდელი (პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში გავრცელებული, საკანონმდებლო ნორმებზე ფარული ძალადობა)

ბ) თეთრი მოდელი (ტოტალიტარულ ქვეყნებში, პატრონ-კლიენტური სისტემისათვის დამახასიათებელი საზოგადოების აშკარა იძულება)

გ) ნაცრისფერი მოდელი (გავრცელებულია კონსტიტუციური და გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში – მაგ: საქართველო და პოსტსაბჭოთა ქვეყნები, და ემყარება ამ ბოროტებისადმი საზოგადოების შეგუების გრძნობას)

კორუფციის მასშტაბი განსაკუთრებით დიდია განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო ინსტიტუტებში. თუ განვითარებულ ქვეყნებში კორუფცია გაიზარდა, როგორც თამაშის წესებზე ძალადობა, განვითარებად და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში იგი თავად წარმოადგენს თამაშის წესს და მას სისტემური ხასიათი აქვს. ამასთანავე, განვითარებად ქვეყნებში კორუფციაში ბრალდებულნი ყოველთვის ადგილობრივი მოქალაქენი არ არიან. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ზოგიერთი განვითარებული ქვეყანა არაერთხელ ჩართულა განვითარებადი სამყაროს პოლიტიკურ პროცესებში, ისინი ხელს უმართავდნენ და ხშირად ხელისუფლებაში მოჰყავდათ კორუმპირებული ლიდერები. მრავალი მდიდარი და განვითარებული ქვეყანა ორმაგი სტანდარტების პოლიტიკას აწარმოებდა საგარეო ურთიერთობებში, ხელს უწყობდა დემოკრატიას შინ და ავტორიტეტს (ან დიქტატურას) უცხოეთში.

ეს ორმაგი სტანდარტები ასევე გამოიხატა დასავლეთის მიერ განვითარებად ქვეყნებში განვითარებული ქვეყნების მექრთამეობის საწინააღმდეგო კანონების იგნორირებაში. მაგ: გერმანიის კანონმდებლობა მკაცრად სჯიდა კორუფციის ნებისმიერ გამოვლენას გერმანიის ტერიტორიაზე, მაგრამ დაუსჯელს ტოვებდა გერმანული ფირმების ანალოგიურ საქმიანობას განვითარებად ქვეყნებში. ასეთი მოქმედებანი ახალ დემოკრატიებში ხელს უშლის დემოკრატიულ ფასეულობათა დამკვიდრებას. დასავლეთის ე.წ. ჰუმანიტარული დახმარებაც, „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, ხშირად ნიშნავს არა კონკრეტული, გასაჭირში მყოფი ადამიანების დახმარებას, არამედ მოსყიდვის საშუალებით „მეგობრების“ გაჩენას შესაბამე სამყაროს ქვეყნებში. მაგრამ ასეთი პოლიტიკა, საბოლოო ჯამში, თვით დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკას აზიანებს. აშშ-ის მთავრობის ოფიციალური მონაცემებით, კორუფციის მიზეზით ამერიკულმა ფირმებმა 1994-1996 წლებში საერთაშორისო კონტრაქტების დადებისა და შესრულების პროცესში დაახლოებით 11 მილიარდი დოლარით იზარალეს. კორუფციის მასშტაბები განსაკუთრებით გაიზარდა მთელს მსოფლიოში „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ. კორუფცია განსაკუთრებით იზრდება მაშინაც, როდესაც ქვეყანა გარდამავალ, მოდერნიზაციის პერიოდშია.

კორუფციის მიზეზები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში:

- ტოტალიტარული შემკვიდრეობის სიძნელეთა გადალახვა;
- პოლიტიკური არასტაბილურობა და ეკონომიკური დაცემა, კრიზისი;
- კანონმდებლობის არასრულყოფილება და განუვითარებლობა, კანონთა წინააღმდეგობრივი ხასიათი;

- სახელმწიფო სტრუქტურების არაეფექტურობა;
- სამოქალაქო საზოგადოების სისუსტე და მისი მოწყვეტა ხელისუფლებისაგან;

- დემოკრატიული პოლიტიკური ტრადიციების უქონლობა.

რა ზიანი მოაქვს კორუფციას. კორუფცია საზიანოა ნებისმიერ, თუნდაც უმაღლესად განვითარებული ქვეყნებისათვის, მით უმეტეს მომაკვდინებელია ისეთი განვითარებადი ქვეყნებისათვის, როგორც საქართველოა. რა ზიანი მოაქვს მას?

ეკონომიკური შედეგები:

1. ფართოვდება ჩრდილოვანი ეკონომიკა;
2. იზრდება საქონლისა და მომსახურების ფასი, სახელმწიფო ვალიც;
3. ირღვევა ბაზრის კონკურენციის მექანიზმები;
4. არაეფექტურად გამოიყენება საბიუჯეტო სახსრები;
5. იწვევს სტანდარტების დაქვეითებას, ვინაიდან ბაზარზე შემოდის მეორეხარისხოვანი საქონელი და ხდება არაშესაბამისი ანდა არასაჭირო, მოძველებული ტექნოლოგიების შექმნა;
6. იკარგება საბაზრო აგენტების ნდობა სახელმწიფო სტრუქტურებისადმი;
7. ფართოვდება კორუფციის მასშტაბები კომერციულ სტრუქტურებში.

სოციალური შედეგები:

1. ხდება პოლიტიკის მიზნების წანაცვლება საერთოეროვნული განვითარებიდან ოლიგარქიული დაჯგუფებების განვითარებისაკენ;
2. მცირდება ხელისუფლებისადმი ნდობა;
3. ეცემა ხელისუფლების პრესტიჟი საერთაშორისო არენაზე, კლებულობს ინვესტიციები;
4. ხდება პოლიტიკური კონკურენციის პროფანაცია და შემცირება;
5. იზრდება ახლადჩამოყალიბებული დემოკრატიული სისტემის ნგრევის საფრთხე.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ კორუმპირებულ მოღვაწეობას არ შეუძლია მიაღწიოს მიზანს, რომელსაც ისახავს ხელისუფლება (მაგ: კორუფცია თანამდებობაზე დანიშვნის დროს იწვევს არაეფექტურობას და მოაქვს დანაკარგები. უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე დეფიციტური ადგილების განაწილებისას კორუფციის შედეგია პროფესიის დაუფლებისას ეფექტურობის დაკნინება და ა.შ.) ვინაიდან კორუფცია თავისთავად წარმოადგენს ორგანიზებულ არასამართლიანობას, იგი აუცილებლად იწვევს სასამართლო პროცესებს და ცილისწამებას, რომლის საშუალებითაც ცდილობენ თვით პატიოსანი ჩინოვნიკის შანტა-

უირებასაც.

კორუფციის სრულად და საბოლოოდ მოსპობა შეუძლებელია კორუფციის მოსპობის მიმართ სწორხაზოვანმა მიდგომამ (მხოლოდ სადამსჯელო ღონისძიებებმა) შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს პიროვნების თავისუფლებასა და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზანია არა „სრული წესიერების მიღწევა“ (რაც შეუძლებელია), არამედ პატიოსნების ღონის - მნიშვნელოვანი ამაღლება და ამგვარად, ხელისუფლების ეფექტურობისა და ქმედუნარიანობის გაზრდა.

კორუფცია დანაა ორმხრივი პირით, ის შეიძლება წარმოიქმნას როგორც სიმდიდრისა და კეთილდღეობის, ისე სიღარიბის პირობებში. კორუფცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც სიღარიბის წყარო და არა როგორც მისი შედეგი.

კორუფციისათვის ხელისუფლების მოღვაწეობის ყველაზე ხელსაყრელი სფეროებია:

- სახელმწიფო შესყიდვები მაგ: ჯარისა და პოლიციისათვის ტანსაცმლის ან პროდუქტების მომარაგება;

- პრივატიზაცია;

- გადასახადების აკრეფა;

- ხელმძღვანელ პოსტებზე დანიშვნა;

- ადგილობრივი მმართველობა;

- არჩევნები;

ანტიკორუფციული სტრატეგიის წარმატება შეუძლებელია ამ პროცესში საზოგადოების ჩართვის გარეშე. კორუფციის შემცირების პროცესი განუყოფლად დაკავშირებული არა მარტო მატერიალური ფაქტორების გადაწყვეტასთან, არამედ შესაბამისი ეთიკური ნორმების დამკვიდრებასთან, მმართველობისა და ადმინისტრირების ამ პრინციპებზე დაფუძნებასთან. მოლანის კომისიამ (დიდი ბრიტანეთი) 1995 წელს შეიმუშავა 7 პრინციპი, რომელიც გამოსადეგია საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი ასპექტისათვის: 1. უანგარობა (გადაწყვეტილებების მიღება მხოლოდ საზოგადოებრივი და არა პირადი ან მეგობრების ინტერესებიდან გამომდინარე); 2. მოუსყიდველობა; 3. ობიექტურობა (თანამდებობებზე დანიშვნის, კონტრაქტების გაცემის ან ჯილდოების მიღებაზე პირების წარდგენისას); 4. ანგარიშვალდებულება (თანამდებობის პირები ანგარიშვალდებულნი არიან საზოგადოების წინაშე, მზად უნდა იყვნენ დაწვრილებითი შემოწმებისათვის) 5. ღიაობა (გადაწყვეტილებათა ღიად მიღება, საკუთარი გადაწყვეტილების მიღების მართებულობის დასაბუთება მუდმივად); 6. პატიოსნება (მიღებული შემოსავლების გამოქვეყნება); 7. ხელ-

ძღვანელობა (ამ პრინციპების პროპაგანდა და განხორციელება პირადი მაგალითით).

ძლიერი ხელი თუ ძლიერი სახელმწიფო? კორუფციის აღკვეთა საჭიროა, მაგრამ რა გზით? აქ საჭიროა კომპლექსური ღონისძიებების გატარება:

- ძლიერი სახელმწიფოს არსებობა (და არა მხოლოდ ძლიერი ხელისა, რაც ხშირად არ ამართლებს);
- ეკონომიკაში სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა;
- ქმედუნარიანი ანტიკორუფციული სამსახური და პოლიტიკური ნება;
- სამართლდამცავი ორგანოების გააქტიურება;
- სამოქალაქო საზოგადოების განვითარება;
- დემოკრატიული მექანიზმების გამოყენება, მათი ფართოდ დანერგვა;
- სწრაფი ეკონომიკური ზრდა, ხელფასების მომატება;
- დაუსჯელობის სინდრომის დაძლევა;
- სრული გამჭვირვალობა და საჯაროობა;
- სამეწარმეო გარემოს შემდგომი ლიბერალიზაცია;
- მკაცრი კონტროლის დამყარება ფისკალურ სფეროში, აღრიცხვა-სა და სტანდარტიზაცია-სერტიფიცირებაში;
- - სახელმწიფო სახსრების მკაცრი კონტროლი, საბიუჯეტო პროცესის სრულყოფა;
- სწორი, ობიექტური და უანგარო საკადრო პოლიტიკის წარმოება;
- სახელმწიფო დაკვეთების მქონე უმაღლეს სახელმწიფო სასწავლებლებში მისაღები გამოცდების გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემის შექმნა;
- საზოგადოების და განსაკუთრებით მესამე სექტორის (თავისუფალი მასშედი და სამოქალაქო საზოგადოება) გააქტიურება კორუფციის დაძლევის საქმეში და ა.შ.

ძირითადი ტერმინები:

1. კორუფცია (მასობრივი და ელიტური)
2. კორუფციის 3 მოდელი (შავი, თეთრი, ნაცრისფერი)
3. ჩრდილოვანი ეკონომიკა
4. მოლანის კომისიის 7 პრინციპი

რა არის კლიენტელიზმი. კლიენტელიზმი წარმოადგენს სოციალურ და პოლიტიკურ ფენომენთა ერთობლიობას, რომელიც ემყარება არასიმეტრიული ურთიერთობების ფორმის მქონე ორმხრივი გაცვლის მექანიზმებს პატრონსა და კლიენტს შორის.

ეს მოვლენა არ/ან სუსტად ინსტიტუციონალიზებული საზოგადოებიდან იღებს სათავეს და აქედან გამომდინარე, უპირისპირდება თვით ინსტიტუციონალიზმის არსს.

კლასიკური სახით კლიენტელიზმი ძველ რომში გვხვდება, თვით ტერმინიც პირველად აქ იხსენიება. ქალაქრესპუბლიკური (დემოკრატიული) სისტემის კრიზისმა რომის რესპუბლიკის არსებობის ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით კი იმპერიის ეპოქაში, რომში მოქალაქეობის უფლების მქონე დეკლასირებული ელემენტებისაგან შემდგარი სოციალური ფენა შექმნა. ამ ადამიანებს საარჩევნო ხმის გარდა აღარაფერი ებადათ და, ბუნებრივია, ეს უკანასკნელი არსებობის ერთადერთ წყაროდ აქციეს.

რომაულმა არისტოკრატია და პლუტოკრატია კარგად ისარგებლა ამ სიტუაციით და საფუძველი დაედო მოქალაქე-ამომრჩეველთა მასობრივი მოსყიდვის პროცესს. მიზერული კომპენსაციის (ყოველდღიური სადილები, გართობა, იაფფასიანი საჩუქრები) სანაცლოდ მათ მიიღეს საარჩევნო ხმების გარანტირებული მინიმუმი სახელმწიფოს არჩევითი თანამდებობების დასაკავებლად. კლიენტელიზმი მხოლოდ ეკონომიკურ საფუძველს არ ემყარებოდა. პოლიტიკური ანარქია და არასტაბილური სიტუაცია აიძულებდა სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მყოფ მოქალაქეებს, ეძებნათ ძლიერი მფარველი. ამრიგად, ადგილი მქონდა ორმხრივ დაინტერესებას – პოტენციური კლიენტი ეძებდა დამცველს, ხოლო პოტენციური პატრონი – კლიენტთა მასას, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, თანადგომას გაუწევდა მას თავისი მიზნების განხორციელების გზაზე.

კლიენტელიზმის დევიზია
დამოკიდებულება და სოლიდარობა.

ფეოდალიზმმა პატრონ-კლიენტელური ურთიერთობების ინსტიტუციონალიზება მოახდინა. ფეოდალური ვასალიტეტი სწორედ კლიენტელიზმის ძირითად პრინციპებს ეფუძნებოდა.

დასავლური, ქალაქურ-ბურჟუაზიული დემოკრატიის წარმოშობამ კლიენტელური ურთიერთობების ახალი ფორმა დაამკვიდრა. გაჩნდა კოლექ-

ტიური პატრონი (ქალაქი, ამქარი და ა.შ.) და კოლექტიური კლიენტები (მოქალაქეები, ხელოსნები და სხვ).

ამავე დროს, ბურჟუაზიული ურთიერთობების დამკვიდრებისა და გაძლიერების პირობებში კლიენტელურ ურთიერთობებს ნაკლებად მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა. ევროპის ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა და კონსტიტუციური სახელმწიფოების წარმოშობამ მართლაც დიდი როლი ითამაშეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღნიშნულ ურთიერთობათა გავლენის შემცირების საქმეში.

თანამედროვე, ინსტიტუციონალიზებული, სამართლებრივი სახელმწიფო თავის თავზე იღებს მოქალაქეთათვის იმ მფარველობით ფუნქციებს, რომლებიც კლიენტელურ ურთიერთობათა პირობებში პატრონებს ეკისრებოდათ. გარკვეულწილად შეიძლება ითქვას, რომ ახლა თვით სახელმწიფო გამოდის პატრონის როლში, ხოლო ქვეყნის მოქალაქენი, სახელმწიფოს წინაშე თავისი უფლებებითა და მოვალეობებით, კოლექტიურ კლიენტს წარმოადგენენ. ამან ჩასახა იმედი, რომ კლიენტელური ურთიერთობები ამოწურავდა თავის თავს და შესაძლებლობებს.

მაგრამ მოვლენები სხვანაირად განვითარდა. დღეს უკვე გაქრა იმის ილუზია, რომ XX საუკუნის ინდუსტრიული საზოგადოება ვერ იგუებდა კლიენტელიზმს.

მოხდა პრიმიტიული ბოსიზმის გადაზრდა ლობიზმში, ანუ ძველი დროის საკრალური კლიენტელური ურთიერთობები შეიცვალა ახალი დროის, მატერიალიზებული და ფორმალიზებული კლიენტელური ურთიერთობებით ანუ სახელმწიფოებრივ დონეზე ასული კლიენტელური ურთიერთობებით.

თანამედროვე ბიუროკრატია, სახელმწიფო კლიენტელიზმის უმთავრესი საყრდენი, დღესაც ქმნის მეორად კლანებს, რომელთა საფუძველიც არა „ოჯახისადმი“ გენეტიკური კუთვნილებაა, არამედ პატრონისადმი ნებაყოფლობითი მორჩილება. უკვე ნათელია, რომ კლიენტელიზმი თანამედროვე ბიუროკრატის ხვედრია და არსებობას განაგრძობს როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებშიც.

კლიენტელური ურთიერთობების ფორმები:

1. ადგილობრივი, პიროვნებათშორისი;
2. პატრონი-შუამავალი-კლიენტი;
3. ორგანიზაციული შუამავლობა.

თანამედროვე კლიენტელური ურთიერთობები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წარსულის უბრალო გადმონაშთად ჩაითვალოს. ნელ-პატრიმონიალიზმი, რაც ე.ფ. მედარმა პირველად უგანდაში დააფიქსირა და შემდეგ აფრიკის მთელი კონტინენტის საზოგადოებრივ ურთიერ-

თობათა დამახასიათებელ მოვლენად მიიჩნია, მომდინარეობს არა მარტო ტრადიციებიდან, არამედ ახალი რეალიებიდანაც (ე.ი. გარკვეულწილად ჰიბრიდულია). ამავე დროს იგი სცდება აფრიკის საზღვრებს და მეტნაკლებად მთელ მსოფლიოშია გავრცელებული სამივე ნახსენები ფორმით.

კლიენტელიზმის საფუძველი, თანამედროვე კლიენტელიზმის საფუძველს რესურსათა სიმცირე (ისევე, როგორც რომში) და სახელმწიფო აპარატის ხელში მათი კონცენტრაცია ქმნის. არასაკმარისი სუბსიდიების განაწილების პრობლემა ისევე აღელვებს თანამედროვე ბიუროკრატს, როგორც ძველი რომის სოციალურად, ეკონომიკურად და ფიზიკურად დაუცველ მოქალაქეს. ამავე დროს კლიენტელიზმი არა მარტო აუცილებელი და სასურველი რესურსების, არამედ ნდობის მონოპოლიაც არის.

კლიენტელური ურთიერთობები არბილებს სოციალურ წინააღმდეგობებს და ხელს უშლის საზოგადოების მეტისმეტ მარჯინალიზებას. ხდება „ზედმეტი მოსახლეობის“ რაოდენობის ნაწილობრივი შემცირება. თანამედროვე საზოგადოებაში ნარჩუნდება სამსახურში აფვანის პარიარქალური წესი (ნაცნობობით მიღება), რომელიც ყველგანაა გავრცელებული.

კლიენტელიზმის ამ „დადებითი“ სოციალური მხარის არსებობა სრულებითაც არ მოასწავებს საზოგადოებრივ ზავს დაპირისპირებულ სოციალურ სტრატებს (ან ფენებს) შორის, ვინაიდან არ მცირდება საზოგადოებისათვის არსებული მარადიული შიდადაპირისპირება „ყველა ყველას წინააღმდეგ“ (ჰობსისეული განმარტებით). ამავე დროს კლიენტელიზმი ატარებს დესპოტიზმის ნიშნებსაც. მაგალითად შეიძლება აღებულ იქნას „ტრადიციული“ ქართული საოჯახო კლანების იერარქიული, ე.წ. „ღონების“ სისტემა, სადაც საზოგადოებრივ ასპარეზზე (ბიზნესი, პოლიტიკა, მეცნიერება და სხვ) შედარებით წარმატებული პირი ფაქტობრივად წარმართავს თავის, სოციალურ კიბეზე უფრო დაბლა მდგომ, შედარებით „უიღბლო“, ნათესავთა საქმიანობას. ანალოგიური „მფარველობა“ ძალზე ხშირად საკმაოდ ავტოკრატიული მეთოდებით ხორციელდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კლიენტელიზმი თავისსავე საწყისში არაპუმანურია.

მეორე პრობლემას, რასაც ნათესაური, ნეპოტისტური კლიენტელიზმი ქმნის, წარმოადგენს „უცხოთა“ (არანათესავთა) დისკრიმინაცია გლობალურ (მაგ: ბიზნესი, პოლიტიკა და სხვ) საკითხებშიც და ყოველდღიურ ცხოვრებისეულ წერილმანებშიც (მაგ: სამსახურში მიღება ნათესაური პრინციპის მიხედვით).

კლიენტელიზმის უმთავრესი თანმდევი მოვლენაა კორუფცია. რუსე-

თის მიერ საქართველოს ანექსიის მომენტი სათვის (1801 წ) ქართული საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ შუასაუკუნეობრივი მენტალიტეტი იყო დამახასიათებელი. ქართველ თერგდალეულთა მცდელობას, პოლიტიკურად დაქუცმაცებულ და ეკონომიკურად მოშლილ ქვეყანაში ევროპული აზროვნების წესი დაემკვიდრებინათ, მნიშვნელოვანი შედეგი არ გამოუღია. უცხო ქვეყნის ადმინისტრირების ძალდატანებითმა შემოღებამ და ტრადიციული სამართლებრივი ინსტიტუტების გაუქმებამ საზოგადოებრივი ნიჰილიზმის წარმოქმნა-გაძლიერებას შეუწყო ხელი, რასაც მნიშვნელოვნად აძლიერებდა თვით რუსული საზოგადოების ტოტალური უნდობლობა საკუთარი სახელმწიფოებრიობის მიმართ.

ბიუროკრატიული აპარატის გაძლიერება, საზოგადოებრივი ნდობის შემცირების ფონზე, იქცა კლიენტელური ურთიერთობების გაძლიერების მიზეზად. საქართველოში ამ ტენდენციამ თავი უკვე XIX საუკუნის ბოლოდან იჩინა და განსაკუთრებით გაძლიერდა სოციალიზმის ხანაში, როცა ყოფილ საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა დატაცების იერარქიული სისტემა და გაძლიერდა შუამავლობის ინსტიტუტი (ე.წ. „მოლარეები“). საბჭოთა სისტემის კლიენტელიზმისათვის მთავარი იყო არა წარმოშობა, ფინანსური ან გონებრივი შესაძლებლობები, არამედ ნომენკლატურის წევრობა.

მოუხედავად იმისა, რომ საქართველომ მოიპოვა თაობათა ნანატრი დამოუკიდებლობა, საზოგადოება მაინც უკმაყოფილოა - მაინც ვერ მივიღეთ ის, რაც გვინდოდა.

XXI საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოსათვის საკმაოდ მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ჩვენ დიდად ჩამოვრჩებით იმ „დასავლეთს“, რომლის განუყოფელ და ორგანულ ნაწილადაც მიგვაჩნდა თავი. გაირკვა, რომ სახელმწიფოებრიობა სტატიური მდგომარეობა, ან მით უფრო, ურთუფრადი აქტი არ არის და რომ საჭიროა მუდმივი მუშაობა, რათა მაქსიმალურად იქნას დაკმაყოფილებული ქვეყნის მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესები. საქმე იმაშია, რომ დემოკრატიულ და ლიბერალურ ღირებულებებზე ორიენტირებულ საზოგადოებებად ტრანსფორმაციის (გადასვლის) პერიოდი პოსტკომუნისტური საზოგადოებისათვის მეტად გაძნელებულია. ნათელი გახდა, რომ დღევანდელ საზოგადოებას არ გააჩნია არათუ გამოკვეთილი ნება, არამედ არც სახელმწიფოებრივი მართვის გამოცდილება. ყოველივე ამას თან ერთვის სახელმწიფო სტრუქტურების უუნარობა, როგორმე გადაწყვიტონ ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების მთელი კომპლექსი.

ფაქტიურად, ერთადერთ გზას, რომლის საშუალებითაც მოსახლეობას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი თავისი უარყოფითი დამოკი-

დებულება შეუძლია გამოხატოს, კანონთა უპატივეცემულობა წარმოადგენს, ანუ კანონებისათვის გვერდის ავლა. საქართველოში სახელზე ანთროპოლოგიური კრიზისის (მერაბ მამარდაშვილისეული განსაზღვრა) გამოვლინება. საქართველოს მოსახლეობა ან არ ცნობს ქართულ სახელმწიფოებრიობას და მის შესვეურთ, ან მტრულად არის მათდამი განწყობილი. ამავე დროს, რიგითი მოქალაქე ცდილობს, ინდივიდუალურად გამოინახოს საერთო ენა ნომენკლატურული ელიტის ცალკეულ წარმომადგენლებთან და ამ გზით მიადწიოს თუნდაც მიზერული უზრუნველყოფის დონეს. სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას სოციალური ენერჯის ეკონომიურობა და გარკვეულ ეტაპამდე ძლიერი სოციალური კატაკლიზმების (ამბოხება, რევოლუცია) არარსებობა მძიმე სოციალ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ამ შემთხვევაში კლიენტელური ურთიერთობები სოციალური სტაბილურობის გარანტიად გვევლინება. 1995 წლიდან იწყება ე.წ. სტაბილიზაციის ხანა, როცა ნომენკლატურა სრულად დაეუფლა სიტუაციას და არსებული ვითარების შენარჩუნებაზე ზრუნავს. დღეისათვის როგორც ეკონომიკის ამოქმედების მცდელობა, ისე ეროვნული ბურჟუაზიის წარმოშობა-განვითარების პროცესი კლიენტელურ ურთიერთობათა ფონზე მიმდინარეობს. ამ ურთიერთობათა გარეშე (ე.წ. „კრიშების“ სისტემა, ანუ „ქოლგები“) მეტად რთულდება სამეწარმეო საქმიანობა. კლიენტელური ურთიერთობები აღწევს არა მარტო სოციალურ ურთიერთობებში, არამედ ეკონომიკის სისტემაშიც. საშუალო და მსხვილი ბიზნესის ბევრი წარმომადგენელი უკვე აქტიურად იწყებს პოლიტიკაში ჩარევას, რათა ბიუროკრატიასთან ბრძოლაში შეძლოს არა მარტო ეკონომიკური, არამედ არსებობის უფლების დაცვა. არ არის გასაკვირი, რომ ქართველ ნეუორიშთა აბსოლუტურ უმრავლესობას პოლიტიკური ელიტისა და სახელმწიფო აპარატის ყოფილი და ამჟამინდელი ფუნქციონერები (ბიუროკრატიული ბურჟუაზია) ქმნიან. ამ კორუმპირებული ბურჟუაზიის არსებობა კიდევ უფრო ზრდის ერთი პიროვნების მეორეზე დამოკიდებულებისა და მფარველობის ხარისხს.

ტრაიბალიზმი და ნეპოტიზმი. ტრაიბალიზმი და ნეპოტიზმი პატრიმონული ურთიერთობის სახეობებია და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (მათ შორის, უპირველესად საქართველოში) პოლიტიკური ელიტის ქცევათა ნორმების განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

ტრაიბალიზმი გამოიხატება კუთხურობაში და მნიშვნელოვან სახელმწიფო თანამდებობებზე ლიდერის (პრეზიდენტის) კუთხის წარმომადგენელთა დანიშვნაში. მაგ: საქართველოს ერთ-ერთი კუთხის მოსახლეობა მთელი საქართველოს მოსახლეობის 3%-ზე ნაკლებია, მაგრამ მათ უჭირავთ აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობათა 40%-ზე მე-

ტი. ნეპოტიზმი გამოიხატება ლიდერის (მმართველის) უახლოესი ნათესაობის დანიშვნაში დიდ თანამდებობებზე, რაც ასევე საგრძნობია საქართველოში, განსაკუთრებით რეგიონალურ დონეზე.

გარეგნული ძლიერების მიუხედავად, მცირდება პოლიტიკურ ლიდერთა შანსი, თავის გავლენას დაუქვემდებარონ კლანური დაჯგუფებები. ისინი არათუ ძველებურად ვეღარ მართავენ კადრებს, არამედ ამ კადრებზე (ბიუროკრატიულ კლანებზე) ხდებიან დამოკიდებულნი. ამავე დროს, კლიენტის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აუცილებელ წინაპირობად პატრონის თანამდებობრივი დაწინაურება ხდება. ასე ყალიბდება ორმხრივი დანტერესების საფუძველზე წარმოქმნილი ურთიერთობის ფორმა-კლიენტელიზმი კლასიკური ფორმით.

სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ფორმალური ინსტიტუტებისა და საკანონმდებლო ბაზის დომინირების ნაცვლად ქცევის ნორმათა განმსაზღვრელი ხდება არაფორმალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებული სისტემა და მისი უძლიერესი მექანიზმი - კორუფცია. სწორედ კორუფციის მეტნაკლებად აღმოფხვრასთანაა დაკავშირებული კლიენტელიზმის წინააღმდეგ შედეგიანი ბრძოლაც.

ძირითადი ტერმინები:

1. კლიენტელიზმი
2. კორუფცია
3. „ქოლგა“ („კრიშა“)
4. ტრაიბალიზმი
5. ნეპოტიზმი

II ნაწილი

ქართული პოლიტიკური აზრი

რუსთველის სოციალურ-პოლიტიკური და რელიგიური დოკტრინა („ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით)

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ მხატვრული ფორმით გადმოცემულია XII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, აგრეთვე სამეფო ხელისუფლების ის დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეები და შეხედულებები, მათ შორის რელიგიურ საკითხებშიც, რომლებიც ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების, დაცვისა და განმტკიცების აუცილებლობის დასაბუთებას ისახავს მიზნად.

საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების საკითხებზე შრუსთველის მიერ „ვეფხისტყაოსანში“ გადმოცემული გააზრებული თეორიული დასკვნები და სახელმწიფოს მართვის რეკომენდაციები არა მარტო XII საუკუნის საქართველოს (დავით აღმაშენებლიდან თამარის ჩათვლით) სახელმწიფო ხელისუფლების მიერ განხორციელებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის ანარეკლია, არამედ ამასთან ერთად ისინი წარმოადგენენ რჩევა-დარიგებას სამეფო ხელისუფლებისა და აგრეთვე ურჩ ფეოდალთა მიმართაც, საქართველოს მეთაურობით შექმნილ საერთო კავკასიურ სახელმწიფოში შემაჯავლ მრავალმილიონიან მოსახლეობაზე და სხვადასხვა სარწმუნოებისა და ჩვევების მქონე ხალხებზე რა მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით შეიძლება განხორციელებული იქნეს ქართული სახელმწიფოებრიობა. ამ მიზნით სამეფო ხელისუფლება საყოველთაო მშვიდობისა და კლასობრივი ზავის პოლიტიკას ატარებდა.

ტახტის მემკვიდრეობის უფლება, მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობა, ფეოდალური საზოგადოების თითოეული წოდებისათვის სავსებით გარკვეული უფლებებისა და მოვალეობების დადგენა, ომისა და აჯანყების უფლება - აი, ის მთავარი საკითხები, რომლებიც წარმოადგენას გვაძლევს მის სამართლებრივ შეხედულებებზე, რომელიც რუსთველს გადაწყვეტილი აქვს ე.წ. „მართალი სამართლის“ მოძღვრების, („ქა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“), ანუ ბუნებითი, ღვთაებრივი სამართლის მიხედვით.

„ვეფხისტყაოსანში“ რუსთველმა ასევე ჩააქსოვა თავისი შეხედულებანი სოციალურ-პოლიტიკურ და რელიგიურ პრობლემებზეც.

რუსთველის მიერ დახატული საზოგადოება იერარქიულად აშენებულია შემდეგნაირად: ძალა დგას მეფე, მის ქვემოთ ვეზირები და დიდებულები. შემდეგ მოდის სპა, ანუ ლაშქარი, მიწის მუშაკნი და ვაჭრები, ხოლო სულ დაბლა - მონები.

რუსთველის მიერ დახატული მეფე სრულად არ ჰგავს ფეოდალურ მეფეს. ის არ არის პირველი თანასწორთა შორის (პრიმუს ინტერ პარეს) . პირიქით, მისი სწორი არავინაა, მისი ძალა უსაზღვროა, მისი წარმოშობა დეტალებრივია. მეფეა მთელი ქვეყნის თვითმპყრობელი. მცირე ქვეყნის მეფე სარიდან უარს ამბობს ტახტზე დიდი მეფის ფარსადანის სასარგებლოდ და მისი მოხელე, ამირბარი ხდება. ამ წესით მოხდა ქვეყნის გაერთიანება, ერთი მეფობის დამკვიდრება. ერთი ხალხი - ერთი მეფე პოლიტიკური იდეალია. მეფის სურვილი კანონია, მას წინ ვერავინ დაუდგება.

ერთი სიტყვით, რუსთველის მეფე არის თვითმპყრობელი, აბსოლუტური მონარქი, რომელსაც მორჩილებს ყველა კლასი, მთელი ერი. როგორ იყენებს მეფე ამ დიდ ძალაუფლებას? იგი ამ დიდ ძალას ხმარობს ხალხის სასარგებლოდ. მეფე არის „მაღალი, უხვი, მდაბალი“, „მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებანი“. ის ესმარება გაჭირვებულთ და დავრდომილთ, ებრძვის სიღვეს და ბოროტებას, აწარმოებს ფართო ქველმოქმედებას. იგი არის „გონიერი, გული ღლილი“. ასეთი მეფის ქვეშევრდომნი ბედნიერნი არიან, ვინაიდან მეფე

„ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მათოვებს,
ობოლ-ქერივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავის მქმნელნი დაამინეს, კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან სძოვდეს“.

ამრიგად, რუსთველის იდეალია მეფე თვითმპყრობელი, მეფე რეფორმატორი, მეფე მოსიყვარულე და ქვეშევრდომთათვის სამართლის მომნიჭებელი.

ეს იდეალი რუსთველმა აიღო მაშინდელი XII საუკუნის საქართველოს რეალური შინაგანი პოლიტიკური მდგომარეობიდან, თამარ მეფის მოღვაწეობიდან. ტახტზე ასულ 18 წლის თამარს დაუპირისპირდა დიდებულთა ჯგუფი ყუთლუ არსლანის მეთაურობით და მას მოსთხოვეს ისანში კარვის დაარსება, სადაც ისინი დაჯდებოდნენ „თავის უფლებათა მსხდომარენი, რათა მიეცემდეთ და მოვიღებდეთ, რომელთამე ვრისხავდეთ და რომელთამე ვწყალობდეთ, ამას ესრეთ ვაკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს მეფესა და დედოფალსა და მუნღა სრულ იქნებოდეს განგებული ჩვენნი“. ე.ი. ყუთლუ-არსლანის დასი მოითხოვდა მთელი კანონმდებლობის და მმართველობის მათთვის გადაცემას, მეფე კი მხოლოდ დამტკიცებდა მათ გადაწყვეტილებას.

ეს იყო ხელისუფლების დანაწილების პროგრესული, მაგრამ მაშინდელი საქართველოსათვის ნაადრევი იდეა, რომელიც ცენტრალიზებული სახელმ-

წიფოს დასუსტებას და დანაწევრებას გამოიწვევდა.

რუსთველი ამ დიდ პოლიტიკურ დავაში გადაჭრით დადგა მეფის მხარეს, რომელმაც შეძლო აჯანყებულთა დაშოშმინება და აჯანყების ჩაქრობა. რუსთველმა ეს არ იკმარა და საჭიროდ ჩათვალა მეფის უფლებების ხალხში გამაგრება იდეურადაც. მან პირველად წამოაყენა ლიტერატურაში თვითმპყრობელობის თეორია და აღჭურვა მეფე ასეთი წარმტაც თვისებებით, ამის საფუძველს მას დავით IV და თამარის მოღვაწეობა აძლევდა. თამარმა პირველად გააუქმა საქართველოში სიკვდილით დასჯა, ასოების მოკვეთა, თვალების დათხრა. ცნობილი იყო თამარის ქველმოქმედება. ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევით თამარის დროს ყოფილა კანონი, რომლის ძალით საშინაო და საგარეო შემოსავლის 10% ქველმოქმედებაზე იხარჯებოდა. ამისათვის დაარსდა საგანგებო უწყება.

მეფე თვითმპყრობელი, რუსთველის მიხედვით, თავის პოლიტიკას ატარებს დიდებულთა მეშვეობით. ეს წრე შეიცავს პირველ რიგში ვეზირებს, შემდეგ კი სპასპეტებს. ივ.ჯავახიშვილის აზრით, „დიდება“ ძველად თანამდებობასა და მასზე დაფუძნებულ პატივს ნიშნავდა, დიდებული, იმავე დროს დიდი მონღელი იყო. რუსთველის იდეალია მოხელეობა, სახელმწიფოს სამსახური და არა გვარიშვილობა, რაც სრულად ეთანხმება მის პოლიტიკურ კონცეფციას. „ვეფხისტყაოსანი“ შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობა საზოგადოებაში მარტო წოდებრივი წარმოშობით კი არ უნდა განისაზღვროს, არამედ მასზე მალა დგას ადამიანთა პირადი ღირსება. რუსთველის ეს მოსაზრება („თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“), რომელიც ჯერ კიდევ გიორგი მთაწმინდელმა წამოაყენა და იგი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მტკიცედ დანერგა ჯერ დავით აღმაშენებელმა, მერე გიორგი III, წითელი ზოლივით გასდევს „ვეფხისტყაოსანს“.

რუსთველი არ ხმარობს სიტყვა „აზნაურს“, ხმარობს „თავადს“, მაგრამ არა თანამედროვე მნიშვნელობით. მისთვის თავადი ნიშნავს არა წოდებრიობას, დიდგვაროვნებას, არამედ მეთაურობას, წინამძღოლობას („ჩემ წილ დაგვადებ პატრონად, თავადად ჩემთა სპათასა“).

ამ მმართველთა წრეს მოსდევს სპა ანუ ლაშქარი. მის მთავარ ძალას, უეჭველია, მიწის მუშაკნი არ შეადგენდნენ. „მუშა მიწივთ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნებდეს“ – ასე აქვს გაყოფილი პოეტს ეს ორი კატეგორია. მაშინდელ დროში ომი იყო თითქმის მუდამ, პერმანენტულად და მაშასადამე მისი წარმოება შეეძლო მოცლილ ხალხს. გლეხთა ომში ჩაბმა ნიშნავდა მთელი საზოგადოების შიმშილით ამოწყვეტას, მატერიალური საფუძველის მოშლას. მასში არ შედიოდა ვაჭართა კლასი ამავე მიზეზით – დაინგრეოდა ვაჭრობა, უმნიშვნელოვანესი სფერო. ამიტომ მათ ომი არც-კი იცოდნენ („თქვენ ვაჭარნი ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეტარნი“). ხოლო ეს მოცლილნი

იყენენ უფლება-უპირატესობით მოსიღნი აზნაურები. მათთვის ლაშქრობა ხელობად და შემოსავლის მიღების წყაროდ იქცა და ისინი თვით ითხოვდნენ მეფისაგან „გვალაშქრეთ“ (მაგ: ლაშქრობდა ირანში), როცა მშვიდობიანობა გაზანგრძლივდებოდა. „ვეფხისტყაოსანში“ შეიარაღებულ ძალთა შორის ხშირად ვხვდებით მონებს, რომლებიც ერთობ დიდი როლს თამაშობენ მეფის გარშემო. ესენი არ არიან უბრალო მონები, არამედ „მონასპა“ – მეფის პირად მცველთა ჯარია, მუდმივი გვარდია.

ვაჭრებს რუსთველი ორ ნაწილად ჰყოფს: ვაჭარნი და დიდ-ვაჭარნი. ეს უკანასკნელნი დაახლოვებულნი არიან სასახლესთან და მეფესთანაც.

ყველა ზემოთ აღწერილ კლასებს და ფენებს შეადგენდნენ თავისუფალი ადამიანები. ამათგან გამორიცხულია მხოლოდ ერთი კლასი – მონები. ომების წყალობით ტყვეთა რიცხვი მაშინდელ საქართველოში ერთობ დიდი იყო და თბილისის ბაზარზე ტყვე ხუთი შაური ღირდა. მონა ჰყავდა ყველას, ვისაც შეეძლო მისი ყიდვა. რაკი მონები ასე ბევრი და იაფი იყო, გლეხების დამონება და ძალით მიწაზე სამუშაოდ მიკერება ეკონომიკურ აუცილებლობას არ წარმოადგენდა. გლეხი თუ თავისუფლებას მოკლებული იყო, რუსთველი მხოლოდ მონების გათავისუფლებას რად ითხოვს და არასოდეს გლეხებისას? იმიტომ, რომ ამ დროს გლეხი ჯერ კიდევ თავისუფალი იყო და ეს ასახა რუსთველმა რეალისტურად. რუსთველის მიერ პოემაში დახატული სოციალური ურთიერთობები არის პატრონ-ყმობა – სადაც ერთი მხრით დგას სიუზერენი, მეორე მხრით კი მისი ვასალი. რუსთველთან მხოლოდ ორი ფენაა დაბეჩავებული და დახმარების მაძიებელი-გლახაკნი და მონები. ღარიბებს – დახმარება, მონებს – თავისუფლება – ამ რუსთველის სოციალური იდეალი.

ამრიგად, რუსთველის პოლიტიკური დოქტრინაა განათლებული აბსოლუტიზმი, რომელიც რეფორმებზეა დამყარებული. ის მეფეს ადარებს შზეს, რომლის სხივები ყველას ერთნაირად ეფინება. პოეტის იდეალია არა ყოველნაირი მეფე, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც ღარიბებს ეხმარება, მონებს ათავისუფლებს, სიმართლეს მისდევს („ქმნა მართლისა სიმართლისა“) – ერთი სიტყვით, უმაღლესი კაცთმოყვარული თვისებებით დაჯილდოებული, „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“ – ამ გზით მაღლდება მეფის ავტორიტეტი და ძლიერდება სახელმწიფო. საბოლოოდ რუსთველის მიზანია სახელმწიფოს მკვიდრ, ფართო საფუძველზე აგება.

ამავე პოლიტიკურ მიზანს უმორჩილებს რუსთველი თავის რელიგიურ დოქტრინასაც. შუა საუკუნეებში ქრისტიანულ სამყაროში არ დაწერილა არც ერთი პოემა, სადაც არ იყოს ქრისტიანობის აპოლოგია, ქრისტეს მოძღვრების ქებათა-ქება. ჯვაროსნული ომებში იმ ეპოქაში წარმოებდა ამ საერთო რელიგიური აღტკინების პერიოდში იწერება გენიალური „ვეფხისტყაოსანი“ და შიგ ერთი სიტყვითაც არაა ნახსენები არც ქრისტიანობა,

არც სამება, არც მართლმადიდებლობა და მისი რელიგიური დოგმატები.
რუსთველი რელიგიური მონიზმის მომდევარია - ღმერთი ერთია. პოემაში ღმერთი ნახსენებია მსხვერ და ყოველთვის ერთი და იმავე აზრით. პოეტი ჯერ კიდევ წინასიტყვაობაში გვამცნობს თავის რელიგიურ შეხედულებას, რაც გატარებულია მთელ პოემაში:

„ჰე, ღმერთო, ერთო შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა“.

ე.ი. ღმერთი ერთია, ქვეყნის გამწენი, მაგრამ არის აგრეთვე სატანა, მაცდური, რომლის დათრგუნვა ღვთის დახმარებით შეიძლება. ეს, ასე ვთქვათ, საკაცობრიო-სახალხო რწმენაა. რუსთველის მსოფლმხედველობა არც პანთეისტურია, არც ათეისტური. ის თეისტურია. მისი თეიზმი არც ქრისტიანულია, არც მაჰმადიანური, არც სექტანტური. ეს არის საყოველთაო, საკაცობრიო, ადამიანური.

სხვადასხვა არაქრისტიან ერებს შორის მოქცეული მცირერიცხოვანი ქართველი ერი თავს ვერ გადაირჩენდა სარწმუნოებრივი ფანტიზმით და დროშით. მას უნდა გამოენახა საერთო ენა მეზობლებთან, რომელთაგან მას ჰყოფდა სარწმუნოება. საერთო ენის გამონახვა კი შეიძლებოდა სახელმწიფო ინტერესების ნიადაგზე. აქედან, სარწმუნოების თითოეული ხალხის შინაურ საქმედ აღიარება, ხოლო სახელმწიფო ინტერესების პოლიტიკის მთავარ ღერძად გამოცხადება - აი, რით ხასიათდება საქართველოს მეფეთა პოლიტიკა, დაწყებული დავით აღმაშენებლიდან. ეს მიდრეკილება კიდევ უფრო განვითარდა თამარის მეფობისას. რით შეეძლო თამარს მის საბრძანებელში შემავალი უამრავი ეროვნების მილიონობით ადამიანთა ერთი ინტერესით შეკერა - მხოლოდ ერთით: შემაკავშირებელი მომენტების წინ წამოწევით და რელიგიური ბრძოლის სავესებით განდევნით. ამრიგად რელიგიური მშვიდობიანობა, ყველა რელიგიის პატივისცემა და დახმარება საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა იყო.

ერთი სიტყვით, თამარ მეფის ხანაში გაბატონებული პოლიტიკა მოითხოვდა რელიგიური საკითხების უკუგდებას და საერთო პოლიტიკურ და სოციალურ ინტერესებზე სახელმწიფოს დაყრდნობას. რუსთველი, როგორც თამარის იდეების გამტარებელი, დადგა სწორედ ამ ნიადაგზე: მისი ურელიგიობა მისი პოლიტიკაა, სახელმწიფო მოსაზრებაა. ის უგალობს არა ქრისტიანს ან მაჰმადიანს, არამედ ადამიანს, საზოგადოებას, რომელსაც მეთაურობდა გონიერი ქართველი მეფე-ქალი და რომლის პოლიტიკა მას მოსწონდა და სწორად მიაჩნდა.



საქართველოს უდიდესი მეფე დავით IV აღმაშენებელი იმ დროს მეფობდა საქართველოში, როდესაც ძველ რუსეთში ვლადიმერ მონომახი (1113-1125) ცდილობდა ერთიანი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნას; ბიზანტიაში ალექსი კომნენოსი (1081-1112) უჭირდა ძალაუფლების შენარჩუნებას; ინგლისში ჰენრი I (1100-1135) ცდას ძლიერი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შესაქმნელად შედეგი არ მოჰყოლია, გერმანიაში ჰენრი V (1106-1125) - ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების შექმნისათვის ბრძოლაში მსხვილ ფეოდალებთან დამარცხებული - იძულებული ხდება 112 წელს კომპრომისული ხელშეკრულება დადოს რომის პაპთან, ხოლო საფრანგეთში ჯერ კიდევ ფეოდალური დაქუცმაცულობის პერიოდი ბატონობს და მეფე ლუი VI (1108-1137), რომელიც დამოუკიდებლად ვერ მართავს ქვეყანას, რადგანაც იგი იძულებული იყო სახელმწიფოებრივი ხელისუფლება გაენაწილებინა მისი ფაქტიური თანამმართველის აბატი სუგერისათვის, მხოლოდ იმას ახერხებს, რომ იმორჩილებს ზოგიერთ ფეოდალს სამეფოში.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ შეხედულებებზე წარმოდგენას ვგაძლევს მისი „გალობანი სინანულისაი“, უცნობი ავტორის თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი“, 1103 წლის რუის-ურბნისის კრების დადგენილება, 1123 წელს შიო-მღვიმის მონასტრისადმი ბოძებულ ანდერძი და 1125 წელს გარდაცვალების წინ შემკვიდრებისადმი დატოვებულ ანდერძი.

დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური რეფორმები ცხადად მოწმობენ, რომ იგი იყო იმ ეპოქის როგორც უძლიერესი მეფე, ასევე დიდი თეორეტიკოსი და მოაზროვნე.

იგი ერთი პირველთაგანია შუა საუკუნეებში, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ფეოდალიზმის ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაციის სისტემის სრულყოფის საქმეში, მტკიცედ ჩამოაყალიბა რა XI-XII საუკუნეების საქართველოში ფეოდალიზმის ეპოქის მმართველობის თითქმის უცნობი ფორმა - აბსოლუტიზმი და მეცნიერულ საწყისებზე დაასაბუთა მისი, როგორც ახალი პოლიტიკური წყობილების უპირატესობა ფეოდალურ დაქუცმაცებულობასთან შედარებით.

მართლმადიდებელ მორწმუნე მეფეს ღრმად სწამს, რომ ღმერთი განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას, მისი ნებით

ხდება სამეფო ტახტზე მეფეთა ასვლა და სამეფოთა დამხობა, ღმერთი ანიჭებს მეფეებს მტერზე გამარჯვებას. დავით აღმაშენებელი ღრმად და დარწმუნებული, რომ სამეფო ხელისუფლების განხორციელებისას იგი ღმერთის თანაგრძნობითა და წყალობით სარგებლობს, თუმცა, რადგანაც შუა საუკუნეების რელიგიურ-სქოლასტიკური მოძღვრების მიხედვით ყოველი ადამიანი ცოდვილია, დავით აღმაშენებელსაც არ მიაჩნია თავი უცოდველად.

რადგანაც ყოველივე არსებული ღვთაებრივი წარმოშობისაა, ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების იდეოლოგი დავით აღმაშენებელი ფეოდალური დაქუცმაცებულიობის დაძლევის, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დათრგუნვისა და სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტის ამაღლების მიზნით თავის ამ ზოგად ფილოსოფიური მსოფლმხედველობის განმსაზღვრელ მოსაზრებას მოხერხებულად იყენებს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების წარმოშობის ასახსნელად. მისი მტკიცებით, სამეფო ხელისუფლება ღვთაებრივი წარმოშობისაა, ღმერთი გადასცემს მეფეებს სახელმწიფოებს მართვა-გამგეობისათვის და ამავე დროს იგი უმაღლესი მეფეთა-მეფე და ამქვეყნიური გამგებელია, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ყველა პიროვნება სახელმწიფოში.

ეკლესია-მონასტრები წარმოადგენენ შუამავლებს ღმერთსა და ქვეშევრდომებს შორის, მაგრამ დავით აღმაშენებლის აზრით, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ სასულიერო ხელისუფლება საერო ხელისუფლებაზე მაღლა დგას. პირიქით, ღმერთის ნების გამოხატველი საერო ხელისუფლება ვალდებულია ჩაერიოს საეკლესიო ხელისუფლების საქმეში და ღმერთის ნების შესაბამისად მოაწესრიგოს იგი, თუ ამის საჭიროება არსებობს. იმ დროს, როცა დასავლეთ ევროპაში რომის პაპებმა დაიმორჩილეს იმპერატორებიც კი, დავით აღმაშენებელმა 1103 წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევით მიზნად დაისახა და განახორციელა თურქ-სელჩუკთა ბატონობით გამოწვეული შერყეული ზნეობის აღდგენა, გარდა ამისა, შწიგნობართ-უხუცესის და ჭყონდიდელის თანამდებობების შეერთებით პრაქტიკულად განახორციელა საერო ხელისუფლებისადმი საეკლესიო ხელისუფლების დაქვემდებარება.

დავით აღმაშენებელი სამეფო ხელისუფლების განხორციელების პროცესში აბსოლუტიზმის იდეებით („ერთმმართველობა“ იდეით) ხელმძღვანელობს. იგი აქტიურად ერევა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, განსაზღვრავს მრავალეროვანი ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობას. დავითის ისტორიკოსი, ენება რა დავით IV-ის განუსაზღვრელი, აბსოლუტური ხელისუფლების ჩარევას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში,

აღნიშნავს: „რაოდენნი ვინ აღმოუწყუნეს სიტყვითა უფსკრულისაგან სამეფოსა, რომელთა შინა ვერეინ ძველთა და ახალთაგან მეფეთა ემსგავსა“, ე.ი. სამეფო ხელისუფლების მოვალეობანი უფსკრულსა ჰგავს, და ვინ უგუნური იქნება, ამ უფსკრულის ძირი იპოვნოს და სიღრმე გაზომოსო. აი, როგორ გადმოგვცემს დავითის ისტორიკოსი მეფის უძძიმეს ტვირთს და ყოველდღიურ საქმიანობას, რითაც შეძლო მან საქართველოს აღშენება: „... ვინ აღრაცხნეს, რაოდენნი საქმენი ეთხოვებიან მეფობასა, რაოდენნი მართებანი და განსაგებელნი, კიდეთა პერობანი, ნაპირთა ჭირვანი, განხეთქილებათა კრძალვანი, სამეფოსა წყნარებისა ღონენი, ლაშქრობათა მეცადინეობანი, მთავართა ზაკვისა ცნობანი, მხედართა განწყისებანი, საერონი შიშნი, სახელთა და საბჭოთა სჯანი, საჭურველთა შემოსავალნი, მოციქულთა შემთხვევანი და პასუხნი, მეძლევენთა ჯუროვანნი მისაგებელნი, შემცოდეთა წყალობითნი წვრთანი, მსახურებულთა ნიჭმრავლობანი, მოჩივართა მართალი გამოძიებანი, მოსაკითხავთა შესატყვისნი მოკითხვანი, სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი. და რაოდენნი ვინ აღმოუწყუნეს სიტყვითა უფსკრულისაგან სამეფოთა საქმესათა, რომელთა შინა ვერეინ ძველთა და ახალთაგან მეფეთა ემსგავსა, ვითარცა საქმენი წამებენ მზისა შარავანდეთა უბრწყინვალესნი და ცხადნი, რომელნი სიბრძნითა თვისითა ქმნა“.

აბსოლუტური სამეფო ხელისუფლების შეუზღუდველობას და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგებში მისი ჩარევის განუსაზღვრელობას დავითის მემატიანე უძირო უფსკრულს ადარებს და ამ შესანიშნავი მხატვრული შედარებით მოკლედ და ლაკონურად აქვს დახასიათებული, აბსოლუტიზმის პოლიტიკური მოძღვრება, რომელიც დასავლეთ ევროპაში მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ განხორციელდა.

აბსოლუტიზმის იდეების სრული განვითარება და საზოგადოებრივი ცხოვრებაში მათი პრაქტიკული განხორციელება მოხდა დავით აღმაშენებლის მეფობისას. აბსოლუტიზმის პოლიტიკური მოძღვრება ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების ეროვნულმა თავისებურებებმა განსაზღვრა. ამიტომაც მისი ხასიათი ქართული სახელმწიფოებრიობის ინიციატივით შექმნილ მრავალეროვან სახელმწიფოში მხოლოდ საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ადრინდელი რენესანსის პოლიტიკური გარემოებებით უნდა აიხსნას. კუმანიზმი და კაცთმოყვარეობა, რჯულშემწყნარებლობა და სხვა ერებისადმი პატივისცემა, წინანდელი ეპოქების ცნობილ მხედართმთავართა და მეფეთა გამოცდილების გათვალისწინება სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელებისას, სხვადასხვა პოლიტიკურ-რელიგიური და ფილოსოფიური მიმართულების წარმომადგენელთაგან სწავლულთა რაზმის შე-

ქმნა, ქვეყანაში განათლებისა და კულტურის დანერგვა, სახელმწიფოში წესრიგის დამყარება და ხელისუფლების პასუხისმგებლობის ამაღლება, ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება და საგარეო და საშინაო ურთიერთობებში პატრიოტულ ძალებზე დაყრდნობა, გვაროვნული წარმოშობის უარყოფა და ნიჭისა და პირადი უნარის მიხედვით ადამიანთა დაფასება, რეალიზმი პოლიტიკაში - აი, ის ძირითადი მახასიათებლები, რითაც ხელმძღვანელობდა დავით აღმაშენებელი განათლებული აბსოლუტიზმის იდეებზე მრავალეროვანი სახელმწიფოს მოწყობისას.

დავით აღმაშენებელი ფეოდალიზმის იდეოლოგი და დამცველია, ამიტომაც სახელმწიფოს ყველაზე უკეთეს ფორმად მას მონარქია მიაჩნია. იგი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ის დიდი ისტორიული მისია, რომელიც ღმერთმა ფეოდალურ საქართველოს დააკისრა-კავკასიის ხალხთა გათავისუფლება თურქ-სელჯუკთაგან, მრავალეროვანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა - შესაძლებელია მხოლოდ ცენტრალიზებული მონარქიული წყობილების პირობებში. დავითი ვერ ეგუება მის მიერ შექმნილ მრავალეროვან სახელმწიფოში მონარქიისაგან განსხვავებულ და რესპუბლიკურ პრინციპებზე აგებულ თავისუფალ ფეოდალურ ქალაქებს და მძიმე, მაგრამ შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს თბილისის წინააღმდეგ, სადაც ჯაფარიდების დინასტიის განდევნისა და ამოწყვეტის შემდეგ დავით აღმაშენებლის მიერ ქალაქის დაკავებამდე თავისი არსებობის უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში რესპუბლიკური წყობილება არსებობდა.

გაოცებას და აღტაცებას იწვევს დავითის წინდახედულება და პოლიტიკური რეალიზმი. უთუოდ ამით იყო გამოწვეული ის საოცარი მოვლენა, რომ ევროპის რელიგიურ ალტკინებაში-ჯვაროსანთა ომებში დავითმა და მისმა მემკვიდრეებმა მონაწილეობა არ მიიღეს და სომხეთით თავისი თავი სასაკლაოზე არ მიიტანეს. შედეგად მალე გამოჩნდა: მოისპო სომხური სახელმწიფოებრიობა, საქართველო კი გადარჩა. ქართველობა და კერძოდ, დავით აღმაშენებელი, კარგად ხედავდა, რომ ევროპელები ადრე თუ გვიან შინ დაბრუნდებოდნენ (ასეც მოხდა), თვითონ კი საქართველო დარჩებოდა პირისპირ მაჰმადიანთა გარემოცვასთან.

დავით აღმაშენებელი აყალიბებს თავის შეხედულებას მმართველზე და მეფეზე. მისი აზრით, მონარქი უნდა იყოს განათლებული, ჰუმანიტი, მართლმსაჯული, ქველმოქმედი და ქვეშევრდომთა მოწყალე. განათლებული აბსოლუტიზმის ამ ნიშნების მიხედვით დავით აღმაშენებელი მონარქიას ასხვავებს ტირანიისაგან. დავითის აზრით, ტირანთა გულქვაობა, სისასტიკე, სიხარბე, შეუბრალებლობა და ძალადობა არღვევს სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის პრინციპებს და სწორედ ამი-

ტომ ღმერთი ტირანებს ყოველთვის სამაგიეროს მიაგებს.

დავით აღმაშენებელი სამართლის ნორმებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ადამიანებმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, 3 კატეგორიად ყოფს: ბუნებითი, ღვთაებრივი და დადებითი, თავის „გალობანი სინანულისანი“-ში, რომელიც შეიცავს დავით აღმაშენებლის აღსარებას ღმერთის მიმართ მის მიერ ჩადენილი საქმეების თაობაზე და ზოგჯერ უმართებულო თვითბრალდებებსაც („რა ცოდვა გქონდა, ასეთი მეფეო“ – ანა კალანდაძე), იგი აღნიშნავს, რომ თითქოს მან ფეხქვეშ გათულა და არ შეასრულა არა მარტო ბუნებითი სამართლის, არამედ ღვთაებრივი სამართლის მოთხოვნებიც და დაემონა ხორციელი, ამქვეყნიური გატაცებისა და ინტერესების მიხედვით სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ დადგენილ სამართალს“. სინამდვილე სხვას ღაღადებს: წყაროების მიხედვით, დავით აღმაშენებელი იყო არა მარტო ძლიერი ნებისყოფის და მტერი-სათვის შიშის მომგვრელი მეფე, არამედ იგი იმავე დროს ცნობილია, როგორც რჯულშემწყნარებელი, მართლმსაჯული, ქვრივთა და ღარიბთა დამხმარე, სამართლიანობისა და მშვიდობის დამცველი, თავის დროის დიდი ჰუმანისტი და მოაზროვნე, ქველმოქმედი.

მთელს საქართველოში დადიოდა ხალხზე და სამშობლოზე უზომოდ შეფვარებული მეფე, მფარველობდა ქვრივ-ობლებსა და გლახაკებს. ცალკე ქისა ჰქონდა დავითს, ყოველ დღე ფულით ავსებდა და ღარიბ-ღატაკებს ურიგებდა თურმე. საყურადღებოა ისიც, რომ იგი ქველმოქმედებას სახელმწიფო ხაზინიდან კი არ ეწეოდა ზოგიერთებით, არამედ „ხელთა თვისთა ნადირებულთა“ – ე.ი. საკუთარი ქონებიდან. კაცთმოფარე მეფემ გელათთან აღაშენა ქსენონი (საავადყოფო), სადაც ხშირად ნახულობდა ავადმყოფებს და ყურადღებას არ აკლებდა მათ-ყველას მოიკითხავდა, გადაჰკოცნიდა და ამ მზრუნველობით ტკივილებს უამებდა გაჭირვებულთ.

ლეგენდებს თხზავდა ხალხი სამშობლოს მამაზე. ამიტომაც უწოდეს მას აქამდე გაუგონარი სახელი – „აღმაშენებელი“.

1125 წლის 24 იანვარს, შაბათ დღეს გარდაიცვალა დიდი დავით აღმაშენებელი, რომელმაც თანმიმდევრულად გაატარა ცხოვრებაში ყველა ის რეფორმა, რომელმაც უზრუნველყო საქართველოს გადაქცევა პირველხარისხოვან სახელმწიფოდ და იმპერიად:

1) შექმნა თანამოაზრეთა, სამშობლოზე უსაზღვროდ შეფვარებულ ადამიანთა გუნდი

2) ჩაატარა ეკონომიკის რეფორმა, რამაც უზრუნველყო მიწათმოქმედებისა და ვაჭრობის განვითარება, შემოსავლების ზრდა;

3) ჩაატარა სამხედრო რეფორმა, შექმნა რეგულარული ჯარი

4) უზრუნველყო ანტისახელმწიფოებრივი ელემენტების ჩამოშორება

მართვის სადავეებიდან;

5) ჯერ ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით მოაძლიერა ქვეყანა და შემდგომ ამისა შეწყვიტა ხარკის ძლევა და დაუპირისპირდა თურქ-სელჯუკებს;

6) ჩაატარა საეკლესიო რეფორმა და ეკლესია დაუმორჩილა სახელმწიფოს;

7) შექმნა სახელმწიფო უშიშროების უძლიერესი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფილი იყო მსტოვართა ინფორმაციით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ;

8) მოახდინა სახელმწიფო მმართველობის რეორგანიზაცია, შექმნა სავაზირო;

9) ჩაატარა სასამართლო რეფორმა, შექმნა სწავლა-აღზრდის ერთიანი სისტემა;

10) მტერს თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ წაართვა სტრატეგიული ქალაქები;

11) გაიმარჯვა ყველაზე დიდ გენერალურ ბრძოლაში და განავრცო ქვეყნის საზღვრები.

ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის მეცნიერულ კვლევას საფუძველი ჩაუყარა ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც XIII-ის საქართველოს ისტორიასა და მსოფლიო კულტურის ისტორიაში სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ამ აჯანყებას კუთვნილი ადგილი მიუჩინა.

დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა რეფორმებმა განამტკიცა საქართველოში ფეოდალიზმის ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების სისტემა, უზრუნველყო ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარება. ფეოდალური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ქვეყნის ეკონომიკაში ყალიბდება ახალი, ბურჟუაზიული წყობილების წანამძღვრები, სოციალური ძალები, რამაც გამოიწვია კლასობრივი ბრძოლის გამწვავება როგორც სამეფო ხელისუფლებასა და დიდგვაროვან აზნაურთა შორის, ასევე დიდგვაროვან აზნაურთა, სამეფო ხელისუფლებასა და დაბალი წარმომავლის სოციალურ ფენებს შორის.

დიდგვაროვანი აზნაურები უკმაყოფილონი იყვნენ იმ პროგრესული პოლიტიკური რეჟიმისა, რომელიც ფეოდალურ საქართველოში დავით აღმაშენებელმა დანერგა და შემდგომში თამარის მამამ, გიორგი მესამემ განავითარა - უგვაროთა, მაგრამ ნიჭიერ აღამიანთა დაწინაურება.

როგორც კი გარდაიცვალა გიორგი III, ამით იდროვეს დიდგვარიანმა აზნაურებმა და თამარის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს და მეფეს მოთხოვეს უგვაროთა გადაყენება და კვლავ დიდაზნაურთა დანიშვნა დიდ სახელმწიფო პოსტებზე. თამარ მეფე იძულებული გახდა, დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა.

დიდგვარიან აზნაურთა შეთქმულება ჯერ კიდევ დამცხრალი არ იყო, რომ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ყუთლუ-არსლანის მეთაურობით იფეთქა მეორე აჯანყებამ, რომლის მსგავსი თავისი ორგანიზაციულ-პოლიტიკური სიმტკიცითა და დასახული პროგრამის მიხედვით საქართველოს ისტორიას არ ახსოვს.

აი, როგორ გადმოსცემს ანონიმი ავტორი თავის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“ ამ ამბავს: „და ესეცა უცხო მოსაგონებელი: ყუთლუ-არსლან, ცხოვარმან ჯორის სახ(ედ) ორ ბუნებისა მყოფელმან, ვითარ მისცეს ბიჭთა გონებისა მზაკუარება, მომღებელმან წესსა რისამე სპარსთა განავისსა, ითხოვა კარავი დადგმადს ველსა

ისანიასა და სანახებსა სალოდებლისასა და თქუა: „დასხდომილნი შუნ-შივა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვანისანი, ვკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინდა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი“.

ამრიგად, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასი მოითხოვდა ისანში, სამეფო ხელისუფლების რეზიდენციის გვერდით სრულიად ახალი დაწესებულების „კარავის“ ჩამოყალიბებას, რომელიც სამეფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად იქნებოდა „განმგებელნი მიცემისა და მიღებისა, წყალობისა და შერისხვისანი“ და მის გადაწყვეტილებას მეფისათვის მოხსენების შემდეგ „მაშინდა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი“. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ პროგრამაში 2 პუნქტია მთავარი:

ა) პარლამენტის მსგავსი დაწესებულების შექმნა;

ბ) და უფრო მთავარი, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილება და განხორციელება სხვადასხვა ორგანოების მიერ.

ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის მიხედვით, სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა მიკუთვნებოდა ყუთლუ-არსლანის მომხრეებისაგან შემდგარ პარლამენტს, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება - მეფეს.

ყუთლუ-არსლანის პროგრამაში უცნობი ისტორიკოსის მიერ გამოყენებული ტერმინები „განგება“, „სრულქმნა“, „წყალობა და შერისხვა“, როგორც ეს ივანე ჯავახიშვილმა ცხადყო, ნიშნავს კანონმდებლობას, აღსრულებასა და მართლმსაჯულებას. ყოველივე ეს ქართული სახელმწიფო სამართლისა და აზროვნების დიდი განვითარების დამადასტურებელია.

მართლაც, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა, როგორც საერთოდ შუა საუკუნეებში დაწყებული იდეოლოგიური ბრძოლის მანამდე უცნობი მიმართულების გამოვლენა, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის შუქზე მსოფლიო კულტურის ისტორიის ახალი ფურცელია და მას მსოფლიო - ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

შუა საუკუნეებში სახელმწიფოსა და სამართლის ყველა საკითხს მხოლოდ ღმერთის ნების მიხედვით ხსნიდნენ. ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა მთლიანად თავისუფალია ღვთაებრივ-რელიგიური წარმოდგენებისაგან და საერო მოძღვრებებს ემყარება, დასაბუთებულია იდეებით. ამ პროგრამაში მთელი ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილების გარდაქმნის იურიდიულ საფუძვლად მიჩნეულია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების საერო მოძღვრება.

სამეფო ხელისუფლების და ყუთლუ-არსლანის დასის იდეოლოგიურ თვალსაზრისთა განსხვავებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ აჯანყებული მეჭურჭლეთუხუცესის ყუთლუ-არსლანის დასის

მომხრეების შეთანხმების სიმტკიცე და დაურღვევლობა ყოვლისშემძლე ღმერთზე მითითებას კი არა, მხოლოდ ფიცს ემყარება. ეხება რა ამ თავისებურებას, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „პირველი შემთხვევა გვაქვს აქ, როდესაც პოლიტიკური საკითხის განსახორციელებლად ძველ საქართველოში ფიცზე დამყარებული შეთანხმებული პოლიტიკური დასი გვევლინება“.

ყუთლუ-არსლანი - ერთ-ერთი თვალსაჩინო ვაზირი, მეჭურჭლეთუხუცესი (ანუ ფინანსთა მინისტრი) ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით, დაბალი სოციალური წარმოშობის იყო. მისი დასიც შედგებოდა როგორც დაბალი სოციალური წარმოშობის საქალაქო წრეებისაგან, ისე განსაკუთრებული ნიჭისა და უნარის წყალობით სამეფო ხელისუფლების მიერ ყუთლუ-არსლანივით აღზევებულთაგან.

თუ იმ ისტორიულ მოვლენებს დაუკვირდებით, რომლებიც წინ უძღოდა ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლას, შეიძლება ითქვას, რომ ეს გამოსვლა ე.წ. „მესამე წოდების“ სოციალური მოძრაობის შედეგი იყო. ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა დიდგვარიან აზნაურთა გამოსვლა რომ ყოფილიყო, მაშინ ისინი თამარის წინააღმდეგ მათზე ადრე გამოსულ დიდაზნაურებთან ადვილად დამყარებდნენ კავშირს. ყუთლუ-არსლანის დასი დიდი ხნის განმავლობაში ამზადებდა აჯანყებას და ხელსაყრელ დროს უცდიდა, ამასთან მათი პროგრამა დიდად განსხვავდებოდა დიდაზნაურთა პროგრამისაგან, თუმცა ორივე ჯგუფი მიზნად ისახავდა სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას, მაგრამ ყუთლუ-არსლანის ჯგუფს სამეფო ხელისუფლების შეზღუდვა სხვანირად წარმოუდგენია. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ დიდგვარიან აზნაურთა შეთქმულების შედეგად ქვეყანაში წინათ არსებული პროგრესული პოლიტიკური რეჟიმის (რომლის დროსაც უგვარო, მაგრამ ნიჭიერ ხალხს გზა ეხსნებოდა ხელისუფლებისაკენ) შეცვლა ყველაზე მწვავედ დაბალი წარმოშობის სოციალურმა ფენებმა განიცადეს, რადგანაც ამან საბოლოოდ დაუხშო გზა დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებს ხელისუფლებისაკენ, სწორედ ამიტომ დიდაზნაურთათვის თამარის დათმობას და ნიჭიერი, მაგრამ უგვარო ხალხის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას დაბალმა სოციალურმა ფენებმა დაუყოვნებლივ უპასუხეს დიდი აჯანყებით, რომელიც ანტიფეოდალურ ხასიათს ატარებდა. აჯანყებულთა მოთხოვნა მიზნად ისახავდა სამეფო ხელისუფლების უკიდურეს შეზღუდვას სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების გზით.


ყუთლუ-არსლანის ანტიფეოდალური იდეოლოგიის იდეურ-პოლიტიკური ფესვები დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის დაპყრობამდე ქალაქში არსებულ რესპუბლიკურ წყობილებაშია საძიებელი. მართალია, ყუთლუ-

არსლანის ჯგუფის გამოსვლა თბილისში არსებული რესპუბლიკური წყობილების დამხობიდან 60-ზე მეტი წლის შემდეგ მოხდა. მაგრამ, როგორც აღიარებულია, თბილისის მოსახლეობაში და საქალაქო ცხოვრებაში ძველი რესპუბლიკური წყობილებისათვის დამახასიათებელი თანამდებობრივი ინსტიტუტები და შეხედულებანი დიდხანს შემორჩა.

ყოფილ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა გამოხატავდა XII საუკუნის საქართველოს განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების, კერძოდ, წინაბურჟუაზიული ეპოქის იდეოლოგიას. ეს იდეოლოგია რომ XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს ეკონომიკას შეესაბამებოდა, იქიდანაც ჩანს, რომ სამეფო ხელისუფლებამ, რომელიც ფეოდალური იდეოლოგიით ხელმძღვანელობდა, ვერ გაბედა მესამე წოდების ინტერესთა გამომხატველი ყოფილ-არსლანის პროგრამის უგულვებელყოფა (რაც ფაქტიურად თამარის მეფობის დასასრულს მოასწავებდა) და მან ყოფილ-არსლანის პოლიტიკურ დასთან კომპრომისის და მორიგების გზა აირჩია. სამეფო ხელისუფლებამ უარყო პარლამენტის შექმნისა და სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების იდეა, მაგრამ სამაგიეროდ ამიერიდან სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტისას იგი ხელმძღვანელობს „თანადგომისა და ერთნებაობის“ პრინციპებით და სახელმწიფო დარბაზში თვალსაჩინო როლს ასრულებენ მესამე წოდების წარმომადგენლები.

ყოფილ-არსლანის დასის პოლიტიკურმა პროგრამამ და მისმა პოლიტიკურმა იდეოლოგიამ უდიდესი როლი შეასრულა XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. იგი ჩამოყალიბდა XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში, როცა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურმა განვითარებამ ისეთ მაღალ დონეს მიაღწია, რომ მისი შემდგომი განვითარება ამ ფეოდალური ურთიერთობის რღვევისა და ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვა-წარმოქმნის გზით შეიძლებოდა მხოლოდ წასულიყო.

მართალია, ყოფილ-არსლანის დასის პროგრესული, მაგრამ ცოტაოდენ ნაადრევი პოლიტიკური პროგრამა ვერ განხორციელდა, მაგრამ ამ აჯანყების შედეგად შეიზღუდა სამეფო ხელისუფლება და ამ მოვლენას, როგორც ივანე ჯავახიშვილი წერდა, „იმ ეპოქის მსოფლიო ისტორიაში ანალოგია შეიძლება მოეძებნოს მხოლოდ ინგლისის თავისუფლებათა დიდ ქარტიაში“ (XIII ს-ის II ნახევარი)მ. ეს კი ამ მოძრაობის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობაზე მეტყველებს.


ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძის
პოლიტიკური შეხედულებანი

ილია ჭავჭავაძის და ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკური შეხედულებანი და თვით მათი საქმიანობა საინტერესოა იმიტომაც, რომ ეს არის თეორიისა (ილია) და პრაქტიკის (ნიკოლაძე), გინა სიტყვისა და საქმის ერთობლივად და ერის სასარგებლოდ ამუშავების, მოქმედების ურთიერთშემავსებელი რეალისტური პროგრამა, რომელიც თვით ჩვენს რთულ დროშიც კი უაღრესად აქტუალური და გამოსადეგია.

ილია ჭავჭავაძის (1837-1907) პოლიტიკური შეხედულებანი.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ (1801 წ.) პირველად სოლომონ დოდაშვილმა დასვა რუსეთის იმპერიაში ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის ორი უმთავრესი პრობლემის, კერძოდ, სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სამართლებრივი გადაწყვეტის საკითხი, რომელმაც შემდგომი განვითარება პოვა ქართველი თერგდალეულებისა და მათი ბელადის - ი.ჭავჭავაძის საბრძოლო მოთხოვნაში: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“.

ილია, მიუთითებდა რა ადამიანისა და ერის დანიშნულებაზე, ხაზგასმით წერდა, რომ „ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი“. ე.ი. ილიას გადაწყვეტად მიაჩნდა სულიერი მოღვაწეობა.

შესაბამისად, ილია ადამიანებსა და ერებს იმის მიხედვით კი არ აფასებდა, ვინ უფრო ადრე წარმოიშვა და რა მანძილი გაიარა, არამედ „ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა-სწრაფვა ამ გზაზე დაულალავად სიარულისათვის, - აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელი ერისა“.

ილია ჭავჭავაძე სახელმწიფოს და საზოგადოებრივი წყობის საფუძვლად სამართლიანად თვლიდა კერძო საკუთრებას და მისი დაცვის აუცილებლობაზე მიუთითებდა ქართველობას: „კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვაკუთხედად უდევს არამცთუ მთელს სახელმწიფოს და საზოგადოებურ წყობას რუსეთისას, არამედ მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე - კერძო საკუთრება, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება დიდს პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდ იყოს, იაფად არ დაუჯდება“.

ძალზე საინტერესო და ტყვედია ერის და მისი ნიშნების ილიასეუ-

ლი თვალთახედვა. ი.ჭავჭავაძის აზრით ერი ესაა ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური წყობის ერთობისა და ერთიანი ბუნებით განსაზღვრული სულისა და ხორცის (ფსიქიკური წყობა, კულტურა და ა.შ.) ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული კავშირი. ხალხების ერებად ჩამოყალიბება წარმოუდგენელია ერთიანი ენის არსებობის გარეშე: „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული-ენაა“, - წერდა ილია. გარდა ენისა, რომელიც ახასიათებს ერს, როგორც დამოუკიდებლად არსებულ სოციალურ მოვლენას, ესაა „ისტორიის ერთობით“ (ილია) განმტკიცებული ადამიანთა გვარტომობითი კავშირი, ანუ ი.ჭავჭავაძის მტკიცებით, ერი ესაა ისტორიულად ერთმანეთთან დაკავშირებული, სულით და ხორცით ურთიერთმონათესავე ადამიანთა ერთობა: „ერი როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა“ ერთობაა. ილია ამ ნიშანს (ისტორიულ ერთობას) გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგანაც „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისი წარსულისა, თავისი ყოფილ ცხოვრებისა“. ასეთი ერი უბედურია, რადგან მას „რა იყო - ის დაევიწყებული აქვს და მამასადაძმე, რა არის - არც ის იცის... შეიღმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა“ (ილია)

ერი ერთ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ერთობისაგან წარმომდგარი მთლიანი ორგანიზმია. სანამ ერი მთლიანი და ერთიანია, იგი უძლეველია, როცა ერში იწყება „განთვითეულობა“, იგი გარდუვალი დაღუპვის წინაშე აღმოჩნდება: „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის, თითოში-ყველა, საცა თითოეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითოეულისათვის, საცა „მე“ ხშირია, და „ჩვენ“ - „იშვიათი““. იქ, სადაც საზოგადოება ურთიერთაპირისპირებულ წოდებადაა დანაწევრებული, სადაც გაბატონებულია ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღლისა, ცალ-ცალკე ხენა და მკა, ცალ-ცალკე თლა ღხინისა თავისაკენ და ჭირისა სხვისაკენ, ადამიანთა ასეთ ერთობას ერი არ ჰქვია. მხოლოდ ის ერია უძლეველი, მხოლოდ იმ ერს გადაუტანია გმირულად განსაცდელი, „რომელსაც თავის დროზედ შეუტყვია და მიუგნია, რომ ერის რომელისაჲ წოდების წინ წაწევა არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა, პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია. ვერც ერთი ცალკე წოდება ერისა ვერ დაიქადებს, რომ თუ მე კარგადა ვარ, სხვანიც კარგად იქნებიანო... ყველამ ერთად და თვითუღმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია

მთელი ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებ-
დეს მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე“.

ამ დებულებაზე დაყრდნობით ილია აყალიბებს „საერთო ნიადაგის“ თეორიის ქვაკუთხედს: „ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფი-
ლა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლე-
ბელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდ-პატარაობის
გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით
ცდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს
წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად საყოველთაოდ“.

ილია ჭკვევაძე მიუთითებდა, რომ ერის, საზოგადოების პრობლემე-
ბის და ჭირის მოგვარება ადგილობრივი ძალებით უნდა მოხდეს და მისი
ღრმად გაცნობიერების აუცილებლობაზე ამახვილებდა ყურადღებას: „მი-
ნამ ჩვენს საკუთარ ჭირს სხვისაგან ნაცად წამალს შევეურჩევდეთ, ჯერ
თვითონ ჩვენ უნდა ვიცოდეთ – რა თვისების ჭირია, მისი სიგრძე-სიგანე
გაზომილი უნდა გვქონდეს, მისი სიმძიმე აწონილი, ერთის სიტყვით ის
ჭირი თავიდან ფეხებამდე ჩვენს მიერ ცნობილი და გაგებული უნდა
იყოს, თორემ ქარისაგან შეშინებულსავით დოს დაუწყებთ ბერვასა“.
ამასთან ილია იმასაც მიუთითებდა, რომ „ყოველივე ცვლილება, საზოგა-
დობრივი თუ ეკონომიკური, მაშინ არის მარგებელი და მკვიდრი, როცა
ცვლილების საგანი ყოველმხრივ გასინჯულია და შუქმოფენილი, ამისათ-
ვის, რასაკვირველია, ყველაზედ უწინარეს კაცმა გონება უნდა მიაქციოს
ადგილობრივს ვითარებას, რადგანაც ყოველს საგანს ამ შემთხვევაში
თავის ადგილზევე აქვს თავისი სათავე, თავისი ძირი და თავისი გზა
მსვლელობისა და განვითარებისა. მაგრამ ძალიან შესცდება ის, ვინც
მარტო ამას დასჯერდება და მარტო აქედან გამოიყვანს თავის დასკვნას“.

ილია არ უარყოფდა სხვათა დახმარებას, მაგრამ დაუშვებლად და
გაუმართლებლად მიაჩნდა საკუთარი საქმეების სხვაზე მინდობა და მინე-
ბება: „სხვაზედ მინდობა – ქვიშაზედ აშენებული შენობა ყოფილა და
იქნება კიდევ ამ ქვეყნიერობაში. წამოუვლის ნიაღვარი „შემთხვევისა“
და იმ იმედს, იმ მინდობას აღგვის ხოლმე დედამიწის ზურგიდამ და
იმედვეწულებს, სხვაზედ დანდობილს, ერთს უდაბურს ტინზედ გარიყავს,
შენს თავს შენვე მოუარეო. ეს კანონი-ისტორიული კანონია, იქნება
ზოგიერთისათვის ფრიად არ-მოსაწონი, მაგრამ აუცილებელი კი. ბევრიც
ვივაგლახოთ, ბევრიც რომ ვატაროთ უბეში სხვაზედ დამყარებული იმე-
დი, მაინც ბოლოს „უჟამთა სვლა“ ამ კანონზედ დაგვაყენებს და დრო
წარსული ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგული დრო იქნება. ჩვენ ვაძბობთ,
რომ ხალხი თვითმოქმედებით არის მხოლოდ ძლიერი და ნაყოფიერი
სულით, თუ ხორციით. რაც მალე დავიჯერებთ ამ ჭეშმარიტებას, რაც
მალე შევითვისებთ, მით მალე გამოვიხსნით თავს იმ გაჭირვებიდამ,
რომელშიაც ასე სასოწარკვეთილებით დღეს ვიმყოფებით“.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ერის ღირსეული წინამძღოლი, შესაბამის დასკვნას აკეთებდა აქედან, და მიუთითებდა რომ ჩვენი ბედის პატრონი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენვე ქართველობა, უნდა, გავხდეთ: „გვეყო, ბატონებო, ჩვენის აწყმოსი და მოძაგლის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ. მძიმეა ეს უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგულად გამწევი. მძიმეა, მაგრამ უმაგისოდ ვერ შოებულა ამ ქვეყნიერობაზედ სიკეთე და ძალ-ღონე ხალხისა. სხვა გზა არ არის, ჩვენის ცხოვრების შარა გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვივლოთ“.

ილია ჭავჭავაძე სწავლობს იმ მთავარ მიზეზს, რაც უზრუნველყოფს ერებისა და სახელმწიფოების სიმტკიცეს და იმ ფაქტორებსაც, რომელთა მოქმედების შედეგად იწყება ერების პოლიტიკური დაკნინება და გაქრობა. ილია იკვლევდა, თუ რა მიზეზებმა და ფაქტორებმა გააძლიერა ქართველ ხალხს მძიმე ქარტახილებში და რამ განსაზღვრა ქართული სახელმწიფოებრიობის კრიზისი და მისი რუსეთთან ძალით მიერთება. „საქართველო დღე-ღამე იარაღით ხელში იდგა, მტერი ყოველი მხრიდან მოწოლილი იყო. ჩვენი ხალხი თითქმის ორი ათასი წელი იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა, და ბოლოს მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს თვითმყოფლობითი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავისი ვალი და ვახში არ დასდებია. ვსთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის - რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა?... ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქულზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო, - და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?“, სვამს ამ კითხვას ილია ჭავჭავაძე და თავის მოსაზრებებსაც გვთავაზობს, რომლებიც ფრიად ანგარიშგასაწევეია; პირველი, ეს არის ის, რომ დროთა შესაფერისი ბერები, დროთა შესაფერისი ცოდნა გვქონდა: „ვიცოდით - იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხესიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!... იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი“. მეორე და უმთავრესს მიზეზს იმისა, თუ რამ გაგვაძლებინა, ილია ჩვენს ეკონომიკურ აგებულებასა და წყობაში ხედავდა: „უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიკური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქილამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძლილია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში“.

ილია ჭავჭავაძის აზრით, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველო

ველოს ეკონომიკური წყობილების თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ უძველესი დროიდან ქვეყნის ეკონომიკაში გაბატონებული იყო არა „საკომლო“, არამედ „სამსოფლო“ საკუთრება მიწაზე, რომელსაც ხალხი და სახელმწიფო უფრო ხილდებოდა და იცავდა. როცა ერთიანი ქართული სახელმწიფო ცალკეულ სამთავროებად დაიშალა, ამ უკეთეს მხარეს ჩვენის ეკონომიკური წყობისასა ყური აღარ ათხოვეს, გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლექტულობამ, ჩამოვარდა უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში, არამც თუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც, რამაც, საბოლოო ჯამში დაასუსტა საქართველოს ერთ დროს ძლიერი და მდიდარი სახელმწიფო.

ილია ჭავჭავაძე საქართველოს რუსეთთან შეერთებას პროგრესულ მოვლენად თვლიდა და ისტორიული კანონზომიერებით განპირობებულად, მაგრამ იგი ხედავდა იმ დიდ პრობლემებს და საშიშროებას, რომელიც ამ დროიდან დაიწყო ქართველთა ცხოვრებაში: „ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა... ხმლით მოსულმა ვერა დაგვაკლო-რა, შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსულნი-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან“. ეს რომ არ მოხდეს, უკვე დროის შესაბამისი ქმედებანი უნდა განახორციელოს ქართველობამ: „ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვი, ქვეყანა ახლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრო ხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეა მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულითა და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა... ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა-კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი... ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა - პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე“.

ერის გაძლიერების და დარაზმების, მისი ფეხზე დაყენების საქმეში ილია დიდ როლს ანიჭებდა ქვეყნის ხელისუფლებას - მთავრობას, მის ზნეობას და კომპეტენტურობას: „ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, სთესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყოს ცნობიერებად მომართულ და მიმართულ სახელმწიფოსათვის; და მარტო ეს სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს


ძალასა და ღონეს, იმიტომ, რომ მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე, მარტო სიყვარულით გულგამთბარ ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფო კეთილდღეობისათვის. საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფულუროა, ფუყვა, ერთი ლაზათიანის ქარის შემობერვა და იმის გადამსხვრევა ერთია“.

ილიას ისიც კარგად ესმოდა, რომ მარტო მთავრობის და მის მოხელეთა იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა. იგი ასევე დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა ქვეყნის ინტელექტუალურ ელიტას, განათლებულ და ზნეობრივ ნაწილს, რომლებიც მაშინაც და ახლაც გარკვეულ პასიურობას იჩენდნენ: „ვისაც ზნეობრივი და გონებრივი ძალ-ღონე აქვს წინ გაუძღვეს თავის საკუთარი ქვეყნის ცხოვრებას, განზედა დგას. იქნება ამის მიზეზი ჩვენი ცხოვრებაც არის, მით, უფრო ბევრ სიამოვნებას და ხელის შეწყობას არ უქადდეს, მაგრამ ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი. ამ შემთხვევაში დგომა-ცდომაა“.

ილია სწორად აღნიშნავდა, რომ ქართველობამ მეტ სულიერებაზე უნდა იზრუნოს („ჩვენში ხორციელი თვალი უფრო მოქმედებს, ვიდრე თვალი სულისა“), გათავისუფლდეს დამპყრობელთაგან გადმოღებული ბევრი უღირსი ჩვეულებებისაგან, მაგალითად, პირფერობისაგან. „ჩვენ საწყალ ქართველებს, წერდა იგი, - ერთი სხვა საძაგელი სენიც გვჭირს - ყიზილბაშობა. გულის შემაზრზენი, კაცის ღირსების დამამდაბლებელი პირფერობა, ურცხვი ტყუილი ქება, საძაგელი კლაკენა და პირიდან თაფლის დენა, რომელსაც ქართველი „ზრდილობას“ ეძახის, - ესენი ერთად შტოები არიან დამპალ ყიზილბაშობისა“.

ილია სარწმუნეობრივი თავისუფლების პატივისცემელი იყო და მიუთითებდა, რომ „სარწმუნოება სინიდისის, სასოების საქმეა და აქ ყველა თავისუფალია და ხელშეუხებელი“. ილია ჭკაკვაძის პოლიტიკური იდეალი იყო ადგილობრივი თვითმართველობით განმტკიცებული პარლამენტური რესპუბლიკა უნიტარული (მარტივი) მოწყობით. შესაბამისად ილია წინააღმდეგი იყო დიქტატორული მმართველობის და სახელმწიფოსი, რომელიც სპობს ყოველგვარ თვითმართველობას და ადგილობრივი საქმეების გამგებლობასაც ცენტრს უმორჩილებს.

ილია ჭკაკვაძე საქართველოს თავისუფლებაზე ოცნებობდა, მაგრამ იყო რეალისტი და კარგად ხედავდა, რომ საჭირო იყო ქართველი ხალხის სათანადო შემზადება ამისათვის. სანამ ეს მოხდებოდა, იგი კმაყოფილდებოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიით, თვითმმართველობით - ქართველობას საშინაო საქმეები თვითონ უნდა განევო და გადაეწყვიტა.


ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ნიკო ნიკოლაძის
პოლიტიკური შეხედულებანი

ნიკო ნიკოლაძის, (1843-1928) როგორც ქართული პოლიტიკური რეალიზმისა და ეკონომიკური პრაგმატიზმის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის, მრწამსი ორ მთავარ საყრდენს ემყარება:

1) პრაგმატული - რა სჭირდება და გამოადგება საქართველოს და რა არა;

2) რეალისტური - საჭიროა არამეტაფიზიკური აზროვნება და ქმედება, რომელიც სინამდვილის მოთხოვნებს უპასუხებს. უშედეგო და არაფრისმომტანია აბსტრაქტული მსჯელობა და აზროვნება, რომანტიკული ჭკრეტა და ოხვრა („დროა ჩვენც ავიხილოთ თვალი სინამდვილეზე, - წერდა იგი, - სიზმრის თვალთმაქცობისაგან თავი ვიხსნათ, იმის გარჩევა ვისწავლოთ, ჩვენს გარშემო რა ამბავია, რა ნამდვილი წამალი უშველის ჩვენს ჭირს? თვალუწვდენელ ოცნებას ეს მცირე ამაგი სჯობია“).

ნიკო ნიკოლაძეს პირველი რიგის იდეოლოგიურ ამოცანად მიაჩნდა იმის გარკვევა, თუ რა გზა და მიმართულება უნდა აირჩიოს ერმა სამომავლო ცხოვრებისათვის: „როგორც ჭკვიანი ირჩევს ტანსაცმელს მას რა მოერგება და რა მოუხდება საკუთარი სხეულის აღნაგობის გათვალისწინებით, ასევე უნდა მოიქცეს ერი ამა თუ იმ მოძღვრების არჩევისას. ჯერ ერთი, თუ შეუძლია, ის მოძღვრება, რაც მას სჭირდება, მან თვითონვე უნდა შექმნას. მეორეც, თუ ამისათვის ჭკუა-გონება არ ყოფნის და აუცილებლად სხვას უნდა დაესესხოს, მაშინ ის უნდა აიღოს, რაც მას უჭკველად გამოადგება, თუმცა ამასაც დიდი გონიერება სჭირდება“. ნიკოლაძე მაინც განვითარების ეროვნული მოდელის შექმნას უჭერდა მხარს უცხოური დადებითი გამოცდილების გამოყენების გათვალისწინებით და თვლიდა, რომ შეუძლებელი იყო უცხოელს, ქართული სპეციფიკის არმცოდნეს, ქვეყნისათვის ზუსტად მისადაგებელი განვითარების რეცეპტი მოენახა: „ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისათვის დიდი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარებართ. ისიც ხშირად თხის რძეს გვაწოვებს და არა ადამიანისას... უცხოელი ძიძა, რაგინდ სალი იყოს, შენს ღედა-ენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გაგაცნობს“, - მიუთითებდა იგი.

ნიკო ნიკოლაძე ქვეყნის შინაგანი საქმეების პირველ რიგში მოგვარებას პრიორიტეტს ანიჭებდა და წერდა, რომ „მხოლოდ შინაგანი საქმეების გონიერულად და დამაკმაყოფილებლად მოგვარება, - უზრუნ-

ველყოფს გარედან მოსალოდნელ საშიშროებას და მოგვიტანს საგარეო დიდებას. რა დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი გამარჯვებები, მათი დიდება კვამლივით გაიფანტება, თუკი ჩვენ ჩვენს საკუთარ სახლში არ დავაკმაყოფილებთ აუცილებელ მოთხოვნილებებს, თუკი ხელს მივეყოფთ საკუთარი ინტერესების სისტემატურ იგნორირებას, შევუქმნით ჩვენს თავს მრავალ ხელოვნურ სიძნელეს, მაშინ ეს გარემოება ადრე თუ გვიან სამხედრო წარმატებებზეც კი უდაოდ დამასუსტებელ გავლენას იქონიებს“.

ზემოთ აღნიშნული დებულების ქართული საზოგადოებისათვის დასამტკიცებლად ნიკო ნიკოლაძემ კარგად შეისწავლა და გაანალიზა XIX საუკუნის II ნახევრის იაპონიის ე.წ. „მეიძის რევოლუციის“ პერიოდი, რომლის დროს ქვეყანამ დაიწყო და სწრაფად შეძლო უზარმაზარი თვისობრივი ნახტომის გაკეთება ცხოვრების ყველა სფეროში.

კარგად გააცნობიერა რა თავისი პასუხისმგებლობა საკუთარი ერის წინაშე, იაპონიის გონიერმა მთავრობამ და მმართველმა ელიტამ დასახა ქვეყნის მომავალი პოლიტიკური და სოციალური მოწყობის მეცნიერული გეგმა, რომელშიც ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების საწყისად და ბალავრად დადებული იყო საკუთარი ხალხის კულტურული მემკვიდრეობა, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, იაპონური ცხოვრების წესის მდიდარი ეროვნული შინაარსი. ნიკო ნიკოლაძეს სამაგალითოდ მიაჩნდა მოკლე დროში ქვეყნის ასეთი აღორძინება და ილიასავით გონიერი მთავრობის აუცილებლობაზე და პასუხისმგებლობაზე მიაჩნებდა ქართველობას: „იაპონია ერთობ დიდ და ნათელ მაგალითს წარმოგვიდგენს იმისას, თუ რა ადვილი ყოფილა თითქმის სრულიად ველური და უკან ჩამორჩენილი ხალხისათვის სწავლით და რიგიანი წესით წელში გამართვა და ძალის შექმნა, როცა მას გონიერი მთავრობა ჰყავს და ბეჯითი სურვილი აქვს რიგიანი ადვილი დაიკაოს სხვა ერსა და სამეფოებას შუა“. ნედლეულითა და სხვა სახის სტრატეგიული რესურსების სიმწირის მიუხედავად, იაპონიის გაძლიერება, ნიკოლაძის სამართლიანი მოსაზრებით, შრომის ჭკვიანურმა ორგანიზაციამ და საშემსრულებლო დისციპლინის მაღალმა დონემაც განაპირობა, რაც მას ასევე სანიმუშოდ მიაჩნდა. ნიკოლაძე ამასთან დაკავშირებით ხაზს უსვამდა, რომ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა როდი ჰქონდა ქვეყნის სიდიდეს და მოსახლეობის მრავალრიცხოვნებას, არამედ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, ახალი ტექნოლოგიების სწრაფ დანერგვას: „ძალა და ძლევა რიცხვსა და სივრცეს კი არა, ცოდნას, ორგანიზაციას ეკუთვნის, იარაღს, წესს და დისციპლინას“. - წერდა იგი (და დღეს, მართლაც, უზარმაზარ და ნედლეულით უმდიდრეს რუსეთზე გაცილებით წინ არიან პატარა ქვეყნები - შვეიცარია, ბელგია, ნიდერლანდები და სხვა, რომლებმაც განაწი-

თარეს საწარმოო ძალები, ტექნიკა, ცოდნა და დისციპლინა).

ამრიგად, საქართველომ რომ რეალური დამოუკიდებლობა მოპოვოს, აუცილებელია ის ჯერ ეკონომიკურად აღორძინდეს. ქვეყნის აღორძინების უმთავრეს პირობად ნიკო ნიკოლაძეს, ილია ჭავჭავაძის დარად, თავჩაუხრელი შრომა, თვითგანვითარება და სწავლა მიაჩნდა. ამასთან იგი თვლიდა, რომ „სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მეწველი ძროხის მდგომარეობიდან არ გამოვა, შეუძლებელია ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი ძმობა, ან ხვირიანი განწყობილება“.

ქვეყნის ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი აღორძინებისა და აღმშენებლობის პროცესში ნიკო ნიკოლაძეს ასევე აუცილებლად მიაჩნდა სხვისი მოიძებნობისა და აზიური ინერტულობის, იოლი გამდიდრების განწყობილების დაძლევა და მოითხოვდა ამგვარი ილუზიებისაგან დროზე გათავისუფლებას: „ჩვენს საზოგადოებაში, - წერდა იგი, - ყველა დარწმუნებულია, რომ შევლა ჩვენ ერთ მშვენიერს დილას ჩამოგვიფრინდება, ისე, რომ თვითონ ხელის განძრევაც არ დაგვჭირდება ჩვენი ბედის გაუმჯობესებისათვის“. ნიკო ნიკოლაძეც აქცენტს აკეთებდა უმთავრესად საკუთარი რესურსებით და შრომით ქვეყნის განვითარების აუცილებლობაზე და არა მხოლოდ უცხოელთა ფინანსურ და ეკონომიკურ დახმარებაზე, რაც არასოდეს უნებაროდ არა ხდება: „ჯერ არსად, არც ერთ ქვეყანაში მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი, ან საზოგადოება ამაღლებულიყოს სხვისი დახმარებით, თუ არა საკუთარი შრომით და ჯანით, ადვილად შენაძენი, ნაპოვნი, ნაჩუქარი არც კერძო კაცს დააყრის ხეირს, და არც მთელ საზოგადოებას. კაცისათვის და ქვეყნისათვის მარტო ის არის გამოსადეგი და ძვირფასი, რაც იმას თავისი საკუთარი შრომით, ოფლისღვრით და შრომით შეუძენია... ნაპოვნი და ნაწყალობევი კი, თითქმის ყოველთვის, ისევე ისე ადვილად იკარგება, როგორც ადვილად ნაშოვნია იყო“, - მიუთითებდა იგი.

ნიკო ნიკოლაძე კარგად ხედავდა, რომ ქართველობა მრავალრიცხოვანი და ძლიერი მტრებით გარშემორტყმული ეული და მცირერიცხოვანი ურია და ამადაც შესაბამის დასკვნას აკეთებდა: „ჩვენ ჩვენი ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისათვის ვიზრუნოთ... მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო ჩვენს ძალას მივინდოთ, მარტო ჩვენს გამდიდრებასა და განათლებაზე ვიმუშაოთ, - მაშინ მეგობარიც გაუჩნდება ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც“. ხოლო თუ ჩვენ კვლავ სხვის იმედსა და დახმარებაზე დავამყარებთ მომავალს, და ხელს და ჭკუას არ გავანძრევთ, მაშინ კაპიტალიზმის უღმობელი კანონების საფუძველზე ჩვენი მომავალი პერსპექტივა ძალზე არასახარბიელო იქნება, მიაჩნდა ნიკოლაძეს და წერდა კიდევ მოურიდებლად: „ევროპის სახელმწიფოები საქართველოს ან

ალჟირივით (ე.ი. მკვიდრთათვის უფლება მიუნიჭებლად) დაიმონებენ, ან ინდოჩინეთივით ძარცვას დაუწყებენ“ (იგულისხმება დამოუკიდებლობის შემთხვევაში - ვ.შ.)

ნიკო ნიკოლაძემ, ერთ-ერთმა პირველმა ქართველ მოღვაწეთაგან, წინა პლანზე პრაქტიკული და პრაგმატული საკითხები წამოსწია, რაც მთლიანად შეესაბამებოდა ქვეყნის განვითარების მოთხოვნებს: “საჭიროდ ეთვლიდი შემეძრა ის ცხოველმყოფელი ძალები, რომლის მოქმედება და ურთიერთობა ერს ზრდის, ამაღლებს, აძლიერებს. შევეხე ეკონომიკას, კრედიტს, მრეწველობას, მიწისმფლობელობას და თვითმმართველობას... რამდენჯერ დაგვჭირდა დუშეთს ასვლა... ჭავჭავაძისათვის სახელმწიფო სამსახურზე ხელი აგველებინებინა, ბანკის დაარსება იერიშით აგველო, ბანკი განახლების ბანაკად გვექცია და შიგ ჭავჭავაძე ძალდატანებით ქართული საქმის სათავეში ჩაგვეყენებინა. თფილისის ქალაქის თავად სომხებს დიპ.ყოფიანი ავარჩევინეთ. ქუთაისს, გრ.ლევაშოვთან აუწერელი ბრძოლის შემდეგ, თვით-მმართველობა შემოვალდებინეთ. ქართველობის ას-პარეზი ხუთიოდე წელიწადში უცნობათ გადაფართოვეთ“.

ნიკო ნიკოლაძეს კარგად ესმოდა, რომ ყოველი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება სამ მთავარ ბურჯს ეყრდნობოდა - თავისუფალი მეწარმეობისა და მრეწველობის განვითარებას, სოფლის მეურნეობას და ცივილიზებული ვაჭრობას. იგი მართებულად მიუთითებდა, რომ „ყოველი ერის საფუძველი, ძალა, მომავალი, უფრო მის მეურნეობაზეა დამყარებული, მის მეწარმეობაზე. სხვა ყველაფერი თითქმის უმნიშვნელოა ამასთან შედარებით. ერი, რომლის წარმოებაც შეფერხდა და სხვა ქვეყნების წარმოებასთან შედარებით ხეირიანად ვეღარ აჯილდოვებს მეწარმეობელს, სხვის მსხვერპლადაა გამზადებული. იმან თუ სწრაფად ვერ მოახერხა თავისი წარმოების გაუმჯობესება, გაიაფება, გაადვილება და გახვედრება, მისი საქმე წასული და დაღუპულია“.

ნიკო ნიკოლაძე ილიასავით საქართველოს მომავალ ბედს ადრე რუსეთს უკავშირებდა, მაგრამ ი.ჭავჭავაძისაგან განსხვავებით იგი მოესწრო საქართველოს დამოუკიდებლობას (1918 წ. 26 მაისი) და პირველი დღეებიდანვე ქვეყნის სამსახურში ჩადგა, როგორც უკვე სახელმწიფო მოღვაწე და დიდი გამოცდილების ადამიანი. იგი სწორად შთააგონებდა ხელისუფლებაში მყოფ გამოუცდელ სოციალ-დემოკრატებს, რომ „როცა არ გვაბადია წარმოება და არც შემოსავალი, ვერ გვიხსნის ეერავითარი გადასახადი. წარმოების გაჩაღება არის ერთადერთი ჩვენი ხსნა; უნდა მოვახერხოთ გარეთ მეტი გავიტანოთ გასაყიდი, ვიდრე უცხოელს ვთხოვთ საყიდ საქონელს. სანამ მოსაზიდი მეტი გვექნება, ვინმემ გასაზიდი, მონობას ვერ ავცილოდებით“. ნიკო ნიკოლაძე პირველია ქართველ მოაზროვნეებში, ვინც ვაჭრობის-აღებმციემობის პროპაგანდა დაიწ-

ყო და მისი ფასი კარგად იცოდა. შეიძლებოდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთელი მოგება წყალში გადაყრილიყო, თუ იგი გონიერი და შორსმჭვრეტი კომერსანტის ხელში არ აღმოჩნდებოდა. ვაჭრობა აგრეთვე წესრიგია, ანგარიშთანობაა, აწყობილი საქმეა. ყოველი ქვეყნის ერთიანობა-მთლიანობას ორი საძირკველი უდგას - რელიგია და ვაჭრობა. საქართველოში ყოველთვის ათვალწუნებით უყურებდნენ ვაჭრობას (თვით ილია ჭავჭავაძეც ვერ აფასებდა მის როლს სათანადოდ - ვ.შ.), რაც ქართველი ხალხის წინააღმდეგობას ძალას აცლიდა. დისციპლინის, წესრიგის, აწყობილი საქმიანობის შინაგანი მოთხოვნილება გამჭრალი იყო, რაკილა ესენი ვაჭრობის თანმხლები არიან. ამიტომაც დაჟინებით არწმუნებდა ნიკო ნიკოლაძე ქართველებს, რომ „ვიდრე ჩვენი საზოგადოების უმრავლესობას სისხლსა და ხორცში ის რწმენა არ გაუვდება, რომ საზიზღარი, სამარცხვინო და სათაკილო ქვეყანაზე მარტო უსაქმობა და მუქთა პურის ჭამაა, მანამდე ნუ გწამთ, ვითომ განათლებისა ანუ წარმატების მირონი მოგვეცხოს. ვაჭრობა შრომაა და ისევე პატივსაცემია, როგორც ყოველნაირი შრომა“.

ნიკო ნიკოლაძე ეროვნული საქმეების გადაწყვეტის პროცესში გადაჭრით უარყოფდა ყოველგვარ რადიკალიზმს და წერდა, რომ „ქართველობის მიზნები მხოლოდ ზომიერების გზით მიიწვევება“.

ნიკო ნიკოლაძე მარტო სიტყვით როდი არწმუნებდა ვინმეს, არამედ მისთვის უმთავრესი იყო პრაქტიკული საქმე და ამადაც უწოდა არჩილ ჯორჯაძემ მას „ულმობელი საქმის კაცი“.

ნიკო ნიკოლაძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის ქ.ფოთის აღმშენებლობაში, პორტის ელექტროფიკაციასა და მექანიზაციაში (მან მოიარა ევროპის დიდი ქვეყნების პორტები და მიიღო შესაბამისი გამოცდილება). 1894 წელს, როცა იგი ქალაქის თავად აირჩიეს, ფოთის ბიუჯეტი 75 ათას მანეთს შეადგენდა. მისი ქალაქის თავად ყოფნის 20 წლის განმავლობაში ქალაქის ბიუჯეტი 10-ჯერ გაიზარდა. (მან ფოთის პორტის ამოქმედებით ფანჯარა გაჭრა ევროპაში საქართველოსათვის). უდიდესი შრომა გასწია ნიკო ნიკოლაძემ ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ათვისებისა და ჭიათურის მანგანუმის წარმოების გასაფართოებლად. მან მოახერხა დიდი ბრიტანეთის ბანკიდან კრედიტის აღება, გაიფანა შორაპან-ჭიათურის სარკინიგზო ხაზი და ამით მანგანუმის გადაზიდვის საქმეც მოაგვარა და გააიაფა (არსებობდა პლატფორმაც კი - „ნიკო ნიკოლაძე“. მანვე ქართულ ენაში დაამკვიდრა ისეთი სიტყვები, როგორცაა „ლიანდაგი“, „ორთქმავალი“). აქტიურად მონაწილეობდა ნიკო ნიკოლაძე თბილისის წყალსადენის მშენებლობაში, კახეთის რკინიგზისა და სურამის გვირაბის გაყვანაში, ქუთაისის აღმშენებლობაში, ტრანსციპშირის



რკინიგზის მშენებლობაშიც კი. მანვე ჩამოიყვანა როტშილდი ამიერკავკასიაში, პრინციპულად დაუპირისპირდა ნობელს (პრემიის დამაარსებელს) და დიმიტრი მენდელეევეს და მათ დავა მოუგო.

ნიკო ნიკოლაძემ ფოთის ქალაქის თავად ყოფნის პერიოდში დააარსა თანამედროვე ბანკი. ქართულ სინამდვილეში პირველმა ნიკო ნიკოლაძემ დაბეჭდა ობლიგაციები და ლატარიის ბილეთები და მთელი შემოსავალი ფოთის კეთილმოწყობას მოახმარა, რაც უპრეცედენტოდ ნოვატორული პრაქტიკული ნაბიჯი იყო მაშინ საქართველოში.

ნიკო ნიკოლაძემ გერმანულ დიპლომატებთან ოფიციალურ საუბარში, დამოუკიდებლობის პერიოდში (1918-21 წ.წ.), წამოაყენა იდეა ევროპის შორეულ აღმოსავლეთთან ვაჭრობის ფოთზე გატარების თაობაზე (ბერლინი-ფოთი-პეკინი), რაც დღეს უკვე პრაქტიკულად ხორცს ისხამს ევრაზიული დერეფნისა და აბრეშუმის გზის სახეღწოდებით.

ნიკო ნიკოლაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პოლიტიკურ ლიდერთა ტიპებს და მოგვცა კიდევ მათი ტიპები და დახასიათება. იქ, სადაც „ყველაფერი მარტო ერთ კაცზე ტრიალებს და არა დაწესებულებაზე, - წერდა იგი, - ის კაციც ნელ-ნელა იმ შეხედულებას იღებს, რომ შევარ, სხვა არავინაო, ყველა მე უნდა მემსახუროს და არა ქვეყანასაო. ქვეყნის, ერის, იდეალის ხსენება თანდათან ქრება დიდში და პატარაში. დესპოტის სამსახური და ქვეყნის და იდეალის სამსახური, დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან“.

ნიკო ნიკოლაძე მიუთითებს, რომ „ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მთავარ როლს ჩვეულებრივ ორი ტიპის მოღვაწენი ასრულებენ ხოლმე: ფანატიკოსები და მონაგარეები... რას ვხედავთ ამ მხრივ ჩვენში? საზოგადოებრივ მოღვაწეობისათვის მომზადებული ადამიანები, რომლებიც ამ საქმიანობისათვის საჭირო ცოდნითა და ნიჭით იყვნენ აღჭურვილნი, ჩვენში ძლიერ ცოტაა. კიდევ უფრო ნაკლებად გვყვანან ფანატიკოსები, რომლებიც იკისრებდნენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა რკინის ბორკილების ტარებას... სამაგიეროდ ჩვენ გვყვანან უამრავი შესანიშნავი და კეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებსაც ალალი და წრფელი გულით სურთ სამშობლოსათვის ყოველგვარი სიკეთე, მაგრამ რომელთაც არ შეუძლიათ ამის გამო უარი თქვან ისეთ სიამოვნებაზეც კი, როგორც არის პაპიროსის მოწევა ან ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლა წვიმიანსა და ცივ ამინდში... ამათ გარდა, კიდევ უფრო მეტი რაოდენობით გვყვანან საკსებით მოუმზადებულნი პირნი, რომლებსაც ბრწყინვალე საზოგადოებრივი მდგომარეობის უზომო მადა აქვთ, მაგრამ სრულიადაც არ გააჩნიათ არც მშვიდი ანგარიშიანობა, არც გამძლეობა, არც უნარი, რომ საკუთარი ძალღონით და

მეტნაკლებად რიგიანი საზოგადო საშუალებებით მიაღწიონ თავიანთ მიზანს და რაკი სხვა ტიპის საზოგადო მოღვაწენი ჩვენ არ გავვაჩნია, ამიტომ ბურთი და მოედანი რჩება ხოლმე ამ ორ ტიპს. ზემოთ რომ დავხატე: სათნო აზიზ-მაზიზებს - ერთი მხრივ, და არაკეთილსინდისიერ ინტრიგანებსა და მოანგარეებს - მეორეს მხრივ“.

შესაბამისად ეს განაპირობებდა, რომ ნიკოლაძის სიტყვებით, „მოდით ჩვენში მეთაურად ვიღაც სრულიად უცნობი და უზრდელი კინტოები. არავინ იცოდა, თუ ვინ იყვნენ, საიდან მოსული, რა რჯულის ან რა აზრის, სახელი რა ერქვათ, გვარი მათი რა იყო, როგორი წარსული ჰქონდათ: „ამბობება დაეწყით“, - დაიძახებდნენ და ყველა მათ გაჰყვებოდა, თითქოს თხას - ცხერის ფარა. ჭკუაში არავის მოსვლია, მოეთხოვა მათგან ახსნა, ან ცოდნა ან სიმტკიცე. იფარფაშებდნენ, სანამ გასაჭირი არ მოახლოვდებოდა და მაშინ კი მოქუსლავდნენ და გაჰქრებოდნენ.

გინახავთ სადმე სხვა ერი, ასე მჩატედ რომ გაჰყოლოდეს პროვოკატორს?“

ასეთი „ლიდერებისა“ და „მოღვაწეების“ ჩამოყალიბებაში ნეგატიურ როლს ჩვენი საზოგადოებაც ასრულებდა მისთვის დამახასიათებელი ისეთი თვისებებით, როგორიცაა პირმოთნეობა, მლიქვნელობა, პანეგერიკი (ანუ „ყიზილბაშობა“, როგორც ილია უწოდებდა): „გასაგებია ისეთი საზოგადოების მავნებლობა, - წერდა ნიკო ნიკოლაძე, - სადაც თქვენს აზრებს ბრმად იმეორებენ და სადაც კრიტიკული დამოკიდებულების ნაცვლად ხოტბას გასხამენ. ასეთ ვითარებაში ადამიანის გონებას ეუფლებოდა ძილი და იგი სულ უფრო ნაკლებს მუშაობს საკუთარ თავზე“. ნიკო ნიკოლაძე თვლიდა, რომ „პოლიტიკა ახალმოდური შლიაპკა კი არ არის, რომლის ცვლა ჩვენს ქეიფზე ჰკიდია, ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამა-პაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარწმუნოება“. შესაბამისად, პოლიტიკაც მეცნიერებაა და იგი შესწავლა მოითხოვოს, რომ აქ უნდა მოდიოდეს არა ხელმოცარული, უზნეო და არაკომპეტენტური ხალხი, არამედ ნიჭიერი, ზნეობრივი და მცოდნე პიროვნებები, ლიდერები, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე და უანგაროდ ემსახურებიან ქვეყანას საქმით და არა ტყუილი დაპირებებით. ნიკო ნიკოლაძეს აქ მოჰყავს განვითარებული ქვეყნების მაგალითი: „საზღვარგარეთ კი ყველა პოლიტიკური პარტიის კადრი და შტაბი სხვა და სხვა სპეციალისტობის საჩინო მოღვაწეებისაგან არის შემდგარი. პარტიებს იქ მეტად რთული სასიცოცხლო საქმეები მორიგად უდგათ წინ, რომლის მართვა ერთობ მარჯვე ღონისა და ცოდნის

მოხმარებას თხოულობს: ამიტომაც მეთაურებს გავლენის შერჩენა როდი-
ლა შეუძლიათ მარტო ფრაზების რახა-რუხით, ან მიუწვდომელ სიმალ-
ლისაკენ ფრთების ფართხალით“.

და ბოლოს კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც შეიძლება პირობითად
ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკური ანდერძი უწოდოთ და რომელიც მან
დაუტოვა თავის სათაყვანებელ საქართველოს: „ერთი იარაღი გვაქვს
ჩვენ, მარტო ერთი - აზრის სისწორე, სინდისის სიმართლე,
გონიერება, საქმის სიწმინდე. მარტო ამით შეგვიძლია ჩვენ
გავიმარჯვოთ შემდეგში, მომავალში, როდესმე. მაშ, ჩვენ უმან-
კოდ და გაუსვრელად უნდა შევინახოთ ეს ჩვენი მხოლოდი
იარაღი, თორემ იმ დღეს, როცა ჩვენი მტერნი, რიცხვით და
ძალით ძლიერნი, ჩვენს წინააღმდეგ სიმართლესაც მოიპოვებენ,
ჩვენი საქმე ფიზიკურად და ზნეობრივად დაღუპული იქნება“.

ნოე ჟორდანიას (1868-1953) პოლიტიკური მოღვაწეობის ეტაპები. ნოე ჟორდანიას პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეობა 3 ძირითად პერიოდად შეიძლება დაიყოს:

1. 1892-1918 წ.წ. - რევოლუციური განსწავლისა და მოღვაწეობის პერიოდი;

2. 1918-1921 წ.წ. - პერიოდი, როცა ის იყო დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ლიდერი და მთავრობის თავმჯდომარე;

3. 1921-1952 წ.წ. - ემიგრაციაში (საფრანგეთში) პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის პერიოდი, როცა ის თავის თანამოაზრეებთან ერთად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და ბოლშევიკური ტოტალიტარული საბჭოთა რეჟიმის საერთაშორისო მხილებისათვის.

ნოე ჟორდანიას მემუარებიდან („ჩემი წარსული“) ცნობილია, რომ იგი დაიბადა 1868 წელს ლანჩხუთში, ღარიბი აზნაურის ოჯახში. მან დაწყებითი განათლება მიიღო ლანჩხუთის სკოლაში, საიდანაც გადავიდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში. შემდეგ იგი ჩამოდის თბილისში და სწავლას აგრძელებს თბილისის სასულიერო სემინარიაში (1884-90 წწ.). აქ იგი მოსწავლეთა არალეგალური წრის წევრი და ნაროდნიკული მიმდინარეობის მომხრე ხდება.

1891 წელს ნოე ჟორდანია სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა ვარშავაში, სადაც მისი მსოფლმხედველობა შეიცვალა - „სოციალისტ-ნაროდნიკიდან“ იგი მარქსისტად ყალიბდება და 24 წლის ახალგაზრდა შესაბამის დასკვნებსაც აკეთებს: იგი მიხვდა რუსული უტოპიური სოციალიზმის რეაქციულ და ბარბაროსულ ხასიათს და კარგად გაიგო, რომ ჩამორჩენილ ქვეყნებში ჯერ პოლიტიკური რევოლუცია უნდა მოხდეს და დემოკრატია დაემკვიდრდეს, მერე კი იწყება ხანგრძლივი ბრძოლა სოციალური რევოლუციისათვის, რისკენაც წარმართა მთელი თავისი პრაქტიკული და თეორიული მოღვაწეობა.

ამასთან ნოე ჟორდანიამ, პირველმა მარქსისტულ თეორიაში, წამოაყენა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის იდეა სოციალური რევოლუციისათვის ბრძოლაში - მუშათა კლასის მეშვეობით გლეხობის ამოძრავების იდეა. ამანაც განსაზღვრა ქართულ მარქსიზმის სპეციფიკური ხასიათი. ვარშავაში ნოე ჟორდანია ეროვნული საკითხით დაინტერესდა. ის გაეცნო და ეზიარა პოლონელთა ეროვნულ დარაზმულობას, რომელიც სრულიად უცხო იყო იმდროინდელი საქართველოსათვის. ჩვენთან „ყველა სწავრდა და ქადაგებდა ქართული ენის და ქართული შკოლის აუცილებლობას,

მაგრამ მას არ ჰქონდა არც პოლიტიკური ხასიათი, არც პროგრამული და საბრძოლველი არსება“ (ნ. ჟორდანიას).

ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით ნოე ჟორდანიამ კიდევ ერთი რაციონალური დასკვნა გააკეთა: „პოლონეთის ნაციონალისტები თუ სოციალისტები ფიქრობდნენ ავტონომიის მოპოვებას რუსეთის არსებული რეჟიმის შეცვლით და უფრო ლიბერალური რეჟიმის შემოღებით. ბურჟუაზიული დემოკრატია ამის მიღწევას ფიქრობდა არა რევოლუციით, არამედ ოპოზიციით რუსეთის ოპოზიციასთან ერთად; ხოლო სოციალისტები რევოლუციური გზით – რუსეთის რევოლუციონერებთან ერთად. ყოველ შემთხვევაში ცვლილება უნდა მომხდარიყო საერთო ძალღონით, რუსეთის მასშტაბით. ჩვენი პატარა ერისათვის ეს ტაქტიკა თავისთავად საგულისხმო და მისაღები იყო, მარტო ქართველობა ხომ ვერ გაუმკლავდებოდა რუსეთის ვეშაპს. ჩვენთვის საჭირო იყო მოკავშირე ბრძოლაში, რომ იზოლაციაში არ მოვხვედრილიყავით და არ გავლესილიყავით“ (ნ. ჟორდანიას).

ვარშავაში და შემდგომ ვეროპაში თითქმის 5 წლის მანძილზე ყოფნის დროს ნოე ჟორდანიამ კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს მიაქცია ყურადღება: XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსათვის დასავლეთში ბევრი მარქსისტისათვის ცხადი გახდა, რომ მარქსიზმის ძირითადი დებულებანი საკმაოდ მოძველდა და თანამედროვე რეალობას ვეღარ პასუხობდა. აქედან მოყოლებული მარქსიზმს დასავლეთ ვეროპაში, პირველ რიგში კი გერმანიაში, თანდათან ცვლის სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია, რომელმაც სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. მარქსიზმის ყველაზე სერიოზული კრიტიკა კარლ კაუცკიმ და ედუარდ ბერნშტეინმა (გერმანია) მოახდინეს. მათ უარყვეს მარქსიზმის რამდენიმე უმთავრესი დებულება:

- ა) კაპიტალიზმის რევოლუციითა და სისხლით მოსპობის აუცილებლობა;
- ბ) პროლეტარიატის დიქტატურის გარდაუვალობა;
- გ) კერძო საკუთრების მოსპობის აუცილებლობა.

მათ აღიარეს და მოითხოვეს:

1. რეფორმების გზით კაპიტალიზმის პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაცია და ჰუმანიზაცია;
2. ეკონომიკური ბრძოლის გაძლიერებით მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება;
3. ხელისუფლებაში მოსვლა არა რევოლუციის ან გადატრიალების, არამედ ლეგიტიმური გზით – პარლამენტის არჩევნებში გამარჯვების გზით.

ნოე ჟორდანიამ, რომელიც საქართველოს განვითარების გზებზე ფიქრობდა და მუშაობდა, სწორედ შეაფასა, რომ მარქსიზმთან შედარებით

სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება უფრო ზომიერი, პროგრესული, დემოკრატიული და საქართველოსათვის შედარებით უფრო მისაღები უნდა ყოფილიყო. შემთხვევითი არც ის იყო, რომ შემდგომში, ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ნოე ჟორდანიამ და ქართველმა მენშევიკებმა ასევე მარქსიზმის ყველა ძირითადი დებულება უარყვეს უკვე არა მარტო თეორიულად, არამედ პირველად მსოფლიო სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში, მსოფლიოში პირველმა სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ - პრაქტიკულად უარყო ყოველივე ეს და ამით გარკვეულწილად სათავე დაუდო თანამედროვე სოციალ-დემოკრატიულ მოძღვლს, რომელიც ძალზე პოპულარულია დღევანდელ მსოფლიოში.

1892 წლის დეკემბერში ყვირილაში, 1893 წლის თებერვალში კი თბილისში ჩატარდა ქართველ მარქსისტთა პირველი შეკრებები, რომლებზეც ნელ-ნელა ჩაისახა პირველი ქართული პოლიტიკური პარტია, რომლის ლიდერად თავიდანვე მოგვევლინა ამ პერიოდში ვარშავიდან მობრუნებული ნოე ჟორდანი.

1893 წლის თებერვლის კონფერენციაზე მან წარმოადგინა სხვათაგან მთლიანად განსხვავებული ორიგინალური პროგრამა - „რა ვაკეთოთ“ („რა ვაკეთოთ მე დაუტოვე „ივერიას“ დასაბეჭდად, - არ დაბეჭდა. შემდეგ გაუვზაზენე „მოამბეს“ და დიდი ყოყმანის შემდეგ მან გამოაქვეყნა 1894 წ. სათაური გამოუცვალე, დავარქვი „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება“, - წერდა ნ. ჟორდანი).

ნოე ჟორდანიამ ამ თავის პირველ სერიოზულ ნაშრომში საკითხებისადმი მიდგომის 2 კუთხე წარმოაჩინა - ეროვნული და ტაქტიკური:

„უნდა მომენახა ისეთი ღერძი, - წერდა იგი, - რომლითაც შეიძლება დიდი საზოგადოების გადატრიალება. ასეთ პიონერად მიმაჩნდა მუშები და ეს ელემენტები უნდა მომენახა ჩვენს ცხოვრებაში“. ამასთან, ნოე ჟორდანიას კარგად ესმოდა, რომ ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის გზებიც უნდა მოძებნილიყო. ევროპისა და ამერიკის ძირითად ქვეყნებში ერის დამოუკიდებლობის პრობლემა კარგა ხნის გადაწყვეტილი იყო, ხოლო დაპყრობილი ქვეყნების წარმომადგენლები (პოლონები, უკრაინელები და სხვ) ამ დებულებას მაშინ არ აყენებდნენ, რუსები, პირიქით, მას ებრძოდნენ. და, აი, ნოე ჟორდანიამ ამ საპროგრამო დოკუმენტში პირველმა დააყენა ერის თავისუფლების იდეა: „ჩემი დებულება იყო საერთო ხასიათის და მოკლებული იყო კონკრეტულ ფორმას. არ იყო ნათქვამი საქართველოს გათავისუფლება (ამას ვერც იღია და ნიკო ნიკოლაძე აყენებდნენ ქვეყნის სათანადოდ მომზადების გარეშე - ვ.შ.), თუმცა მასში სწორედ ამას ვგულისხმობდი... რა ძირითადი მოსაზრებიდან გამოდიოდა ერის თავისუფლება? მხოლოდ ერთიდან - დემოკრატიულ მსოფლმხედველობიდან. თუ კი პიროვნება უნდა იყოს თავისუფალი, თუ

მთელი საზოგადოება თავის თავს უნდა მართავდეს, რატომ ერი, როგორც დიდი ეთნიური საზოგადოება, არ უნდა მართავდეს თავის თავს, არ ქონდეს თავის სახელმწიფო". (ნ. ჟორდანიას).

ნოე ჟორდანიას მიერ შექმნილი საპროგრამო დოკუმენტი შემდეგ დასკვნებს შეიცავს:

- 1) ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა;
- 2) თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა, როგორც ხელშემწყობი პირობა უმთავრესი მიზნის მისაღწევად და როგორც უახლოესი საგანი მოწინავე დასის მოქმედებისა; აქედან, 3) ეროვნული გრძნობა მთელი ხალხისა და ადამიანური უფლებანი, კაცური ღირსებანი თითოეული პირისა აღზრდილი და აღორძინებული უნდა იქნას ეკონომიკურ ნიადაგზე.

ეს იყო იმ დროისათვის უაღრესად პროგრესული და აქტუალური მოთხოვნები და მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო საქართველოსათვის.

თანამედროვეობის 3 უმთავრესი იდეალი - ერისა და პიროვნების თავისუფლება, ადამიანის უფლებები - ნოე ჟორდანიამ ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს აქცია თავისი და „მესამე დასის“ მოქმედების ქვაკუთხედად და ამით ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი - უცხო ქვეყნის კოლონიური ბატონობისაგან განთავისუფლების იდეა, რომელიც აშშ-ის დამოუკიდებლობის აქტშია (1776 წ. 4 ივლისი) აღიარებული და ადამიანის, პიროვნების თავისუფლების იდეა, რომელიც საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ დიდ საკაცობრიო ღირებულებად აქცია (1789 წლის 14 ივლისი) ერთმანეთთან დააკავშირა და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონედ აქცია. იგივე შეიძლება ითქვას ადამიანის უფლებებზეც, რომლის სრულყოფა მხოლოდ XX საუკუნეში მოხერხდა (1948 წ.).

ნოე ჟორდანიას დამსახურება მარტო ამით არ ამოიწურება. მან ერისა და პიროვნების თავისუფლება, ადამიანის უფლებები პიროვნების ნივთიერი, ანუ სოციალური კეთილდღეობის უმნიშვნელოვანეს იდეასთანაც დააკავშირა (რაც დღეს ყველა ცივილიზებული ქვეყნის უმთავრესი საზრუნავი და სამოქმედო გეგმაა) და ამით გადალახა არა მარტო მარქსიზმის კლასობრივი ბრძოლის საზღვრები, არამედ გააფართოვა დემოკრატიის ცნების საზღვარიც (რისი რეალურად განხორციელება იწყება საქართველოში 1918 წლის 26 მაისიდან - სოციალური დემოკრატიის სახელმწიფოს შენება).

შემდგომ პერიოდში, უცხოეთში ყოფნის დროს, ნოე ჟორდანიამ კიდევ უფრო დახვეწა მის მიერ შედგენილი პროგრამა და წამოაყენა გაევროპელების იდეა და ახალი სამოქმედო პროგრამა ჩვენი ქვეყნისათვის: ჩვენ ქართველებს, - წერდა იგი, რომლებმაც ერთი ევროპული ხანა -

ფეოდალური უკვე გავიარეთ, ევროპა ვერას დაგვაკლებს. ის ჩვენი მტერი არ არის, პირიქით, ის არის სისხლი-სისხლთაგანი ჩვენი და ხორცი-ხორცთაგანი ჩვენი. ჩვენ ჩვენივე ვევროპიელდებით და მაშასადამე, მის გვერდით, მასთან შეკავშირებით ჩვენივე უნდა ვიცხოვროთ. (შენიშვნა: ვერც ერთი ხალხი ვერ ეევროპიელდება გონებით, პოლიტიკურად, თუ ის ვერ ეევროპელდება ცხოვრებით, ეკონომიკურად). ქართველობამ თვითონვე უნდა განავითაროს ძალა, აღიძრას ენერჯია, გაანაყოფიეროს შრომა. თვითმოქმედება, თვითმოდრავა, თვით-აზროვნება - აი, რა უნდა ეწეროს მის დროშაზე. ყველა ის, რაც ამ გზაზე გვაბრკოლებს, ძიძაობას გვიწვევს, ასპარეზს გვივიწროებს, გვაძინებს, გვაზარმაცებს - აი, ეს ჩვენი პირდაპირი მტერია, მომავლის ორმოს ამომთხრელია“.

ამ დასკვნებში მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნოე ჟორდანიას „გაევროპლება“ შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე სგაევროპილება წარმოებს ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე. სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა, ქართველობა და ევროპიელობა - აი, რა წერია ახალ დროშაზე“), ქართული ცხოვრების წესზე დაფრდნობით და არა ყოველივე ევროპულის ბრძად და ხელოვნურად გადმონერგვის გზით. ეს ეხებოდა მარქსიზმის თეორიასაც, რომელიც ნოე ჟორდანიამ და მისმა მიმდევრებმა, ქართული რეალობიდან გამომდინარე, ფაქტიურად ეროვნულ ნიადაგზე დაამყნეს, თუმცა ცალკეული შეცდომები თავიდან ვერ აიცილეს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ 1891-1898 წლებში ნოე ჟორდანიამ დააყენა თავის დროისათვის უმნიშვნელოვანესი პროგრესული მოთხოვნები, იგი თანაბარ დონეზე აყენებდა და ერთმანეთს უკავშირებდა ეროვნული და სოციალური საკითხების გადაწყვეტას. იგი 1891-93 წლებში, როგორც ეს პროფ. ვახტანგ გურულმა გაარკვია, ყოფილა პატრიოტული ორგანიზაციის „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ წევრი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

1898 წლიდან 1913 წლამდე ნოე ჟორდანიას პოლიტიკურ შეხედულებებში სერიოზული ევოლუცია შეინიშნება (უკანდახვეის თვალსაზრისით), რაც აისახა კიდევ „მესამე დასის“ პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკაშიც და ნოე ჟორდანიას მოღვაწეობაშიც. ეს ევოლუცია 1893 წლიდან დაიწყო და ნელ-ნელა ვითარდებოდა.

იმისათვის, რომ ხალხი გამოეფხიზლებინათ და თავის მხარეზე დაეყენებინათ, ნოე ჟორდანიამ და სოციალ-დემოკრატებმა დაიწყეს კლასობრივი ბრძოლის ქადაგება. კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობის გაზეიადებამ და არასწორმა წარმოდგენამ, რომ „ეროვნული ზრდა არ არის კლასობრივი ბრძოლის გარეშე“ (ნ. ჟორდანია), ქართულ საზოგადოებას საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა და განვითარების სწორ გზას მნიშვნელოვნ-

ად ააცილა. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა ეროვნულ საკითხთან მიმართებაში. 1898 წლიდან ნოე ჟორდანიამ და მისმა მიმდევრებმა კლასობრივი ბრძოლა წინა პლანზე დააყენეს, რასაც ეროვნული საკითხის ფაქტიურად დღის წესრიგიდან მოხსნა მოჰყვა, რაც მათი დიდი ტაქტიკური შეცდომა იყო.

ამას დაერთო 1902 წლიდან ტაქტიკური მოსაზრებით „მესამე დასის“ გაერთიანება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში, რაც ასევე უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილმა გამოიწვია ნოე ჟორდანიას და „მესამე დასის“ დაპირისპირება ილია ჭავჭავაძესთან, რამაც მწვავე ხასიათი მიიღო.

ილია ჭავჭავაძე, რომელსაც კარგად ესმოდა სოციალური უსამართლობის აღმოფხვრის აუცილებლობა, უარყოფითად განეწყო სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების მიმართ და „მესამე დასის“ შექმნა ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით ეროვნულ მოძრაობაზე დარტყმად და მისი გათიშვის მცდელობად მიაჩნდა.

ვითარება გაართულა იმანაც, რომ ერთმანეთთან თანამშრომლობის მიუხედავად, 1893 წლიდან ისინი იდეურადაც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს: ნოე ჟორდანიას, ერთი მხრივ, დიდად აფასებდა ილიას მეთაურობით 60-იან წლებში ასპარეზზე გამოსულ თაობას (რომელმაც „დაუფასებელი ღვაწლი დაასვა მთელ საქართველოს, შეგვიქმნა მწერლობა, შეგვიმუშავა სალიტერატურო ენა, შეებრძოლა ძველ წესებს და ჩაგრულთა მოძხრედ გამოვიდა. ერთი სიტყვით, ეს თაობა იბრძოდა წინსვლის, პროგრესისათვის და თვით ეს ბრძოლა გულწრფელი, უანგარო იყო“), მეორე მხრივ, თვლიდა, რომ ისინი ისევ ძველი მეთოდებით აგრძელებდნენ მუშაობას („ეს თაობა დღევანდელ ცხოვრებასაც მესამოცე წლების სათვალეებით უცქერის, მაშინ როდესაც თვით ცხოვრება საშინლად შეიცვალა, დაიბადნენ ახალი პირობები, აღმოცენდნენ ახალი კითხვები“). ახალმა თაობამ უნდა განაგრძოს ილიას და სხვათა მიერ დაწყებული საქმე, ოღონდ „თანახმად ახალი ცხოვრებისა და მისი მოთხოვნილებებისა“.

მართალია, ნოე ჟორდანიას ილია ჭავჭავაძეს ამ პერიოდის ნაშრომებში პერსონალურად არ შეხებია, მაგრამ ილიას თაობის კრიტიკა ირიბად ილია ჭავჭავაძის კრიტიკასაც ნიშნავდა. ილიამ, რომელსაც არ მოსწონდა კლასობრივი ბრძოლის ქადაგება და სამართლიანად თვლიდა ქართული ინტერესების საზიანოდ, ნოე ჟორდანიას და „მესამე დასის“ მიმართ მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დაიკავა, თუმცა პერსონალურად ასევე არ შეხებია ნოე ჟორდანიას.

ეს დაპირისპირება მომდევნო წლებში გააგრძელდა და კულმინაციას 1900 წელს მიაღწია. ამ დაპირისპირებაში უშეტესწილად ნოე ჟორდანიას

მართალი არ იყო. ამას, როგორც ჩანს, თავად ნოე ჟორდანიაც გრძნობდა, და 1937 წელს, პარიზში, წერდა, რომ „ეს იყო მეტად თავხედი დროშა, რომლის ამართვა მხოლოდ ახალგაზრდობაში შეიძლება“.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას დაპირისპირება - ეს იყო თაობათა ბრძოლის („მამათა და შვილთა ბრძოლის“) გავრძელება ახალ ისტორიულ პირობებში, რომელიც, მათ შორის ტაქტიკური განსხვავებების მიუხედავად არა პირადად დაპირისპირებას, არამედ საქართველოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას ემსახურებოდა.

ძალზე საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული თაობათა შესახებ დიდ ესპანელ მოაზროვნეს ხოსე ორტეგა ი ვასკეტს. იგი წერს: „ერთი თაობის საზოგადოებრივი ცხოვრება დაახლოებით ოცდაათ წელს გრძელდება. ეს ცხოვრება შეიძლება ორ პერიოდად და, მამასადაძვე, ორ ეტაპადაც დაიყოს. დაახლოებით თხუთმეტი წლის განმავლობაში ახალი თაობა ცდილობს დაამკვიდროს თავის იდეები, მისწრაფებები და წარმოდგენები და, ბოლოს და ბოლოს მიზანსაც აღწევს: მისი იდეები დომინანტური ხდებათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუ თაობა აღზრდილია მშვიდობიან ვითარებაში, სადაც ბატონობს წინა თაობის, ესე იგი, მამების აზროვნების მანერა, მაშინ ის ცდილობს ახალი იდეები, მისწრაფებები და წარმოდგენები თავს მოახვიოს საზოგადოებრივი ცხოვრების ატმოსფეროს. თუ უფროსი თაობის იდეები, მისწრაფებები და წარმოდგენები ექტრემისტული ხასიათისაა, მაშინ ახალი თაობა ანტიექსტრემისტულად და ანტირევოლუციურად იქნება განწყობილი, ანუ რესტავრაციის მომხრე იქნება. სწორედ ესაა ახალი თაობის ნებისმიერი მოღვაწეობის არსი. რა თქმა უნდა, რესტავრაცია სულაც არ ნიშნავს წარსულისაკენ უბრალო „მიბრუნებას“, რაც, კაცმა რომ თქვას, არც არასოდეს მოჰყოლია შედეგად არავითარ რესტავრაციას“.

თუ ამ კუთხით გავაანალიზებთ ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას თაობათა მოღვაწეობას, მაშინ შემდეგი სურათი წარმოგვიდგება: ილია და მისი დასი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ XIX ს-ის 60-იანი წლების დასაწყისში და თავიანთი იდეების დამკვიდრება დაიწყეს ძველ თაობასთან („მამებთან“) ჭიდილის ვითარებაში. 70-იანი წლების ბოლოს ილიას თაობის შეხედულებანი და აზრები უკვე გაბატონებული ხდება ქართულ საზოგადოებაში. ეს ეტაპი გრძელდებოდა 90-იანი წლების დასაწყისამდე, როცა ასპარეზზე გამოვიდა ნოე ჟორდანიას თაობა. ახლა მათ დაიწყეს მამათა თაობასთან პოლემიკა, იდეური ჭიდილი და თავისი აზრების და მრწამსის დამკვიდრება, რაც XX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისამდე ფაქტიურად შეძლეს. მერე კი მათი შეხედულებანი გაბატონებულ მდგომარეობას იკავებენ, რასაც თან ერთვის საქართველოს

დამოუკიდებლობის აღდგენა.

პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წ.წ.) მიმდინარეობის წლებში ნოე ჟორდანიას ფაქტიურად კვლავ დაუბრუნდა თავის პირვანდელ ტაქტიკას - აღიარა ჯერ საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა, მერე კი, პირობების შეცვლის შემდეგ, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, მან მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნას და მის პრაქტიკულ განხორციელებაში მთავარი წვლილი შეიტანა.

საქართველოს I ეროვნულ ყრილობაზე (1917 წლის 19-24 ნოემბერი) იგი მთავარი მომხსენებელი და მთავარი მოქმედი პირი იყო და გამოიჩინა დიდი პოლიტიკური ალღო. მანვე გამოაცხადა 1918 წლის 26 მაისს, 17სთ 10 წუთზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და იგი იყო დამოუკიდებელი საქართველოს ნამდვილი პოლიტიკური ლიდერი, მთავრობის თავმჯდომარე.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ (1921 წლის 25 თებერვალი) იგი ემიგრაციაში წავიდა პარლამენტის დადგენილებით და იქიდან აგრძელებდა უთანასწორო ბრძოლას კომუნისტური ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით. ემიგრაციის წლებმა ერთხელ კიდევ ცხადყო ნოე ჟორდანიას, როგორც მოაზროვნისა და როგორც პოლიტიკური მოღვაწის, განსაკუთრებული შესაძლებლობანი. მისმა პოლიტოლოგიურმა და სოვეტოლოგიურმა ნაშრომებმა დიდი აღიარება მოიპოვა. მან ჯერ კიდევ 20-იანი წლების დასაწყისში თითქმის წინასწარმეტყველურად და ზუსტად დაასაბუთა საბჭოთა კავშირის და სოციალიზმის სისტემის კრახის ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური მიზეზები, რაც მოგვიანებით, მთელი 30 წლის მერე გააკეთეს პაიკსმა და ბჟეზინსკიმ.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის უთანასწორო ბრძოლას ნოე ჟორდანიას სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა. ამ ბრძოლას მხოლოდ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და მისი მოძავლის რწმენა შთააგონებდა.

„ბევრი რამ შეუძლია პატარა საქართველოს?“ - ეკითხებოდნენ ნოე ჟორდანიას. „ათენა იყო მხოლოდ ერთი პატარა ქალაქი, მაგრამ მან შექმნა ცივილიზაცია“ - პასუხობდა ის.

**ვაჟა-ფშაველა – კოსმოპოლიტიზმის
და პატრიოტიზმის შესახებ**



„ღმერთი ზეციდან მიწაზე ჩამოვიდა და სამშობლო დაერქვა“.
ფრანჩესკო დე სანქტისი

ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია? როგორ? ასე, – რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო ადამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უშზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისთვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერჯია, თავისებურება გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის საღაროში....

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახურებოდეს მთელის თავის ძალღონით, თანამომხეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მის შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გებულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკებდა დღესაც. აგრეთვე სერვანტესი, გოეთე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამომხისათვის იღწეოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც კპოვეს სამშობლო – მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მოუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტით“, „მეფე ლირით“ ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ

დასტკება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს რად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკება „ვეფხისტყაოსნით“ და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნდა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? - არას დროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება...

მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეზობლით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფნის აკკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიკური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე.

პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვამთყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ. არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავე წამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა პაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე - საზრდოდ, ნანა - მოსასვენებლად.

ყველა ეს ზდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმაწვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთანა გრძნობს, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია, - ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერიან. თავის სოფელელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი მშვენიერებად მიაჩნია. თავისი სოფელელი, თუნდ უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? - იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ზომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს,

ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას: ყველა ერი ერთნაირად მიყვარსო - ტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია; ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშეპოჭილი. სამოწყალო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსამე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ...

პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ ვშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ და კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნეველად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თვითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარს ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.

(ვაჟა-ფშაველა).

საქართველო: პოლიტიკური ორიენტაცია და გლობალიზაცია



(ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნეს,
ანუ ვიართ ჩვენი ვხით)

რა განაპირობებდა საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის აუცილებლობას ჯერ კიდევ ძველი დროიდან? - ორი ძირითადი ფაქტორი:

1. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა;
2. მოსახლეობის მცირერიცხოვანება.

მოსახლეობის მცირერიცხოვნება საქართველოს სახელმწიფოს საშუალებას არ აძლევდა ეწარმოებინა აგრესიული პოლიტიკა, სხვა ხალხების დაპყრობა და დარბევა (ცალკეული გამონაკლისების გარდა. მხედველობაში გვაქვს -XII-XIII საუკუნეები. - ვ.შ.) ჯარკვეული მოსაზრებით „მერიდიანული ღერძის“ მიმოქცევის ფარგლებში მცხოვრებმა ხალხმა რაც შეიძლება სრულფასოვნად უნდა განაკუთვნოს თავი (სახელმწიფო წყობით და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეგნებით) ან დასავლეთს, ან აღმოსავლეთს - თუ სურს შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა.

საქართველოსთვის პოლიტიკური ორიენტაციის არჩევის საკითხი ჯერ კიდევ IV საუკუნიდან დადგა, როცა ქართველებმა ქრისტიანობა მიიღეს და ამით გარკვეული არჩევანი გააკეთეს ქრისტიანულ ბიზანტიასა და მაზდეანურ ირანს შორის.

მაგრამ რელიგიური ფაქტორი XV საუკუნემდე ორიენტაციის საკითხში გადამწყვეტ როლს მაინც არ თამაშობდა. აქ წინა პლანზე იყო წამოწეული სახელმწიფო ინტერესი, რომელიც აკებული იყო რეალურ ანგარიშზე და მოკლებული იყო ავანტიურას და ფანტაზიას, ზემოთაღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ (ან დასავლეთი ან აღმოსავლეთი), ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები სხვა პოლიტიკას ატარებდნენ: ირანსა და ბიზანტიას, ორ დიდ მოქიშპე მტერს შორის, საქართველოს შეეძლო თავი გადაერჩინა ორივესაგან დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებით, დარჩენილიყო მესამე ფაქტორად, არ მიმხრობოდა არც ერთის კოალიციას და ამით სამუდამოდ ხიდი არ ჩაეტეხა მეორე მეზობელთან. ამ პოლიტიკის საუცხოო ნიმუშია ვახტანგ გორგასლის მეფობა და ქმედება.

მაგრამ როგორი იყო ჩვენს წინაპართა მოქმედება იმ ვითარებაში, როცა საქართველო (ან მისი რომელიმე ნაწილი) უკვე დაპყრობილი ჰქონდა მტერს, როგორც ეს იყო VI საუკუნეში, მეფე გუბაზის მკვლელობის მომენტში (554 წ.). მეფე გუბაზის მოკვლას ბიზანტიელი სარდლების

მიერ მოჰყვა საგარეო ორიენტაციის გადასინჯვის მცდელობა ორატორ აიეტის მიერ ირანელთა სასარგებლოდ. აიეტს დაუპირისპირდა ფარტაქე, რომლის სიტყვა აგებული იყო ორ პრინციპზე: სარგებლიანობაზე და უმჯობესობაზე, რომელიც ერთიანდებოდა ერთ დევიზში - „თავდაცვის მიზნით სუვერენიტეტის შეზღუდვა, როგორც უმცირესი ბოროტება“.

ლოგიკური დასაბუთებით ფარტაქემ დაარწმუნა შეკრებილნი, რომ უმჯობესია ისევ ბიზანტიასთან დარჩენა, მაგრამ მასთან უფრო პრინციპული პოლიტიკის წარმოება, ვიდრე ირანისაკენ გადახრა.

თურქეთის მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობისა და ერთიანი საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ წინა პლანზე წამოიწია რელიგიურმა საკითხებმა და დაიწყო ქვეყნის ინტერესების სარწმუნოების თვალსაზრისით გაზომვა. ამით იყო გამოწვეული ქრისტიანულ რუსეთზე ორიენტაციის აღება.

პირველ მიწერ-მოწერას და ელჩების გაგზავნას მოსკოვში იწყებენ კახეთის მეფეები XV საუკუნის ბოლოდან. თავის ნაშრომში „საქართველოს საგარეო პოლიტიკა“, რომელიც ემიგრაციაშია შექმნილი 1934 წელს, ნოე ჟორდანიას სამართლიანად წერდა: „იცოდნენ კი ამ ახირებულმა პოლიტიკოსებმა არა თუ მოსკოვის მმართველობის სისტემა, არამედ მისი გეოგრაფიული საზღვარი მაინც? იმ დროს, როცა კახეთი ითხოვდა მისგან ჯარით შეველას, რუსეთის სამხრეთის საზღვარი გადადიოდა მდინარე ოკაზე (დღევანდელი მოსკოვისა და რიაზანის გუბერნიებს შორის), ქვემოთ მდებარეობდა კაზაკების დამოუკიდებელი რესპუბლიკა, იმის ქვევით ყირიმისა და ასტრახანის სახანო, მერე კიდევ ჩერქეზეთი - ერთი სიტყვით, არავითარი საშუალება რუსეთიდან რაიმე სამხედრო დახმარების მიღების. პოლონეთი გაცილებით უფრო ახლო მდებარეობდა ჩვენგან, ვინემ მაშინდელი რუსეთი. არც არავითარი რეალური დახმარება მოსკოვიდან არ მოსულა საქართველოს არც ერთ გაჭირვებულ მდგომარეობაში, ხოლო რუსეთში კი მიდიოდნენ ქართველები, შედიოდნენ იქ სამხედრო სამსახურში და თავს დებდნენ მოსკოვისათვის“.

ამ ფანტასტიურმა ავანტიურისტულმა ცალმხრივმა ორიენტაციამ რუსეთზე სრულიად შეცვალა საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა და საფუძვლად დაედო ყველა უბედურებას, რაც შემდგომ საქართველოს თავს დაატყდა ირანისა და თურქეთისაგან. ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის მცდელობას ორიენტაცია აეღოთ ევროპაზე - შედეგი არ მოჰყოლია - ევროპას თავისი პრობლემები ჰქონდა და პატარა საქართველოსათვის, რომელიც დაქუცმაცებულიც იყო, თავს არ შეიწუხებდა. ამას მოჰყვა ვახტანგ VI-ის ღიდი შეცდომები საგარეო პოლიტიკაში, რამაც იგი იძულებული გახადა რუსეთში გადახვეწილიყო და ქვეყანა უპატრონოდ მიეტოვებინა.

სიტუაცია მცირე ხნით გამოასწორა ერეკლე II-ის მამამ თეიმურაზ მეორემ, მაგრამ XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან კვლავ რუსეთზე ცალმხრივად ორიენტაციის აღებამ, გიორგიევსკის ტრაქტატის დადებამ, რითაც ძალზე გაღიზიანდა ირანი და თურქეთი, საბოლოო ჯამში ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა გამოიწვია. ყოველივე ეს იყო ღიდი ტრაგედია ქართველი ხალხისათვის.

ქართველ თერგდალეულებს კარგად ესმოდათ, რომ რუსეთის ბატონობის მძიმე პირობებში შეუძლებელი იყო დამოუკიდებლობაზე ფიქრი. ამიტომ მათ მთელი აქცენტი გადაიტანეს ხალხის გამოფხიზლებაზე, ქვეყნის სამეურნეო აღორძინებაზე და ერის დამოუკიდებლობისათვის შემზადებაზე. ნიკო ნიკოლაძე მიუთითებდა, რომ „ნაციონალური მისწრაფების გადაჭარბება საქართველოს იმ საყასპოში ურგავს თავს, საცა ეხლახან ტყავი გააძვრეს პოლმას და სისხლი დაუშვრეს ჩერქეზებს“. ამიტომ, დროებით, „სანამ შავი-ზღვიდან გასავალი სრუტე ოსმალის ხელშია, სანამ სამხრეთით ოსმალეთი და სპარსეთი გვაკრავს, აღმოსავლეთით - ლეკი და თათარი, ჩრდილოეთით რუსეთი, ბევრიც რომ ვიწროვართ, იმ პოლიტიკას ვერ ავცილდებით, რომელიც აურჩევიათ საქართველოს უაღრეს გმირებს ბევრი ცდის, ძებნის და მსხვერპლის შემდეგ... რა ძალამ და აუცილებლობამ ეს დევები გასტეხა, ის ახლაც უცვლელად არსებობს; მას ვერც ჩვენ ვერ მოვერევით“. ხელისუფლებაში მყოფმა სოციალ-დემოკრატებმა (1918-21 წ.) საფუძველი ჩაუყარეს ევროპულ ორიენტაციას, მაგრამ არ დასცალდათ.

პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი კვლავ მწვავედ დადგა 1992 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველომ XX საუკუნეში უკვე მეორედ მოიპოვა დამოუკიდებლობა და მძიმე პირობებში სახელმწიფოს შექმნა დაიწყო.

პარვარდის უნივერსიტეტთან არსებული ჯონ ოლინის სტრატეგიული კვლევათა ინსტიტუტის დირექტორმა, ცნობილმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა სემუელ ჰანთინგტონმა 1993 წელს ამერიკულ ჟურნალში „ფორინ ეფეარსში“ გამოაქვეყნა სტატია „ცივილიზაციათა შეხლა“, რომლითაც დასავლეთს ინტელექტუალური სიმშვიდე დაურღვია. ნაშრომის ძირითადი დებულება მდგომარეობს შემდეგში: მომავლის მსოფლიოს განსაზღვრავს 7-8 განსხვავებული ცივილიზაცია: დასავლური, კონფუციანური, იაპონური, ისლამური, ინდუისტური, სლავურ - მართლმადიდებლური, ლათინურამერიკული და აფრიკული. ამათ შორის დაპირისპირება შეენაცვლება იდეოლოგიურ ბრძოლასა და კონფლიქტის სხვა ფორმებს.

საერთაშორისო ურთიერთობებში დასავლეთის ქვეყნები სულ უფრო და უფრო მცირე როლს ითამაშებენ, საერთაშორისო ურთიერთობათა მთავარი ღერძი დასავლეთსა და დანარჩენ სამყაროს შორის წყალგამყოფ ხაზს გაუყვება.

ამ უაღრესად საინტერესო ნაშრომში ბევრი საინტერესო საკითხია დასმული, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად საქართველოსაც ეხება.

ს.ჰანთინგტონი სწორად აღნიშნავს, რომ „ცივ ომში“ საბჭოთა კავშირის დამარცხების და მისი დაშლის შემდეგ დასავლეთი ძალაუფლების მწვერვალზე იმყოფება ამავე დროს და ალბათ, სწორედ ამის შედეგად, არადასავლურ ცივილიზაციებში სულ უფრო აშკარად იჩენს თავს ფესვებისაკენ დაბრუნების ფენომენი. ამ ბოლო დროს თანდათან აშკარად იკვეთება იაპონიის საკუთარ თავში ჩაღრმავებისა და „გააზიურების“ ტენდენცია (ამის გარკვეული მანიშნებელია ახალი პრემიერ-მინისტრის ძიუნიტირო კოიძუმის არჩევა, რომელიც ნაციონალისტია მრწამსით და რომელიც ამ პროცესის გაღრმავებას კიდევ უფრო ხელს შეუწყობს), სულ უფრო ხშირად ისმის ლაპარაკი ნერუს მემკვიდრეობის დასასრულსა და ინდოეთის „ინდუიზაციაზე“, სოციალიზმისა და სახელმწიფოებრიობის დასავლური იდეების მარცხზე ახლო აღმოსავლეთში და, ამდენად, მის „რეისლამიზაციაზე“, ყოველივე ამას კი ვლადიმერ პუტინის რუსეთში ატეხილი გაცხოველებული კამათიც ემატება რუსეთის ვესტერნიზაციისა თუ რუსიანიზაციის შესახებ, ისევე როგორც საქართველოშიც – დასავლეთი თუ რუსეთი?

ძალაუფლების მწვერვალზე მყოფი დასავლეთი პირისპირ შეეჯახა არადასავლეთს, რომელიც სულ უფრო მზარდ მისწრაფებას, სურვილს და შესაძლებლობასაც ავლენს თავისებურ არადასავლურ ყაიდაზე მოაწყოს სამყარო.

წარსულში არადასავლურ საზოგადოებათა ელიტას, ჩვეულებრივ, ის ხალხი წარმოადგენდა, ვინც ყველაზე მეტად იყო ნაზიარები დასავლურ იდეებს. ოქსფორდში, სორბონში, თუ სენდჰერსტში ქჟონდა განათლება მიღებული და დასავლური შეხედულებები და ფასეულობები გათავისებული, ხოლო უბრალო ხალხი, არადასავლური ქვეყნების მოსახლეობა – მკვიდრი კულტურისადმი ერთგულებას ინარჩუნებდა. დღეს მდგომარეობა აშკარად შეიცვალა. ბევრ არადასავლურ ქვეყანაში თავს იჩენს ელიტის მიდრეკილება დევესტერნიზაციისაკენ, მაშინ, როცა დასავლური კულტურა, ცხოვრების სტილი და წესი-ჩვეულებანი ნელ-ნელა პოპულარული ხდება ხალხის მასებში.

ს.ჰანთინგტონი მიუთითებს, რომ საომარი კონფლიქტი დასავლურ სახელმწიფოთა შორის წარმოუდგენელია, დასავლეთს სამხედრო ძლიერებაშიც ტოლი არა ჰყავს. თუ იაპონიას არ ჩავთვლით, დასავლეთს არც ეკონომიკური მეტოქე უპირისპირდება (თუმცა ვარუდობენ, რომ 2020 წლისათვის ჩინეთი ამერიკას გადაუსწრებს ეკონომიკის კუთხით – ვ.შ.). ის საერთაშორისო პოლიტიკურ ორგანიზაციებშიც დომინირებს, უსაფრთხოების ინსტიტუტშიც და იაპონიასთან ერთად, ეკონომიკურშიც.

ნებისმიერ გლობალურ პოლიტიკურ დავას აშშ-ის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის, ეკონომიკურს კი - აშშ-ის, გერმანიისა და იაპონიის მმართველი წლები აგვარებენ (გერმანია და იაპონია ჯერ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები არ არიან და პოლიტიკაში ჯერ კიდევ გადამწყვეტ სიტყვას ვერ ამბობენ ამაღაც - ვ.შ.). გაეროს უშიშროების საბჭოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის გადაწყვეტილებანი, რომლებიც პრაქტიკულად დასავლეთის ინტერესებს შეესაბამება, - ხაზს უსვამს ს.პანთინგტონი, მსოფლიოს წარედგინება საერთაშორისო თანამეგობრობის მისწრაფებათა გამომხატველ დოკუმენტად.

თვით ფრაზა „საერთაშორისო თანამეგობრობა“, განაგრძობს ავტორი, ერთგვარ ევფემისტურ კრებით სახელად იქცა („თავისუფალი სამყაროს“ ნაცვლად), რამაც აშშ-ის და სხვა დასავლური ძალების ინტერესებით განპირობებულ ქმედებებს საყოველთაო კანონიერების სახე უნდა მისცეს. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტების მეშვეობით, წერს ს.პანთინგტონი, დასავლეთი თავის ეკონომიკურ პოტენციალს აფართოებს და იმ ეკონომიკურ პოლიტიკას ახვევს თავზე სხვა ერებს, რომელიც თვითონ მიაჩნიათ სასურველად. თუ ყოველივე ამას საქართველოს პრიზმით შევხედავთ, სურათი აქაც თვალსაჩინოა: ფაქტია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ე.წ. „რეკომენდაციები“ (სინამდვილეში მკაცრი მოთხოვნები) აქ ეროვნული წარმოების განვითარებას არ უწყობს ხელს და საქართველოს დასავლეთის სანედლეულო დანამატათ აქცევს. საქმე იქამდე მივიდა, რომ საქართველოში აღარ იწარმოება ტომატ-პასტაც კი, აღარაფერს ვამბობთ პროდუქციაზე. ქვეყანაში გაბატონებულია „იმპორტის ლობი“, რომელთაც ხელს აძლევთ ყველაფრის უცხოეთიდან შემოტანა კონტრაბანდის გზით და შემდგომში გადასახადების გადაუხდელად გამდიდრდება.

სტრატეგიული ნედლეულის (ჯართი, ხე-ტყე, ოქროულობა, ინტელექტის გადინება) უცხოეთში გატანამ ქვეყანა გააჩანაგა და ეკოლოგიური და სოციალური კატასტროფის პირას მიიყვანა. სავალუტო ფონდისა და სხვა ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ „ლობირებული“ უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები, ცხადია, წინააღმდეგობას ვერ უწყვენ ამ „რეკომენდაციების“ მომცემთ. ეკონომიკურ და პოლიტიკურ წრეებშიც საეჭვოდ მომრავლდნენ ე.წ. „ლობისტები“ რომლებიც სავალუტო ფონდსა და უცხოურ ფირმებს ხშირად ანტიეროვნულ საქმეებშიც უჭერენ მხარს, ცხადია, გარკვეული საზღაურის ნაცვლად (ე.წ. „ტროას ცხენის სინდრომი“).

არადასავლური ქვეყნების ნებისმიერ საარჩევნო სიაში, განაგრძობს

ს.ჰანთინგტონი, საერთაშორისო ფონდი ნამდვილად მოიპოვებდა ფინანსთა მინისტრებისა და ზოგიერთი სხვა პირის მხარდაჭერას, მაგრამ ამომრჩევლის ძირითადი მასა ალბათ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური პირების გიორგი არბატოვისეულ დახასიათებას უფრო გაიზიარებდა: „ესენი არიან ნეობოლშევიკები, ძალიან რომ უყვართ სხვისი ფულის ექსპროპრიაცია; არადემოკრატიული, უცხო ეკონომიკური წესებისა და პოლიტიკური სისტემების თავს მოხვევა და ეკონომიკური თავისუფლების ჩახშობა“.

უშიშროების საბჭოსა და მის გადაწყვეტილებებზე დასავლეთის ლამის ერთპიროვნულმა დომინირებამ, რასაც დროდადრო ჩინეთი თუ ეწინააღმდეგებოდა, შესაძლებელი გახდა ძალის გამოყენებაც კუვეიტიდან ერაყის გამოსადგენად, ერაყის მიერ უკვე გამოცდილი იარაღის განადგურებაც და შემდგომში ამგვარი იარაღის წარმოების აკრძალვაც. დასავლეთი ეფექტურად იყენებს საერთაშორისო ინსტიტუტებს, სამხედრო ძლიერებას და ეკონომიკურ რესურსებს მსოფლიოს იმგვარად სამართავად, რომ საკუთარი გავლენაც შეინარჩუნოს და დასავლური პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფასეულობანიც საყოველთაოდ გააერცელოს. ეს ეხება კულტურის სფეროსაც. როგორც ვნაიპოლი ამტკიცებს, დასავლური ცივილიზაცია „უნივერსალური ცივილიზაციაა“, რომელიც „ყველა ადამიანისათვის ზედამოჭრილია“. ზედაპირულ დონეზე, დასავლური კულტურის მნიშვნელოვანმა ნაწილმა მართლაც შეაღწია დანარჩენ მსოფლიოში. თუმცა, უფრო ძირეულ დონეზე დასავლური წარმოდგენები საფუძვლიანად განსხვავდებოდა სხვა ცივილიზაციებში გაბატონებული წარმოდგენისაგან.

ინდივიდუალიზმის, ლიბერალიზმის, კონსტიტუციონალიზმის, თავისუფლების, კანონის უზენაესობის, დემოკრატიის, თავისუფალი ბაზრის, სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის დასავლური იდეები ხშირად ძალიან სუსტ გამოძახილს პოულობს ისლამურ, კონფუციანურ, იაპონურ, ინდურ, ბუდისტურ თუ მართლმადიდებლურ კულტურებში, - განაგრძობს ს.ჰანთინგტონი. ამგვარი იდეების პროპაგანდა დასავლეთის მხრიდან სანაცვლოდ იწვევს რეაქციას „დემოკრატიული იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ. ამის ნათელი მაგალითია არადასავლურ კულტურებში რელიგიური ფუნდამენტალიზმის აქტიური მხარდაჭერა ახალგაზრდა თაობის მიერ. თავისთავად მოსაზრება „უნივერსალური ცივილიზაციის“ არსებობის შესახებ, წმინდა დასავლური იდეაა, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება უმეტეს აზიურ საზოგადოებათა პარტიკულარიზმს, მათ ძირეულ შეხედულებებს ერთი ხალხის მეორისაგან განსხვავების თაობაზე: მართლაც, - წერს ს.ჰანთინგტონი, როგორც სხვადასხვა საზოგადოებაში ჩატარებულმა ღირებულებათა შედარებითმა კვლევამ დაადასტურა, დასავ-

ლეთისათვის ყველაზე უფრო ფასეული ღირებულებანი მსოფლიო მასშტაბით ყველაზე ნაკლებად ფასობენ“. პოლიტიკურ სფეროში, რა თქმა უნდა, ამ განსხვავებებს ყველაზე ნათლად ადასტურებს აშშ-ისა და დასავლეთის სხვა დიდ სახელმწიფოთა მცდელობანი, სხვებიც აზიარონ დემოკრატიისა და პიროვნებების უფლებათა დასავლურ იდეებს. არადასავლურ საზოგადოებებში კი, წერს ავტორი, ის ან დასავლეთის კოლონიალიზმის ნაყოფია, ან იძულების (საქართველოში ამას იძულების ხასიათი აქვს, რადგან დასავლეთი სხვადასხვა საშუალებებით აიძულებს საქართველოს ხელისუფლებაში მყოფ ყოფილ კომუნისტურ ნომენკლატურას გაატაროს ე.წ. დემოკრატიული რეფორმები, რომლის არსი ხელისუფლებას არც ესმის - ვ.შ.)

ს.პანთინგტონი აღნიშნავს, რომ მომავალში მსოფლიო პოლიტიკის ცენტრალური ღერძი, როგორც ჩანს, იქნება კონფლიქტი „დასავლეთსა და დანარჩენებს შორის“ და არადასავლური ცივილიზაციების საპასუხო რეაქცია დასავლეთის ძლიერებასა და ღირებულებებზე. (ს. პანთინგტონის ეს თეზისი კარგად დაადასტურა 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარმა უძლიერესმა ტერაქტებმა, რომლებმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და რომელმაც დასაბამი მისცა მუსულმანური და ქრისტიანული ცივილიზაციების ფაქტიურ დაპირისპირებას.)

ამგვარი რეაქცია, როგორც წესი, ერგვაროვანია ან სამი სხვადასხვა ფორმის კომბინაციას წარმოადგენს. ერთი უკიდურესობაა, როცა არადასავლურ სახელმწიფოებს, ბირმისა და ჩრდილოეთ კორეის მსგავსად, შეუძლიათ ბოლომდე იზოლაციის გატარებას შეეცადონ, საკუთარი საზოგადოებანი დასავლეთის „გამარყვნილი ზეგავლენისაგან“ დაიცვან და ამის შედეგად დასავლეთის მიერ მართული გლობალური საზოგადოებისაგან გარიყულნი დარჩნენ. თუმცა მსგავსი კურსის საზღაური ძალიან მძიმეა და ცოტა ქვეყანა თუ მისცემს თავს ამგვარი ფუფუნების ნებას. მეორე ალტერნატივა იგივეა, რაც „გამარჯვებულის მიმხრობის“ ტაქტიკა საერთაშორისო ურთიერთობის თეორიაში: დასავლეთთან შეერთების მცდელობა და მისი ღირებულებებისა და წესრიგის გათავისება (საქართველოში ეს მოდელია დღეს დამკვიდრებული - ჩვენ გამარჯვებულ დასავლეთს ვემხრობით).

მესამე ალტერნატივაა დასავლეთის „გაწონასწორების“ ცდა საკუთარი ეკონომიკური და სამხედრო განვითარების გზით, სხვა არადასავლურ სახელმწიფოებთან დასავლეთის წინააღმდეგ თანამშრომლობით და ტრადიციული ღირებულებების, ცხოვრების წესის დაცვითა და შენარჩუნებით. მოკლედ მოდერნიზაცია, მაგრამ ვესტერნიზაციის გარეშე (ს. პანთინგტონი).

თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ძველი წინაპრების გამოცდილებას XV საუკუნემდე, სწორედ ეს მესამე ალტერნატივაა დღეისათვის ყველაზე მისაღები საქართველოსათვის, ერთის გამოკლებით - დასავლეთის წინააღმდეგ ვინმესთან თანამშრომლობა არ ღირს, არც ღიად და არც ფარულად. დანარჩენი უჭკველად ვასაკეთებელია - ეკონომიკური და სამხედრო გაძლიერება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ტრადიციული ღირებულებების, ცხოვრების წესის დაცვა და შენარჩუნება, ყოველივე კარგის გადმოღება ხანგრძლივი განსჯის შედეგად როგორც დასავლეთიდან ასევე აღმოსავლეთიდან და თუნდაც რუსეთიდან. ეს იქნებოდა ჩვენი წინაპრების ტრადიციების გაგრძელება. გამოჩენილი ქართველი მოაზროვნენი ხაზს უსვამდნენ, რომ ქართველობის მისია იყო, და ისევ უნდა იყოს დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურათა სინთეზი. აქედან შეიძლება ასეთი დევიზი ჩამოყალიბდეს პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით - „თანამშრომლობა ყველა ძალასთან, მაგრამ არ შესვლა აშკარად არც ერთ სამხედრო ბლოკში, არც ნატოში და არც რუსეთის მიერ შექმნილ რაიმე გაერთიანებაში“. არც ნატოს ქვეყნები და არც რუსეთი პატარა საქართველოს გულისათვის ერთმანეთს თავს არ დაესხმიან მათი წესდებიდან გამომდინარე. სუსტს არაავინ ანგარიშს არ უწევს, არც აშშ-ი და არც დასუსტებული რუსეთი. „ჩვენს დროში მიღებული არ არის ანგარიშის გაწევა სუსტებისათვის - ანგარიშს უწევენ მხოლოდ ძლიერებს“ (ი.სტალინი). თავის მხრივ რუსეთი დღეს მკაცრი ალტერნატივის წინაშე დგას: თუ მას უნდა, რომ შეინარჩუნოს ტერიტორიული მთლიანობა დღეს არსებულ საზღვრებში, მაშინ ის აღმოსავლური ტიპის ავტორიტარულ სახელმწიფოდ უნდა დარჩეს. თუ რუსეთის ნამდვილი კესტერნიზაცია დაიწყო, მაშინ მისი დაშლა გარდაუვალია. რუსეთი დღეს პირველ ვარიანტს ირჩევს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. დასავლეთიდან ნატოს და აღმოსავლეთიდან ჩინეთ-იაპონიის მიერ შევიწროებული რუსეთის აგრესიული ენერჯია უმცირესი წინააღმდეგობის ზონაში, ანუ ახლო და შუა აღმოსავლეთისაკენ, მათ შორის კავკასიისკენაც მიილტვის, რომელიც მახლობელი აღმოსავლეთის კარიბჭეა. დასუსტების მიუხედავად ყველა უფროსის რუსეთს მისი ბირთვული პოტენციალის გამო. რუსეთი არც არასოდეს იყო აყვავებული ეკონომიკის ქვეყანა, მაგრამ სამხედრო თვალსაზრისით ის ანგრიშვასაწევი ძალა იყო და დღესაც რჩება. დღევანდელმა ხელმძღვანელობამ ეკონომიკას ჯერჯერობით ვერაფერი მოუხერხა, მაგრამ სამხედრო ძლიერების საკითხს მაინც ჯეროვან ყურადღებას აქცევს და ამბიციებს არსოდეს დათმობს, განსაკუთრებით კავკასიაში, სადაც ნატოს შემოსვლას ის ალბათ არ შეურიგდება.

საქართველოს ხელისუფლებამ უკვე გააკეთა ზეპირი განაცხადი ნატოში

და ევროკავშირში საქართველოს გასაწევრიანებლად, რამაც ძალზე გააღი-
ზიანა რუსეთი. ეს ძალიან შორეული პერსპექტივაა და ისიც უნდა
გვახსოვდეს, რომ ჩვენ იქ სიხარულით არავინ გველოდება. საქართველომ
ამ ეტაპზე გარკვეული ნეიტრალიტეტი უნდა შეინარჩუნოს. განაკითხ-
როს თავისი ეკონომიკა, გაძლიერდეს სამხედრო თვალსაზრისით და თუ
შემდგომ მას დაუდგა უკიდურესი აუცილებლობა, მხოლოდ მაშინ უნდა
გააკეთოს არჩევანი ამა თუ იმ მხარეს. მანამდე კი ვიაროთ ჩვენი გზით,
გავატაროთ დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ნუ ვიქნებით
მხოლოდ სხვისი დახმარების იმედზე. ჩვენს სატყვივარს მხოლოდ ჩვენ
თუ ვუმკურნალებთ. ამას ჯერ კიდევ ერთი საუკუნის უკან გვასწავლ-
იდა ნიკო ნიკოლაძე: "ჯერ არსად, არც ერთ ქვეყანაში მაგალითი არ
უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი, ან საზოგადოება ამაღლებულიყოს
სხვისი დახმარებით, თუ არა საკუთარი შრომით და ჯანით".... დროა
თვალი გამოვახილოთ და დავრწმუნდეთ, რომ დამხმარებელი და გამკეთებელი
ჩვენ ჩვენს თავზე უკეთესი არასოდეს არ გველირსება"

ძირითადი ფაქტორი სახელმწიფოთაშორის, ერთაშორის
ურთიერთობებში საკუთარი ნაციონალური ინტერესებისათვის ბრძოლაა
ასეთია რეალობა. ნაციონალური ინტერესებისათვის კი, თავის მხრივ,
განმსაზღვრელია:

- ა) ერის თავისუფალი და დამოუკიდებელი სახით არსებობა;
- ბ) სამხედრო ზიფათისა და სუვერენიტეტის დაკარგვის (ან შე-
ზღუდვის) თავიდან აცილება;
- გ) ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის და მოსახლეობის კეთილდღეობის
ზრდის უზრუნველყოფა;
- დ) საერთაშორისო სარბიელზე საკუთარი პოლიტიკური სტატუსის
შენარჩუნება;
- ე) მოკავშირეების შენარჩუნება.

ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ საკუთარი ნაციონალური ინტერესების
უზრუნველყოფა დამოკიდებულია ამ ქვეყნის ნაციონალურ ძალაზე.

ნაციონალური ძალის დახასიათებისას მორგენტაუ გამოყოფს 9
ძირითად პარამეტრს.

1. ქვეყნის გეოგრაფიული ადგილსამყოფელი (ხელსაყრელია თუ არა
გეოპოლიტიკური თვალსაზრისით)

2. ქვეყნის ბუნებრივი რესურსები (შეუძლია თუ არა საკუთარი
თავის უზრუნველყოფა ომის პირობებში სურსათითა და
სიცოცხლისუნარიანობისათვის აუცილებელი ნედლეულით)

3. საწარმოო შესაძლებლობები (ახალი ტექნოლოგიები, როგორაა
ათვისებული ბუნებრივი რესურსები)

4. სამხედრო პოტენციალი (სამხედრო ხელმძღვანელობის ხარისხი, ჯარის ოდენობა, შეიარაღება, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, ზურგის უზრუნველყოფის დონე)

5. მოსახლეობა (მისი ოდენობა საომარი და სამშვიდობო ოპერაციების უზრუნველსაყოფად)

6. ეროვნული ხასიათი (კულტურული ღირებულებების შკალა, მოსახლეობის სიმპატიები და ანტიპატიები: უნარი, ღიღხანს და შეუპოვრად ისწრაფოდეს დასახული მიზნისაკენ, და ითმინოს გაჭირვება და დროებითი წარუმატებლობანი ან პირიქით, პირველივე სერიოზული ბარიერის შეხვედრისთანავე ჩაიქნოს ხელი, ომში მობიზილებულობის უნარი)

7. „ნაციონალური მორალი“ (უჭერს თუ არა თავის მთავრობას მხარს, განსაკუთრებით ომის დროს)

8. დიპლომატიის ხარისხი (იმგვარად წარმართონ სხელმწიფოს ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან, რომ უზრუნველყონ მისთვის საკუთარი ნაციონალური ძალის შესაბამისი ადგილი მსოფლიოში)

9. მართვის ხარისხი (გულისხმობს მთავრობის, ხელისუფლების მიერ საზოგადოებრივი აზრის იმგვარ ხელმძღვანელობას, წარმართვას, როგორც ამ ხელისუფლებას გატარებული პოლიტიკური კურსისადმი ხალხის სრულ მხარდაჭერას მოუტანდა).

ამ ცხრა პარამეტრიდან პირველის გარდა (გეოგრაფიული ადგილსამყოფელი), რვა პარამეტრის ცენტრში არსებითად ადამიანი დგას, ადამიანის მოქმედების საშუალებით ზორციელდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ჩვენი ნაციონალური ინტერესების დამაკმაყოფილებელი ნაციონალური ძალა ისევ ჩვენზე ყოფილა დამოკიდებული, არ არსებობს ამ რვიდან რომელიმე პარამეტრი, რომლის გაუმჯობესებაც არ შეიძლებოდეს, თუკი საამისოდ საკმარისი საერთო ნება გაგვანია. ამ საერთო ნების ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ხელისუფლებას, რომელიც ღრმად ეროვნული უნდა იყოს და არა ისეთი, როგორც კომუნისტების მმართველობის პერიოდში იყო, რომელმაც 21 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია ჩვენს მეზობლებს საჩუქრად დაურიგა.

1. არისტოტელე. პოლიტიკა I-II ნაწ. თბ. 1995-96წწ.
2. ამირან ბერძენიშვილი. პოლიტიკური სოციოლოგია. თბ; 2000
3. ვებერი მ. პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა. თბ; 1994.
4. ვებერი მ. ხარიზმული ბატონობა. თბ. 1995.
5. გ. თევზაძე საქართველო: ძალაუფლების სიმულაციები. თბ; 1999.
6. კაშია ჯ. თავისუფლება და ფედერალიზმი. თბ; 1996.
7. მაკიაველინ. მთავარი. თბ; 1984. თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ.
8. საქართველოს პოლიტიკური სისტემა. თბ; 1998.
9. შპენგლერი ო. პოლიტიკის ფილოსოფია. ბროშურაში „ო. შპენგლერი. პოლიტიკის ფილოსოფია; მ. ვებერი. ხარიზმული ბატონობა“. თბ; 1995.
10. ჰანთინგტონის. ცივილიზაციათა შეხლა. აღმანახი „საზოგადოება და პოლიტიკა“, II, 1999.
11. აღმანახი „საზოგადოება და პოლიტიკა“. I, თბ; 1996.
12. ზბიგნევ ბჟეზინსკი. დიდი ცვლილებები. აღმანახში „საზოგადოება და პოლიტიკა“. I. 1996.
13. აღმანახი „საზოგადოება და პოლიტიკა“ III. თბ; 2000.
14. ძნელი გზა დამოუკიდებლობისაკენ. უცხოელი მეცნიერები 90-იანი წლების საქართველოს შესახებ. თბ; 1998.
15. მაცაბერიძე მალხაზ. არჩევნები და პოლიტიკური მარკეტინგი. თბ; 1997.
16. მაცაბერიძე მალხაზ. პოლიტიკური მარკეტინგის საკითხები. თბ; 1993.
17. აბაშმაძე ვახტანგ. ქართული ინტელექტუალური ფენომენები. თბ; 1992.
18. საქართველოს ფედერალიზაციის პერსპექტივები. კრებული. თბ; 2000.

19. კიკაბიძე კობა., ლოსაბერიძე დავით. ინსტიტუციონალიზმი და კლენტელიზმი საქართველოში. თბ; 2000.
20. ჯანდა, ბერი, გოლდმენი. ამერიკული დემოკრატია. თბ; 1995.
21. მკურნალაძე გ., ხაშხაძე მ. პოლიტოლოგია თბ; 1999 (X-XI კლასების სახელმძღვანელო)
22. როგორ დაეკვირდეთ არჩევნებს. დამკვირვებლის ცნობარი. თბ; 1998.
23. მეწარმეობა და კორუფცია საქართველოში. ბიზნეს-ლიგა. თბ; 1998.
24. კორუფცია: ზოგადი პრობლემები. თბ; 2000.
25. შუბითიძე ვაჟა. ნოე ქორდანია — პოლიტოლოგი და სოცეტოლოგი. თბ; 1998.
26. შუბითიძე ვაჟა. რა შეუძლია პოლიტიკაში კარგ იმიჯს. თბ; 2000.
27. დომინიკოლა. პოლიტიკური სოციოლოგია. თბ; 1999.
28. ჭანუყაძე ვლადიმერ. პოლიტოლოგიური დიალოგები. თბ; 1998.
29. ჭანუყაძე ვლ., ჭანია ვ. პოლიტოლოგია. თბ; 1996.
30. რეხვია შვილი ი., ჯალია შვილი ჯ., ხოჭოლავა ვ. პოლიტოლოგია. თბ; 1991.
31. ქორდანია ნოე. რჩეული ნაწერები. თბ; 1990.
32. გურული ვახტანგ. ნოე ქორდანია. პოლიტიკური პორტრეტი. თბ; 1996.
33. თანამედროვე დემოკრატია: ღირებულებები და იდეალები. თბ; 2000.
34. დემოკრატია და ეკონომიკა. თბ; 2000.
35. მას-მედია თანამედროვე საზოგადოებაში. თბ; 2000.
36. პოლიტიკა კვინტესენცია. თბ; 1999.
37. ტუკვაძე ა. პოლიტიკური ელიტა. თბ; 1999.
38. ბუცხრიკიძე ა. პოლიტიკური ლიდერი. თბ; 1996.
39. დუგინი ალ. გეოპოლიტიკის საფუძვლები. თბ; 1999.
40. გეგეშიძე ა. გეოპოლიტიკა. თბ; 1997.

41. ჟორდანიანი ნოე. ვეფხისტყაოსანი. პარიზი. 1930.
42. ბეშლერი ეან. დემოკრატია. თბ; 1998.
43. აბესაძე გურამ. პოლიტიკური სოციალიზაცია. თბ; 1996.
44. ჟურნალი „საქართველო“. 1998-1999 წლების ნომრები.
45. ხოსე ორტეგა ი გასეტი. მასების ამბოხი. თბ; 1993.
46. ლევან თოიძე. საქართველოს პოლიტიკური ისტორია.(1921-23წ.წ.). თბ; 1999
47. რისმაგ გორდეზიანი. ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა. თბ; 1993.
48. ვაჟა-ფშაველა. თბზულებანი. თბ;1987.
49. ჯანსუღ კორძია. ეროვნული ცნობიერების რაობის შესახებ. რანი ვართ ქართველნი? №2, 1997.
50. მიხაკო წერეთელი. ერი და კაცობრიობა. თბ; 1990.
51. არჩილ ჯორჯაძე. სამშობლო და მამულიშვილობა. თბ; 1990.
52. ალექსანდრე რობაქიძე. ტრადიციები და ცხოვრების წესი. თბ; 1981.
53. ჯანსუღ ლვინჯილია. ქართველი კაცის სინამდვილე. თბ; 1992.
54. მოსე გოგიბერიძე. რჩ. ფილ. თბზ. ტ. IV. თბ; 1978.
55. ნადეჟდა ბერულავა. დიმიტრი უზნაძე. თბ; 1967.
56. ჯანსუღ კეკელია. საქართველოს ტერიტორია და საზღვრები. თბ; 1996.
57. გურამ ყორანაშვილი. ეროვნული საკითხი. თბ; 1997.
58. ნოდარ ნათაძე. ერი და ეროვნული კულტურა. თბ; 1988.
59. ნოდარ ნათაძე. პოლიტოლოგია. პოლიტიკური თეორია ძვ. საბერძნეთში. თბ; 1999.
60. იან შჩეპანსკი. სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები. თბ; 1997.

61. თეონა დოლიაშვილი, ჰენრი კურაშვილი. პოლიტიკური კონფლიქტები. ნაწ. I - თბ; 2001.
62. ივანე ჯავახიშვილი. ისტორიული რარიტეტები. თბ; 1989.
63. ირაკლი რეხვიაშვილი. ეროვნული ცხოვრების წესი (საქართველო №1-2. 1999.)
64. ჯიმი ჯალიაშვილი. პოლიტიკური მართვა და პროგნოზირება. თბ; 1995.
65. ირაკლი რეხვიაშვილი. პოლიტიკური ხელისუფლება - რეალობა და პერსპექტივა (საქართველო №3. 1998.)
66. ზვიად გამსახურდია. ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება. თბ; 1991.
67. ზვიად გამსახურდია. აირჩიე ქართველო ერო. თბ; 2001
68. ნიკოლოზ ბერდიაევი. ერი და კაცობრიობა. თბ; 1993.
69. ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი 10 ტომად. პ ინგოროცვას რედაქციით.
70. ნიკო ნიკოლაძე. რჩეული თხზულებანი. ქართული მწერლობა. ტ.14. თბ. 1997.
71. ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი. ქართული მწერლობა. ტ.2. თბ. 1987.
72. „პოლიტიკური ტექნოლოგიები“ (პოლიტიკური გამოკვლევების აღმანახი) №1-5 (2001-2002წწ.)
73. Арон Г. Демократия и тоталитаризм. М; 1993.
74. Бурдые П. Социология политики. М; 1992.
75. Истон Д. Категории системного анализа политики. В книге Антология мировой политической мысли. Т.Т. М; 1997.
76. Маркузе Г. Одномерный человек. М; 1984.
77. Липсет С. Политическая социология. В книге Американская социология. М; 1972.

78. Мизес Л. Бюрократия. М; 1993.
79. Парнсонс Т. Система современных обществ. М; 1998.
80. Шаран П. Сравнительная политология. Часть 1-2. М; 1992.
81. Шумпетер И. Капитализм, социализм и демократия. М; 1995.
82. Поппер К. Открытое общество и его враги. М: 1-2. М; 1992.
83. Халипов И. Введение в науку о власти. М; 1986.
84. Халипов И. Власть. Словарь. М; 1997.
85. Политология под ред. Г. И. Полуниной. М; 1996.
86. Макаренков Е. Сушков И. Политология. М; 1998.
87. Макс Вебер. Избранные произведения. М; 1990.
88. Ричард Пайпс. Собственность и свобода. М; 2000.



აგრესია - საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის წინააღმდეგ ძალის უკანონო გამოყენება ტერიტორიის დაპყრობის, პოლიტიკური წყობილების შეცვლის, დამოუკიდებლობის ლიკვიდაციის და ა.შ. მიზნით.

აგტარქია - ქვეყნის სამეურნეო იზოლირების, ჩაკტილი და თვითუზრუნველყოფადი ეკონომიკური სისტემის შექმნის პოლიტიკა.

აგტროპოლა - თვითმმართველობა, ამა თუ იმ სახელმწიფოს ნაწილის საშინაო საკითხების დამოუკიდებლად მოგვარების უფლება.

აგტორიტარიზმი - პოლიტიკური სისტემის, მმართველობის ფორმა, როდესაც უმაღლესი ხელისუფლება ყოველგვარი თურიდული პასუხისმგებლობის გარეშე თავმოყრილია ერთი მმართველის ან ხუნტის ხელში.

აგტორიტარია - თვითმპყრობელობა, ერთმმართველობა.

აგტორიტეტი - შექმნილი, ინიციატორი - მნიშვნელობა ან გავლენა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს პიროვნებას, აგრეთვე საგნებს და რომელიც არ საჭიროებს ამ მნიშვნელობის მუდმივ დადასტურებას, საქმით მის დამტკიცებას.

აგტრეზიზმი - პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც უარყოფს სახელმწიფოს წყობილებას, მართვას და ორგანიზებულ პოლიტიკურ ბრძოლას.

აგქია - ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეს კუთვნილი ტერიტორიის დაპყრობა, ძალის გამოყენებით მიერთება, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევაა.

აგტრინატივა - არჩევა ორ შესაძლებელ შორის, რაც განპირობებულია აუცილებლობით - გადაწყვეილო ორიდან ერთ-ერთი.

აგორალიზმი - გულგრილობა ხნეობის მოთხოვნებისადმი, უხეობა.

ანტისემპტიზმი - ეროვნული და რელიგიური შუღლის ნაირსახეობა, მიმართული ერთეულთა თურიდული და სოციალური დისკრიმინაციისაკენ, ჩაგვრისაკენ.

ანთროპოპოლოგიზმი - არის ადამიანის თვისებების, ცხოვრების წესის გადატანა არა-ადამიანურ ნივთებზე, ცხოველებზე, ბუნებისა და ღმერთის ცნებაზე.

აპარტიდია - რასისტული პოლიტიკა, რომლის მიზანია თეთრკანიანი, ფერადკანიანი და შავკანიანი მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გეოგრაფიული განცალკევება.

არაძალადობა - პოლიტიკა, რომლის დროსაც ოპოზიცია უარს ამბობს ძალისმიერ მეთოდებზე და სამოქმედო პრინციპად აღიარებს ბრძოლის მხოლოდ მშვიდობიანი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებას.

ასიმილაცია - (ბუნებრივი და ძალდატანებითი) - ერთი ხალხის მეორესთან შერევა ენის, ჩვეულების და სხვ. შთივისებით და საკუთარი ენის, კულტურის და ეროვნული ცნობიერებისა და თვითშეგნების დაკარგვით.

ასათია - გულგრილობა, ნორმალურ პირობებში გამოიქვითვის ან სულიერი დაღლილობის შედეგი, რომელიც ხშირად დაკავშირებულია ქვეყნის შიძივ მდგომარეობასთანაც.

არგუმენტი - დასაბუთების საფუძველი, დასაბუთების ის ნაწილი, რომელსაც ემყარება მისი სიძნადე.

ასოციაცია - საზოგადოებრივი გაერთიანება.

აეროკრატია - ბერძ. „ძალაუფლება ჰაერის მეოხებით“. სტრატეგიის ძალისმიერი კომპონენტი, რომელიც დაფუძნებულია საჰაერო სივრცის ათვისებასა და მის გამოყენებაზე

გეოპოლიტიკური ექსპანსიისათვის.

ატლანტიზმი - (ენათესავება ტერმინებს: წყალი, ზღვა, თალასოკრატია) - რთული გეოპოლიტიკური ცნება. თავის თავში მოიცავს ისტორიულად - კაცობრიობის ცივილიზაციის დასავლურ სექტორს, სტრატეგიულად - დასავლური ქვეყნების კავშირს, რომელშიც ჭარბობს ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგია, სამხედრო-სტრატეგიულად „ნატო“-ს წევრ ქვეყნებს; სოციალურად - „სავაჭრო წყობას“ და „საბაზრო ფასეულობებზე“ ორიენტაციას (აშშ-ის მოდელი). ვერაზიულობის საწინააღმდეგო.

ანაკონდას სტრატეგია - ატლანტიზმის გეოპოლიტიკური ხაზი, რომელიც მიისწრაფის ვერაზიის გეოპოლიტიკური ექსპანსიის შეკავების მიზნით, ჩამოაშოროს მას სანაპირო ტერიტორიების მაქსიმალური ოდენობა.

ბ

ბატონობა - ადამიანების მოქმედებათა წარმართვა: „ბატონობა მოასწავებს იმის შესაძლებლობას, რომ აიძულონ პიროვნებანი, რომლებსაც უბრძანებენ, დაემორჩილონ ბრძანებას“ (მაქს ვებერი).

ბენილუქსის ქვეყნები - 1944 წელს ლონდონში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი ეკონომიკური კავშირი ბელგიას, ნიდერლანდებსა და ლუქსემბურგს შორის.

ბუდიზმი - ერთ-ერთი მსოფლიო რელიგია, რომელიც ძვ.წ. 560-440 წწ. წარმოიშვა ინდოეთში და რომელსაც ქადაგებდა ბუდა („ნათელმზილველი“) გაუტამა.

ბუფერული სახელმწიფო - სტრატეგიული მდებარეობის მქონე მცირე სახელმწიფო, რომელიც მდებარეობს ორ მოქიშე დიდ სახელმწიფოს შორის.

ბაპოლარული მსოფლიო - (ანუ ორპოლარული) - ბუნებრივი გეოპოლიტიკური კონსტრუქცია, რომელიც მსოფლიო მასშტაბში ასახავს ძირითად გეოპოლიტიკურ დუალიზმს - თალასოკრატია თელუროკრატიის წინააღმდეგ.

ბლოკი - რამოდენიმე სახელმწიფოს გაერთიანება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის მათ სტრატეგიულ და გეოპოლიტიკურ თვისებას და გაკავს ისინი მსოფლიო მოღვაწეობის უფრო მაღალ საფეხურზე.

გ

გენოციდი - მოსახლეობის ცალკეული (ან ეთნიკური) ჯგუფების გაუღებტა რასობრივი და ეროვნული (რელიგიური) მოტივებით, უმძიმესი დანაშაულია კაცობრიობის წინაშე.

გეოკონომიკა - ატლანტიკური გეოპოლიტიკის განმტკობა. სივრცეს განიხილავს უტილიტარულ ეკონომიკური თვალსაზრისით.

გეოპოლიტიკა - არის ხელისუფლების მსოფლმხედველობა, მეცნიერება ხელისუფლების შესახებ და ხელისუფლებისათვის, მეცნიერება მართვის შესახებ (ა.დუვინი).

გეოპოლიტიკური დუალიზმი - გეოპოლიტიკის ძირითადი პრინციპი, რომელიც ისტორიული პროცესის მამოძრავებელ ძალად საზღვაო (თალასოკრატისა) და სახმელეთო (თელუროკრატის) მმართველობის წინააღმდეგობას განიხილავს.

გეოსტრატეგია - გეოპოლიტიკური ანალიზის სამხედრო ასპექტები.

გეოპოლიტიკური მუდმივა - გეოპოლიტიკური რეალობა, რომელიც მუდმივად არსებობს და არ არის დამოკიდებული სახელმწიფოთა, ეთნოსთა და ა.შ. ვინაობასა და მათ პოლიტიკურ და სხვა შეხედულებებზე, რადგან განპირობებულია გეოპოლიტიკური (სტიქიების, კონტინენტების და ა.შ.) და არა საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაპირისპირებით.

დ

დასავლეთი - თალასოკრატიისა და ატლანტიზმის სინონიმი (განვითარებული ქვეყნები)

დე იურე - იურიდიულად, ფორმალურად, სამართლებრივად.

დემოკრატია - ხალხის ხელისუფლება (მმართველობა), მმართველობის ფორმა, პრინციპი.

დებრესია - დათრგუნული სულიერი მდგომარეობა (დადარდიანება, სევდიანობა, ნაღვლიანობა)

დილაქტიკა - საუბრის გამართვის ხელოვნება - არგუმენტაციის ხელოვნება.

დილემა - მტანჯველი მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება ის პიროვნება, ვინც უნდა გააკეთოს ან ვალდებულია გააკეთოს არჩევანი ორ ერთნაირად არასასიამოვნო რაიმეს შორის.

დიმონოპოლიზაცია - სახელმწიფო ან სხვა მონოპოლიის საშუალების მოსპობა პროდუქციის ერთი მწარმოებლისათვის, რომელიც უკარნახებს მომხმარებელს თავის პირობებს, ფასს.

დიმონტი - საქონლის გაყიდვა საგარეო ბაზარზე საშინაო ბაზრის ფასზე იაფად წარმოების სტაბილიზირების მიზნით.

დებორტაცია - სახელმწიფოდან გაძევება, განდევნა.

დესპოტიზმი - თვითმპყრობელობური ხელისუფლების ფორმა, შეუზღუდავი მონარქია.

დე ფაქტო - ფაქტიურად, სინამდვილეში.

დასპორა - ერის (ხალხის, ეთნიკური ერთობის) მნიშვნელოვანი ნაწილის ყოფნა თავიანი ქვეყნის ფარგლებს გარეთ (მაგ: საფრანგეთში ქართული დიასპორა).

დექლარაცია - ცალკეული მმართველის, ჯგუფის, კლასის შეუზღუდავი ხელისუფლება.

დექტინინა - მოძღვრება, მეცნიერული ან ფილოსოფიური თეორია, პოლიტიკური სისტემა, წარმმართველი თეორიული ან პოლიტიკური პრინციპი.

ე

ევილუცია - პროგრესი, ევილუციონიზმი მსოფლმხედველობა, რომელიც ყველაფერს განიხილავს თანდათანობით განვითარების თვალსაზრისით.

ეთიუზაზმი - აღფრთოვანება, შეზნებარე გატაცება იდეით, იდეალით, სულიერი აღმაჯვობა.

ემპირად - კონკრეტული ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული აქტი - ოქროს, საქონლის, იარაღის, ფასიანი ქაღალდების ექსპორტის და იმპორტის აკრძალვა.

ეენაზია - იგივეა, რაც კონტინენტი („პარტლანდი“) ხმელეთი, მიწა, თელუროკრატია. უფრო ვიწრო გაგებით გეოპოლიტიკურ რუსეთის აღნიშნავს.

ევრაზიულობა - რთული გეოპოლიტიკური ცნება. თავის თავში მოიცავს ისტორიულად - კაცობრიობის ცივილიზაციის აღმოსავლეთ სექტორს, სტრატეგიულად - სახელმწიფოებისა და ერების არსებულ ან შესაძლო ბლოკს, რომლებიც არ ცნობენ ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგიის იმპერატივს, სტრატეგიულად - სამხედრო აღიანში გაერთიანებულ აღმოსავლეთ „თელუროკრატიული“ ქვეყნების არსებულ ან შესაძლო ბლოკს; სოციალურად - „იდეოკრატიაზე“ ორიენტაციას, სოციალურ სახელმწიფოს, არაკაპიტალისტურ ეკონომიკურ წყობას.

ერთპოლარული მსოფლიო - საბჭოთა კავშირის „ცივ ომში“ დამარცხების შემდეგ ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური მოდელი. ერთადერთ გამატონებელ პოლუსს წარმოადგენს ატლანტიზმი და აშშ.

ექსპერიმენტი - გვემაზომერად ჩატარებული დაკვირვება.

ერი - „ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმომადგენლობის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაც კულტურის ერთობა“ (ი.სტალინი).

„ერი არის ერთი სოციალური სუპერ-ორგანიზმი, ანუ ჰიპერ-ორგანიზმი, შემდგარი ერთგვარი ანუ მრავალგვარი ეთნიური და სოციალური მასალისაგან, რომელსაც შეუძლია ფაქტობრივად ვითარებაში შექმნას ერთი გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება თავის შემადგენელი ერთეულთა, ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებითა: ენითა, სარწმუნოებითა, მეცნიერებითა, ზნეობითა, ხელოვნებითა, სამართლითა და პოლიტიკითა, - საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიითა, ტიპითა და თვითშეგნებითა, სულის ინდივიდუალობითა“ (მიხაკო წერეთელი)

ეკონომიკა - საბაზრო ეკონომიკის განვითარების თეორია და პრაქტიკული დასკვნები.

ვ

ვეტი - სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთაგან შემდგარი კოლექტიური ორგანოს ერთ-ერთი წევრის განცხადება (ხმის მიცემის პროცესში) იმის თაობაზე, რომ იგი წინააღმდეგაა უმრავლესობის გადაწყვეტილებას.

ვერიფიკაცია - დასაბუთება, დადასტურება ცდით ან ლოგიკური დასაბუთებით.

ვიზუალური - უბრალო თვალთ დანახული.

ვილენტარნიზმი - მეტაფიზიკის და ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მიმართულება, რომელსაც ფსიქოლოგიური მხრივ ფსიქიკური ცხოვრების მთავარ ფუნქციად, ხოლო მეტაფიზიკური მხრივ ძირითად პრინციპად მიაჩნია არა ინტელექტი, არამედ ნება.

ზ

ზავი - მეომარ მხარეებს შორის საომარ მოქმედებათა შეწყვეტის თაობაზე მიღებული შეთანხმება.

ზღვა - იგივეა, რაც თალასოკრატია, წყალი.

თ

თელკრატია - მმართველობის ფორმა, როცა სახელმწიფო მეთაური (როგორც წესი - მონარქი) ერთდროულად უმაღლესი რელიგიური პირიც არის.

თაობა - ცალკე რგოლი მოდემის გაგრძელების ჯაჭვში, დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანთა ერთობლიობა, რომლებიც მიეკუთვნებიან რომელიმე ხალხს ან კულტურულ წრეს. ასეთი თაობის საქმიანობის ხანგრძლივობა 30 წელია (ორტეგა ი ვასკეტი).

თეიზმი - ღმერთის რწმენა.

თეოლოგია - ღვთისმეტყველება, მოძიერება ღმერთის შესახებ.

თალასოკრატია - ბერძ. „სალაუფლება ზღვის მეოხებით“ ან „საზღვაო ძლევამოსილება“. განვითარებული საზღვაო სახელმწიფოების დახასიათება.

თელურთკრატია - ბერძ. „სალაუფლება მიწის შესახებ“ ან „სახმელეთო ძლევამოსილება“. აშკარა სახმელეთო გეოპოლიტიკური ორიენტაციის მქონე სახელმწიფოების დახასიათება (იხილეთ, ევრაზია, პარტლანდი, იდუოკრატია).

თემი - ორგანულად დაკავშირებული ადამიანების არსებობის ბუნებრივი ფორმა. საზოგადოების (რომელშიც ორგანული კავშირების ნაცვლად, მძლავრობენ ინდივიდებს შორის

ფორმალიზებულ ხელშეკრულებათა ნორმატივები) ცნების საწინააღმდეგო. თემი ტრადიციებით რეგულირდება.

თურანი - ევრაზიული კონტინენტის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარეები, ევრაზიის სტეპური სივრცეები.

ღ

იდეალი - ნიშნში, დიდი მნიშვნელობის მქონე პირველსაზე, ზნეობრივი ნიშნში, სრულქმნილების, უმაღლესი მიზნის ცნება.

იდეაფიქსი - ფესვადგებული მცდარი წარმოდგენა, რომელსაც ვერაფრით ვერ გამოასწორებ და ვერც მოიცილებ.

იდილი - კერძი, ფანტომი, ბრმა თავყანისცემის საგანი.

იერარქია - სუბორდინაცია (შარდი მნიშვნელობით).

იდეოკრატია - ბერძ. „იდეის, იდეალების ძალაუფლება“. საპირისპიროა „მატერიის ძალაუფლების“, „საბაზრო სისტემის“, „საკურო წყობის“ ცნებებისა. ამ დროს საზოგადოების იერარქია და შრომის სტიმულაცია არაკონომიკური პრინციპებიდან გამომდინარეობს.

იმპერია - ზესახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელიც ავრთიანებს ხალხებსა და სახელმწიფოებს რელიგიური, ეთნიკური, ან იდეოლოგიური ხასიათის უნივერსალური იდეის საფუძველზე.

ინდივიდუუმი - ინდივიდი (ერთადერთი), რომლის დანაწევრება არ შეიძლება ისე, თუ არ დაკარგა თვითმყოფობა, „ინდივიდუალობა“ და საკუთარი ყოფიერება, რომელთა საფუძველია მხოლოდ მისი მთლიანობა.

ინსუქცია - მეცნიერული მეთოდი, რომელიც ცალკეულიდან, განსაკუთრებულადან ასკნის საყოველთაოზე, კანონიერებაზე საპირისპიროა მისი - დედუქცია.

ინტერვენცია - ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ძალადობრივი ჩარევა (აშკარა ან ფარული) მეორე სახელმწიფოს შინაურ საქმეებში, რაც მიზნად ისახავს პოლიტიკური წყობის შეცვლას, ტერიტორიის დაპყრობას, ეკონომიკურ დაკაბალებას, პრივილეგიების მიღებას და სხვ.

ინტეგრაცია - პროცესი, რომლის შედეგია მთლიანობა, გაერთიანება, შეერთება.

იურისდიქცია - ტერიტორიული ან სხვა ფარგლები, რომლის შიგნითაც ზორციელდება სახელმწიფო ხელისუფლება ამა თუ იმ ქვეყანაში.

ისტორიის გეოგრაფიული ღერძი - ევრაზიის შიდაკონტინენტური ტერიტორიები. ემთხვევა რუსეთის ტერიტორიას.

ქ

კანონი - გარკვეულ სფეროში მოქმედი წესების კრებული.

კონფედერაცია - სუვერენულ სახელმწიფოთა ლიგა ან ასოციაცია, რომელსაც, როგორც წესი, ცენტრალური პოლიტიკური და ადმინისტრაციული ორგანო ჰყავს, რომელშიც კონფედერაციის სუბიექტები საკუთარი ნებით ახდენენ ხელისუფლების დელეგირებას, და ამით, ერთობლივად წყვეტენ საერთო საკითხებს.

კლასიფიკაცია - ცნებათა და საგანთა სისტემატური დაყოფა და მოწესრიგება.

კონცეფცია - საერთო ჩანაფიქრი, გაგება, იდეის, ძირითადი აზრის, მხატვრული ან სხვა ძირითადი მოტივის უცარი დაბადება.

კონსტიტუცია - შედგენა, ორგანიზაცია, მოწყობა, აგრეთვე სახელმწიფოს ძირითადი კანონი.

კრიტიკუმი - შემოწმების ნიშანი, საშუალება, საზომი.

ლუბი - პირდაპირი მნიშვნელობით: კაპიტოლიუმის (აშშ-ს კონგრესის) შენობის მთავარი კორიდორი, სადაც კანონმდებლობით დაინტერესებული პირები იკრიბებიან; გადატანითი მნიშვნელობით: აშშ-ის კონგრესთან არსებულ მსხვილ მონოპოლიათა კანტორებისა და სააგენტოების სისტემა, რომელიც ამ მონოპოლიათა ინტერესებიდან გამომდინარე ზეწოლას ახდენენ (ზეწოლის ვეკუფები) კანონმდებლობაზე და სახელმწიფო მოხელეებზე ადამსრულებელ ხელისუფლებაში.

ლუვიანთანი - ტეებრ. „ზღვის ურჩხული“ (ბიბლიაში). იგივეა, რაც ატლანტიზმი, ზღვა და სხვა.

ლუბერალიზმი - მსოფლმშედველობა, რომელიც აერთიანებს შემარჯვენე პრინციპებს ეკონომიკის სფეროში (საბაზრო ეკონომიკა, პრივატიზაცია, კერძო საკუთრება, კაპიტალიზმი) და შემარცხენე კომპონენტებს პოლიტიკის დარგში (მინიმალისტური ჰუმანიზმი, ინდივიდუალიზმი, ეთნიკური და კულტურული ეგალიტარიზმი). ატლანტიკური ბანაკის მმართველი იდეოლოგია. ლიბერალიზმის პოლიტიკურ გამოვლინებას ლიბერალური დემოკრატია წარმოადგენს.

მასა - სოციოლოგიური აზრით - ადამიანთა ჯგუფი, რომლის შიგნითაც ინდივიდები ერთგვარად კარგავენ თავიანთ ინდივიდუალობას და ურთიერთგაუღენის მეოხებით იძენენ მსგავს გრძნობებს, ინსტიტუტებს, მისწრაფებებს, ნებელობით მოძრაობებს.

მეთოზე ხელისუფლება - მასმედია (პრესა, რადიო, ტელევიზია და ა.შ.)

მეტროპოლია - სახელმწიფო, რომელიც ფლობს დაკავშირებულ ქვეყნებს.

მონდიალიზმი - განსაკუთრებული იდეოლოგია, რომელიც ყველა სახელმწიფოსა და ხალხების ერთ მსოფლიო წარმონაქმნში შერწყმას გულისხმობს მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბებით, რომელსაც თან ახლავს რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური, ნაციონალური და კულტურული საზღვრების განადგურება. არსებობს „შემარცხენე“ და „შემარჯვენე“ მონდიალიზმი. შემარჯვენე - ატლანტიზმის გლობალიზაციას წარმოადგენს; შემარცხენე - აუცილებლად მიიჩნევს ვერაზიული სექტორის ჩართვას (ამა თუ იმ საფუძველზე) ერთიან სახელმწიფოში.

მოლიტარიზმი - გამალებული შეიარაღებისა და ომისათვის მზადების პოლიტიკა.

მეხუთე კოლონა - ფრაზა ეკუთვნის ესპანეთის სამოქალაქო ომის (1939 წ) მებრძოლ გენერალს, რომელიც 4 სამხედრო კოლონიტ მადრიდის დაღამქვრას აპირებდა და, ვარდა ამისა, იმედი ჰქონდა ჭალაქში მაცხოვრებელი „მეხუთე კოლონად“ მონათლული მხარდამჭერებისა. ამის შემდეგ „მეხუთე კოლონას“ ომის დროს მოიღალატესა და მტრის მხარდამჭერს უწოდებენ.

მოდუს ვეფენდი - ამა თუ იმ საერთაშორისო საკითხზე მიღწეული დროებითი შეთანხმება, რომელსაც მხარეები დებენ მომავალში საბოლოო მოწესრიგების იმედით. (ცხოვრების წესი).

მონოპოლია - წარმოების, ვაჭრობის, რეწვის განსაკუთრებული უფლება, რომელიც ერთ პირს, გარკვეულ ჯგუფს ან სახელმწიფოს ეკუთვნის.

მენტალიზმი - სულიერი წყობა, კოლექტიური და ინდივიდუალური ცნობიერების სიღრმისეული დონე რომელიც შეიცავს არაწნობიერსაც ინდივიდს, ან სოციალური ჯგუფის მზაობა, განწყობა - იმოქმედოს, იაზროვნოს, იგრძნოს და აღიქვას სამყარო გარკვეული სახით. მენტალიზმი ყალიბდება ტრადიციების, კულტურის, სოციალური

6

ნაციონალ-სოციალიზმი - გერმანული ფაშიზმის ავტორიტარული, ტოტალიტარული და იმპერიალისტური დოქტრინა, რომლის ავტორია ა.ჰიტლერი და მისი მიმდევრები.

ნეიტრალიტეტი - სახელმწიფოს ისეთი საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი, როდესაც იგი არ ერევა სხვა ქვეყნებს შორის ომში და ინარჩუნებს მათთან მშვიდობიან ურთიერთობებს, ან იღებს ვალდებულებას არ მიეხმაროს რომელიმე მათგანს (მაგ: შვეიცარია).

ნეოატლანტიზმი - ატლანტიზმის თანამედროვე ვერსია. უარყოფს მონდიალიზმს (მის შემარეკვერე მიმართულებასაც კი, როგორც მოცემულ პირობებში ნადრე და განუზოცილებელ პროექტს. მიაჩნია, რომ ერთიანი მსოფლიოს ნაცვლად ცივილიზაციათა შეჯახება მოხდება (ს.პანთინგტონი).

ნორმა - დანაწესი, წესი, რაიმეს შესახებ დასკვნისა და შეფასების საზომი.

ნიალიზმი - რაიმეს აბსოლუტური უარყოფა.

ნაციონალიზმი - რწმენა ან თეორია იმის შესახებ, რომ ყოველ ხალხს, რომელიც ცალკე ერს წარმოადგენს, აქვს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება.

7

ოლიგარქია - ძალაუფლების მქონე ვიწრო წრის პირთა, გვარების, ოჯახებისა და ჯგუფების ბატონობა.

ოპორტუნიზმი - უპრინციპობა, ყველა სიტუაციასთან შეგუების მზადყოფნა, თავის მოთხოვნილებათა მინიმალური ძალისხმევით დაკმაყოფილების მიზნით.

ოხლიკრატია - მასის, ბრბოს ბატონობა; დემოკრატის გაუკუღმართებული ფორმა (არისტოტელე).

8

პაქტი - ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის მიზანია ისეთი საკითხების რეგულირება, როგორებიცაა ორმხრივი ან კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ურთიერთდახმარება, თავდაუსხმელობა და სხვ.

პარტიზანული ომი - ცალკეულ პირთა ან ჯგუფის მიერ წარმოებული სამხედრო ოპერაციები, რაზეც როგორც წესი, ოფიციალური სამხედრო ხელისუფლება პასუხს არ აგებს.

პლურალიზმი - პეტაფიზიკური თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც სინამდვილე შედგება მრავალი დამოუკიდებელი არსისა თუ აზრისაგან.

პოლიემია - მეცნიერული დავა, სიტყვიერი ომი, ლიტერატურული კამათი.

პრაგმატული - პრაქტიკული, რაც ეხება მოქმედებას, შესახურება პრაქტიკას.

პრეშუსპიცია - დაშვება ალბათობის საფუძველზე, აგრეთვე „ადამიანის საღი განსჯის“ საფუძველზე.

პრინციპი - ბატონობა, პირველი ადგილზე დაყენებული რამ.

რ

რასა - ანთროპოლოგიაში - ადამიანთა გვუფი, რომელშიც დამახასიათებელ გარეგნულ შესახედაობას განაპირობებს საერთო მემკვიდრეობითი კონსტიტუციური ნიშნები (კანის ფერი, თავის ფორმა, სხეულის ზომები, პირისაზნის ფორმა).

რაციონალური - გონივრული, გონებიდან გამომდინარე, გონების შეოხებით განხორციელებული.

რეაქცია - საპასუხო, საწინააღმდეგო მოქმედება.

ს

საერთაშორისო სამართალი - კანონთა სისტემა, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებს.

სიონიზმი - ებრაელი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომლის მიზანია პალესტინაში „აღთქმულ მიწაზე“ ებრაული სახელმწიფოს დაარსება და განმტკიცება.

სტატუსი - საერთაშორისო სამართალში ფიზიკური ან იურიდიული პირის სამართლებრივი მდგომარეობა.

სულიდარობა - ერთმანეთის მტკიცე მხარდაჭერა საერთო მოთხოვნების განხორციელების დროს.

სტატუს-ქვე - გარკვეულ მომენტში არსებული ფაქტური ან სამართლებრივი მდგომარეობა.

სივრცე - გეოპოლიტიკის ძირითადი ცნება. წარმოადგენს არა რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ კატეგორიას.

ტ

ტერიტორიული წყლები - 12 საზღვაო მილის სიგანის წყლის სივრცე, რომელიც გასდევს სახელმწიფოს სანაპირო ზოლს.

ტროას ცხენი - გადატანითი მნიშვნელობით - ნიშნავს საჩუქარს, რომელსაც დაღუპვის მიზნით ჩუქნიან მტერს.

ტენდენცია - მისწრაფების ან მოვლენის განვითარების მიმართულება; განსაზღვრა, მისწრაფება, მიზანი. ტენდენციური - გარკვეული განზრახვით.

ტოტალიტარიზმი - ცნება, რომელიც აღნიშნავს მე-20 საუკუნის მთელ რიგ სოციალურ რეჟიმებს, სადაც ეკონომიკას, კულტურას, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებას მთლიანად გამსუგავლავს სახელმწიფო იდეოლოგია. განასხვავებენ კომუნისტურ და ფემისტურ ტოტალიტარიზმს. (ტერმინი შემოიტანა ბენიტო მუსოლინიმ).

ტრადიციონალიზმი - ტრადიციების როლის გაზვიადება მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ზნე-ჩვეულებებსა და რწმენაში, პოლიტიკაში. საფუძვლად უდევს ყოველ კონსერვატიულ აზროვნებას.

2

უტილიტარიზმი - ეთიკური მიმართულება, რომელსაც მაჩნია, რომ ადამიანის ქცევის მიზანი უნდა იყოს სარგებლიანობა, კეთილდღეობა, იმის მიუხედავად, საქმე ეხება ინდივიდს თუ საზოგადოებას.

უტოპია - „ქვეყანა რომელიც არსად არის“ (თომას მორი). უტოპისტი - ადამიანი, რომელსაც ქადაგებს საზოგადოების გაუმჯობესების განუზორციელებელ ვეგმებს ან იდეებს.

3

ფაშიზმი - ავტორიტარული პოლიტიკური სისტემა და ტოტალიტარული სოციალური რეჟიმი, რომელსაც 1922 წელს ჩაუყარა იტალიაში საფუძველი ბენიტო მუსოლინიმ ჯენტ-ილეს იდეებზე დაყრდნობით.

ფედერაცია - სახელმწიფო მოწყობის ფორმა, რომლის დროსაც ორი ან რამდენიმე სახელმწიფოსაგან (მხარისაგან) იქმნება ერთი სახელმწიფო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებითა და ერთიანი კონსტიტუციით (მაგ: რუსეთის ფედერაცია).

4

შოენინიზმი - ნაციონალიზმის უკიდურესი ფორმა, პოლიტიკა, რომელიც ეროვნულ განსაკუთრებულობას ქადაგებს და მიმართულია ეროვნული შუღლის გაღვივებისაკენ.

5

ცივი ომი - საბჭოთა კავშირსა და მის მოკავშირეებს, ერთი მხრივ, და აშშ-სა და მის მოკავშირეებს შორის, მეორე მხრივ, დაძაბულობა, დაპირისპირება, რომელიც II მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიშვა და დასრულდა სსრ კავშირის დაშლის შემდეგ.

ცივილიზაციათა შეხლა - სპანთინგტონის ტერმინი 7-8 ცივილიზაციას შორის გეოპოლიტიკური კონფლიქტების პერმანენტულობის და მუდმივობის თეორია.

6

ძალაუფლება - ფიზიკური ძალმომრეობისაგან განსხვავებით, ძალა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს სხეულზე, სულსა და გონებაზე, მსჭვალავს მათ, თავისი ნების კანონს უმორჩილებს სხვას.

ძალთა ბალანსი - დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების მიერ გატარებული პოლიტიკა, რომლის მიზანია კონტინენტზე ჰეგემონიის აღმოცენების შესაძლებლობის აღმოფხვრა.

ფ

წყალი (ან ზღვა) - თალასოკრატიის აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინი.

ჯ

ჯენტლმენური შეთანხმება - არაფორმალური დიპლომატიური შარიგება სახელმწიფოთა (ან პიროვნებებს) შორის ნოტების გაცვლის ან სახელმწიფო მეთაურთა შორის ზეპირი ურთიერთობის დროს.

კ

ქეგეზონია - ერთი სახელმწიფოს გაბატონებული მდგომარეობა, მეორის მიმართ რომელიც მიიღწევა დიპლომატიის, ეკონომიკის ან სამხედრო გამარჯვების გზით.

Vazha Shubitidze, Otar Davitashvili

POLITOLOGY

Tbilisi 2002

Важа Шубитидзе, Отари Давиташвили

ПОЛИТОЛОГИЯ

Тбилиси
2002

მხატვრული რედაქტორი - მანანა ქრისტესიაშვილი

ტექნიკური რედაქტორი - ეკა ფორცხალავა

კომპიუტერული უზრუნველყოფა - გიორგი ნაუროზაშვილი

ფასი სახელშეკრულებო

ხელმოწერილია დასაბუქდად 19.08.2002

267.532

3

SAFEGUARD
BOOKS

